

202

1950

06035000
202-000335

Կրամանուն մե. ոճ.
Տակալաբ. պիզցին.
թղթու թառըն.

XLI №41

№41

სტადინის სახელმწიფო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გიგანტური



ართაცბი

ТРУДЫ

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

XLI

8 - 14 л.

სტადინის სახელმწიფო თბილისის სახელმწ.
უნივერსიტეტის გამოცემლება

Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

თბილისი

1950

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის




საქართველოს
გიგანტური ცენტრი

გრამატიკა

Т Р У ДЫ

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

XLI



სრული სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
Издательство Тбилисского государственного университета им. Сталина

ღაიბეჭდა სტადინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ღაღგენილებით
გიმართული

პასუხისმგებელი რედაქტორი პროფ. ნ. კეცხოველი
საქ. მეცნ. აკადემიის ნამდვილი წევრი

XLI ტომი

პირაკსი

1. ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები	1
მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში. — ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ. — პასუხი ამხანაგებს.	
2. ნ. ცხაკარია, ი. ბ. სტალინი მუშათა მოძრაობის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შესახებ	35
3. დ. გვრიტიშვილი, ზემო ქართლის სადროშო	53
4. ე. თაყაიშვილი, პერევისის ძველი ეკლესია	69
5. შ. ბურჯანაძე, სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752—1768 წ.წ.)	71
6. გ. კილურაძე, ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (1904—1906 წ.წ.)	111
7. ჯ. ჭუმბურიძე, ბელინსკი და ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკა	119
8. გ. გაჩეჩილაძე, რუსთის ლიტერატურის გავლენა დასავლეთში: ტურკენევი და გოლუსუორთი	133
9. ნ. ორლოვსკაია, სატირა თეკერეის ძღრინდელ ნაწარმოებებში .	146
10. კ. ფალავა, რომანული ეპიზოდების შესწავლისათვის ფირდოუსის შავნამეში	163
11. ს. ჯიქია, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეო-გრაფიის ზოგიერთი საკითხი	185
12. ნ. კრემერი, ბელინსკის ენისა და სტილის შესახებ	203
13. ნ. ხიდეშელი, რუსული ენის შეკვეთილის კილოკავის ფონეტიკური თავისებურებანი	215
14. ვ. უილკო, რუსული ენის მანგლისის კილოკავის მორფოლოგიური თავისებურებანი	223

СОДЕРЖАНИЕ

1.	И. Сталин, Марксизм и вопросы языкоznания	1
	Относительно марксизма в языкоznании.—К некоторым вопросам языкоznания.—Ответ товарищам.	
2.	Н. Цхакая, И. В. Сталин об объективных и субъективных сторонах рабочего движения	35
3.	Д. Гврдитшвили, Земо-Картлийское Садроно	53
4.	Е. Такайшвили, Древний храм в Перевиси	69
5.	Ш. Бурджанадзе, Первый период царствования Соломона I-го (1752—1768 г.г.)	71
6.	Г. Кигурадзе, Из истории внешней политики Англии (1904—1906 г.г.)	111
7.	Дж. Чумбуридзе, Белинский и Чернышевский в грузинской литературной критике 60-тих годов	119
8.	Г. Гачечиладзе, Влияние русской литературы на западноевропейскую: Тургенев и Гольсуорси	133
9.	Н. Орловская, Сатира в ранних произведениях Теккерея . .	147
10.	К. Пагава, К изучению романических эпизодов „Шах-Наме“ Фирдоуси	163
11.	С. Джикия, Некоторые вопросы топонимики и исторической географии Самцхе-Саатабаго	185
12.	Н. Кремер, О языке и стиле Белинского	203
13.	Н. Хидешели, Фонетические особенности шекветилского говора русского языка	215
14.	В. Жидко, Морфологические особенности манглисского говора русского языка	223

ი. ს დ ე ლ ი ნ ი

მ ა ჩ ა ს ი ზ ა მ ი ს შ ე ს ა ხ ე პ ე რ ა ხ ა მ ა მ

მე მომმართა ახალგაზრდა ამხანაგების ჯგუფმა წინადაღებით — პრესაში გამომეტვეა ჩემი აზრი ენათმეცნიერების საკითხებზე, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელც შეეხება მარქსიზმს ენათმეცნიერებაში. მე ენათმეცნიერი არა ვარ და, რა თქმა უნდა, არ შემიძლია სავსებით დავაკმაყოფილო ამხანაგები. რაც შეეხება მარქსიზმს ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც ყველა სხვა ხაზოგადოებრივ მეცნიერებაში, ამ საქმესთან მე პირდაპირი დამოკიდებულება მაქსიმი ამიტომ დავთანხმდი პასუხი გამეცა ამხანაგების რამდენიმე კითხვაზე.

კ ი ტ ხ ე ვ ა . ს ე მ ი რ ი ს თ ა რ ა . რ მ ა ც ა ს გ ა ზ ი ს ს ზ ე დ ე ბ ა ნ ი ?

პასუხი. არა, არ არის სწორი.

ბაზისი არის საზოგადოების ექონომიკური წყობილება მისი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ზედნაშენია საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი.

ყოველ ბაზისს აქვს საკუთარი, თავისი შესაბამისი ზედნაშენი. ფეოდალური წყობილების ბაზისს აქვს თავისი ზედნაშენი, თავისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი, კაბილისტურ ბაზისს თავისი ზედნაშენი აქვს, სოციალისტურს — თავისი. თუ ცივლება და ისპობა ბაზისი, იცვლება და ისპობა მისი ზედნაშენიც, თუ წარმოიწვება იხალი ბაზისი, წარმოიშვება მისი შესაბამისი ზედნაშენიც.

ენა ამ მხრივ ძირებულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ავილოთ, მაგალითად, რუსი საზოგადოება და რუსული ენა. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე რუსეთში მოიპოვა ძველი, კაბიტალისტური ბაზისი და აშენდა ახალი, სოციალისტური ბაზისი. ამის შესაბამისად მოიპოვა კაბიტალისტური ბაზისას ზედნაშენი და შეიქმნა იხალი ზედნაშენი, რომელიც სოციალისტურ ბაზისს შეესაბამება. მაშასადამე, ძველი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი შეიცვალა იხალი, სოციალისტური დაწესებულებებით. მაგრამ, მიუხედავად მისა, რუსული ენა ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორც იყო ოქტომბრის გურატრიიალებამდე.

რა შეიცვალა ამ პერიოდის მანძილზე რუსულ ენაში? შეცვალა რამდენადმე რუსული ენის ლექსიკური შედგენილობა, შეცვალა იმ აზრით, რომ შეიცსო ახალი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელოვანი რაოდენობით,

რომლებიც წარმოიშვნენ ახალი სოციალისტური წარმოების წარმოშობასთან ახალი სახელმწიფოს, ახალი სოციალისტური კულტურის, ახალი ხაზიავლობის ებრძობის, მორალის გაჩენასთან დაკავშირებით, დასახულ, ტექნიკისა და მეცნიერების ზრდასთან დაკავშირებით; შეცვალა მოელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების აზრი, რომლებმაც ახალი აზრობრძევი მნიშვნელობა მიიღეს; ლექსიკიდან მოვაღრდა გარკვეული რაოდენობის მოძველებული სიტყვები. რაც შეეხება რუსული ენის ძრითად ლექსიკურ ფონდს და გრამატიკულ წყობას, რომლებიც ენის საფუძველს შეადგენენ, ისინი კაბიტალისტური ბაზისს მოსპობის შემდეგ ძრათუ არ მოსპობილან და ენის ახალი ძირითადი ლექსიკური ფონდით და ახალი გრამატიკულ წყობით არ შეცვლილან, არამედ, პირიქით, ისეთივე დარჩენენ, როგორიც იყვნენ, და რამე სერიოზული ცვლილება არ განუცდით, — დარჩენენ სწორედ როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი.

შემდეგ ზედნაშენს წარმოშობს ბაზისი, მაგრამ ეს სრულადაც არ ნიშნავს, რომ ზედნაშენი მხოლოდ ბაზისს ასახავს, რომ იგი პასიური, ნეიტრალური, გულგრილია თავისი ბაზისის ბედისადმი, კლასების ბედისადმი, წყობილების ხსიათისაღმი. პირებით, რაიმ გაჩნდა, ზედნაშენი უდიდესი ქტიური ძალა ხდება, ქტიურად უწყობს ხელს თავის ბაზისს ჩამოყალიბდეს და განმტკაცდეს, ყოველ დონეს ხმირობს იმისათვის, რომ დაეცმაროს ახალ წყობილების ბოლო მოუღოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები.

სხვანაირად არც შეიძლება. ბაზისი სწორედ იმისათვის ქმნას ზედნაშენს, რომ ზედნაშენი მას ემსახურებოდეს, რომ იგი ქტიურად ეხმარებოდეს სას ჩამოყალიბებისა და განმტკიცებაში, რომ იგი ქტიურად იბრძოდეს ძველი, ღრმომოქმედული ბაზისის და მისი ძველი ზედნაშენის ლიკვიდაციისათვის. საჭმარისია ზედნაშენმა უძრი თქვას თავის ამ სამსახურებრივ როლზე, საკმარისია ზედნაშენი თავისი ბაზისის აქტიური დაცვის პოზიციიდან გადავიდეს მოსდომი გულგრილი დამოკიდებულების პოზიციაზე, კლასებისაგან თანაბრივი დამოკიდებულების პოზიციაზე, რომ მან თავისი თვისიობრიობა დაკარგოს და ზედნაშენი აღარ იქნეს.

ენა ამ მხრივ ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ენას წარმოშობა არა ესა თუ ის ბაზისი, ძველი ან ახალი ბაზისი ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით, არამედ საუკუნეთა მანძილზე საზოგადოების ისტორიისა და ბაზისების ისტორიის მთელი მსვლელობა. ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის მიერ, ასეულ თაობათა ძალობრივით. იგი შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის საჭიროების დასაქმარეფილებრად. სწორედ ამიტომ იგი შექმნილია როგორც საზოგადოებისათვის ერთიანი და საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო საყოველობრივ-სახალხო ენა. ამის გამო ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალების, სამსახურებრივი როლი ის კი არ არის, რომ ერთ კლასს ემსახურებოდეს სხვა კლასების საზიანოდ, არამედ ის, რომ თანაბრივ ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, საზოგადოების ყველა კლასს. სწორედ ამით აისწნება, რომ

ენას შეუძლია თანაბრად ემსახურებოდეს როგორც ძველ, მომაკვდაფ. წყუზმა ლებას, ისე ახალ, აღმავალ წყობილებას; როგორც ძველ ბაზისს, ტერაზეს, როგორც ექსპლოატაციებს, ისე ექსპლოატირებულთ.

არავასთვის სიღუმლება არ არის ის ფერი, რომ რუსული ენა ისევე კარგად ემსახურებოდა რუსეთის კაპიტალიზმს და რუსულ ბურჟუაზიულ კულტურას აქტომბრის გადატრიალებამდე, როგორც ახლა ემსახურება რუსი საზოგადოების სოციალისტურ წყობილებას და სოციალისტურ კულტურას.

იგივე უნდა ითქვას უკრაინულ, ბელორუსულ, უზბეკურ, ყაზახურ, ქართულ, სომხურ, ესტონურ, ლეტვურ, მოლდავურ, თათრულ, აზერბაიჯანულ, ბაშკირულ, თურქებულ და საბჭოთა ერების სხვა ენებზე, რომ ლებიც ისევე კარგად ემსახურებოდნენ ამ ერების ძველ, ბურჟუაზიულ წყობილებას, როგორც ემსახურებიან ახალ, სოციალისტურ წყობილებას.

სხვანაირად არც შეიძლება. ენა სწორედ ამისათვის ასესქობს, სწორედ ამისათვის არის შექმნილი, რომ ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის დარალი, რომ იგი საერთო იყოს საზოგადოების წევრებისათვის და ერთიანი — საზოგადოებისათვის, თანაბრად ემსახურებოდება საზოგადოების წევრებს მათი კლასობრივი მდგომარეობის მიუხედავად. საკმარისია ენა ასცდეს მა საერთო-სახალხო პოზიციას, საქმარისია ენა დადგეს რომელიმე სოციალური ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭების და მხარდაჭერის პოზიციაზე. საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფების საზიანოდ, რომ მან დაკარგოს თვისი თვისობრიობა, რომ იგი აღარ იყოს უაზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, რომ იგი გადაიცცეს რომელიმე სოციალური ჯგუფის უარგონად, დაქვეითდეს და მოსპობის გზას დაადგის.

ამ მხრივ ენა, რომელიც პრიცეპულად განსხვავდება ზეღნაშენისაგან, არ განსხვავდება წარმოების იარაღებისაგან, ვთქვათ, მანქანებისაგან, რომლებიც ასევე ერთნაირად ემსახურებიან კაპიტალისტურ წყობილებასაც და სოციალისტურსაც.

შემდეგ. ზეღნაშენი არის პროდუქტი ერთი ეპოქისა, რომლის განმავლობაშიც ცოცხლობს და მოქმედებს ესა თუ ის ეკონომიკური ბაზისი. ამიტომ ზეღნაშენი დღისანს არ ცოცხლობს, იგი ისპობა და ქრება ამ ბაზისის მოსპობასთან და გაქრობასთან ერთად.

ენა კი, პირექით, პროდუქტია მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება, იხვეწება. ამიტომ ენა გაცილებით უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე რომელიმე ბაზისი და რომელიმე ზეღნაშენი. სწორედ ამით იახნება, რომ არა მარტო ერთი ბაზისის და მისი ზეღნაშენის, არამედ ჩამდენიმე ბაზისისა და მათი შესაბამისი ზეღნაშენების წარმოშობა და ლეკვიდაცია არ იწვევს ისტორიაში ამა თუ იმ ენის ლიკვიდაციას, მისი სტრუქტურის ლიკვიდაციას და ახალი ლექსიკური ფონდისა და ახალი გრამატიკული წყობის შემთხვევა იხალი ენის წარმოშობას.

პლაზმის სცენდელის შემდეგ ას წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთში მოისპონ ფეოდალური წყობილება, კაპიტალისტური წყობილე-

. ჩა და წარმოიშვა მესამე, სოციალისტური წყობილება. მაშასადამეს, მოქალაქეთა ორი ბაზისი მათი ზედნაშენებიანად და წარმოიშვა ახალი, სოციალური განვითარების მისი ახალი ზედნაშენით. მაგრამ, თუ ავიღებთ, მაგალითად, რუსულ ენას, ამ დიდი ხნის განმავლობაში მას რაიმე რლვევა არ განუცდია, და თანა-შევლროვე რუსული ენა თავისი სტრუქტურის მხრივ ბევრით არაფრით გან-ცხვავდება პუშკინის ენისაგან.

რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე რუსულ ენაში? ამ ხნის მანძილზე უ-რიობულად შეიცო რუსული ენის ლექსიკური შედგენილობა; ლექსიკური შედგენილობიდან ამოვარდა მრავალი მოძველებული სიტყვა; შეიცვალა ბევ-რი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა; გაუმჯობებდა ენის გრამატიკული წყობა. რაც შეეხება პუშკინის ენის სტრუქტურას მისი გრამატიკული წყობით და ძირითადი ლექსიკური ფონდით, იგი დარჩა მთელი თავისი არსით, როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი.

და ეს საკებით გასაგებია. მართლაც, რა საჭიროა, რომ ყოველი გადა-ტრიალების შემდეგ ენის არსებული სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მოისპოს და ახლით შეიცვალოს, როგორც ეს ჩვეულებრივად ზედნაშენს მოსდის? ვის რად უნდა, რომ „წყალს“, „მრწას“, „მთას“, „ტყეს“, „თვეზეს“, „კაცის“, „სიარულს“, „კეთებას“, „წარ-ზოებას“, „ვაჭრობას და ა. შ. ეწოდებოდეს არა წყალი, მიწა, მთა და ა. შ. არამედ რაღაც სხვა? ვის რად უნდა, რომ ენაში სიტყვების ცვლილება და წი-ნადაშებაში სიტყვების შეთანხმება ხდებოდეს არა არსებული გრამატიკის, არამედ სრულიად სხვა გრამატიკის მიხედვით? რას არგებს რევოლუციას ასე-თი გადატრიალება ენაში? ისტორია საერთოდ რაიმე არსებითს ისე არ აუ-თებს, თუ ეს მაინც გრამატიკი საჭირო ირ არის. საკონხავია, რა საჭიროა ასეთი ქნიბრივი გადატრიალება. თუ დამტკიცებულია, რომ არსებული ენა თავისი სტრუქტურით ძირითადად სივსებით გამოსადეგია ახალი წყობის საჭიროების დასაყმაყოფილებლად? ძველი ზედნაშენის რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპობა და ახალი ზედნაშენით მისი შეცვლა შეიძლება და საჭიროც არის, რომ გასაქანი მცეცქს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას, მაგრამ როგორ შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპო არსებული ენა და შის ნაცვლად შექმნა ახალი ენა, ისე რომ ანარქია არ შეიტან საზოგადოებ-რივ ცხოვრებაში, საზოგადოების დაშლის საფრთხე არ შექმნა? დონ-კიხოტე-ზის მეტს ვის შეუძლია დაისახოს ასეთი ამცირა?

დასასრულ, კიდევ ერთი ძირეული განსხვავება ზედნაშენსა და ენას შო-რის. ზედნაშენი უშუალოდ დაკავშირებული არ არის წარმოებასთან, ადამია-ნის საწარმოო საქმიანობასთან. იგი წარმოებასთან დაკავშირებულია მხოლოდ არაპირდებირ, ეკონომიკის მეშვეობით, ბაზისის მეშვეობით. ამიტომ ზედნა-შენი საწარმოო ძალთა განვითარების ღონის ცვლილებებს ასახავს არა ერთ-ბეშად და არა პირზაპირ, არამედ ბაზისის ცვლილებათა შემდეგ, ბაზისის ცვლილებებში წარმოების ცვლილებათა ასახეს მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ზედნაშენის მოქმედების სფერო ვიწრო და შეზღუდულია.

ენა კი, პირიქით, უშუალოდ არის დაკავშირებული აღამიანის საწარმონ
საქმიანობასთან, და არა მარტო საწარმოო საქმიანობასთან, არამედ და დამოუკიდებელ უკველ სხვა საქმიანობასთანაც მისი მუშაობის ყველა სფეროში წარმოებიდან
გამოიყოფა, გამოიყოფა ზედნაშენამდე. ამიტომ ენა წარმოების ცვლილებებს
სახავს ერთბაშად და უშუალოდ, არ ელოდება გაზისის ცვლილებებს. ამი-
ტომ ენის, რომელიც აღამიანის საქმიანობის ყველა ძარღს მოცცავს, მოქმე-
დების სფერო გაცილებით უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე ზედ-
ნაშენის მოქმედების სფერო. უფრო მეტიც, იგი თითქმის უსაჩლოვროა.

უწინარეს ყოვლისა სწორედ ამით აისხნება, რომ ენა, საკუთრივ მისი
ლექსიცური შეჯგენილობა, თითქმის განუწყვეტილივ იცვლება. მრეწველობი-
ნა და სოფლის მეურნეობის, კურობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და
შეცნერების განუწყვეტილი ზრდა ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსე-
ბის ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა, მათი მუშაობი-
სათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, ავსებს თავის ლექსიკას
ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრამატიკულ წყობას.

ამრიგად:

ა) მარქსისტი ენას ბაზისის ზეღნაშენად ვერ მიიჩნევს;

ბ) ენისა და ზეღნაშენის ერთმანეთში არევა სერიოზული შეცდომაა.

**კითხვა. ცოდნა თუ არა. რომ ენა გეღარ იყო და არის კლასობრივი. რომ
საზოგადოებისათვის საერთო და ერთიანი არაკლასობრივი.
საერთ-სახალხო ენა არ არსებობს?**

გასუნი. არა, არ არის სწორი.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ იმ საზოგადოებაში, საღაც კლასები არ
არიან, ლაპარაკიც კი არ შეიძლება ქლასობრივი ენის შესახებ. პირველყო-
ფილმა-თემობრივმა გვაროვნულმა წყობილებამ არ ცოდდა კლასები, მაშასა-
დამე, იქ არც შეიძლებოდა ყოფილიყო კლასობრივი ენა,— იქ ენა იყო საერ-
თო, ერთიანი მთელი კოლექტივისათვის. საწინააღმდევო აზრი, რომ კლასად
უნდა გვესმოდეს აღამიანთა ყოველგვარი კოლექტივი, მთ შორის პირველ-
ყოფილ-თემობრივი კოლექტივიც, საწინააღმდევო აზრი კი არა, სიტყვების
თამაშია, რომელიც უარყოფადაც არა ღირს.

რაც შეეხება შემდგომ განვითარებას საგვარეულო ენებიდან ტომების
უნებამდე, ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან
ეროვნულ ენებამდე,— ყველგან განვითარების ყველა ეტაპზე ენა, როგორც
საზოგადოებაში აღამიანთა ურთიერთობის საშუალება, საერთო და ერთიანი
იყო საზოგადოებისათვის, იგი თანაბრად ემსახურებოდა საზოგადოების წევ-
რებს დამოკიდებლად მათი სოციალური მდგომარეობისა.

მე აქ მხედველობაში მაქვს არა მონობისა და შუა საუკუნეების პერიო-
დების იმპერიები, კოქვათ, კირისის და ილექსანდრე ღილის იმპერია, ან კეის-
რისისა და კარლოს ღილის იმპერია, რომელთაც არა ქვენიათ თავიანთი ეკონო-
მიური ბაზა და წარმოადგენდნენ დროებითსა და არამყარ სამხედრო-აღმინის-



ტრაციულ გაერთიანებებს. ამ იმპერიებს არათუ არა ჰქონიათ, არა მარტინ შეიძლებოდა ჰქონილათ იმპერიისათვის ერთიანი და იმპერიის ყველა წევრი-სათვის გასაგები ენა. ისინი წარმოადგენენ ტომებისა და ხალხების კანგ-ლომერიტს, რომლებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ცხოვრებით და ჰქონდათ თავიანთი ენები. მაშასადამე, მე მხედველობაში მაქვს არა ეს და მათი მსგავსი იმპერიები, არამედ ის ტომები და ხალხები, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში ჟერიოდნენ, ჰქონდათ თავიანთი ეფონომიური ბაზა და ჰქონდათ თავისი დიდი ხნიდან ჩამოყალიბებული ენები. ისტორია გვეუბნება, რომ ამ ტომებისა და ხალხების ენები იყო არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები, ტომებისა და ხალხებისათვის საერთო და მთელვის გასაგები ენები.

რა თქმა უნდა, ამასთან ერთად იყო დიალექტები, აღგილობრივი კილო-კავები, მაგრამ მათზე ბატონობდა და მათ იმორჩილებდა ტომის თუ ხალხის ერთიანი და საერთო ენა.

შემდეგში, კაპიტალიზმის წარმომასტან, ფეოდალური დაქუცხაცების ლიკვიდაციასთან და ეროვნული ბაზრის წარმოქმნასთან ერთად ხალხები განვითარდნენ ერებად, ხოლო ხალხთა ენები ეროვნულ ენებად. ისტორია გვეუბნება, რომ ეროვნული ენები არის არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები, ერების წევრებისათვის საერთო და ერგბისათვის ერთიანი ენები.

ზემოთ ნათევები იყო, რომ ენა როგორც საზოგადოებაში აღამიანთა ურთიერთობის საშუალება, თანაბრივ უწევს სამსახურს საზოგადოების ყველა კლასს და ამ მხრივ ერთგვარ გულგრილობას იჩენს კლასებისადმი. მაგრამ ადამიანები, ცალკეული სოციალური ჯგუფები, კლასები. სრულიადაც არ არიან გულგრილნი ენსამბლი. ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა თავისი ინტერესებისათვის, თავს მოახვიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთრებული ტერმინები, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინებიან შეძლებული კლასების ზედაფენები, რომლებიც მოსწყონენ ხალხს და სხულთ იგი: თავადაზნაურული არისტოკრატია, ბურჟუაზიის ზედა ფენები. „იქნება „კლასობრივი“ დიალექტები, უარგონები, სალონის „ენები“. ლოტერატურაში ხშირად ეს დიალექტები და უარგონები არასწორად კვალიფიცირებულია როგორც ენები: „თავადაზნაურული ეს“, „ბურჟუაზიული ენა“, — „პროლეტარული ენსათვის“, „გლეხური ენიათვის“ დასაბირდაბირებლად. ამ საფუძვლზე, რა უცნაურიც უნდა იყოს ეს, ზოგი ჩვენი ამხანაგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეროვნული ენა არის ფიქცია, რომ რეალურად არსებობენ მხოლოდ კლასობრივი ენები.

მე ვფიქრობ, რომ იმ დასკვნაზე უფრო შემცდარი არა არის რა. შეიძლება თუ არა ეს დიალექტები და უარგონები ენებად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. არ შეიძლება, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ამ დიალექტებსა და უარგონებს არა აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონი, — მაგრამ მათ სესხულობენ ეროვნული ენისაგან. მეორე, არ შეიძლება იმიტომ, რომ დიალექტებსა და უარგონებს აქვთ მოქმედების ვაშტრო სფერო ამა თუ იმ კლასის ზედაფენის წევრითა შორის და სრულიად გამოუსა-დეგარი არიან, როგორც აღამიანთა ურთიერთობის საშუალება, მთელი საზო-

იმოწმებენ მარქსს, მოჰყვათ ერთი ადგილი შესთ სტატიიდან „წმინდა მაქსი“, საღაც ნათქვამია, რომ ბურჟუაზის ძევით „თავიანთი ენა“, რომ ეს ენა „ბურჟუაზიის პროდუქტია“, რომ იგი გამსჭვალულია მერკენტილიზმისა და ყიდვა-გაყიდვის სულ-სკვეთებით. ამ ცოტატით ზოგიერთ ამხანაგს სურს დამტკიცოს, მარქსი თითქოს იმ აზრისა იყო, რომ ენა „კლასობრივია“, რომ იგი უარყოფდა ერთიანი ეროვნული ენის არსებობას. ეს ამხანაგები რომ თბიერებულად მოჰყვანდნენ საჭმეს, მათ უნდა მოეყვანათ სხვა ცოტატიც იმავე ჟატიიდან „წმიდა მაქსი“, საღაც მარქსი, ეხება რა ერთიანი ეროვნული ენის შექმნის გზების საკითხს, ლაპარაკობს „ერთიან ეროვნულ ენაში დაალექტიზოს კონცენტრაციაზე, რომელიც განპირობებულია უკანონობისა და პოლიტიკური კონცენტრაციით“.

მაშასადამე, მაჩქსი ლიაზებდა, რომ აუცილებელია ერთოანი ეროვნული ენა, როგორც უძლიერი ფორმა, რომელსაც ემორჩილებიან დიალექტები, როგორც დაბარი ფორმები.

Ճա՛մ ամ Շեմտեղյաց հաս Բառմռաջըն ծ ծորհյութն են, հռմքընց, մարյեսն սօնից պատ, „ծորհյութն է կռաջըն էր“. ովլութ ու առ մաս մարյես ուշտևաց ենադ, հռցուելու յհրացնուլո են, հռմելսաւ ուզուս ցանեցութեց-ծորհն յհրացնու սերութիւն այցե՞լու ու առ մաս ծորհյութն են այց յհրաց մարյենու? Հա ովմա սնճա, առա մարյես սնճութա, մեռլու յուժու, հռմ ծորհյութն մարյենու յհրացնուլո են Բառօլուն ուզունու հարհուլո լայ-նուբնու, հռմ ծորհյութն մարյես սնճա, այց ուզունու հարհուլո յանցունու.

გამოღის, რომ მმ ამხანევებმა დაამახინვევს მარქსის პოზიცია, ხოლო და-
პახინვეს იგი იმიტომ, რომ მარქსის იმოწმებდნენ არა როგორც მარქსისტები,
არამედ როგორც მედავთონები, არ სწორებოლნენ საქმის არს.

იმოწმებენ ენგელს, ბროშურიდან „მუშათა ქლასის მდგომარეობა ინ-
გლისში“ მოჰყვეთ ენგელსის სიტყვები იმის შესახებ, რომ „...ინგლისის მუ-
შათა ქლასი დროთა განმავლობაში სულ სხვა ხალხად გადაიქცა, ვიდრე ინ-
გლისის ბურჟუაზია“, რომ „მუშები ლაპარაფობენ სხვა დიօლექტით, აქვთ

სხვა იღები და წარმოდგენები, სხვა ზნე-ჩვეულება, და ზნეობრივი პრინციპები, სხვა რელიგია და პოლიტიკა, ვიდრე ბურჟუაზიაზე". ამ ციტატების უძლიერებელზე ზოგიერთ ამხანაგს გამოაქვს დასკვნა, რომ ენგელსი, უარყოფდა საერთო-სახალხო, ეროვნული ენის აუცილებლობას, რომ იგი, მაშასადამე, იმ აზრისა იყო, რომ ენა „კლასობრივია“. მართალია, ენგელსი აქ ლაპარაკობს არა ენის, არამედ დიალექტის შესახებ, სავსებით ესმის რა, რომ დიალექტი, როგორც ეროვნული ენის განშტოობა, ვერ შეცვლის ეროვნულ ენას. მაგრამ ეს აჩხანავები, ჩანს, დიდი თანაგრძნობით როდი ეკიდებიან ენასა და დიალექტს შორის განსხვავების არსებობას.

ცხადია, რომ ციტატი უადგილოდ არის მოყვანილი, რადგან ენგელსი აქ ლაპარაკობს არა „კლასობრივ ენებზე“, არამედ უმთავრესად კლასობრივ იდეებზე, წარმოდგენებზე, ზნე-ჩვეულებაზე, ზნეობრივ პრინციპებზე, რელიგიაზე, პოლიტიკაზე. საფსებით სწორია, რომ ბურჟუაზისა და პროლეტარების პირდაპირ საწინააღმდეგო იღები, წარმოდგენები, ზნე-ჩვეულება, ზნეობრივი პრინციპები, რელიგია და პოლიტიკა აქვთ. მაგრამ რა შეაშია აქ ეროვნული ენა, ან ენის „კლასობრიობა?“ განა საზოგადოებაში კლასობრივ ჭინააღმდეგობათა არსებობა შეიძლება საბუთი იყოს ენის „კლასობრიობის“ სასაჩუბლოდ, ან ერთიანი ეროვნული ენის აუცილებლობის ჭინააღმდეგ? წარქისზემი ამბობს, რომ ენის ერთობა ერთს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების ინშანია, ამასთან კარგად იცის, რომ ერთს შიგნით არას კლასობრივი ჭინააღმდეგობანი. აღიარებენ თუ არა მოხსენიებული ამხანავები ამ მარქისისტულ თეზისს?

იმოწმებენ ლაფარგს, მიუთითებენ იმაზე, რომ ლაფარგი თავის ბროშუაში „ენა და რევოლუცია“ აღიარებს ენის „კლასობრიობას“, რომ იუ თოთქოს უარყოფს საერთო-სახალხო ეროვნული ენის აუცილებლობას. ეს მართლი არ არის. ლაფარგი მართლაც ლაპარაკობს „თავადაზნაურული“ ანუ „არისტოკრატული ენას“ შესახებ და საზოგადოების სხვადასხვა ფენების „უარგონების“ შესახებ. მაგრამ ამ ამხანავებს აუცილებათ, რომ ლაფარგი, რომელსაც არ აინტერესებს ენისა და უარგონის განსხვავების საკითხი და დიალექტებს ხან „ხელოვნურ მეტყველებას“ უწოდებს, ხან „უარგონს“, — თავის ბროშუაში გარკვეულად ცხადებს, რომ „ხელოვნური მეტყველებაა, რომელიც არისტოკრატიას განასხვავებს... გამოყო საერთო-სახალხო ენას, რომელზეც ლაპარაკობდნენ ბურჟუაცია, ხელოსნებიც, ქალაქი და სოფელი“. მაშასაუამე, ლაფარგი აიიარებს საერთო-სახალხო ენის არსებობას და აუცილებლობას, ამასთან ლაფარგს სავსებით ესმის „არისტოკრატული ენისა“ და სხვა დიალექტებისა და უარგონების დაქვემდებარებული ხასიათი და დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენისაგან.

გამოის, რომ ლაფარგის დამოწმება მიზანს ვერ ხვდება.

იმოწმებენ იმას, რომ ინგლისში ერთ დროს ინგლისელი ფეოდალები „საუკუნეთა განმავლობაში“ ლაპარაკობდნენ ფრანგულ ენაზე, მაშინ როცა ინგლისელი ხალხი ლაპარაკობდა ინგლისურ ენაზე, რომ ეს გარემოება თითქოს საბუთია ენის „კლასობრიობის“ სასაჩუბლოდ და საერთო-სახალხო

ენის აუცილებლობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს უაბუთი კი არა, რაღაც უფრო უძველესი დოკუმენტების დოკუმენტია. ჯერ-ერთი, მაშინ ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა არა ყველა უფრო უძველესი დოკუმენტი, არამედ ინგლისელ ფეოდალთა უმნიშვნელო ზედაფენა მეცის კარზე და საგრაფოებში. მეორე, ისინი ლაპარაკობდნენ არა რაღაც „კლასობრივ ენაზე“, არამედ ჩვეულებრივ საერთო-სახალხო ფრანგულ ენაზე. მესამე, როგორც ცნობილია, ფრანგული ენის ეს სალაღობოდ ხშარება შემდეგ უკვალოდ გაქრა და ადგილი დაუთმო საერთო-სახალხო ინგლისურ ენას. ხომ არ ფიქრობენ ეს ამხანაგები, რომ ინგლისელი ფეოდალები და ინგლისელი ხალხი „საუკუნეთა განმავლობაში“ ერთმანეთს ელაპარაკობდნენ თარჯიმნების საშუალებით, რომ ისინი არ ხმარობდნენ ინგლისურ ენას, რომ მაშინ საერთო-სახალხო ინგლისური ენა არ აჩსებობდა, რომ ფრანგული ენა ინგლისში მაშინ წარმოადგენდა არამედ უფრო მეტს, ვიღებ სალონის ენაა, რომელიც ინგლისის არის ტორჩატის ზედაფენის მხოლოდ ვიწრო წრეში იხმარებოდა? როგორ შეიძლება მცეთი ანეგლოტური „საუბრების“ საფუძველზე საერთო-სახალხო ენის არსებობისა და აუცილებლობის უარყოფა?

რაც ის არის ტორჩატებიც ერთ დროს სალაღობოდ ხმარობდნენ ფრანგულ ენას მეფის კარზე და სალონებში. მათ იმით მოჰქმნდათ თვი, რუსულად რომ კლაპარაკობთ, ფრანგული ვუკიდებთ ენას, რუსულად ლაპარაკი მხოლოდ ფრანგული აქცენტით შეგვიძლია. განა ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში მაშინ არ იყო საერთო-სახალხო რუსული ენა, რომ საერთო-სახალხო ენა მაშინ ფიქცია იყო, ხოლო „კლასობრივი ენების“ — ჩვალობა?

ჩვენს ამხანაგებს აქ, სულ ცოტა, ორი შეცდომა მოხდით.

პირველი შეცდომა ის არის, რომ ისინი ერთმანეთში ურევენ ენასა და ზედნაშენს, ისინი ფიქრობენ, თუ ზედნაშენს კლასობრივი ხსიათი აქვს, ენაც არა საერთო-სახალხო, არამედ კლასობრივი უნდა იყოს. მაგრამ ზემოთ უკვე კოქი, რომ ენა და ზედნაშენი ორი სხვადასხვა ცნებაა, რომ მარქსისტი მათ ერთმანეთში არ უნდა ურევდეს.

მეორე შეცდომა ის არის, რომ ამ ამხანაგებს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა წინააღმდეგობა, მათი მძაფრი კლასობრივი ბრძოლა მიაჩნიათ საზოგადოების დაშლად, მტრულ კლასებს შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტად. ისინი ფრენებინ, რომ რამდენიმდე საზოგადოება დაიშალა და აღარ არის ერთიანი საზოგადოება, არამედ არიან მხოლოდ კლასები, საჭირო არ არის საზოგადოებისათვის ერთიანი ენაც, საჭირო არ არის ეროვნული ენა. ჩაღა ჩჩება, თუ საზოგადოება დაიშალა და აღარ არის საერთო-სახალხო, ეროვნული ენა? ჩჩებიან კლასები და „კლასობრივი ენები“. გასაგებებია, რომ თვითეულ „კლასობრივ ენას“ ექნება თავისი „კლასობრივი“ გრამატიკა, — „პროლეტარული“ გრამატიკა, „ბურჟუაზიული“ გრამატიკა. მართალია, ასეთი გრამატიკები ბუნებაში არ აჩსებობს, მაგრამ ეს არ აფიქრებს ამ ამხანაგებს: მათ სწამო, რომ ასეთი გრამატიკები გაჩნდება.

ჩვენში ერთ დროს იყვნენ „მარქსისტები“, რომლებიც მტკიცებდნენ, ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის გადატრიალების შემჯეგ დაჩჩენილი რკინიგზები ბურჟუაზიული რკინიგზებია და ჩვენ, ძარებისტების, არ შეგვვერის ვისარ-

გებლოთ ამ რეინიგზებით, ისინი უნდა ავყაროთ და ახალი, „პროლეტარული“ რეინიგზები გავიყვანოთო. ამისათვის მათ „ტროგლოდიტები“ დასაქვეშამაცაა
გასაგებია, რომ საზოგადოებაზე, კლასებზე, ენაზე ასეთ პრამიტიულ-
ანარქიულ შეხედულებას მაჩქინიშმთან საერთო არა აქვს რა. მაგრამ იგი უთუ-
ოდ არსებობს და კვლავ ცოცხლობს ზოგიერთი ჩვენი თავგზააბნეული ამბანა-
გის გონებაში.

რა თქმა უნდა, მართალი არ არის, რომ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის
არსებობის გამო საზოგადოება თითქოს დაიშალა კლასებად, რომლებიც ერთ-
მანეთთან ეკონომიურად დაკავშირებული აღას არიან ერთ საზოგადოებაში.
პირიქით. სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ბურჟუაზი და პროლეტარები დაკავ-
შირებული იქნებიან ერთმანეთთან მუქალი ეკონომიკით, როგორც ერთიანი კა-
პიტალისტური საზოგადოების ნაწილები. ბურჟუაზი ვერ ცეხოვრებენ და ვერ
გამდიდრებიან თუ თავარანთ განკარგულებაში არ ეყოლათ დაქირავებული
მუშები; პროლეტარები ვერ იარსებებენ თუ კაპიტალისტებს არ მიექირავნენ.
მათ შორის ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა ნიშნავს ყო-
ველგვარი წარმოების შეწყვეტას, ხოლო ყოველგვარი წარმოების შეწყვეტა
აწევეს საზოგადოების დაღუპვის, თვით კლასების დალუპვის. გასაგებია, რომ
არც ერთი კლასი არ მოისურვებს თავის მოსპობას. ამიტომ კლასობრივი მა-
ბრძოლამ, არაიგ მწვავეც უნდა იყოს იგი, არ შეიძლება გამოიწვიოს საზოგა-
დოების დაშლა. მხოლოდ უმეცრებას მაჩქინების საკითხებში და ენის ბუნე-
ბის სრულ გაუგებლობას შეეძლო ეკარნანნა ჩვენი ზოგიერთი ამხანაგისათვის
ზღაპარი საზოგადოების დაშლის შესახებ, „კლასობრივ“ ენათა შესახებ, „კლა-
სობრივ“ გრამატიკათა შესახებ.

იმოწმებენ, შემდეგ, ლენინს და მოგვაგონებენ, რომ ლენინი აღიარებდა
კაპიტალიზმის დროს ორი კულტურის, ბურჟუაზიული და პროლეტარული
კულტურის, არსებობას, რომ კაპიტალიზმის დროს ეროვნული კულტურის
ლოზუნგი ნაციონალისტური ლოზუნგია. ყოველივე ეს სწორია და ლენინი აქ
აბსოლუტურად მართალია. მაგრამ რა შუაშია აქ ენის „კლასობრიობა?“ კა-
პიტალიზმის დროს ორი კულტურის არსებობის შესახებ ლენინის სიტყვებს
რომ იმოწმებენ, ამ ამხანაგებს, როგორც ჩანს, სურთ ჩაგონონ მკითხველს;
რომ საზოგადოებაში ორი კულტურის, ბურჟუაზიული და პროლეტარული
კულტურის, არსებობა ნიშნავს, რომ ენაც ორი უნდა იყოს, რაღაც ენა და-
კავშირებულია კულტურასთან, — მაშასადამე, ლენინი იმ აზრისაა, რომ ენები
„კლასობრივიათ“. ამ ამხანაგების შეცდომა აქ ის არის, რომ ისინი ენას აივი-
ვებენ კულტურასთან, ერთმანეთში ურევენ მათ. ამავე დროს კი კულტურა
და ენა სულ სხვადასხვა ჩამდეს. კულტურა შეიძლება ბურჟუაზიულიც იყოს
და სოციალისტურიც, ენა კი, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველ-
თვის სერით-სახილში ენაა და შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსე-
ხურებოდეს და სოციალისტურსაც. განა ფაქტი არ არის, რომ ჩუსული,
უკრაინული, უზბეკური ენები ამჟამად ისევე კარგად ემსახურებიან ამ ერების
სოციალისტურ კულტურას, როგორც ოქტომბრის გადატრანსფერის მათს

ბურჟუაზიულ კულტურებს ემსახურებოდნენ? მაშასადამე, ეს ამხატვები მარქსიზმის ლიან ცდებიან, როცა ამტკიცებენ, რომ ორი სხვადასხვა კულტურის არსებობა იწვევს ორი სხვადასხვა ენის შექმნას და ერთიანი ენის აუცილებლობის უარყოფას.

ლაპარაკობდა რა ორ კულტურაზე, ლენინი ეყრდნობოდა სწორედ იმ დებულებას, რომ ორი კულტურის არსებობა არ შეიძლება იწვევდეს ერთიანი ენის უარყოფას და ორი ენის შექმნას, რომ ენა ერთიანი უნდა იყოს. როცა ბუნდელებმა ლენინს ბრალი დასდეს, ეროვნული ენის აუცილებლობას უარყოფს და კულტურა „უეროვნებო“ მოვლენად მიაჩნია, ლენინმა, როგორც ცნობილია, ამის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი გამოიტვა და განაცხადა, რომ იგი იბრძვის ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ და არა ეროვნული ენის წინააღმდეგ, რომლის აუცილებლობაც მას უდავოდ მიაჩნია. უცნაურია, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ბუნდელთა კვალს გაპყვა.

რაც შეეხება ერთიან ენას, რომლის აუცილებლობასაც ლენინი თითქოს უარყოფს, საჭიროა მოვიმინოთ ლენინის შემდეგი სიტყვები:

„ენა აღამანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; ენის ერთიანობა და მისი დაუბრეკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაბიტალიზმის შესაბამისი, საფურო ბრუნვისა, ყველა ცალკეულ ჯლასად მოსახლეობის თავისუფალი და ფართო დაფარულებისა.“

გმოღის, რომ პატივცემულმა ამხანაგებმა დაამახინჯეს ლენინის შეხე- დულებანი.

იმოწმებენ, დასასრულ, სტალინს. მოპყავთ სტალინის ციტატი იმის შესახებ, რომ „ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები ამ პერიოდში ჰქონია ერების მთავარი ხელმძღვანელი ძალა იყვნენ და არიან“. ყოველივე ეს სწორია. ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტია მართლაც ხელმძღვანელობენ ბურჟუაზიულ კულტურას, ისევე, როგორც პროლეტარიატი და მისი ინტერნაციონალისტური პარტია ხელმძღვანელობენ პროლეტარულ კულტურას. მაგრამ რა შუაშია აქ ენის „კლასობრივობა“? განა ამ ამხანაგებმა არ იციან, რომ ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმაა, რომ ეროვნულ ენას შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახუროს და სოციალისტურსაც? ნუთუ ჩვენი ამხანაგები არ იცნობენ მარქსისტების ცნობილ ფორმულას იმის შესახებ, რომ ახლანდელი რუსული, უკარაინული, ბელორუსული და სხვა კულტურები სოციალისტურია შინაარსით და ეროვნული ფორმით, ე. ი. ენით? ეთანხმებიან თუ არა ისინი ამ მარქსისტულ ფორმულას?

ჩვენი ამხანაგების შეცდომა აქ ის არის, რომ ისინი ვერ ხელავენ განსხვავებას კულტურისა და ენის შორის და არ ესმით, რომ კულტურა თავისი შინაარსით ცვლება საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ პერიოდში, მაშინ როცა ენა ძირითადი იმავე ენად ჩეება რედენიმე პერიოდის განმავლობაში და თანაბრად ემსახურება როგორც ახალ კულტურას, ისე ძველს.

ამჩინება:

ა) ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის იყო ~~და~~ არის
ნაზოგადოებისათვის ერთიანი და მის წევრთათვის საერთო ენა; ურთიერთო
ბ) დიალექტებისა და ფარგლენების არსებობა კი არ უარყოფს, არამედ
ადასტურებს საერთო-სახალხო ენის არსებობას, რომლის განმტოებებსაც ისინი
ჭარმოადგენენ და რომელსაც ექვემდებარებიან;

გ) ფორმულა ენის „კლასობრიაბის“ შესახებ მცდარი, არამარქესისტული
ფორმულა.

პირველი რა ერთ დამასაციალებლის შემცირები

პასუხი. ერა ეკუთვნის იმ საზოგადოებრივ მოვლენათა რიცხვს, რომლებიც
საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მოქმედებენ. იგი
ჭარმოიშვება და ვითარდება საზოგადოების ჭარმოშობასა და განვითარებას-
თან ერთად. იგი კვდება საზოგადოების სიკვდილთან ერთად. საზოგადოების
გარეშე ენა არ არსებობს. ამიტომ ენა და მისი განვითარების კანონები შეგ-
ვიძილია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუყრელ
კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელ-
საც შესაძლებლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარე-
ბელია.

ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთი-
ერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარესებ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურ-
თიერთგაებას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა იიტ-
ყვებით და წინადაღებაში სიტყვათა შეკავშირებით აღნუსხავს და აღბეჭდავს
აზროვნების მუშაობას შედეგს, ადამიანის შემუცნებითი მუშაობის წარმატე-
ბას და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოე-
ბაში.

აზრთა გაცვლა მუდმივი და სამიცოცხლო საჭიროებაა, რადგან უამისოდ
შეუძლებელია მოეწყოს ადამიანთა ერთად მოქმედება ბუნების ძალებთან
ბრძოლაში, საჭირო მატერიალური დოკუმენტის წარმოებისათვის ბრძოლაში,
შეუძლებელია მიღწეულ იქნას წარმატება საზოგადოების საწარმო საქმია-
ნობაში, — მაშასადამე, შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების არსებო-
ბაც. მაშასადამე, თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა
ზის წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტის წარმოებას, იჩღვევა
და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გაგებით ენა, რომელიც ურთი-
ერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების
იარაღს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ყველა სიტყვა, რაც ენაში მოიპოვება, ერთად შეად-
გებს ენის ეგრეთშოდებულ ლექსიკურ. შეღენილობას. ენის ლექსიკურ შეღ-
ენილობაში მთავარია ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელშიც შედის ყვე-
ლა ძირებული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. იგი გაცილებით უფრო ნაკლებ
ვრცელია, ვიდრე ენის ლექსიკური შეღენილობა, მაგრამ ცოცხლობს ძალიან
დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და არის ენის ბაზა ასალი სიტყვების წარ-
მოსაქმნელად. ლექსიკური შედგენილობა ასახავს ენის მდგომარეობის სუ-

ჩათვა: რაც უფრო მდიდარია და მრავალფეროვანია ლექსიკური შედგენილობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა.

გვიპლიტიკა

მაგრამ ლექსიკური შედგენილობა, თავისთვალ აღებული, როდი შეაჭენს ენას; იგი უფრო ენის საშენ მასალის წარმოადგენს. ისე როგორც სამშენებლო საქმეში საშენი მასალა შენობა არ არის, თუმცა უმისოდ შენობის აგება შეუძლებელია, ენის ლექსიკური შედგენილობაც არ არის თვით ენა, თუმცა უმისოდ წარმოუდგენელია რაიმე ენა. მაგრამ ენის ლექსიკურ შედგენილობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როცა იგი გადადის ენის გრამატიკის განკარგულებაში, რომელიც განსაზღვრავს სიტყვათა ცვლილების წესებს, წინადაღებაში სიტყვათა შეთანხმების წესებს და, ამრიგად, ენას შეყობრ, გააზრებულ ხსნათს ანიჭებს. გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) სიტყვათა ცვლილების და წინადაღებაში სიტყვათა შეკავშირების წესების კრებულია. მაშასადამე, სწორედ გრამატიკის წყალობით ენას შესაძლებლობა ეძღვადამიანის აზრი ჩამოაყენობოს მატერიალურ ენობრივ გარსში.

გრამატიკის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი გვაძლევს სიტყვათა ცვალებადობის წესებს, მხედველობაში აქვს რა არა კონკრეტული სიტყვები, არამედ საერთოდ სიტყვები, რომლებც მოკლებული არიან ყოველივე კონკრეტულობას; გრამატიკა გვაძლევს წესებს წინადაღებათა შესაძგენად, მხედველობაში აქვს რა არა ესა თუ ის კონკრეტული წინადაღება, ვთქვათ კონკრეტული ქვემდებარე, კონკრეტული შემასმენებლი და ა. შ., არამედ საერთოდ ყოველგვარი წინადაღება, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამა თუ იმ წინადაღების კონკრეტული ფორმა. გაშასადამე, აბსტრაქციას აზღვნს რა კერძოსა და კონკრეტულისაგან, როგორც სიტყვებში, ისე წინადაღებებში, გრამატიკა იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უძევს სიტყვათა ცვალებადობას და წინადაღებებში სიტყვათა შეკავშირებას, და მისგან ქმნის გრამატიკულ წესებს, გრამატიკულ კანონებს. გრამატიკა აღამიანის აზროვნების ხანგრძლივი, აბსტრაქციას მომხდენი მუშაობის შედეგია, აზროვნების უდიდეს წარმატებათა მაჩვენებელია.

ამ მხრივ გრამატიკა მოგვაგონებს გეომეტრიას, რომელიც თავის განხენს იძლევა ისე, რომ იძლევა კონკრეტული საგნებისაგან, განიხილავს საგნებს, როგორც კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს, და მათ შორის ურთიერთობას გამსაზღვრავს არა როგორც ამა და ამ კონკრეტული ჟანრის კონკრეტულ ურთიერთობას, არამედ როგორც საერთოდ სხეულთა, ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულ სხეულთა ურთიერთობას.

ზეჯნა შენისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოებასთან დაკავშირებულია არა პირდაპირ, არამედ კონომიკის მეშვეობით, ენა უშუალოდ დაკავშირებულია აღამიანის საწარმოო საქმიანობასთან ისევე, როგორც ყოველ სხვა კავშირობასთან მისი მუშაობის უკლებლივ ყველა სფეროში. ამიტომ ენის ლექსიკური შედგენილობა, როგორც ყველაზე ცვალებადი, თითქმის განუწყვეტილი იცვლება, ამასთან ენას, ზეჯნა შენისაგან განსხვავებით, არ უხდება ბაზისის ლიკვიდაციის ლოგინი, მას თავის ლექსიკურ შედგენილობაში

ცვლილებანი შეაქვს ბაზისის ლიკვიდაციამდე და იმის მიუხედავად, თუ როგორია ბაზისის მდგომარეობა.

მაგრამ ენის ლექსიკური შედგენილობა იცვლება არა როგორც ჰედნაშენი, არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიების იმ ახალი სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოშვნენ სოციალური წყობილების შეცვლისთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ენის ლექსიკურ შედგენილობას ჩვეულებრივად გარკვეული რაოდენობით აკლდება მოძველებული სიტყვები, მას ემატება გაცილებით მეტი ახალი სიტყვა. რაც შეეხება ძირითად ლექსიკურ ფონდს, იგი ძირითადად რჩება და ენა მას იყენებს, როგორც თავისი ლექსიკური შეღვენილობის საფუძველს.

ეს გასაგებიცაა. სულაც არ არის სპეირო მოისპოს ძირითადი ლექსიკური ფონდი, როცა იგი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მთელი რევისტორიული პერიოდების მანძილზე, თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვებული ძირითადი ლექსიკური ფონდის მოსპობას, რაც მოკლე ხნის განმავლობაში შეუძლებელია ახალი ძირითადი ლექსიკური ფონდის შექმნა, მოპერებოდა ენის დამდაბლუვება, ამასთან ურთიერთობის საქმის სრული მოშლა.

ენის გრამატიკული წყობა კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიღრე მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი. ეპოქითა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წყობა, რომელიც ენას შეუსისხლხორცილა, კადგვ უფრო ნელა იცვლება, ვიღრე ძირითადი ლექსიკური ფონდი. იგი, რა თქმა უნდა, იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იდენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რაღაც ამ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე.

ამრიგად, ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკას არსს.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციის. ზოგიერთი ისტორიული, იმის მაგივრად, რომ ახსნას ეს მოვლენა, გაეცირებას სჯერდება. მაგრამ გაკვირვებისათვის აქ არავითარი საფუძველი არ არსებობს. ენის გამძლეობა აიხსნება მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით. თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცლილობდნენ დამახინჯებით, დაერღვით და მოესპორ ბალკანული ხალხების ენები. ამ ხნის განმავლობაში ბალკანული ენების ლექსიკურმა შეღვენილობაში სერბოზული ცვლილებანი განიცადა. შეთვისებულ იქნა საქმაოდ ბევრი თურქული სიტყვა და ჯამთქმა, იყო „დაახლოებაც“ და „გათოშვაც“, მაგრამ ბალკანულმა ენებმა ძირის გაუძლეს და გადარჩენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ ენების გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ძირითადად დარჩენ.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ აჩ შეიძლება ენა მისი ტრუქტურა განვიხილოთ როგორც ერთი რომელიმე ეპოქას პროდუქტია ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონ-ჯი მთელი რიგი ეპოქების პროდუქტია.

უნდა ვიყიდებოთ, რომ თანამედროვე ენის ელემენტები შეიქმნა ჯერ კა-ლევ უძველეს დროში, მონობის ეპოქაზე აღრე. ეს იყო არართული ენა, რო-მელსაც მეტად მცირე ლექსიკური ფონზი გააჩნდა, მაგრამ ჰქონდა თავისი გრამატიკული წყობა, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც გრამატიკული წყობა.

წარმოების შემდგომმა განვითარებამ, კლასების წარმოშობამ, დამწერ-ლობას წარმოშობამ, სახელმწიფოს ჩასხვამ, რომელსაც მართვისათვის ესაჭი-როებოდა ცოტად ოუ ბევრად მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, ვაჭრობის გან-ვითარებამ, რომელსაც კალევ უფრო ესაჭიროებოდა მოწესრიგებული მიწერ-შოწერა, საბეჭდავი დაზის გაჩენამ, ლიტერატურის განვითარებამ — ყოვე-ლივე ამან დიდი ცვლილებანი შეიტანა ენის განვითარებაში. ამ ხნის განმავ-ლობაში ტომები და ეროვნებანი ქუცმაცუდოდნენ და ითიშებოდნენ, ხდებო-და მათი ერთმანეთში შერევა და შეჯვარებინება, შემდგე კი გაჩნდნენ ეროვ-ნული ენები და სახელმწიფოები, მოხდა რევოლუციური გადატრიალებანი, ძველი საზოგადოებრივი წყობილებანი ახლებით შეიცვალა. ყოველივე ამან უფრო მეტი ცვლილებანი შეიტანა ენასა და მის განვითარებაში.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, ოუ ვაფექტებდით, რომ ენის განვითა-რება ისევე ხდებოდა, როგორც ზელნაშენის განვითარება: არსებულის მოსპო-ზისა და ახლის შექმნის გზით, ნამდვილად ენის განვითარება ხდებოდა არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არსებ არსებული ენის ძირითადი ელემენტების გაშლისა და სრულყოფის გზით. ამასთან ენის ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში გადასცლა ხდებოდა არა აფეთქების გზით, არა ძველის ერთბაშად მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არსებ ენის ახალი თვისობრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანაბათნო-ბითი და ხანგრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისობრიობის ელემენტების თანაბათნობითი კვდომის გზით.

ამბობენ, რომ ენის სტადიური განვითარების თეორია მარქსისტული თეორიაა, რადგან მის აუცალებლად მიაჩნია უცარი აფეთქებანი, როგორც პირობა ენის გადასცვლისა ძველი თვისობრიობიდან ახალში. ეს, რა თქმა უნ-და, სტარი აჩ არის, რადგან ძნელია რაიმე მარქსისტული ვიპოვოთ ამ თეო-რიაში. და თუ სტადიურობის თეორია ნამდვილად იღარებს უცარ აფეთქე-ბებს ენის განვითარების ისტორიაში, მით უარესი მასთვის. მარქსიზმი არ ცნობს უცარ აფეთქებებს ენის განვითარებაში, არსებული ენის უცარ სიკვ-დილს და ახალი ენის უცარ შექმნას. ლაფარგი მართალი აჩ იყო, როცა ლა-პარაბოლა „უცარ ენობრივ რევოლუციაზე, რომელიც მოხდა 1789 და 1794 წლებს შეუა“ საფრანგეთში (იხ. ლაფარგის ბროშურა „ენა და რევოლუცია“). არავითარი ენობრივი რევოლუცია, ისიც უცარი, მაშინ საფრანგეთში არ მომხდარა. რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ფრანგული ენის ლექსიკური შედგე-

ნილობა შეიცხო ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, ამოვარდა ზოგიერთი მოძევებული სიტყვა, შეიცვალა ზოგიერთი სიტყვას აზრობრივი მუსიკურის ლობა, — ეს იყო და ეს. მაგრამ ასეთი ცვლილებები სხულიადაც არ წყვიტს ენის ბეჭს. ენაში მთავარია მისი გრამატიკული წყობა და ძრითადი ლექსიკური ფონდი. მაგრამ ფრანგული ენის გრამატიკული წყობა და ძრითადი ლექსიკური ფონდი არა თუ არ გამქრალა საფრანგეთის ბურჟუაზიული ჩევოლუციის პერიოდში, არამედ დარჩა ისე, რომ არსებითი ცვლილებები არ განუცდია, და არა მარტო დარჩა, არამედ ამერიკაც ცოცხლობს თანამედროვე ფრანგულ ენაში. ოღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არსებული ენის ლიკვიდაცია და ახალი ეროვნული ენის შექმნისათვის („უცარი ენობრივი ჩევოლუცია“!) ხუთი-ექვისი წლის ვადა ისე ცოტაა, რომ სასაცილოა ამაზე ლაპარაკი, — ამისათვის საუკუნეებია საჭირო.

მარქსიზმს მიაჩნია, რომ ენის გადასცვლა ძველი თვისობრიობიდან ახალში ხდება არა აფეთქების გზით, არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ახალი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობით დაგრძოვების გზით, მაშასადამე ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობით კვლობის გზით.

საერთოდ უნდა ითქვას იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომლებიც გათაცებული არიან აფეთქებებით, რომ ძველი თვისობრიობიდან ახალში აფეთქების გზით გადასცვლის კანონი არ შეესაბამება არა მარტო ენის განვითარების სტრონიას, არამედ ყოველთვის როდი შეესაბამება საბაზისო ან ზეჯანშენური ხსიათის სხვა საზოგადოებრივ მოვლენებსაც. იგი სავალდებულო მტრულ კლასებად დაყოფილი საზოგადოებისათვის. მაგრამ იგი სრულიადაც არ არის სავალდებულო ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც მტრული კლასები არ არის, 8—10 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში განვითორცელეთ ბურჟუაზიული და ინდივიდუალურ-გლეხური წყობილებიდან სოციალისტურ, საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასცლა. ეს იყო ჩევოლუცია, რომელმაც სოფლად მოსპონ ძველი ბურჟუაზიული სამეურნეო წყობილება და შექმნა ახალი, სოციალისტური წყობილება. მაგრამ ეს გადატრიალება მოხდა არა აფეთქების გზით, ე. ი. არა არსებული ხელისუფლების დამხობის და ახალი ხელისუფლების შექმნის გზით, არამედ სოფლად ძველი ბურჟუაზიული წყობილებიდან ახალ წყობილებაზე თანდათანობითი გადასცლის გზით, ეს კი იმატომ მოხერხდა, რომ ეს იყო ჩევოლუცია ზევიდან, რომ გაგზით, ეს კი იმატომ მოხერხდა, არსებული ხელისუფლების ინიციატივით და გლეხობის ძარითადი მასების მხარდაჭერით.

ამბობენ, რომ ენების შეჯვარედინების მრავალი ფაქტი, რომელიც ისტორიში მომხდარია, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ შეჯვარედინების დროს აქმნება ახალი ენა აფეთქების გზით, ძველი თვისობრიობიდან ახალ თვისობრიობაში უცარი გადასცლის გზით. ეს სრულიადაც არ არის სწორი.

ენების შეჯვარედინება არ შეიძლება განვითლოთ ჩოგორუც გადამშევეტა დარტყმის ერთეული აქტი, რომელიც თავის შედეგებს იძლევა ჩამონიშვილის მანძილზე. ენების შეჯვარედინება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც

ასეულ წლობით გრძელდება. ამიტომ აქ არავითარ აფეთქებაზე ლაპარაკი გვიცილება.

შემდეგ, სრულიადაც არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ, ვთქვათ, არა ენის შეჯვარედინების შედეგად მივიღებთ ახალ, მესამე ენას, რომელიც არა ჰგავს არც ერთ შეჯვარედინებულ ენას და თვისობრივად განიჩევა თვითეული მათგანსაგან. ნამდვილად შეჯვარედინების დროს ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივად იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ინარჩუნებს თავის ძირითად ლექსიკურ ფონდს და განაგრძობს განვითარებას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით, მეორე ენა კი თანდათანობით კარგავს თავის თვისობრიობას და თანდათანობით კვლება.

მაშასადამე, შეჯვარედინების დროს ვიღებთ არა რაღაც ახალ, მესამე ენას, არამედ რჩება ერთ-ერთი ენა, რჩება მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი და მას შესაძლებლობა ეძლევა განვითარდეს თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

მართალია, ამ დროს ხდება გამარჯვებული ენის ლექსიკური შედგენილობის ერთგვარი გამდიდრება დამარცხებული ენის ხარჯზე, მაგრამ ეს კი არ ასუსტებს, არამედ, პირიქით, აძლიერებას მას.

ასე მოვკიდა, მაგალითად, რუსულ ენას რომელსაც ისტორიული განვითარების პროცესში უჯვარედინდებოდნენ მთელი რიგი სხვა ხალხების ენები და რომელც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

რა თქმა უნდა, ამასთან რუსული ენის ლექსიკური შედგენილობა ივსებოდა სხვა ენების ლექსიკური შედგენილობის ხარჯზე. მაგრამ ამან არათუ არ დასუსტა, არამედ, პირიქით, გამდიდრა და გააძლიერება რუსული ენა..

რაც შეეხება რუსული ენის ეროვნულ თვითმყოფობას, მას ოდნავი ზიანიც არ მოსვლია, რაღაც, შეინარჩუნა რა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, რუსული ენა განაგრძობდა წრინვლას და სრულყოფას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

სავსებით უეჭველია, რომ შეჯვარედინების თეორია სერიოზულს ვერაფერს მისცემს საბჭოთა ენათმეცნიერებას. თუ სწორია, რომ ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლაა, უნდა ვალიაროთ, რომ შეჯვარედინების თეორია არა თუ არ წყვეტს ამ ამოცანას, არამედ არც კი აყენებს მას,—პირდაპირ ვერ ამჩნევს ამ ამოცანას ან არ ესმის იგი.

კითხვა. სწორად მოიცავ თუ არა „არაელა“, ენათმეცნიერების საქითხებზე თავისუფლი დისენასია რომ მოაწყო?

პასუხი. სწორად მოიცავ.

თუ რა მიმართულებით გადაწყვდება ენათმეცნიერების საკითხები, — ეს ნათელი გახდება დისკუსიის დასასრულს, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ დისკუსიამ დადგინდება სარგებლობა მოიტანა.

დისკუსიამ, უწინარეს ყოვლისა, გამოარკვია, რომ ენათმეცნიერების ორგანოებში როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში, გაბატონებული იყო მეც-

ნიერებისა და მეცნიერთათვის შეუფერებელი რეუმი. საბჭოთა ენათმეცნიერებული რებაში საქმის გითარების ოღნავ კრიტიკას, ენათმეცნიერებაში ეგზისტიციური ბული „ახალი მოძღვრების“ კრიტიკის სულ გაუბედავ ცდებისაც კი სდევნიდან ნენ და ახშობლნენ ენათმეცნიერების ხელმძღვანელი წრეები. ნ. ი. მარის მემკვიდრეობისათვის კრიტიკული დამოკიდებულებისათვის, ნ. ი. მარის მოძღვრების ოღნავი მოუწონებლობისათვის თანამდებობიდან ხსნილნენ ან დაბალ თანამდებობაზე გადაპყავდათ ენათმეცნიერების დარგის თვალსაჩინო მუშავები და მკვლევარები. ენათმეცნიერების მუშავებს პასუხსაგებ თანამდებობაზე აწინაურებლნენ არა საქმიანობას ნიშნის მიხედვით, არამედ ნ. ი. მარის მოძღვრების უსიტყვოდ აღიარების ნიშნის მიხედვით.

საყოველთაოდ აღიარებულა, რომ ერთაგითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისისუფლება, მაგრამ ამ საყოველთაოდ აღიარებულ წესს ყოვლად უბორაშიოდ უგულაბელყოფულნენ და ფეხქვეშ თელავლნენ. შეიქმნა უცოდველ ხელმძღვანელთა კარისაუტილი ჯგუფი, რომელმაც თავი დაიზლვია ყოველგვარი შესაძლო კრიტიკისაგან და თვითნებობასა და უწესობას სჩადიოდა.

ერთი მაგალითი: ეგრეთწოდებული „ბაქოს კურსი“ (ნ. ი. მარის მიერ ბაქოში წაკითხული ლეციები), რომელიც თვით ავტორმა დაწუნა და ხელახლა გამოცემისათვის აკრძალა, ხელმძღვანელთა კასტის (ამხ. მეშჩანინვი მათ ნ. ი. მარის „მოწაფებს“ უწოდებს) განკარგულებით მაინც ხელახლა გამოიცა და სრულიად უშენიშვნოდ შეტანილ იქნა სტუდენტებისათვის რეკომენდუბულ სახელმძღვანელოთა რიცხვში. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები მოატყუეს, დაწუნებული „კურსი“ სრულფასოვან სახელმძღვანელოდ მიაწოდეს. დაწუნებული რომ არ ვიყო ამხ. მეშჩანინვისა და ენათმეცნიერების სხვა მუშავთა პატიოსნებაში, ვიტყოდი, რომ ასეთი ქცევა მავნებლობას უდრის.

როგორ მოხდა ეს? ეს მოხდა იმიტომ, რომ ენათმეცნიერებაში შექმნილი არაკჩეევის რეჟიმი ნერგავს უპასუხისმგებლობას და აქეზებს ასეთ უწესობას. დისკუსია ფრიიად სასარგებლო აღმოჩნდა უწინარეს ყოვლისა იმოტომ, რომ გან მზის სინათლეზე გამოიტანა ეს არაკჩეევის რეჟიმი და გააცამტვერა იგი.

მაგრამ დისკუსიის სარგებლობა ამით როდი ამოიწურება. დისკუსიამ არა მარტო გააცამტვერა ძველი რეჟიმი ენათმეცნიერებაში, არამედ კოლეგაც გამოავლინა შეხედულებათა ის წარმოუღვენელი არე-დარევა ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, რომელიც გამეცებულია მეცნიერების ამ დარგის ხელმძღვანელ წრეებში. დისკუსიის დაწყებამდე ისინი დუბლნენ და ჩქმალავდნენ იმ გარემოებას, რომ ენათმეცნიერებაში ყველაფერი ჩიგზე არ არის. მაგრამ დისკუსიის დაწყების შემდეგ დუმილი უკვე შეუძლებელი გახდა, — ისინი იძულებული გახდნენ პრესის ფურცელებზე გამოსულიყნენ. და რა გამოირკვა? აღმოჩნდა, რომ ნ. ი. მარის მოძღვრებაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი, შეცდომები, დაუზუსტებელი პრობლემები,

დაუმუშავებელი დებულებანი. საკონტავია, რატომ მხოლოდ ახლა, ფრანგულისტი დაწყების შემდეგ ალაპირაკდნენ ამაზე ნ. ი. მარის „მოწაფეები?“ რატომ უფრო ადრე არ იზრუნეს ამაზე? რატომ თავისი დროზე არა თვევს ეს გულახდოლად და პატიოსნად, როგორც ეს მეცნიერების მოღვაწეებს შეეფერებათ?

აღიარეს რა ნ. ი. მარის „ზოგიერთი“ შეცდომა, ნ. ი. მარის „მოწაფეები“ თურმე ფიქრობენ, რომ საბჭოთა ენათმეცნიერება შეიძლება შემდგომ განვავითაროთ მხოლოდ ნ. ი. მარის „დაზუსტებული“ თეორიის ბაზაზე, რომელიც მათ მარქსისტულ თეორიად მიჩნიათ. არა, გვაშორეთ ნ. ი. მარის „მარქსიზმი“, ნ. ი. მარს მართლაც სურდა და ცდილობდა მარქსისტი ყოფილიყო, მაგრამ მან ვერ შეძლო გამხდარიყო მარქსისტი. იგი მარქსიზმის მხოლოდ და მხოლოდ გამაუბრალობელი და კულგარიზატორი იყო, როგორც „პროლეტკულტურები“. ან „რაპელები“.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა ორაშორი, ორამარქსისტული ფორმულა ენის, როგორც ზედამე შენის, შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია ორაშორი ფორმულის ბაზაზე განვავითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მეორე, აგრეთვე ორაშორი და ორამარქსისტული ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია ორაშორი ფორმულის ბაზაზე, რომელიც ხალხთა და ენათა ისტორიის მთელ მსვლელობას ეწინააღმდეგება, განვავითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მარქსიზმისათვის შეუფერებელა კადნიერი, ყოყოჩა, ქედმაღლური კილო, რომელიც იწვევს ყოველივე იმის დაუსაბუთებლად და წინდაუხედვად უარყოფას, რაც ენათმეცნიერებაში ნ. ი. მარამდე იყო.

ნ. ი. მარი მყვირალა ფრაზებით დასცინის ისტორიულ-შედარებითს მეოთხს, როგორც „იდეალისტურს“, ამავე დროს კი უნდა ვთქვათ, რომ სტორიულ-შედარებითი მეთოდი, მიუხედავად მისი სერიოზული ნაკლოვანებებისა, მანც უკეთესია, ვიდრე ნ. ი. მარის მარტლაც იდეალისტური ოთხელემნტოვანი ანალიზი, რადგან პირველი ბიძგს იძლევა მუშაობისათვის, ენების შესწავლისათვის, მეორე კი მხოლოდ იმის ბიძგს იძლევა, რომ მხარეთეძოზე წამოწვე და ყბაღაღებული ოთხი ელემენტის გარშემო იმარჩიელო.

ნ. ი. მარი ენათა ჯგუფების (ჯვახების) შესწავლის ყოველ ცდას ქედმაღლურად იგდებს აბუჩად და „წინარე ენის“ თეორიის გამოვლინებად თვლის. ხოლო არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ უეჭველია ენობრივი ნათესაობა, მაგალითად, ისეთი ერებისა, როგორიც სლევი ერები არიან, რომ ამ ერების ენობრივი ნათესაობის შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანდა ენათმეცნიერებას ენის განვითარების კანონთა შესწავლის საქმეში. აღარას ვამბობ იმაზე, რომ „წინარე ენის“ თეორიას ამ საქმესთან ორავითარი კავშირი არა აქვს.

ნ. ი. მარს და განსაკუთრებით მის „მოწაფეებს“ ყური რომ დაუყვდო, გეგონება, რომ ნ. ი. მარამდე ორავითარი ენათმეცნიერება არ ყოფილა, რომ ენათმეცნიერება მას შემდეგ დაიწყო, რაც გაჩნდა ნ. ი. მარის „ახალი მოძრ-



ვრება“. რაოდენ უფრო თავმდაბალი იყვნენ მარქსი და ენგელსი: ^{შპლი შიმაჩინა} დათ, რომ მათი დიალექტიკური მატერიალიზმი წინაპერით მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის განვითარების ნაყოფია.

ამრიგად, დისკუსია სასარგებლო იყო იმ მხრივაც, რომ გამოააშკარავა იდეოლოგიური ნაკლოვანებანი საბჭოთა ენათმეცნიერებაში.

მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო მაღლ განთავისუფლდება ჩვენი ენათმეცნიერება ნ. ი. მარის შეცდომებისაგან, მით უფრო მაღლ შეიძლება გამოვიყვანოთ იგი კრიზისიდან, რომელსაც ახლა განიცდის.

ენათმეცნიერებაში არაქჩევის ჩეიიმის ლიკვიდაცია, ნ. ი. მარის შეცდომების უარყოფა, ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა, — ასეთია ჩემი აზრით ის გზა, რომლითაც შეიძლება გავაჯანსაღოთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

„პრაგრა“, 1950 წლის 20 ივნისი.

II. სტადიონი

ენეთმეცნიერების ზოგიერთ საკითხება

პასახი ამხანაგ ე. პარაშვილი

ახ. ქრისტენიკოვა

გიბასუხებთ თქვენს კითხვებზე.

1. კითხვა. თქვენს სტატიაში დამჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ენა, არც ბაზისია და არც ზედნაშენი. მართებული იქნებოდა თუ არა მიგვეჩნია, რომ ენა ისეთი მოვლენაა, რომელიც ბაზისსაც ახასიათებს და ზედნაშენსაც, თუ უფრო სწორი იქნებოდა მიგვეჩნია ენა შუალედურ მოვლენად?

პასუხი. რა თქმა უნდა, ენას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ახა-სიათებს ის საერთო რამ, რაც აქვს ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, მათ შორის ბაზისსა და ზედნაშენს, სახელდობრ: იგი ისევე ემსახურება საზოგა-დოებას, როგორც ემსახურება მას ყველა სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, მათ შორის ბაზისი და ზედნაშენი. მაგრამ სწორედ ამით ამოიწურება ის საერ-თო რამ, რაც ყველა საზოგადოებრივ მოვლენას აქვს. შემდეგ იწყება სერიო-ჰული განსხვავებანი საზოგადოებრივ მოვლენებს შორის.

საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ მოვლენებს, ამ საერთოს გარდა, აქვთ თავიანთი სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც მათ ერთმანეთი-საგან განასხვავებენ და რომლებსაც მეცნიერებისათვის ყველაზე მეტი მნიშ-ვნელობა აქვთ. ბაზისის სპეციფიკური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზო-გადოებას ემსახურება ეკონომიკურად. ზედნაშენის სპეციფიკური თავისებუ-რებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვა იღებით და საზოგადოებისათვის ქმნის შესაბამის პო-ლიტიკურ, იურიდიულ და სხვა დაწესებულებებს. რა არის ენის სპეციფიკუ-რი თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან? ეს თავისებურებანი ისაა, რომ ენა ემსახურება საზოგა-დოებას, როგორც აღამიანთა ურთიერთობის საშუალება, როგორც ისეთი საშუალება, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გაუგონ ერთმანეთს და მო-აწყონ ერთობლივი მუშაობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, რო-გორც წარმოების დარგში, ისე ეკონომიკური ურთიერთობის დარგში, რო-გორც პოლიტიკის დარგში, ისე კულტურის დარგში, როგორც საზოგადოებ-რივ ცხოვრებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. ეს თავისებურებანი ახასიათებენ

მხოლოდ ენას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი ახასიათებენ მხოლოდ ენას, დამოუკიდებელი მეცნიერების — ენათმეცნიერების — შესწავლაში მონაბეჭდით ექტია. ენას ეს თავისებურებანი რომ არ ჰქონდა, ენათმეცნიერება დამოუკიდებელი არსებობის უფლებას დაკარგავდა.

მოკლედ: ენა არ შეიძლება მივაყუთვნოთ არც ბაზისთა კატეგორიას, არც ზედნაშენთა კატეგორიას.

იგი არ შეიძლება მივაყუთვნოთ აგრეთვე ბაზისსა და ზედნაშენს შორის „შუალედურ“ მოვლენათა კატეგორიას, რადგან ასეთი „შუალედური“ მოვლენები არ არსებობენ.

მაგრამ იქნებ ენა შეიძლება მივაყუთვნოთ საზოგადოების საწარმოო ძალთა კატეგორიას, ვთქვათ, წარმოების იარაღთა კატეგორიას? მართლაც, ენასა და წარმოების იარაღებს შორის ერთგვარი ანალოგია არსებობს: წარმოების იარაღები, ისევე როგორც ენა, კლასებისადმით თავისებურ განუჩრევლობას ამეულებენ და შეუძლიათ თანაბრად ემსახურონ საზოგადოების სხვადასხვა კლასებს, როგორც ქველ, ისე ახალ კლასებს. იძლევა თუ არა ეს გარემოება იმის საფუძველს, რომ ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას მივაყუთვნოთ? არა, არ იძლევა.

ერთხანს ნ. ი. მარმა, რაკი დაინახა რომ მისმა ფორმულამ — „ენა ბაზისის ზედნაშენია“, — გამოიწვია საწინააღმდეგო მოსახურებანი, გადაწყვიტა „გარდაქმნილიყო“ და გამოაცხადა, „ენა წარმოების იარაღიათ“. მართალი იყო თუ არა ნ. ი. მარმა, ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას რომ მივაყუთვნა? არა, იგი უთუოდ არ იყო მართალი.

საქმე ის არის, რომ ენასა და წარმოების იარაღებს შორის მსგავსება იმ ანალოგით ამოიწურება, რომელზეც ეს არის ახლა ვილაპარაკე. მაგრამ სამაგიეროდ ენასა და წარმოების იარაღებს შორის ძირეული განსხვავებაა. ეს განსხვავება ძალა, რომ წარმოების იარაღები აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს, ენა კი არაფერს არ აწარმოებს ან „აწარმოებს“ მხოლოდ სიტყვებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აღამიანებს, რომლებსაც წარმოების იარაღები აქვთ, შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი, ხოლო იმავე აღამიანებს, რომლებსაც ენა აქვთ, მაგრამ წარმოების იარაღები არა აქვთ, არ შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი. ძნელი გასაგები არ არის — ენას რომ შეეძლოს მატერიალური დოვლათი აწარმოოს, ლაქლაქა აღამიანები მსოფლიოში ყველაზე მდიდარი იქნებოდნენ.

2. კითხვა. მარქსი და ენგელსი ენას განსაზღვრავენ როგორც „აზრია უშუალო სინამდვილეს“, როგორც „პრაქტიკულ, ...ნამდვილ ცნობიერებას“. „იდეები, — ამბობს მარქსი, — ენისაგან მოწყვეტილად არ არსებობენ“. რამდენად უნდა მუშაობდეს, თქვენი აზრით, ენათმეცნიერება ენის შინაარსობრივ მხარეზე, სემანტიკაზე და ისტორიულ სემასიოლოგიასა და სტილისტიკაზე, თუ ენათმეცნიერების საგანი მხოლოდ ფორმა უნდა იყოს?

პასუხი. სემანტიკა (სემასიოლოგია) ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობრივ მხარეს სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში. ამიტომ სემანტიკისათვის

(სუმასიოლოგიისათვის) უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი შესაფერის ადგილი ენათმეცნიერებაში.

მაგრამ სემანტიკის საკითხების დამუშავებისა და მისი მონაცემების გაციცენებას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაზიადებულად შევაფარსოთ მისი მნიშვნელობა, და მით უმეტეს — არ შეიძლება ბოროტად გამოვიყენოთ იგი. მხედველობაში მყავს ზოგიერთი ენათმეცნიერი, რომლებიც, მეტასტრუქტურული არიან რა სემანტიკით, უგულებელყოფენ ენას, როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს“, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია აზროვნებასთან, წყვეტენ აზროვნებას ენისაგან და ამტკიცებენ, ენა დრომოჭმული ხდება, შეიძლება უენოდაც იოლად წავიდეთ.

ყურადღება მიაქციეთ ნ. ი. მარის შემდეგ სიტყვებს:

„ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ვლინდება შეერებით; აზროვნებას მოქმედება გამოუვლინებლადაც ხდება... ენა (ზეერთი) აქლა უკვე უთმობს თავის ფუნქციებს უახლეს გამოკინებებს, რომლებიც უეჭველად ძლიერებ სივრცეს, ხოლო აზროვნება აღმავლობის გზით მიღის წარსულში მის მიერ დაგროვებულისა და გამოუყენებლისაგან და ახალი მონახვებისაგან, და მომავალში იგი გარიყავს და მთლიანად შეცვლის ენას. მომავალი ენა ბუნებითი მატერიისაგან თავისუფალ ტექნიკაში მზარდი აზროვნება იქნება. მას ვერ გაუმჯლავდება ვერავითარი ენა, თუნდაც ბერითი, რომელიც მარნც დაკავშირებულია ბუნების ნორმებთან“ (იხ. ნ. ი. მარის „რჩეული ნაშრომები“).

ეს „შრომა-მაგიური“ აბდაუბდა ჩვეულებრივი ადამიანური ენით რომ გამოვთქვათ, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიღეთ, რომ:

ა) ნ. ი. მარი აზროვნებას წყვეტს ენისაგან;

ბ) ნ. ი. მარს მიაჩნია, რომ ადამიანთა ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს უენოდაც, თვით აზროვნების შემწეობით, რომელიც თავისუფალი იქნება ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, თავისუფალი იქნება „ბუნების ნორმებისაგან“;

გ) წყვეტს რა აზროვნებს ენისაგან და „ათავისუფლებს“ რა მას ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, ნ. ი. მარი იდეალიზმის ჭაობში ეფლობა.

ამბობენ, ადამიანს თავში აზრები მანამდე ებადება, სანამ ისინი მეტყველებაში გამოითქმებოდეს, ებადება ენობრივი მასალის გარეშე, ენობრივი გარსის გარეშე, ასე ვთქვათ, შიშველი სახით. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის სწორი. ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ, მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის „ბუნებითი მატერიიისაგან“ თავისუფალი შიშველი აზრები არ არსებობს, „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“ (მარ ქ ს. ი). აზრის რეალურობა ენით მუღავნდება. მხოლოდ იდეალისტებს შეუძლიათ ილაპარაკონ ენის „ბუნებითს მატერიალთან“ დაუკავშირებელ აზროვნებაზე.

მოკლედ: სემანტიკის გაზიადებულმა შეფასებამ და მისმა ბოროტად გამოყენებამ ნ. ი. მარი იდეალიზმდე მიყყანა.

მაშასადამე, თუ სემანტიკას (სემანთოლოგიას) დავიცავთ ძირითადი და დაბრუნებული და ბოროტად გამოყენებისაგან, როგორსაც უშვებენ ნ. ი. შარი და მისი ზოგიერთი „მოწაფე“, მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ენათმეცნიერებას.

3. კითხვა. თქვენ სავსებით სამართლიანად ამბობთ, რომ ბურუუბშა და პროლეტარებს პირდაპირ საწინააღმდეგო იღები, წარმოდგენები, ზეჩვეულება და ზნეობრივი პრინციპები აქვთ. ამ მოვლენათა კლასობრივი ხასიათი უთუოდ დაეტყო ენის სემანტიკურ მხარეს (ხოლო ზოგჯერ მის ფორმასაც—ლექსიკურ შედეგენილობას, — როგორც სწორედ აღნიშნავთ თქვენს სტატიაში). შეიძლება თუ არა, როცა ანალიზ ვუკეთებთ კონკრეტულ ენობრივ მასალას და, პირველ რიგში, ენის შინაარსობრივ მხარეს, ვილაპარაკოთ მის მეტ გამოხატულ ცნებათა კლასობრივ არსებ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ აღამიანის აზრის ენობრივ გამოხატვის, არა მეტ სინამდვილისადმი აღამიანის დამოკიდებულებასაც, სადაც განსაკუთრებით მეტი მეტი იჩენს თავს მისი კლასობრივი კუთვნილება?

პასუხი. მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გსურთ იცოდეთ, — გავლენის ახლენ თუ არა კლასები ენაზე, შეაქვთ თუ არა მათ ენაში თავიანთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, არის თუ არა შემთხვევები, რომ აღამიანები ერთსა და იმავე სიტყვებსა და გამოთქმებს ანიჭებდნენ სხვადასხვა აზრობრივ მნიშვნელობას კლასობრივი კუთვნილების მიხედვით?

დიახ, კლასები გავლენას ახდენენ ენაზე, შეაქვთ ენაში თავიანთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები და ზოგჯერ სხვადასხვანაირად ესმით ერთი და იგივე სიტყვები და გამოთქმები. ეს უეჭველია.

მაგრამ აქედან როდი გამომდინარებს, რომ სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, ისევე როგორც სემანტიკის სხვადასხვაობას, შეიძლება სერიზული მნიშვნელობა ჰქონდეთ ერთიანი საერთო-სახალხო ენის განვითარებისათვის, რომ მათ ძალუბთ შეასუსტონ მისი მნიშვნელობა ან შეცვალონ მისი ხასიათი.

ჯერ-ერთი, ასეთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, ისევე როგორც სემანტიკის სხვადასხვაობის შემთხვევები, ენაში იძლენად მცირეა, რომ ისინი საეჭვოა მთელი ენობრივი მასალის ერთ პროცენტს შეაღებენ. მაშასადამე, სიტყვებისა და გამოთქმების მთელი დანარჩენი უდიდესი მასა, ისევე როგორც მათი სემანტიკა, საერთო ასაზოგადოების ყველა კლასისათვის.

მეორე, სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც კლასობრივი ელფერი აქვთ, მეტყველებაში იყენებენ არა რაღაც „კლასობრივი“ გრამატიკის წესების მიხედვით, რომელიც ბუნებაში არ აჩსებობს, არამედ არსებული საერთო-სახალხო ენის გრამატიკის წესების მიხედვით.

მაშასადამე, სპეციფიკური სიტყვებისა და გამოთქმების არსებობა და ენის სემანტიკის სხვადასხვაობის ფაქტები კი არ უარყოფენ, არამედ, პირიქით, აღასტურებენ ერთიანი საერთო-სახალხო ენის არსებობას და აუცილებლობას.

4. კითხვა. თქვენს სტატიაში თქვენ სავსებით სწორად ახსიათებთ მარტი როგორც მარქსიზმის ვულგარიზატორს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლინგვისტებმა, მათ შორის ჩვენც, ახალგაზრდობამ, უნდა უკუვაგდოთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევები ენის დარგში (დისკუსიაში მათ შესახებ სწერდნენ ამს. ჩიქობავა, ამს. სანერევი და სხვები)? შეგვიძლია თუ არა ჩვენ, კრიტიკულად ვუდგებით რა მარს, მაინც ავიღოთ ის, რაც მას სასარგებლო და მნიშვნელოვანი აქვს?

პასუხი. რა თქმა უნდა, ნ. ი. მარის ნაშრომები მარტო შეცდომებისაგან როდი შედგება. ნ. ი. მარი ყოვლად უხეშ შეცდომებს უშევებდა, როცა ენათმეცნიერებაში დამახინჯებულად შეჰქონდა მარქსიზმის ელემენტები, როცა ცდილობდა შეექმნა ენის დამოუკიდებელი თეორია. მაგრამ ნ. ი. მარს აქვს ცალკეული, კარგი, ნიჭირად დაწერილი ნაწარმოებნი, საღაც იგი, ივიწყებს რა თავის თეორიულ პრეტენზიებს, კეთილსინდისიერად და, უნდა ითქვას, უნარიანად იჯვლევს ცალკეულ ენებს. სეთ ნაწარმოებებში შეიძლება საკმაოდ ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საგულისხმო ვიპოვოთ. გასაგებია, რომ ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო, რაც ნ. ი. მარს აქვს, უნდა ავიღოთ და გამოვიყენოთ.

5. კითხვა. საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ბევრ ლინგვისტს ფორმალიზმი მიაჩნია. ძალიან გვინდა ვიცოდეთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რა არის ფორმალიზმი ენათმეცნიერებაში და როგორ დავძლიოთ იგი?

პასუხი. ნ. ი. მარი და მისი „მოწაფეები“ „ფორმალიზმში“ ბრალს სდებენ ყველა ენათმეცნიერს, ვინც ნ. ი. მარის „ახალ მოძღვრებას“ არ იზიარებს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სერიოზული და ჭიდვის რიგი.

ნ. ი. მარი გრამატიკას თვლიდა ფუჭ „ფორმალობად“, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც გრამატიკული წყობა ენის საფუძვლად მიაჩნიათ — ფორმალისტებად. ეს კი მთლიან სისულელეა.

მე ვფიქრობ, რომ „ფორმალიზმი“ გამოიგონეს „ახალი მოძღვრების“ აფრთხებმა ენათმეცნიერებში თვითათ მოწინააღმდეგებთან ბრძოლის გასაადვილებლად.

საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზია არა ნ. ი. მარისა და მისი „მოწაფეებს“ მიერ გამოგონილი „ფორმალიზმი“, არა მედ არაგჩერევის რეუიძი და თეორიული ნაკლოვანებანი ენათმეცნიერებაში. არაკჩერევის რეუიძი შექმნეს ნ. ი. მარის „მოწაფეებმა“. ენათმეცნიერებაში თეორიული არევდარევა შეიტანეს ნ. ი. მარმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა. საბჭოთა ენათმეცნიერება ერთ წერტილზე რომ არ გაიყინოს, ამი-



სათვის საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას ოოგორუ ერთი, ისე მეორეს. მაგრამ ტებათა ლიკვიდაცია გააჯანსაღებს საბჭოთა ენათმეცნიერებას, გამოიყვანს მას ფართო გზაზე და საბჭოთა ენათმეცნიერებას შესაძლებლობას მისცემს პირველი ადგილი დაიყავოს მსოფლიო ენათმეცნიერებაში.

1950 წლის 29 ივნისი.

ეურნალი „ბოლშევიკი“, № 12.

II. სტატიი

პასუხი ამანაგებს

ამანაგ სანეროს

პატივურემულო ამხანაგო სანუელი

გიბასუხებთ თქვენს წერილზე დღი დაგვიანებით, რაღაც შეოლოდ გუშინ გადმომცეს თქვენი წერილი ცენტრალური კომიტეტის აპარატიდან.

თქვენ უკეთესად სწორად გესმით ჩემი პოზიცია დაალექტების საკითხში.

„ქლასობრივი“ დიალექტები, რომლებსაც უფრო სწორი იქნება უძრგონები ვუწოდოთ, ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვაწრი სოციალურ ზედაფენას. ამასთან მათ არა აქვთ თავიანთი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ისინი ვერასგზით ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად.

აღვილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტები, პირიქით, ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად. ასე მოხდა, მაგალითად, რუსული ენის კურსკ-ორიოლის დიალექტის (კურსკ-ორიოლის „მეტყველების“) მიმართ, რომელიც საფუძვლად დაედო რუსულ ეროვნულ ენას. იგივე უნდა ითქვას უკრაინული ენის პოლტავა-კიევის დიალექტზე, რომელიც საფუძვლად დაედო უკრაინულ ეროვნულ ენას. რაც შეეხება ასეთი ენების დანარჩენ დიალექტებს, ისინი კარგავენ თავისთავადობას, უერთდებიან ამ ენებს და ქრებიან მათში.

ხდება პირიქითი პროცესებიც, როცა იმ ეროვნების ერთიანი ენა, რომელიც ჯერ კიდევ ერი არ გამხდარა განვითარების აუცილებელი ეკონომიკური პირობების უქონლობის გამო, კრაბს განიცდის ამ ეროვნების სახელმწიფოებ.. რიგი დაშლის შედეგად, ხოლო ადგილობრივი დიალექტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შედულებულან ერთ ენად, — ცოცხლდებიან და დასაბამს აძლევენ ცალკე დამოუკიდებელი ენების შექმნას. შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი იყოს საქმის ვითარება, მაგალითად, ერთიანი მონლოლური ენის მიმართ.

II. სტატიი

კახეთის გ. გეღვინსა და ს. ვერაძის

၁၂၀

თქვენი წერილები მივიღე.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ ერთმანეთში აურიეთ ორი სხვადასხვა აამ და ამხ. კრაშენინიკოვასადმი ჩემს პასუხში განხილული საგანი შეცვალეთ სხვა საგნით.

1. მე ამ პასუხში ვარებითყებ ნ. ი. მარს, რომელც, ლაპარაკობს ჩა ენა-
სა (ზეტოითს) და აზროვნებაზე, ენას სწყვეტს აზროვნებას და მრიგად იღეა-
ლიზმში ვარდება. მაშასაღამე, ჩემს პასუხშიც ლაპარაკია ნორმალურ აღამია-
ნებზე, რომლებსაც ენა აქვთ. ამითან მე ვამტკიცებ, რომ ასეთ აღამიანებს
აზრები შეიძლება ღაებადით მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, რომ ენობ-
რივ მასალასთან ღაუკავშირებელი შრშველი აზრები ენის მქონე აღამიანებს
არა აქვთ.

ნაცვლად იმისა, რომ მიიღოთ ან უარყოთ ეს დებულება, თქვენ ლაპარაკობთ ანომალურ, უენო ადამიანებზე, ყრუ-მუნჯებზე, რომლებსაც ენა არა აქვთ და რომელთა აზრები, რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. როგორც ხელავთ, ეს სულ სხვა თემაა, რომელსაც მე არ შევხებივარ და ვერც შევეხებოდი, რადგან ენათმეცნიერებას საქმე აქვს ნორმალურ ადამიანებთან, რომლებსაც ენა აქვთ, და არა ანომალიურ, ყრუ-მუნჯებისაც ენა არა აქვთ.

ოქვენ განსახილველი თემა შეცვალეთ სხვა თემით, რომელზეც მსჯელობა არ ყოფილა.

2. ამს. ბელკინის „წერილოდან ჩანს, რომ იგი ათანაბრებს „სიტყვების ენას“ (ზეგრითი ენა) და „უესტების ენას“ (ნ. ი. მარის მიხედვით „ხელის“ ენას). იგი ალბათ ფიქრობს, რომ უესტების ენა და სიტყვების ენა თანაბარ-მნიშვნელოვანია, რომ ერთ დროს აღამიანთა საზოგადოებას არ ჰქონდა სიტყვების ენა, რომ მაშინ „ხელის“ ენა ცვლიდა სიტყვების ენას, რომელიც შეიმდგა წარმოიშვა.

მაგრამ თუ ამს. ბელკინი ნამდვილად ასე ფიქრობს, იგი სერიოზულ შეც-
დომას სჩადის. ბგერითი ენა ანუ სიტყვების ენა ყოველთვის იყო აღამიანთა
საზოგადოების ერთადერთი ენა, რომელსაც შეეძლო აღამიანთა ურთიერთო-
ბის სრულფქოვანი საშუალება ყოფილიყო. ისტორიას არ ახსოვს აღამიან-
თა არც ერთი საზოგადოება, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილი, რომელსაც არ
ჰქონდა თავისი ბგერითი ენა. ეთნოგრაფია არ იცნობს არც ერთი ჩამორჩე-
ნილ მცირე ხალხს, თუნდაც ისეთს ან უფრო პირველყოფილს, ვიღრე,
ვთქვათ, გასული საუკუნის ავტორალიელები ან ცეცხლის მიწის მცხოვრებნი
იყვნენ, რომელსაც არ ჰქონდა თავისი ბგერითი ენა. ბგერითი ენა კაცობ-
რიობის ისტორიაში ერთ-ერთი ის ძალაა, რომელიც დაეხმარა აღამიანებს
გამოპყოფილნენ ცხოველთა სამყაროს, გაერთიანებულყოვნენ საზოგადოებე-
ბად, განვითარებინათ თავიანთი აზროვნება, მოეწყოთ საზოგადოებრივი
წარმოება, წარმატებით ებრძოლათ ბუნების ძალებთან და მიეღწიათ ამ
პროგრესისათვის, რომელიც ჩვენ ამჟამად ვვაჭვს.

ამ მხრივ ეგრეთწოდებული უკატების ენის მნიშვნელობა მისი ჟაკილუსი აქსი სიღარიბისა და შეზღუდულობის გამო — ბრულიად უმნიშვნელობა. არსებითად, ენა კი არ არის, ან თუნდაც ენის სუროგატი, რომელსაც შეეძლოს ასე თუ ისე შეცვალოს ბერითი ენა, არამედ უაღრესად შეზღუდულ საშუალებათა მქონე დამხმარე საშუალებაა, რომლითაც იღამინი ზოგჯერ სარგებლობს მისი მეტყველების ამა თუ იმ მომენტის ხაზისმისათვის. უესტების ენა ისევე არ შეიძლება გავუთანაბროთ ბერითს ენას, როგორც არ შეიძლება პირველყოფილი ხის თოხი გავუთანაბროთ თანამედროვე მუხლუხა ტრაქტორს, რომელზეც მიბმულია ხუთკორპუსიანი გუთანი ან ტრაქტორის მწკრივად სათვის მანქანა.

3. როგორც ჩანს, თქვენ უწინარეს ყოვლისა გაინტერესებთ ყრუ-მუნჯები, ხოლო შემდეგ — ენათმეცნიერების პრობლემები. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ გაიძულათ მოგემართათ ჩემთვის მთელი რიგი კითხვებით. რას იზამ, რავი თქვენ დაუინებით მოითხოვთ, არაფერი მაქვს საჭინააღმდევო და-ვაკმაყოფილო თქვენი თხოვნა. მაშ ასე, რა შეიძლება ვთქვათ ყრუ-მუნჯებზე? მუშაობს თუ არა მათი აზროვნება, ებადებათ თუ არა მათ აზრები? დიახ, მათი აზროვნება მუშაობს, მათ აზრები ებადებათ. ტბადია, რავი ყრუ-მუნჯები მოკლებული არიან ენას, მათი აზრები არ შეიძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ყრუ-მუნჯთა აზრები შიშველია, დაკავშირებული არ არის „ბუნების ნორმებთან“ (ნ. ი. მარის გამოთქმა)? არა, არ ნიშნავს. ყრუ-მუნჯთა აზრები წარმოიშვება და მათ არსებობა შეუძლიათ მხოლოდ იმ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა ბაზაზე, რომლებიც მათ მხედველობის, შეხებრის, გემოვნების, ყნოსვის გრძნობათა მეოხებით უყალიბდებათ ყოფა-ცხოვრებაში გარესამყაროს საგნებისა და მათი ურთიერთობის შესახებ. ამ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა გარეშე აზრი ცარიელია, მოკლებულია რაიმე შინაარსს, ე. ი. იგი არ არსებობს.

ი. სტალინი

1950 წლის 22 ივნისი.

ამხანაგ პ. ხოდოვიცე

თქვენი წერილი მივიღე.

პასუხი ცოტა დავაგვიანე მუშაობით მეტად დატვირთულობის გამო.

თქვენი წერილი მღუმარედ ეყრდნობა ორ ვარაუდს: ვარაუდს, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებთა ციტირება იმ ისტორიული პერიოდისაგან მოწყვეტით, რომელსაც ციტატი ეხება, და, მეორე, ვარაუდს, რომ მარქსიზმის ესა თუ ის დასკვნა და ფორმულა, რომლებიც მიღებულია ისტორიული განვითარების ერთ-ერთი პერიოდის შესწავლის შედეგად, სწორია განვითარების ყველა პერიოდისათვის და ამიტომ უცვლელი უნდა დარჩეს.

უნდა ვთქვა, რომ ორივე ეს ვარაუდი დიდად მცდარია.

რამდენიმე მაგალითი.

1. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როცა მონოპოლისტური ფაბრიკა ტალიზმი ჯერ არ იყო, როცა კაპიტალიზმი მეტად თუ ნაკლებად უმტკიცებულ ულოდ ვითარდებოდა აღმავალი ხაზით, ვრცელდებოდა მის მიერ ჯერ კიდევ ღაუკავებელ ახალ ტერიტორიებზე, ხოლო განვითარების უთანაბრობის კაშინს ჯერ კიდევ არ შეეძლო მთელი ძალით ეროქმებოდა,—მარქსი და ენგელსი მივიღნენ დასკვნამდე, რომ სოციალისტურ რევოლუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთ რომელიმე ქვეყანაში, რომ მას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ ყველა ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში საერთო დარტყმის შედეგად. ეს დასკვნა შემდეგ ყველა მარქსისტისათვის სახელმძღვანელო დებულება გახდა.

მაგრამ XX საუკუნის დამდეგს, განსაკუთრებული პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ წინამონაბოლისტური კაპიტალიზმი აშერად გადაიზარდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, როცა აღმავალი კაპიტალიზმი მომყვადავ კაპიტალიზმად გადაიქცა, როცა ომმა გამოამტება მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის განუკურნებელი სისუსტენი, ხოლო განვითარების უთანაბროების კანონმა წინასწარ განსაზღვრა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუცია სხვადასხვა დროს მწიფდება, — ლენინი მარქსისტული თეორიის საფუძველზე მცირდა დასკვნამდე, რომ განვითარების ახალ პირობებში სოციალისტურ რევოლუციას სავაჭით შეუძლია გამარჯვოს ერთს, დალა აღებულ ქვეყანაში, რომ ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვება შეუძლებელია ამ ქვეყნებში რევოლუციის მომზადების უთანაბროების გამო, რომ მარქსისა და ენგელსის ძველი ფორმულა აღარ შეესაბამება ახალ ისტორიულ პირობებს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი დასკვნა სოციალიზმის გამარჯვების საკითხებზე, რომლებიც არა მარტო ეწინააღმდეგება ერთიანების, არამედ კიდევაც ერთიმეორეს გამორიცხავს.

რომელიმე მედავითნესა და თალმუდისტს, რომლებსაც ცოტატები მოჰყავთ ფორმალურად, საქმის არსში ჩაუწვდომლად, ისტორიული პირობების—გან მოწყვეტით, — შეუძლიათ თქვან, რომ ერთ-ერთი ეს დასკვნა, როგორც უთუოდ მცდარი, უნდა უკუვაგდოთ, ხოლო მცორე დასკვნა, როგორც უთუოდ სწორი, უნდა გავავრცელოთ განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავითნები და თალმუდისტები ცდებიან, მათ არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ ორივე ეს დასკვნა სწორია, მაგრამ არა უთუოდ, არამედ თვითეული თავისი დროისათვის: მარქსისა და ენგელსის დასკვნა — წინამონაბოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის, ხოლო ლენინის დასკვნა — მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის.

2. ენგელი თავის „ანტი-დიურინგში“ ამბობდა, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო უნდა მოკვდეს. ამ საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მედავითნებმა და თალმუდისტებმა, რომლებიც ჩვენს პარტიაში მოიპოვებოდნენ, იწყეს იმის მოთხოვნა, რომ პარტიას მიეღო ზომები ჩვენი სახელ-

შეიფოს უსწრაფესი კვლიმისათვის, სახელმწიფო ორგანოების დაწყლობითი განვითარების, მუდმივ არმიაზე ხელის აღებისათვის.

მაგრამ საბჭოთა მარქსისტები, ჩვენს ხანაში მსოფლიო ვითარების შესწავლის საფუძველზე, მივიღნენ დასკვნამდე, რომ, როცა არსებობს კაბიტალისტური გარემოცვა, როცა სოციალისტურმა რევოლუციმ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ყველა სხვა ქვეყანაში კი ბატონობს კაბიტალიზმი, გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანამ კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ ყოველმხრივ უნდა გააძლიეროს თავისი სახელმწიფო, სახელმწიფოს ორგანოები, დაზეგერვის თრავნები, არმია, თუ ამ ქვეყანას არ სურს, რომ იგი გაანადგუროს კაბიტალისტურმა გარემოცვამ. რუსეთის მარქსისტები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ ენგელსის ფორმულას მხედველობაში ქვეს სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში, რომ ეს ფორმულა არ შეეფარდება იმ შემთხვევას, როცა სოციალიზმი იმარჯვებს ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, ხოლო ყველა სხვა ქვეყანაში კაბიტალიზმი ბატონობს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი ფორმულა სოციალისტური სახელმწიფოს ბედის საკითხზე, რომლებიც ერთიმეორეს გამორიცხავს.

მეღავითნებსა და თალმუდისტებს შეუძლიათ თქვან, რომ ეს გარემოება ქმნის აუტანელ მდგომარეობას, რომ საჭიროა ერთ-ერთი ფორმულა უკუვაგზოთ, როგორც უთუოდ მცდარი, ხოლო მეორე, როგორც უთუოდ სწორი, — გავავრცელოთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავითნები და თალმუდისტები ცდებიან, რაღაც როივე ეს ფორმულა სწორია, მაგრამ არა აბსოლუტურად, არამედ თვითეული თავისი დროისათვის: საბჭოთა მარქსისტების ფორმულა — ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისათვის, ხოლო ენგელსის ფორმულა — იმ პერიოდისათვის, როცა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის თანმიმდევრობით გამარჯვება გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას მეტწილ ქვეყნებში და როცა, ამრიგად, შეიქმნება აუცილებელი პირობები ენგელსის ფორმულის გამოსაყენებლად.

ასეთი მაგალითების რიცხვი შეიძლებოდა გაგვედიდებინა.

იგივე უნდა თქვას ენის საკითხზე ორი სხვადასხვანაირი ფორმულის შესახებ, რომლებიც აღებულია სტალინის სხვადასხვა ნაწარმოებიდან და რომლებიც ამს. ხოლოპოვს მოჰყავს თავის წერილში.

ამს. ხოლოპოვი იმოწმებს სტალინის „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, სადაც გაკეთებულია დასკვნა, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინების შედეგად, ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივ გამარჯვებული გამოდის, ხოლო მეორე კვლება, რომ, მაშასადამე, შეჯვარედინება. იძლევა არა რომელიმე ახალ, მესამე ენას, არამედ ამკვიდრებს ერთ-ერთ ენას. შემდეგ იგი იმოწმებს მეორე დასკვნას, რომელიც აღებულია სტალინის მოხსენებიდან საკაშშირო კ. ბ. (ბ) XVI ყრილობაზე, საღაც ნათქვამია, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როცა სოციალიზმი განტკიცდება და ყოფაცხოვრებაში დამკვიდრდება, ეროვნული ენები გარდუვა-

ლად უნდა შეერთდნენ ერთ საერთო ენად, რომელიც, რასაკვირვებული იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაჭაც ახალი ენა. ეს ორი ფორმულა ერთმანეთს რომ შეადარა და დაინახა, რომ ისინი არა-თუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ გამორჩეავნ ერთიმეორეს, ამხ. ხოლოპოვი სასოწარკვეთილებს ეძლევა. „თქვენი სტატიიდან, წერს იგი წე-რილში, მე გავიგე, რომ ენათა შეჯვარედინებით არასოდეს არ შეი-ლება შეიქმნას რომელიმე ახალი ენა, სტატიამდე კი მტკიცედ ვიყავი დარ-წმუნებული, საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე თქვენი გამოსვლის თა-ნახმად, რომ კომუნიზმის ღროს ენები ერთ საერთო ენად შეერთდე-ბიან“.

აშკარაა, რომ ამხ. ხოლოპოვი, რაյი აღმოაჩინა წინააღმდეგობა იმ ორ ფორმულას შორის და რაი ღრმად სწამს, რომ წინააღმდეგობა ლიკვიდირე-ბულ უნდა იქნას, საჭიროდ თვლის თავიდან მოიშოროს ერთ-ერთი ფორმუ-ლა, როგორც მცდარი, და ხელი ჩასჭიროს მეორე ფორმულას, როგორც ყვე-ლა ღროისა და ქვეყნისათვის სწორს, მაგრამ სახელდობრ რომელ ფორმულას ჩასჭიროს ხელი, — ეს მან არ იცის. გამოდის რაღაც გამოუვალი მდგომარეო-ბა. ამხ. ხოლოპოვი ვერც კი მიმხდარა, რომ ორივე ფორმულა შეიძლება სწორი იყოს, — თვითეული თავისი ღროისათვის.

ასე მოსდით ყოველთვის მედავითნებსა და თალმუდისტებსა, რომლე-ბიც, რაი ვერ სწვდებიან საქმის არს და ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, იმ ისტორიულ პირობებთან დაუკავშირებლად, რომლებსაც ციტატები ეხება, მუდამ ვარდებიან გამოუვალ მდგომარეობაში.

ამავე ღროს კი, თუ საკითხში არსებოთად გავერკვევით, გამოუვალი მდგომარეობასთვის არაეითარი საფუძველი არ არის. საქმე ის არის, რომ სტალინის ბროშურა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ და სტალინის გამოსვლა პარტიის XVI ყრილობაზე გულისხმობენ ორ სრულიად სხვადასხვა ეპოქას, რის შედეგადაც ფორმულებიც სხვადასხვა გამოდის.

სტალინის ფორმულა მის ბროშურაში, იმ ნაწილში, რომელიც ენების შეჯვარედინებას ეხება, გულისხმობს ეპოქას სოციალიზმის გა-მარჯვებამდე მსოფლიო მასტერაბით, როცა ექსპლოატატორული კლა-სები მსოფლიოში გამატონებულ ძალის წარმოადგენენ, როცა ეროვნული და კოლონიური ჩავრა ძალაში ჩაება, როცა ეროვნული განკურძობულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი განსხვა-ვებით, როცა ჯერ კიდევ არ არის ეროვნული თანამშრომულებიანობა, როცა ენათა შეჯვარედინება ხდება ერთ-ერთი ენის ბატონობისათვის ბრძოლის ვზით, როცა ჯერ კიდევ არ არის პირობები ერთა და ენათა მშვიდობიანი და მეგობრული თანამშრომლობისათვის, როცა დღის წესრიგში დგის არა ენათა თანამშრომლობა და ურთიერთ-გამდიდრება, არამედ ზოგი ენის ასიმილაცია და სხვა ენების გამარჯვება. გასაცემია, რომ ასეთ პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები. სწორედ ამ პირობებს გუ-ლისხმობს სტალინის ფორმულა, როცა იქ ნათქვამია, რომ, ვთქვათ, ორი ენის

შეჯვარედინება შედეგად იძლევა არა ახალი ენის შექმნას, არამედ ერთ-ერთ ენის გამარჯვებას და მეორის დამარცხებას.

შეეხება სტალინის მეორე ფორმულას, რომელიც აღებულია გამოსვლიდან პარტიის XVI ყრილობაზე, იმ ნაწილში, რაც ეხება ენათა შეერთებას ერთ საერთო ენად, აქ იგულისხმება სხვა ეპოქა, სახელდობრ — მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების შემდგომი ეპოქა, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი აღარ იქნება, ექსპლოატაციული კლასები დამხობილი იქნებიან, ეროვნული და კოლონიური ჩავრა ლიკვიდირებული იქნება, ეროვნული განკურძოებულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა შეიცვლება ერთა ურთიერთნდობითა და დაახლოებით, ეროვნული თანასწორუფლებიანობა განხორციელდება, ენათა ჩამობისა და ასიმილაციის პოლიტიკა ლიკვიდირებული იქნება, ერთა თანამშლომლობა მოგვარდება, ხოლო ეროვნულ ენებს შესაძლებლობა ექნებათ თავისუფლად გააძილდონ ერთმანეთი თანამშრომლობის გზით. გასაგებია, რომ ამ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლება ზოგი ენის ჩამობასა და დამარცხებაზე და სხვა ენების გამარჯვებაზე. აქ საქმე გვექნება არა ორ ენასთან, რომელთაგან ერთი მარცხდება, მეორე კი ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის, არამედ ასობით ეროვნულ ენასთან, რომელთაგან ერთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამზირებული ერთიანი ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები. შეერთდებიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაცვარველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები.

მაშავადამე, ორი სხვადასხვანაირი ფორმულა შეესაბამება საზოგადოების განვითარების ორ სხვადასხვა ეპოქას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი მათ შეესაბამებიან, ორივე ფორმულა სწორია, — თვითული თავისი ეპოქისათვის.

იმის მოთხოვნა, რომ ეს ფორმულები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ, — ისეთივე უაზრობაა, როგორი უაზრობაც იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ კაპიტალიზმის ბატონობის ეპოქა არ ეწინააღმდეგებოდეს სოციალიზმის ბატონობის ეპოქას, რომ სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ.

მეზავითნებს და თაღმულისტებს მარქსიზმი, მარქსიზმის ცალკეული დასკვნები და ფორმულები მიაჩნიათ დოგმატების კრებულად, რომლებიც „არასოდეს“ არ იცვლება, მიუხედავად სახოგადოების განვითარების პირობების ცვლილებისა. მათ ჰგონიათ, რომ თუ დაიზებირებენ ამ დასკვნებსა და ფორმულებს და შეულგებიან მათს წალმა-უკულმა ციტირებას, შეეძლებათ გადაწყვიტონ ყოველი საკითხი, იმ ვარაუდით, რომ დაზებირებული დასკვნები და ფორმულები ყველა დროისა და ქვეყნისათვის, ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოადგებათ. მაგრამ ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ხედავენ მარქსიზმის ასოს, მაგრამ ვერ ხედავენ მის

არსს, იზეპირებენ მარქსიზმის დასკვნებისა და ფორმულების ტექნიკურ შემთხვევაში რამ არ ესმით მათი შინაარსი.

მარქსიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩიგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ. მარქსიზმი, როგორც მეცნიერება, არ შეიძლება ერთ აღგილზე იღეს, — იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება. თავის განვითარებაში მარქსიზმი არ შეიძლება არ მდიდრდებოდეს ახალი გამოცდილებით, ახალი ცოდნით, — მაშესადამე, ცალკეული მისი ფორმულები და დასკვნები არ შეიძლება არ ცვლებოდეს დროთა განმავლობაში, არ შეაძლება არ შეიცვალოს ახალი ფორმულებითა და დასკვნებით, რომლებიც შეესაბამება ახალ ისტორიულ აშოცანებს. მარქსიზმი არ ცნობს უცვლელ, ყველა ეპოქისა და პერიოდისათვის სავალდებულო დასკვნებსა და ფორმულებს. მარქსიზმი ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია.

o. სტალინი

1950 წლის 28 ივნისი.

ნიკ. მხატვარი

ი. ბ. ცეკვისი გუგათა მოქაობის რიცხვების და სეპიეჩში მხატვათა შესახებ¹

თავის შესანიშნავ შრომებში „რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“ და „რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის“ ი. ბ. სტალინგა საგანგებოდ განიხილა მუშათა მოძრაობის ობიექტურ და სუბიექტურ პროცესთა საკითხი.

ჩვენი შრომა უმთავრესად იფარგლება ი. ბ. სტალინის ორი იქ დასახელებული თხზულებით. მას არა იქვს პროტენზია გადმოსცეს ი. ბ. სტალინის შვა შრომებში აღნიშნული საკითხის გამოყენება.

საზოგადოებრივ განვითარებაზე დღემდე ადგილი ჰქონდა და დღესაც შურეულაზიულ ქვეყნებში ადგილი იქვს მთელ რიგ ყალბ, ანტიმეცნიერულ შეძელებას. ზოგიერთების აზრით საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ თბიერებური პროცესების შემცველია, იქ ყველაფერი სტიქიურად, თავის-თავად ხორციელდება, სადაც შეუძლებელია ამ პროცესების დაჩქარებასა ან შენელებაზე ლაპარაკი.

ასეთ თვალსაზრისის იზიარებდნენ II ინტერნაციონალის პარტიები, ეკონომისტები, მენშევიკები, რომლებიც ქედს იძრიდნენ ობიექტური პროცესების წინაშე, სრულიად უგულვებელყოფდნენ პარტიას, მისი სტრატეგიას — საერთოდ, სუბიექტური ფაქტორის როლს მუშათა მოძრაობაში, თხზავდნენ „საჭარბო ძალთა თეორიას“, კმაყოფილდებოდნენ ჰქონებითი მეთოდით და ციტატებისა და ისტორიული პარალელების მეთოდით, მოგონილი გეგმებისა და უსიცოცხლო ფორმულების შედეგნით.

მეორე მხრივ „მემარცხენე“ დოქტრინორები სრულიად უგულვებელყოფდნენ ობიექტური პროცესების როლს, წინა პლანზე იყენებდნენ ცალკეულ პიროვნებათა ნებასურვილსა და განწყობილებას.

ორივე შეხედულება რეაქციულია და მავნე, რადგან არც ერთი მათგანი არ ზრუნავდა და არ ზრუნავს მუშათა მოძრაობის ნამდვილ გამარჯვებაზე; პირიქით, ისინი აფერხებდნენ, დაღუპვას უქადღნენ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას.

¹ ჭავითხულ იქნა მოხსენებად 1949 წელს დეკემბერში ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლის თავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე.

მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიამ, მისმა ბელადებმა მოგვციურის მიზნები ნული საკითხის ერთადერთი სწორი, მეცნიერული გადაწყვეტა, როდესაც შევათა შოძრაობაში გაარჩიეს ობიექტური და სუბიექტური მხარეები.

მუშათა მოძრაობის ობიექტურ, სტიქიურ ელემენტებს, აღნიშნავს
ი. ბ. სტალინი, შეადგენენ ის პროცესები, რომლებიც მიმღინარეობენ პრო-
ლეტარიატის შეგნებული და მოვწესრიგებელი ნებისყოფისაგან დამოკიდებ-
ლად; კვეყნის ეკონომიკური განვითარება, კაპიტალიზმის განვითარება, ძველი
ხელისუფლების დაშლა—ყოველივე ეს ისეთი მოვლენებია, რომელთა განვი-
თარება, პროლეტარიატის ნებისყოფისაგან არ არის დამოკიდებული. ეს არის
მოძრაობის ობიექტური, უცილებელი მხარე, იუცილებლობის სამულობელო.

შეიძლო მხრივ არსებობას მოძრაობის სუბიექტური მხარე, — მოძრაობის სტიქიური პროცესების ასახვა მუშათა აზროვნებაში, პროლეტარიატის შეგნებული და გეგმაშეწონილი მოძრაობა გარკვეული მიზნისაკენ. აქ უკვე უდიდესი სარჩიელი ეძღვევა ჩვენს ნებისყოფას, ჩვენს საქმიანობას. აქ შეგიძლია დაგააჩიროთ ან შევანელოთ მოძრაობა.

უაღრესად საგულისისმოა აჩხანვ სტალინის მითითება, რომ, თუ კა
მოძრაობის ობიექტურ მხარეს სწავლობს პარქსიზმის თეორია და პროგრამა,
სუბიექტურ მხარეს სწავლობს პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა.

შრომის გეგმის გაცნობის მიზნით, მეტი სიცხადისაფილის, საჭიროდ მიგვაჩნია აღვინიშნოთ, რომ შევეცდებით საკითხები გადმოვსცეთ და თანამდევრობით, როგორც ეს დალიანებული და გაშუქებული აქვს ამხანაგ სტალინს. ეს კი იმას ნიშნავს — დავიწყოთ თეორიისა და პროგრამისა, კერძოდ თეორიის საკითხიდან, ხოლო შემდეგ კი შევეხოთ სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს.

პარტიის თეორია-პროგრამისა და სტრატეგიას შორის დიალექტიკური ერთიანობა მთლიანად ასახავს იმ მჭიდრო კავშიოს, რაც არსებობს მარქსისტული პარტიის თეორიასა და პრატიკას შორის.

არც ერთ კლასს წარსულში არ დასჭირებია თავისი მოღვაწეობის წარმართვა მწყობრი მეცნიერების თეორიის საფუძველზე.

არც ერთ კლასს წარსულში პროლეტარიატმდე არ შეეძლო ისტორიული პროცესის ნამდვილი სურათი მოეცა; არ შეეძლო ის ბურჟუაზიის ყველაზე გამოჩენილ იდეოლოგებს, მაშინაც კი ორდესაც კაპიტალიზმი განიცდიდა აღმავლობას, აყვავების პერიოდს.

მარქსი, ორდესაც „კაპიტალში“ ეხება საქონლის ფეტიშიზმს, აღნიშნავს, რომ ეს ფეტიშიზმი უაღრესად აძნელებს სინამდვილის სწორად ასახვას, რომ „ცხოვრების საზოგადოებრივი პროცესის, ე. ი. წარმოების ჩატერიალური პროცესის სახე, მხოლოდ გამინ მოხსნის თავის მისტიკურ საბურველს, ორდესაც იგი, ორგორც შედევრი თავისუფლად გაერთიანებულ აღმიანთა, მათ შეგნებულ გეგმაშეწონილ კონტროლს დაქვემდებარება“¹.

Digitized by srujanika@gmail.com

ბურუჟაზიული იდეოლოგია იხედება წარსულისაკენ, მას ეშინება მომავალის. ბურუჟაზია თვალს ვერ უსწორებს სინამდვილეს, რადგან ცოდნობის, რომ ამ სინამდვილეს მოაქვს მისი განაღვეურება და დალუბევა.

თეორია მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ნამდვილს, მეცნიერულს, როდე-
საც ასახავს ყველაზე პროგრესული კლასის ძლიერებას, როდესაც მისი მხედ-
ველობის არ ვრცელდება არა მარტო წარსულზე, არამედ იშმუოზე და მომა-
ვალზე, როდესაც იგი ცდილობს გადასჭიოს ღროის ფარდა და დაინახოს მომავა-
ლი, როდესაც იგი მიიღო მასებისაკენ და ამდენადვე განამდვილებისაკენ.

ბურეუაზიული თეორია თავს ვერ აღწევდა საკუთრივ თეორიის ფარგლებს, იგი ვერ გადაუიღდა პრაქტიკის სფეროში, რეალურ წინააღმდეგობათა ნამდვილად, რეალურად გადაწყვეტის სფეროში. იგი უმთავრეს შემთხვევაში ობიექტივიზმის წუმბეში ეფულებოდა, აპოლოგეტიკას ასახიერებდა.

აპოლოგეტიკა დამახასიათებელია ბურუუზისული იდეოლოგიისათვის,— აპოლოტუნიზმისათვის მენშევიზმისათვის, თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებისათვის.

ლენინი და სტალინი გადაჭრით იღოშვრებდნენ მოვლენებისადმი მანური მორჩილებისა და კულტი მაჩანჩალობის წინააღმდეგ. პროლეტარიატის კლასი, რომელიც ქედს არ იხრის არსებულის წინაშე, იგი თვალს უსწორებს სინამდვილეს, — თამამად შეკურებს მომავალს. მისთვის უცნობია პესიმიზმი, რწმენის დაკარგვა, უიმედობა. „მსოფლიო სევდის ფილოსოფია ჩვენი ფილოსოფია არ არის, — აღნიშნავ ამხანაგი სტალინი; — და ისევდიანონ მამავლებმა და დრომებზეულებმა. ჩვენი ფილოსოფია საკმაოდ მოხდენილად გადმოსცა ამერიკელმა უიტმენმა „ჩვენ ცოცლები ვართ, დუღს აღისფერი ჩვენი სისხო დაუხარჯავი ძალების ცეცხლით“².

ამ შეიძლება პროლეტარული კლასი და მისი პარტია თრთონენენ მომავლის წინაშე: ეს მხოლოდ დრომოქმული, რეაქციული კლასების და პარტიების თამაზასიათებელი თვისებაა.

პროლეტარიატის კლასი, რომლის გამარჯვებაში უმნიშვნელოვანესი როლი გვთვალისწინობარი მისა.

Ցաշվես օ առա յրտեցլ օլնութեազգա, հռմ տյոռնուլ ձածնուսէնիրեցառ
ցալա՛չպարա Շըսօծլեցելու մեռլուր პրայրիցուլո ցնոտ, մեռլուր օլամիանու
პրայրիցուլո յեղացուս մշոնեցնու և հռմ ամուրոմ մատո ցալա՛չպարա սրուլու-
ճապ առ ֆարմուացցնես մեռլուր Շըմեցնենուս ամուրանաս, հռմլուս ցալա՛չպարա է
ծուրեցանուլմա ցուլուսուցնամ զըր Շըսէլու սթորեց օմուրոմ, հռմ ուս մասնու
մեռլուր տյոռնուլ օմուրանաս եցուազգա.

მარქსისა და ენგელსისათვის თეორია არ აჩვებობდა ოროვორც თვითმიზანი; მათ თეორიის საკითხი ორგანული დაუკავშირეს სოციალური განთავისუფლების საკითხს, მიუთითეს რა იმ კლასზე, რომელიც არა მარტო თეორიული სახევდა კლასობრივ წინააღმდეგობათა დაძლევის საკითხს, არამედ ძალაც შესწევდა პრაქტიკული გადაჭრა ეს წინააღმდეგობანი; ეს კლასი იყო პროლეტარიატი, ხოლო წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალების მიზანი.

ლება კი—მისი დიქტატურა, რაც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული განვითარებულ უნდა ყოფილიყო მიღწეული.

მარქსისტულ თეორიაში ასახვა პრინციპიალურად განსხვავდება მარქსიზმის ამდელი თეორიებისაგან, რომლებშიც წინა პლანზე იდგა მოვლენების მხოლოდ ახსნა, და არა რევოლუციური გარდაქმნის ამოცანა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია არ კმაყოფილდება „კრიტიკის იარაღით“, არამედ ემსახურება სამყაროს გარდაქმნის ამოცანას, სადაც წინა პლანზე დგება „იარაღით კრიტიკა“, პრაქტიკულ-რევოლუციური საქმიანობა, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს „კრიტიკის იარაღი“, ე. ი. თეორიული საქმიანობა.

მარქსისტული თეორია თავისთავში იერთიანებს მეცნიერულობას რევოლუციურობასთან. ამ აზრით წერდა ლენინი, რომ მარქსიზმი „...უმაცრეს და უმაღლეს მეცნიერულობას (როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას) იერთიანებს რევოლუციონერობასთან, და იერთიანებს არა შემთხვევით, არა მარტო იმიტომ, რომ დოქტრინის დამფუძნებელი პირადად მეცნიერიც იყო და რევოლუციონერიც, არამედ იერთიანებს თვით თეორიაში შენაგნად და განუყრელად“¹.

ჩვენი თეორია დასაბუთებულია მეცნიერულად, აგებულია მეცნიერებაზე; სწორედ ამიტომ ყოველი შეცდომა დაშვებული თეორიის დარგში, რა გინდ უმნიშვნელოდაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი,—თუ დროშე არ იქნება შემჩნეული და გამოსწორებული,—აუცილებლად იწვევს შეცდომის დაშვებას პრაქტიკულ საქმიანობაში. ისტორიამ არ იცის სხვა მეორე შემთხვევა ასეთი ორგანული კავშირისა თეორიისა და პრაქტიკის შორის. პრაქტიკა უყვენებს თეორიის ზედმიწევნით სიზუსტისა და სისწორის მოთხოვნილებას.

ამით იხსნება ის გარემოება, რომ მარქსისტული პარტიის თეორიული საქმიანობა უაღრესად შეურიგებულია. იგი ვერ ითმენს ამ სფეროში თუნდაც უმნიშვნელო კომპრომისსაც კი. მაღალი პრინციპულობისა და პარტიულობის დაცვის პირობებში ჭარმოებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარება.

მარქსისტული ფილოსოფიური შეხედულებანი, პოლიტიკური თეორიები შეადგინდნენ ერთეულების კუთვნილებას,—ატარებდნენ პვრეტით ხასიათს, უგულებელყოფლნენ ხალხთა მასების როლს, მოწყვეტილი იყვნენ პრაქტიკისაგან, რაც დაღს ასვამდა თვით თეორიის—არ აძლევდა მას დასრულებულ მეცნიერულ სახეს.

საზოგადოება, რომელიც ვითარდებოდა სტიქიურობის საფუძველზე, აღარ საჭიროებდა თეორიის, შეგნების გარდაქმნელ ზემოქმედებას.

სულ სხვა როლი დაეკისრო თეორიას სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც უკვე მოხდა ნახტომი აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში, სადაც დაიწყო კაცობრიობის ნამდვილი ისტორია.

დიდი ხნით იდრე სოციალიზმამდე, სადაც პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეგნებულობამ დაძლია სტიქიურობა, — ერთი საზოგადოებრივი

ფორმაციიდან,—კაპიტალიზმიდან გადასვლა სოციალიზმში უაღრესად შემნახული იყო რევოლუციური მოძრაობის თეორიით აღჭურვის გარეშე. სწორედ ამ გადასვლისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო რევოლუციური თეორია.

ბარქსისტული პარტიის ბელადების დაუცხრომელი სურვილი—შეერთებინათ მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი, აიხსნება იმით, რომ პროლეტარული კლასის მოძრაობის სასიცოცხლო ამოცანები რეინისებური აუცილებლობით კარნახობდნენ მასების მიერ თეორიის დაუფლებას.

„არაა საკმარისი, რომ აზრი განამდვილებისაკენ ისწრაფვის,—თვითონ სინამდვილე თავად უნდა ისწრაფვოდეს აზრისაკენ“¹.

მარქსის ეს გენიალური დეპულება შეიძლება ასე გამოვხატოთ: პროლეტარულ მასებს არ შეუძლიათ იარონ ალაბედზე, ბრძალ, შემთხვევიდან შემთხვევამდე; თვითონ სინამდვილე, მუშათა მოძრაობა, მასების პრაქტიკული მოძრაობა მოითხოვს თეორიით აღჭურვას.

აქ არის პრაქტიკისა და თეორიის შეხვედრის პუნქტი. პარტია თავისთვითობით და ტაქტიკით ახორციელებს ამ ერთიანობას.

შრომიაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ამხანაგი სტალინი მატერიალურ მხარეს, გარეშე პირობებს, მდგომარეობას შინაარსად სოვლის, ხოლო იდეურ მხარეს, შეგნებას კი—ფორმად.

ამის შესაბამისად მუშათა მოძრაობის ობიექტური პროცესები შეიძლება შინაარსად ჩაითვალოს, ხოლო მისი ასახვა მუშათა კლასის საზოგადოებრივ ცნობიერებაში—ფორმიდ.

წარსულში, ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების გამარჯვება იწყებოდა შინაარსის შეცვლით, მდგომარეობის შეცვლით, სადაც ფორმა, კლასობრივი თვითშეგნება, საერთოდ თეორია არ თამაშობდა გადამწყვეტ როლს.

არსებითი, შინაარსეული ცვლილებები ხდებოდა ზელანშენის, იდეოლოგიის, თეორიის უმნიშვნელო, თითქმის შეუმნიჩველი ზემოქმედების პირობებში.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ კლასებს არ სჭირდებოდა დახმარებისათვის მიემართოთ თეორიისათვის. როგორც ამას ენგელსი აღნიშნავს „ლუდვიგ ფეირბაში“, თეორიაში რევოლუციები წინ უძლოდნენ პოტიურ რევოლუციებს.

მაგრამ საქმე ხარისხს და უმთავრესად ხარისხში.

თეორიის, შეგნების, ასახვის როლი პრინციპიალურად იცვლება პროლეტარული კლასის და მისი პარტიის მოღვაწეობაში.

აქ თეორია აღარ წარმოადგენს მოვლენების უბრალო კატალიზატორს, არამედ გამარჯვების ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობათაგანს.

ბურჟუაზიულ კლასს იმისათვის, რომ დაამხოს კაპიტალიზმი, სრულებრივ სჭირდება სტრატეგიისა და ტაქტიკის მეცნიერების შექმნა, რადგან საზოგადოებრივი პროცესები მაინც გამარჯვებას მას არგონებდნენ, რამდენიმე მის ხელშია ეკონომიკური ძლიერება, რაც ფეოდალიზმის დახსნერების პროცესში ერთ-ერთი მთავარი ბერკეტის როლს ასრულებს.

პროლეტარიატი და მისი პარტია ქმნიან სტრატეგიისა და ტუტიფროჭის მწყობრ მეცნიერებას, რაც დიალექტიკური მატერიალიზმის, საერთო ურთის რის მკვიდრ საფუძველზეა აგებული.

კოველივე ზემოთქმულიდან არამც და არამც არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს პროლეტარული მოძრაობა შეუძლებელი იყოს თეორიით შეიარაღების გარეშე.

მარქსიზმის კლასიკოსებს არასოდეს არ უარყვიათ, რომ ობიექტურ პროცესებს, მუშათა სტიქიურ მოძრაობას შეიძლება მოყვეს სოციალური რეეთლუცია. „რდესმე, კარგა ხნის მერე, ეკონომიური განვითარება აუცილებლად მიიყვანს მუშათა კლასს სოციალურ რევოლუციასთან და მაშასადამე, ყოველივე კავშირს შეაწყვეტინებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან“¹. მაგრამ ეს ხომ საძნელო გზაა პროლეტარებისათვის, რომელისთვისაც სულ ერთი არ არის ახლო ხანში მიაღწევენ მიზანს, თუ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, ადგილად თუ გაჭირვებით.

ჩვენს ქვეყნაში ბოლშევიკურმა პარტიამ დააჩქარა ყოველგვარი ჩაგვრისაგან მშრომელთა მილიონების განთავისუფლება, დააჩქარა სოციალიზმისა და სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მოძრაობის პროცესი.

მეორე მხრივ მრავლად მოგვეპოვება იმის მაგალითები, თუ როგორ კნინდება მუშათა მოძრაობა, თუ იგი ბურჟუაზიული იდეოლოგიის, სტიქიურობის თეორიის ტყვეობაშია მოქცეული.

თუ კი დღემდე, ვთქვათ, ინგლისის პროლეტარიატს თავი ვერ დაუღწევია ექსპლოატაციის მძიმე უღლისაგან, კვლავინდებურად უმუშევრობისა და სიმშილის რეალშია მომწყვდეული, ეს მხოლოდ ტრედუნიზმის, მემარჯვენე სოციალისტების წყალბით, რომელთაც გზა გადაუღლობეს ინგლისის პროლეტარიატის შეიარაღებას რევოლუციური თეორიით და ამით ინგლისის მერიალიზმი გადაარჩინეს დაღუპვას.

სოციალ-დემოკრატია, რომელიც ფაშიზმის ანტიპოდს კი არ წარმოადგენს, არამედ მისი ტყუპია, — დიდი ხანია იქცა ბურჟუაზიის აგენტურად მუშათა კლასში.

მემარჯვენე სოციალისტები შეუერთდნენ იმპერიალიზმის ფრონტს. ისინი ემსახურებიან ფინანსური კაპიტალის, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტურ რეაქციული წრეების ინტერესებს.

მემარჯვენე სოციალისტებს ამოძრავებას სიძულვილი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი, ყოველივე პროგრესულისადმი, სიძულვილი მშრომელი მასებისადმი. ისინი ამაოდ ცდილობენ ისტორიის ჩარხის უკულმა შეტრიალებას, დალუბვისაგან იმპერიალიზმის გადარჩენას; კომუნისტები და მუშათა პარტიიები, შეიარაღებული ლენინიზმის ძლევამოსილი თეორიით, პროლეტარულ მასებს და გის მრავალრიცხვოვან რეზერვებს ამზადებენ კაპიტალთან გადამწყვეტი ბრძოლებისათვის, რაც უკვე მიღდინარეობს, რამდენადაც იმპერიალიზმი პოზიციას პოზიციაზე კარგავს.

¹ ი. ბ. სტალინი, თბილებანი, ტ. I, გვ. 101.

მსოფლიო კომუნიზმისაკენ მოძრაობა გარდაუვალი პროცესისათვის ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც ყველა გზებს კომუნიზმისაკენ მიღწეული იყო (მოლოოვი). მაგრამ ეს ძლევამოსილი მოძრაობა არ წარმოებს თვისისთვის, ავტომატურად, თვითდინების წესით.

მსოფლიოს რევოლუციურ მოძრაობას, სოციალიზმისა და დემოკრატიის აურაცხელ ძალებს, რომელთაგანაც გადამწვეტ ძალას საბჭოთა კავშირი შეადგინს, ყველა მიმერვება მოეპოვება იმისათვის, რათა ალგორითმის ჩავალის შევმოვარობის მაღალი ძალები.

მაგრამ იბივეტური პირობები, შესაძლებლობები — ჯერ კიდევ არ არის სინამდვილე. შესაძლებლობა რომ სინამდვილედ იქცეს, საჭიროა შეუნელებელი, განუხრელი ბრძოლა მსოფლიოს ყველა ქვეყნებში მუშათა მოძრაობის რევოლუციური, ლენინურ-სტალინური თეორიის საფუძველზე წარმართვისათვის, მუშათა კლასის ერთიანობისათვის.

ამ ამოცანას წარმატებით ახორციელებენ მოძმე კომისარები, რომელთაც გზას უშესებს ლენინ-სტალინის დიალი მოძღვრება, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმისაკენ, ხოლო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმისაკენ მოძრაობის დამაჩქრებელი მოძღვრება.

პროლეტარული მოძრაობის ახლებური პირობები განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს, თეორიას. თუ კი წინათ, წარსულში, მარქსამდელ ფილოსოფიაში თეორიის სრულყოფილობის კრიტიკიუმად ცხადდებოდა მისი აბსოლუტური ნასიათი, ყოვლის შემცველებელ, საბოლოოდ დასრულებულ სისტემათა შექმნა — ეს სრულებით არ შეაღვენდა მარქსისტული თეორიის მიზანს.

თეორია, რომელიც ცდილობდა მოეცა მხოლოდ საბოლოო, უცვლელი, ამომწურავი დებულებაზი, — არ გამოდგებოდა სამყაროს რევოლუციურად გარდაქმნის საქმეში.

პირიქით, პროლეტარული კლასის თეორია არ წარმოდგენს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ დებულებათა უბრალო ჯამს, არამედ იგი იცვლება ცოცხალი სინამდვილის, პრაქტიკის შეცვლასთან ერთად. ამის გარეშე თეორიას აღარ შეუძლია უხელმძღვანელოს პრაქტიკულ მოძრაობას. მოძრაობის ძირითადი პრინციპების უცვლელობის პირობებში პარტიის თეორია იცვლება, ახალი შინაარსით იცემდა. სოციალური მოვლენები რთულია; აქ თეორიას და პროგრამას არ შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ განვითარების ყოველი ზიგზაგი. მარქსისტული თეორია ვითარდება და მდიდრდება ახალი პრაქტიკის პირობებში. ყოველი თეორია უკეთეს შემთხვევაში გვისახავს ძირითადს, უმთავრესს.

როდესაც ლენინი 1917 წლის პრილში ხანგრძლივი ემიგრაციიდან რუსეთში დაბრუნდა, აღნიშნავდა, რომ ორხელისუფლებიანობა ისეთს თვისისბურებას შეადგენდა, რის წინასწარ თეორიულად გათვალისწინება შეუძლებელი იყო. უკვე აღარ შეიძლებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთვრების საკითხის ტელებურად დასმა. ძველი ფორმულა „უკვე მოძეველი, ცხოვრებამ იგი ფორმულების სამყაროდან სინამდვილის სამყაროში შეიტანა, შეასხა მას სისხლი და ხორცი, კონკრეტულად ჩამოაყალიბა და მით სახე შეუცვალა“.

რევოლუციურ მოქმედებას ლენინი და სტალინი წარმოიღენდნენ ცუკი-
ხალ საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლად, სადაც წინასწარ შეუძლებელობა ყველ-
ა დეტალის გათვალისწინება. პარტია სახავს რა თეორიულად მო-
რიანობის საერთო პერსპექტივის, წინასწარ არ იძლევა ყველა ტაქტიკური ნა-
ბიჯის დახასიათებას. „...რამდენადაც აქ საქმე ეხება არა ზოგად თეორიულ
წინასწარ განცემებას, არამედ უშუალო პრაქტიკულ ხელმძღვანელობას —,
მმართველ პარტიას, რომელიც ხელისუფლების საჭესთან დგას... შესაძლებლობა
არა აქვს მაშინვე შეამჩნიოს ცხოვრების სილრმეში მიმღინარე პროცესები“¹.

სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს არა ჩამორჩენასთან ჩვეულებრივი გაგებით,
არამედ პროცესის გააზრებასთან, განვლილი ნაბიჯების ანალიზთან, აწმუნა-
და მომავლის ამოცანებში გარკვევასთან, რაც შესაძლებელია მხოლოდ პრაქ-
ტიკისთან მცირდო კავშირის პირობებში.

„... საქმე აქ ჩამორჩენა არ არის, არამედ ის, რომ გავიგოთ მოვლე-
ნათა აზრი, ახალი პროცესების აზრი და მერე მოხერხებულად ვმართოთ
ესინი განვითარების საერთო ტენდენციის შესაბამისად“².

მარქსისტულ-ლენინური თეორიის მარტგანიზებელი, დამრაზ-
მავი და გარდა მქმნელი მუშაობის გარეშე შეუძლებელი იყო პროლეტა-
რიატისა და მშერომელი ხალხის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია გაადა რა ხალხის მასების კუთვნილებად,
მან გააღვილა ბრძოლა საზოგადოების მომაკვდავი ძალების წინააღმდეგ, ამა-
ლი საზოგადოების შენება.

მხოლოდ მარქსისტული პარტიის თეორიასა და პრაქტიკაში ნამდვილ გა-
დაწყვეტას ჰპოლობენ ისეთი საკითხები, როგორიცაა აუცილებლობისა და
თავისუფლების, ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთდამოკიდებულება.
თავისუფლების, მნიშვნელოვანი საკითხებია, რომ სცილდება ჩვენი მოხ-
ეს იძლენად დიდი და მნიშვნელოვანი საკითხებია, რომ სცილდება ჩვენი მოხ-
ეს სენების ფარგლებს. იგი საგანგებო ვრცელი მონოგრაფიების კვლევის საგან-
გენის ფარგლენს, რის დაძლევა საბჭოთა ფილოსოფოსების კოლექტიური, ხანგრძლი-
ვი კვლევის შედეგად შეიძლება მიღწეულ იქნეს.

მარქსიზმი ბოლოს უდებს აუცილებლობის და თავისუფლების გათავას,
ობიექტურისა და სუბიექტურის დაპირისპირებას.

მეცნიერული სოციალიზმის თეორია ისტორიულ განვითარებას იხილავს,
როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს. მარქსიზმის თეორიამ აღიარა, რომ
გარდაუვალია ბურეუაზის დამზობა, ხელისუფლების აღება პროლეტარიატის
მიერ, გარდაუვალია სოციალიზმის, კომუნიზმის აშენება, მსოფლიო კომუნის-
ტური მოძრაობის გამარჯვება.

მაგრამ პროლეტარული პარტია არ ქმაყოფილდება აუცილებლობის უშრო-
ლო აღიარებით. პარტიამ თეორიის მეცნიერული მონაცემების საფუძველზე,
აგრეთვე მოცემული ქვეყნის შეინით ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებ-

¹ ი. ბ. სტალინი, თბილებანი, ტ. 6. გვ. 44—45.

ბის გათვალისწინებით, მსოფლიო ვითარების გათვალისწინებით უნდა. შევძლება შეას მოძრაობის ნათელი პროგრამა.

მარქსისტულ-ლენინური პარტიის პროგრამა, გამოდის რა თეორიის მონაცემებიდან, განსაზღვრავს პროგრამის პუნქტებში მეცნიერულად ფორმულირებულ პროლეტარული მოძრაობის მიზნებს.

„პროგრამა... არის მუშათა კლასის ბრძოლის შიზნებისა და ამოცა-ნების მეცნიერულად ჩამოყალიბებული მოქლე გადმოცემა. პროგრამა განსაზღვრავს როგორც პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის საბოლოო მიზანს, ისე იმ მოთხოვნებს, რომლებისთვისაც იბრძვის პარტია საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე“¹.

არ შეიძლება თეორიის, პროგრამის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ერთ-მანეთისაგან დაშორება, მათ შორის ჩინური კედლის აღმართვა; ისინი დროში და სივრცეში განუყოფელნი არიან. „განსხვავება პროგრამასა და ტაქტიკას შორის ძნოლოდ შედარებითია“². „არის საკითხები, სადაც პროგრამა უახლოედება ტაქტიკას და კიდევ გადადის მასში“³.

პროგრამა გვიჩვენებს იმას, თუ რა უნდა იქნეს შესრულებული; იგი ემყარება მოცემულ მომენტში კლასობრივი ბრძოლის მიმღინარეობის ანალიზს. იგი უნდა იყოს თავისებური აზრით პირველადი, რათა გააშუქოს მთელი სოციალური ბრძოლის ფრონტი მთლიანად.

პარტიის VII ყრილობაზე აკრიტიკებდა რა გარეწარ ბუხარინის ყალბს შესტორულებას, რომ პროგრამიდან უნდა ამოელოთ ის, რაც კაპიტალიზმის პირველ საფეხურებს შეეხმარდა, ლენინი აღნიშნავდა, რომ საკითხის ასეთ დაყენებას აუცილებლად მოყვება მოძრაობის მიზნის დაკარგვა, რადგან არ შეიძლება პროგრამა პირდაპირ დაწყებულ იქნეს იმპერიალიზმის ანალიზიდან და არაფერი ვთქვათ სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაზე.

ლენინი აღნიშნავდა, რომ ისტორიული განვითარება მიმღინარეობს არა სწორაზობრივად, არამედ ზიგზაგებით; ამ ზიგზაგებში რომ არ დავიბნეთ, უნდა გვქონდეს საერთო პერსპექტივი, რათა ხელისგულივით ვხედავ-დეთ კაპიტალიზმის განვითარების მთელ გზას.

„იმისათვის, რომ ისტორიის ამ ზიგზაგებში, ტეხილებში არ დავიბნეთ და შევინარჩუნოთ საერთო პერსპექტივა, რომ დავინახოთ წითელი ზოლი, რაიც აკავშირებს კაპიტალიზმის მთელ განვითარებას და მთელ გზას სოციალიზმისაკენ, გზას რომელიც ჩვენ, ბუნებრივია, წარმოდგენილი გვაქვს, როგორც სწორი და ჩვენ იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სწორი, რათა დავინახოთ დასაწყისი, გაგრძელება და ბოლო,—ცხოვრებაში იგი არასოდეს სწორი არ იქნება, იგი არაჩვეულებრივად რთული იქნება“⁴.

სიცადე, მკაფიობა—აი ძირითადი თვისება ლენინ-სტალინის პარტიის საბრძოლო პროგრამისა. პროგრამა ვალდებული იყო ნათლად წარ-

¹ საკ. კ. ბ. (ბ) ისტორიის „მოქლე კურსი“. გვ. 47.

² ლენინი, თხელებანი ტ. IX, გვ. 62 რუს. III გამოცემა.

³ ლენინი, ტ. XV, გვ. 420, ქართ. გამოც.

⁴ ლენინი, ექსტრომეული, ტ. IV, გვ. 633 ქართ. გამოც.

მოედგინა მთელი გზა კაპიტალიზმიდან სოციალიზმამდე, კომუნიზმამდე. მთელი მოძრაობა მისი დასაწყისიდან საბოლოო მიზნამდე. მიზნის გარეშემოწვევის კი აიარალებდა პარტიის უდიდესი რწმენით თავისი საქმის გამარჯვებისადმი.

პროლეტარიატის მოძრაობას ის თავისებურება მოეპოვება, რომ ის ვერ შეჩერდება შუა გზაზე, იგი აწარმოებს სამკედლო-სასიცოცხლო ბრძოლას ხელისუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვებისათვის, ხოლო დიქტატურის მოპოვების შემდეგ, რევოლუციის მონაპოვართა განწრიყიცებისა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის დაჩქარებისათვის.

პროლეტარიატს არ შეეძლო ებრძოლა თავისი საბრძოლო მიზნის წინას წარ დაუსახავად; პროლეტარული მოძრაობა მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებდა, თუ კი ის ყოველდღიური ბრძოლით არ დაკმაყოფილდებოდა და უასლოეს მიზნებს გაარჩევდა საბოლოო მიზნისაგან, იბრძოლებდა ამ საბოლოო მიზნისათვის. ვინც იბრძოდა ყველაფრისათვის, მთლიანი გამარჯვებისათვის, მას არ შეეძლო მხედველობაში არ ჰქონდა, რომ დროებითმა მიღწევებმა არ უნდა შეაჩეროს მოძრაობა საბოლოო მიზნისაკენ, რადგან საბოლოო მიზნის გარეშე მცირე უმნიშვნელო მიღწევანი ყველგვარ აზრს დაკარგავდნენ.

ლენინი და სტალინი მოითხოვდნენ, რომ პროგრამა არ ყოფილიყო გადატვირთული უახლოესი ნაბიჯების დეტალური გარჩევით. ცნობილია, თუ როგორ გაამათრახა ლენინმა „ჩრდილოეთის კავშირის“ პროგრამა იმისათვის, რომ მასში სხვა შეცდომებთან ერთად პროგრამულ საკითხებში არეული იყო ტაქტიკის საკითხები. მოპყავდა რა ამ პროგრამიდან ცალკე მუხლები, სადაც ლაპარაკი იყო მოძრაობის ტაქტიკურ ნაბიჯებზე, ლენინი აღნიშნავდა, რომ ტაქტიკური საკითხები ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი. ასევე, პლენარული მიერ წარმოდგენილი პროგრამის მეორე პროექტის კრიტიკისას ლენინი აღნიშნავდა, რომ დაუშვებელია პროგრამის გადატვირთვა სხვადასხვა კომენტარებითა და წერილმანებით, რადგან ყველაფერი ის, რაც ზედმეტი იყო პროგრამაში, ამცირებდა მის როლს.

ლენინი ამ შემთხვევაში ემყარებოდა ფრ. ენგელსის შენიშვნას ერთურტის პროგრამაზე, სადაც „ენგელსი ხაზს უსვამდა, რომ „ყველაფერი, რაც ზედმეტია პროგრამაში, ასეუსტებს მას“¹.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბოლშევიკები პროგრამაში სეამდნენ მხოლოდ საერთო და ზოგად საკითხებს? ცხადია, რომ არა. ამაში დაგვარუშებუნებს პლეხანვის მიერ წარმოდგენილი პროგრამის პროექტის ლენინური კრიტიკა. ლენინის თქმით, პლენარული მიერ წარმოდგენილი, პარტიის პროგრამის მეორე პროექტი არარებდა „მოწაფურ“ ხასიათს; ნაცვლად იმისა, რომ მოეცა რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების დაწერილებითი ანალიზი, პლენარული ხასიათის მითითებით; პროგრამის პროექტში არ იყო რუსეთის კაპიტალიზმის დახასიათება, მასში სიტუაც კი არ იყო დაძრული რევოლუციის ძირითად საკითხზე—პროლეტარიატის დიქტატურაზე; ცხადია, ასეთი

¹ ის. ლენინი, თხულებანი ტ. V, გვ. 19, III გამოც.

პროგრამა საფუძვლად ვერ დაედებოდა პროლეტარული პარტიის ბრძოლების დამსახურების მოღვაწეობას.

ნათელი მიზნის გარეშე წარმოუდგენელია რევოლუციური მოძრაობა; მაგრამ თეორიისა და პროგრამის მიერ დასახული მიზანი ჯერ კიდევ არა განხორციელებული სინამდვილე. მიზანი და სახულობა მხოლოდ დასაწყისია, მართალია, ფრიად დიდმნიშვნელოვანი დასაწყისი.

მიზანი დასახული თეორიისა და პროგრამის მიერ შემდგომ განვითარებას და რეალიზაციას ჰქონდობს პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკაში; თავისი მხრივ სტრატეგიული მიზნების შემდგომი კონკრეტიზაცია წარმოებს რევოლუციური პრაქტიკის სფეროში.

პოლიტიკური სტრატეგიის ამოცანა უწინარეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ მარქსიზმის თეორიისა და პროგრამის მონაცემებზე დაყრდნობით და ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების გათვალისწინებით სწორად განსაზღვროს მოცემული ქვეყნის პროლეტარული მოძრაობის შერიცხვითადი მიმართულება მოცემული ისტორიული პერიოდისათვის.

სტრატეგიამ უნდა დაგეგმოს მთავრი დარტყმა მოწინააღმდეგზე, პროგრამით ნაკარნახევი მიზნის მისაღწევად. სტრატეგიის გეგმა არის გადამწყვეტი დარტყმის მოწყობის გეგმა იმ მიმართულებით, რომელშიც დარტყმა იძლევა ყველაზე მეტ დადებითს შედეგს.

სტრატეგია ანგარიშს უწევს და ამოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური პროცესებიდან. სტრატეგიამ მაქსიმალურად ხელი უნდა შეუწყოს მოძრაობის პროგრამული მიზნების განხორციელებას.

პარტიის სტრატეგია სწორედ იქითვენ იყო მოწოდებული, რომ დაეჩარებინა ძველი სამყაროს დალუბეა და ახალის აღმოცენება, გაუაღვილებინა და შეემოკლებინა გზა კაპიტალიზმიდან სოციალიზმად.

პროგრამა და თეორია გარკვეულ მაზანს უსახავენ სტრატეგიის, მაგრამ არ შეიძლება უშუალოდ პროგრამიდან დედუქტიის გზით სტრატეგიის და ტაქტიკის გამოყვანა, მოძრაობის ყველა ზიგზაგების გათვალისწინება.

პროგრამა — წერს ლენინი, — განსაზღვრავს საერთო, ძირითად, მუშათა კლასის სხვა კლასებთან დამოკიდებულების საკითხს, — ტაქტიკა კი კერძო და დროებით დამოკიდებულებას¹.

პროგრამას არ შეუძლია ასახოს და სრულიად არაა გაღლებული იცოდეს მოძრაობის ყველა წვრილმანი, ყველა კონკრეტული ფორმა. სინამდვილეში პროგრამისა და თეორიის კონკრეტიზაცია წარმოებს თვით ცხოვრებაში, მათი განხორციელებისას, სადაც არსებითთან, ძირითადთან, აუცილებელთან ერთად მოცემულია არა არსებით, აუნება კონკრეტულიცა და აბსტრაქტულიც, მოვლენაც არის და არსებოც, მყისიცა და მიმართებაც².

ყოველგვარი მიზანი, რაც არ უნდა კონკრეტული და ცხადი იყოს იგი, ყოველთვის გამოხატავს მხოლოდ განვითარების საერთო ტენდენციას. პოლი-

¹ ლენინი, თხზულებანი ტ. IX, გვ. 68, III რუსული გამოც.

² ლენინი, ფილოსოფ. რეალიზმი, გვ. 199.

ტრიუმ სტრატეგიაში კი მარტო მიზნის დასახვა ჯერ კიდევ არაა საქმარისი, თუ არ მივუთითებთ მის განხორციელებისათვის საჭირო პირობებზე მარტივი ჯერ კიდევ არაა გეგმა. მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიტიკური ბრძოლის მიზანი უკვე ცხადია, ამ პირობების სტრატეგიული გეგმის არსი მდგომარეობს მთავარი დარტყმის მიმართულების გამომუშავებაში.

სტრატეგიული დარტყმის მიმართულება უპირველესად ყოვლისა პასუხობს სკიოთხებს, თუ რა გზით შეიძლება განახორციელოს სტრატეგიამ თეორიისა და პროგრამის მიერ დასახული მიზანი. პოლიტიკურმა სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს განსხვავება გამარჯვების გადამწყვეტ და მეორეხარისხოვან პირობათა შორის, რადგან წარმატებას მთავარ ფრონტზე თამამად შეუძლია დაჰუროს ნაკლოვანება ბრძოლის მეორეხარისხოვან ფრონტებზე.

ბუნებრივად ისმება ახალი კიოხება, თუ როგორ უნდა გავიგოო სტრატეგიული დარტყმის მიმართულების არჩევა; ცხადია, სტრატეგიულ გეგმაში ირჩევენ იმ მიმართულებას, რომელიც უკეთესად, კეშმარიტად, სწორად ასახავს სინამდვილეს, რომელიც აადვილებს უმიკლესი გზით მიზნის მიღწევას. მაგრამ სტრატეგიული „დარტყმის მომენტს მოვლენები კი არ მოგვახვევენ თავს, არამედ მართლაც შეარჩევს პარტია“¹.

თავისუფალი მხოლოდ მაშინაა ჩვენი ნება, როდესაც ის განსაზღვრულია, როდესაც ის ანგარიშს უწევს ობიექტურ გარემოებას, როდესაც ის ემყარება სინამდვილეს. ისტორიული სუბიექტი, განსახიერებელი კლასში და მის პარტიაში, მხოლოდ მაშინ აღწევს წარმატებას წარმატებაზე, თუ კი მისი ნებასურვილი ემთხვევა ისტორიულ აუცილებლობას.

ჰარტია, ირჩევს რა მრავალ შესაძლებლობიდან სტრატეგიული დარტყმის ერთ მიმართულებას, ასრულებს აუცილებელი ისტორიული პროცესის დამჩქარებლის როლს. გადასვლა „აუცილებლობის სამეფოდან“ „თავისუფლების სამეფოში“ არ წარმოებს ავტომატურად, ჩვენი აქტიური ჩარევის გარეშე; პირიქით, შევიმცნებთ რა პოლატიკაში ამა თუ იმ ნაბიჯის აუცილებლობას, ჩვენ უნდა ვიზრობოთ ცხოვრებაში მისი გატარებისათვის.

უსაფუძვლო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ თითქოს ყველა შესაძლებელი გზა და საშუალება დასახული მიზნის განსახორციელებლად გონივრული ყოფილიყო და ნამდვილი, მაშინ, როდესაც სწორი და გამართლებული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი მიმართულება, მხოლოდ ერთი გადამწყვეტილება.

ამხანაგმა სტალინმა გენიალურად უჩენენა, რომ მიუხედავად ამ დიდი რაღიასისა, რაც მოეპოვება პოლიტიკურ სტრატეგიას, უკანასკნელი მაინც შემოფარგლულია გარკვეული ჩარჩოებით:

„მოძრაობის დაქარება თუ შენელება, მისი გაადვილება თუ შეფერხება, — ასეთია პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენების სფერო და ფარგლები“².

მარქსიზმ-ლენინიზმი კი არ უპირდაპირებს ერთიმეორეს თავისუფლებას და აუცილებლობას, არამედ მათ განიხილავს დიალექტიკურ ერთიანობაში.

¹ ი. სტალინი, თხზულებან, ტ. 5, გვ. 81.

² ი. სტალინი, რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის სკიოთხისათვის: თხზულებანი ტ. V, გვ. 178.

მარქსიზმის თანახმად წარმოუდგენელია ისეთი თავისუფლება, რომელიც კავშირის წილში არ შეიცავდეს აუცილებლობას, რომელიც არ ამოღილდეს მბიჯებური სინამდვილის ანალიზიდან. სკრობენ რა სუბიექტური ფაქტორის უდიდეს როლს კაცობრიობის განვითარებაში, ამით მარქსისტები სრულებათ არ უარყოფნ ისტორიული კანონმიერების აუცილებლობას. კაცობრიობა, როგორც ამის აღნიშვნავს მარქსი, ყოველთვის მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაჭრა მას შეუძლია, ვინაიდან, თუ დავუკეთდებით, ყოველთვის ვნახავთ, რომ თვით ამოცანა მხოლოდ მაშინ წამოიქობა, როდესაც მატერიალური პირობები მისი განხორციელებისათვის უკვე სახეზეა, ან ყოველშემთხვევაში წარმოშობის პირობებში იმყოფება.

სუბიექტური ფაქტორის როლისა და მნიშვნელობის კიდევ უურო გაზრდა მუშათა კლასის და მშრომელების თანამედროვე ბრძოლაში აუცილი წუთით არ ამცირებს ობიექტურ პირობათა მნიშვნელობას; პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სათანადო ობიექტურ პირობათა არსებობა აძლევს უდიდეს გასეანს სუბიექტურ ფაქტორს.

„ადამიანის მიზნები, აღნიშვნავს ლენინი, ნამდვილად წარმოშობილია ობიექტური სამყაროს მიერ და მას გულისხმობენ, როგორც მოცემულს, როგორც ხელშესახებად არსებულს. მაგრამ ადამიანს ეჩვენება, რომ მისი მიზნები აღებულია სამყაროს გარეშე, სამყაროდან დამოუკიდებელია („თავისუფლება“)¹.

ამრიგად, საკითხი თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ერთადერთ სწორ გადაწყვეტის პოლშევიკურ პარტიაში პროგრამისა და სტრატეგიის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხში.

პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში ამა თუ იმ სტრატეგიული დარტყმის მიმართულება განისაზღვრება აუცილებელ ისტორიული ტენდენციებით, მაგრამ პარტია არჩევს, აღმოაჩენს და ახდენს ბრძოლის ორგანიზაციას იმ მიმართულებით, რომელიც აჩქარებს ჩვენს მოძრაობას დასახული პროგრამული მიზნისაკენ.

ბოლშევიკებისათვის უცხო იყო სინამდვილისაღმი, როგორც მონური მორჩილება და პასიური შემგუებლობა, ასევე „საპარტიო კომიტეტის“ იშენება და ფანტასტიკური გეგმის თხზვა. ბოლშევიკებმა დაასამარტინო როგორც ნარიდნიკულ-ესერული სუბიექტივიზმი, ასევე მენშევიკურ-ბუშუაზიული „ობიექტივიზმი“.

სუბიექტური ფაქტორის, კერძოდ პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის გაქანება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოვალოიცხვანი მასები არიან ჩაბმული მოძრაობაში.

იმისღა მიხედვით, მიჰყვება თუ არა იგანგარდს პარტიის მილიონიანი მასები, იცვლება ლოზუნგების ხასიათი. საპროპაგანდო ლოზუნგიდან გა-

¹ ლენინი, ფილოსოფ. რევულები, გვ. 182.

დავდივართ აგიტაციის ლოზუნგზე, აქედან—მოქმედების ფონზუნგზე დირექტივაზე;

ამ გადასვლის ძირითადი შინაარსი ერთია: პარტიის ლოზუნგის გადაქცევა ლოზუნგად მასებისათვის.

აქ ჩევნ განსაყუთრებით გვაინტერესებს ერთი საკითხი, თუ როგორ ხდება ამ შემთხვევაში თავისებური მოძრაობა თეორიიდან პრაქტიკისაკენ, ამოცანიდან, რომელსაც თეორია უსახავს მოძრაობას, მისი განხორციელებისაკენ.

ლოზუნგი ძირს თვითმპურობელობა—აღნიშნავს სტალინი,—გასული საუკუნის ოთხმოციან წლებიდან რესეტ-იაპონიის ომამდე, შეადგენდა პროპაგანდის ლოზუნგს, ვინაიდან მას მიზნად პქნიდა პარტიის მხარეზე გადმოყვანა ყველაზე უფრო გამოწრობილი და მტკიცე მებრძოლთა ერთეულები და ჯგუფები.

1904—1905 წლებში ეს ლოზუნგი აგიტაციის ლოზუნგად იქცა, ვინაიდან იგი უკვე მიღინდებით მშრომელთა მასების მიმხრობას ისახავდა მიზნად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინაპერიოდში იგი ჯერ მოქმედების, ხოლო რევოლუციის დღეებში პარტიის დირექტივად იქცა.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ პროპაგანდის ლოზუნგის არევა მოქმედების ლოზუნგში ისევე სახიფათოა, როგორც სახიფათოა ნაადრევი ან დაგვიანებული გამოსვლა.

ახლანდელ ვითარებაში, როდესაც ბოლშევიკური პარტიის ძალა და ავტორიტეტი ხალხთა მასების თვალში განუზომლად გაიზარდა, პარტიის მოწოდება ძალიან სწრაფად ეუფლება მასებს, იქცევა მასების მოწოდებად, ცხადია გარკვეული საორგანიზაციო მუშაობის ჩატარების შემდეგ.

მაგრამ ასე არ იყო იმ პერიოდში, როდესაც პარტია ჯერ კიდევ სუსტი იყო, წარმოადგენდა თვითმარ ძალის, როდესაც ჯერ კიდევ ძნელი იყო მუშათა და გლეხთა მიღინდინი მასების გადმოყვანა პარტიის მხარეზე.

დეინი და სტალინი არაერთხელ უთითებდნენ, რომ პოლიტიკას საქმე ქვეს არა ერთეულებთან და ათასებთან, არამედ მასების მიღიონებთან პოლიტიკა იწყება იქ, სადაც ხალხთა მიღინდებია.

სუბიექტური ფაქტორის როლი და მნიშვნელობა იზრდებოდა მოძრაობაში ხალხთა მიღინდების ჩაბმასთან ერთად, რაც ძნელი მისაღწევი იყო მარტო პროპაგანდით და აგიტაციით; ამისათვის საჭირო იყო თვით მასების საკუთარი პოლიტიკური გამოცდილება; ასეთ შემთხვევაში პარტიას უნდა დაეცადა მოვლენების განვითარებისათვის, რაღაც „იმით—როგორც ამას აღნიშნავს სტალინი—რომ ზოგიერთი მოუთმენელი აზხანაზი ნერვიულობს და სწრაფ შედეგებსა და ეფექტურ ოპერაციებს მოითხოვს, აუკილებლობა მაინც არ მოისპობა“¹.

¹ ი. ბ. სტალინი, თაულებანი, ტ. 5. გვ. 119.

„პირველად სთქვა“ სრულებით არ არის საკმარისი—აღნიშვნის უზრუნველყოფას ნავი სტალინი,—მასებს რომ უხელმძღვანელო საჭიროა თავის დღონე თქვა. არ შეიძლება „გადაახტე“ მოვლენების ობიექტურ განვითარებას.

„მიზნის (ადამიანის მოქმედების) შეუსრულებლობას—წერდა ლენინი ჰეგელის „ლოგიკის“ ქონსპექტში—მიზეზად ისა აქვს, რომ რეალობა აღიარებულია აზარსებითად, რომ არ სცნობენ მის (რეალობის) ობიექტურ სინამდვილეს“¹.

ამავე დროს პარტია გულხელდაკრეფილი კი არ ელოდება მოვლენების განვითარებას; კი არ მისდევს მოვლენებს კუდში, არამედ მასების სტიქიურ მოძრაობას შეგნებულ ორგანიზაციულ მოძრაობად გადააქცევს. სწორედ ამიტომ უთმობლენ ლენი ნი და სტალინი დიდ უფრო დღებას მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიის შეერთებას,—რომ ამის გარეშე წარმოუდგენელია მარქსიზმ-ლენინიზმის ქმედითი, სამყაროს რევოლუციურად გარადაქმნელი ძალა.

რევოლუციური მოძრაობის ობიექტური პირობების გაფართოვებასთან ერთად იზრდება სუბიექტური ფაქტორის როლი და მნიშვნელობა. რაც უფრო მეტ მასებს ეფულება, რევოლუციური თეორია, მით უფრო ძლიერდება მისი გარდამემნელი ძალა, მით უფრო იზრდება სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენების სფერო და ფარგლები.

პირველ ხანებში, როდესაც პარტია ჯერ კიდევ სუსტია (1900 წ. დასაჩული—1905 წლის დასაწყისი), მას არ შეუძლია გამოიყენოს ყველა რეზერვები და შესაძლებლობანი.

„პარტიის ყურადღებისა და ზორუნვის ცენტრს ამ პერიოდში წარმოადგენს თვითონ პარტია, მისი არსებობა, მისი შენარჩუნება“².

აქ პოლიტიკური სტრატეგია იუვარგლება სტრატეგიული გეგმის შედგენით. ტაქტიკის ზოგადი საფუძვლების მოხაზვით. ამ პერიოდში პარტია, როგორც მამოძრავებელი ძალა, როგორც სუბიექტური ფაქტორი—სუსტია. აქ სუბიექტური ფაქტორის გაქანებას უმთავრესად ზღუდვს ის გარემოება, რომ ობიექტური პროცესები ჯერ კიდევ განუვითარებელია. მუშათა მოძრაობა ხშირად იფარგლება ეკონომიკური ბრძოლით ან საერთო პოლიტიკური გაფიცვით, გლეხები სლუბან ან ყრუ დრტვინვას არ სცილდებიან.

შეძლევ პერიოდში (1905 წ. ობიექტური—1917 წ. ოქტ.) უკვე ამოძრავებულია ოუსეთის ყველა კლასები. პარტიის სტრატეგიას ამ პერიოდში მეტი გასაჭანი ეძლევა.

1917 წლის ოქტომბრიდან პროლეტარიატისა და კომპარტიის ძალისა და საშუალებათა კოლოსალური ზრდის შესაბამისად გაძლიერდა კომპარტიის სტრატეგიული მუშაობის გაქანება.

თუ კი ოქტომბრიამდე ჩეუნი პარტია უმთავრესად წარმოადგენდა ნაციონალურ ძალას, ოუსეთის შიგნით გადატრიალების პარტიას, რევოლუციის

¹ ლენინი, 9 ქრებ., გვ. 130.

² ი. სტალინი, თანამდებობის ტ. 5, გვ. 111.

პარტიას, რომლის მუშაობაშიც ჭარბობდა ძელის კრიტიკისა და ამ ამოცანები,—დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასახამი მისცა ჩეგნი პარტიის ნაციონალური ძალიან საერთაშორისო ძალად გადაქცევას. პარტიას დაეკისრა ქვეყნის შეინია სოციალიზმის, კომუნიზმის აშენება, საერთაშორისო პოლიტიკიაზისადმი დახმარების აღმოჩენა იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

პარტიას დაეკისრა გაატაროს „იმის მაქსიმუმი, რის განხორციელებაც ერთ (თავის) ქვეყანაშია შესაძლებელი, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარების, მხარდაჭერის, გაღვივების მიზნით“¹.

პოლიტიკული კლასის თეორიას საფუძველი იქვეს პრაქტიკაში; თეორია არის პრაქტიკის განზოგადება; მაგრამ თეორიის საბოლოო მიზანსაც ისევ პრაქტიკის შეცვლა შეადგენს. თეორია უბრუნდება თავის საფუძველს.

უაღრესად საინტერესოა პასუხი გაეცეს კითხვაზე: როგორ ხდება გადასვლა თეორიიდან პრაქტიკაში?

თუ თეორია და პოლიტიკამა უშოთვრესად პასუხობენ კითხვაზე—რა, თუ რა მიზანი მოვპოვება მოძრაობას,—სტრატეგიამ და ტაქტიკამ უნდა უპასუხონ კითხვაზე—როგორ, რა გზებით, რა საშუალებებით უნდა იქნეს შესრულებული თეორიით და პოლიტიკით დასახული მიზანი.

აյ ადგილი აქვს თავისებურ გადასვლას ზოგადიდან ქრისტიან და კერძოდან ინდივიდუალურზე, ცალკეულზე.

ჯერ თეორია სახავს განვითარების საერთო ტენდენციას, ვთქვათ ალიარებს კაპიტალიზმის დახმობის აუცილებლობას, შემდეგ ეს მიზანი კონკრეტდება პოლიტიკური, ხოლო სტრატეგია და ტაქტიკა უშუალოდ ახორციელდება დასახულ მიზნებს.

თუ კი თეორია კმაყოფილდება მოძრაობის საერთო ტენდენციების გარკვევით, ხოლო ტაქტიკას კი საქმე აქვს ცალკეული ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტასთან,—არსებობს ისეთი საკვანძო პუნქტი, ძირითადი რეოლი, რომელიც თავისითავში ასახიერებს განვითარების იმ საფეხურს, სადაც მოცემულია როგორც განვითარების საერთო გზა, ასევე ზრუნვა ამ გზის პრაქტიკულად განხორციელებისათვის, როგორც მიზანი, ასევე საშუალება, როგორც რა,—ისე როგორ.

ეს საფეხურია პოლიტიკური სტრატეგია.

პოლიტიკური სტრატეგია არ კმაყოფილდება მხოლოდ ბრძოლის მიზნის დასახვით, ან და გეგმის შედგენით, ვთქვათ ძირითადი დარტყმის მიმართულების არჩევით, არამედ სწორედ ამის შემდეგ აქტიურ მონაწილეობას. იღებს გეგმის შესრულებაში, მოქმედებს ტაქტიკასთან მჭიდრო კავშირში.

რევოლუციური მოძრაობისათვის სრულებით არ არის საქმარისი თეორიის შემუშავება, პოლიტიკის შედგენა; მართალია, ეს ყველაფერი უაღრესად საჭიროა, მაგრამ ამის შემდეგ მოელი სიმძიმის ცენტრი

¹ ი. სტალინი, თხულებანი, ტ. 5, გვ. 197.

გადაღის შესრულებაზე, ამც სტრატეგიისა და ტაქტიკის შეადგინს; აქ უკვე სიმძიმის ცენტრი გადაღის ორგანიზაციულ საქმიანობაზე.

მმანაგი სტელინი არაერთხელ ჩერდება სტრატეგიისა და ტაქ-
ტიკოსის ოსტატობაზე, იმ კონკრეტულ პრაქტიკულ მუშაობაზე ძალთა
განლავება-განატილებისათვის, რასაც ისინი ერთიან ეწევიან.

ჩვენი პარტიისათვის უცხოა ჩინური კედლის აღმართვა საერთო პოლი-
ტიკურ ხაზსა და უშუალო ტაქტიკურ, ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას
შერის.

პოლიტიკური ხაზისა და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ერთიანობაში გლობალური თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა.

პარტიის XVII ყრილობაზე ი. სტალინი საგანგებოდ შექრდა ორგანიზაციული ხელმძღვანელობის პოლიტიკურ ხელმძღვანელობის დონემდე ამაღლების საჭითხეზე.

მას შემდეგ რაც მოცუმულია სწორი პოლიტიკური სტრატეგიული ხაზი, საქმის წარმატება დამოკიდებულია საორგანიზაციო მუშაობაზე; ეს უკანასკნელი სწყვეტს ყველაფერს, მათ შორის თვით პოლიტიკური ხაზის ბეღილობასაც, მის შესრულებას ან ჩაშლას.

ბოლშევკური პარტიის გამარჯვებათა ერთ-ერთი მიზეზი უნდა ვეძიოთ მისი ოქროს, პროგრამის, ტაქტიკის და ორგანიზაციის მჭიდრო, განუყრელ ერთიანობაში. ნათელი პროგრამა ის შექურა იყო, რომელიც გზას უნათებდა პარტიას, ხოლო მტკიცე სტრატეგიული წაზი, —ერთ-ერთი ძირითადი პირობათაგანი, რამაც იგი წაიყვანა გამარჯვებისაკენ.

ბოლშევკური პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკაში ყველაზე ნათლად ჩანს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ქმედითი ძალა, რაღაც სწორედ აქ ხდება თეორიის გადასვლა პრატიკაში, მისი განხორციელება.

პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა უშუალოდ მიმართულია სამყაროს რევოლუციურად გარდაქმნისაკენ. ამ აზრით წერდა ლენინი: „მატერიალიზმის ამ მხარის გარეშე (ლაბარაკია ტაქტიკის საქითხებზე. ნ. ც.) მარჯვე სისამართლიანად სთვლიდა მას ნახევრულად, ცალმხრივად, ცვლდრად. პროლეტარიატის ტაქტიკის ძირითად ამოცანას მარჯვი განსაზღვრავდა თავისი მამატერიალისტურ-დიალექტიკური მსოფლმხელველობის ყველა დებულების შეაცრად შესაბამისად“¹.

მესამედ საუკუნეს ითვლის სოციალიზმის ქვეყანა. მის ბრწყინვალე გა-
მარჯვებათა პირობებს შორის საპატიო აღვილი უჭირავს ბოლშევიკური პარ-
ტიის ნათელ პროგრამას და მტკიცე ტაქტიკას, რომელთაც შესაძლებელი

¹ ՀՅ Ե 6 0 6 0, ԿՐԵՑՑՈՂՈ ՄԱՐՔԸ Հ, ԵՆՑԵԼՍ Հ, ԹԱՐԳՄԱՆԻՑ Հ, ՑՎ. 42.

გახადეს იმდენად ძლიერი და პროგრესული მოძრაობა, რომელზედაც უცველე
ბაც კი არ შეეძლოთ წარსულში.

საბჭოთა კავშირი პირველი სახელმწიფოა, სადაც პირველად კაცობრიონო
ბის ისტორიაში თეორია შეუერთდა პრაქტიკას, ქვეყანა, სადაც გაიმარჯვა
კეშმარიტებამ, სიმართლემ.

გამარჯვებული სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში, სახალხო დემოკრატიის
ქვეყნების გაფურჩქვნა და აყვავება ბოლშევიზმის თეორიისა და ტაქტიკის
ტრიუმფია, ლენინიზმის ტრიუმფია, სტალინური გენის ტრიუმფია.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1950. IV. 5).

04136340
2020090935

2030m 83608023050

მეცნიერება საქართველო

საღროშო თავისებური სამხედრო ტერიტორიული ერთეული იყო. როდე-
ჲაც საქართველო ერთ მთლიან ფეოდალურ შონარქიად იქცა, თუ გახუშტი-
ბაგრატიონის ცონბას დავუკერებთ, საქართველო გაყოფილ იქნა ოთხ საღ-
როშოდ. ამის შესახებ გახუშტის სიტყვა-სიტყვით ნათევამი აქვს: „ხოლო წე-
თა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ საღროშოთ განყოფილი,
რამეთუ წინამძრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხის ჯვარელნი და ახალციხელნი,
და მიმყოლნი მათნა სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი
უყრათ; ხოლო მემარჯვენე მიმსულელმცემელნი სრულიად ლიხთ იქითი აფ-
ხაზ-ჯიქითურ; მემარცხენეთ მიმსულელმცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო
შეფისა ალამის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როჭთ სპანი ეპყრნეს
მეფესა¹.

როგორც ვხედავთ, ასეთ ღაყიფებს თემობრივ-ტერიტორიული და სამხედრო სტრატეგიული პრინციპი უნდა ჰქონოდა დადგებული საფუძვლად.

სამხედრო წყობის ასეთ დაყოფას, ფეოდალური ურთაერთობის პირობებში, ქვეყნის თავდაცვისათვის უთუოდ ერთგვარი დაღებითი მნიშვნელობა პქონდა, ჯერ ერთი, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი რომ ერთ სადარიშოს პქმნიდნენ, ის უპირატესობა პქონდა, რომ ამ ტერიტორიის მოსახლენი ერთმანეთს იცნობდნენ, საგზაო მიმოსვლა, თუ თავდაცვითი სიმაგრეების განლაგება უკეთ იცოდნენ, ნათესაური თუ სხვა მონაცემი აკავშირებდათ, და, მოლოს, ჩაც მთავარია, ჩვენის აზრით, ქვეყნის თავდაცვისა თუ სხვა საჭირო ზემთხვევაში ასეთი დანაწილების შედეგად ჯარის შეყრა ერთგვარად გაადგილდებოდა.

როდესაც ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავრობად დაიშალა, ცალკეულ სამეფო სამთავროში სახელმწიფობრივი წყობა ძველი წესის მიხედვით კინძართა და სამხედრო ორგანიზაციაც ძველი წესის თავისებურ მიმსგავსებას წარმოადგენდა.

ქართლის სამეფოში, მეოქენესმეტე საუკუნეში, ჩამოყალიბდა ოთხი საღ-როშო. ერთი ამ ოთხთაგანი იყო „წემო ქართლის საღროშო“, რომლის მეღ-

⁸ აღწერა სამეცნისა საკართველოსა, ნ. ბერძნიშვილისა და თამ. ლომოურის რედ., გვ. 22 ქვემოთ ყველან „აღწერა“ გვერდზე ნახსრი).

როშე, ანუ სარდარი, ამილახორი იყო. ამ საღროშოს ფარგლების ვრცელდა შემორილობა მოცემული ქვეს ვახუშტის: „ვაწყებთ მეორე ს სასპაზურულება, მემარჯვნეს, შიდა ქართლის ნაკუთხა, რომელი არს აწის ზემო-ქართლი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კისძინდამ წარსული ჩრდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული კინის კიდემდე და ბოლომდე; სამხრით მდინარე მტკვარი; ჩდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქვნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქთ მთა კოლბეურისა, მცირე; რომელი მაჰკვება ჩრდილოეთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერთ-კუდარამდე და ესევ მთა კოლბეურისა, ხეფინის-ხევსა და ამაშუკეთ შუა, მიჰყვების სამხრით ვერტყვილამდე; ვერტყვილიდამ ხაზი ჩერიმელის დაბის ქვაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკურიანის მთამდე¹.

აქ მოცემული საზღვრები ახლანდელი დარაიონების მიხედვით შემდეგ რაიონებში თავსდება: კასპიის (ნაწილობრივ), ლენინგრადის (ნაწილობრივ) კორის (ნაწილობრივ), სტალინისრაის, ჯავის, ზნაურის, ქარელის (ნაწილობრივ) ბაშურის (ნაწილობრივ), ხარაგაულის (ნაწილობრივ), ბორჯომისა და იხალცისის (ნაწილობრივ), გარდა საამილახორისი, ილექსანდრე ამილახორის ცნობით, ზემო ქართლის საღროშოში შედირდა შემდეგი სათავადოები:

1. აბაშიძეებისა

2. ფალავანიშვილებისა

3. ფავლენიშვილებისა²

4. ხერხეულიძეებისა

5. დავითაშვილებისა

6. ამირაჯიძეებისა

7. ავალიშვილებისა

8. ხიდირბეგიშვილებისა

9. მხეიძეებისა

10. დიასამიძეებისა

11. სიამარავჭილებისა

12. თაქთაქიშვილებისა

13. შალიკაშვილებისა

14. მაჩაბელებისა.

აქვეა საბატონო მეფის მემკვიდრისა, რომელიც ამილახვრების სარდლობის ქვეშ უნდა იყოს მომზადების დროს³.

¹ აღწერა, გვ. 71—72.

² ფავლენიშვილები გამოტოვებული აქვს თარგმანში გ. ქიქოძეს. იხ. მნათობი, 1939 წ., № 8, გვ. 128.

³ ალ. ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, გ. ქიქოძის თარგმანი, მნათობი 1939 წ., № 8, გვ. 128.

ალექსანდრე ამილახორის მიერ ჩამოთვლილ სათავადოთა ნუსხა არ უნდა /
იყოს სრული. რომ აქ ჩამოთვლილ სათავადოებს გარდა სხვა მფლობელთა შედება
პოფლებიც შედიოდა ზემო ქართლის სადროში, ჩანს ერთი, მე-17 საუკუ-
ნის, საბუთიდან, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერ-
თა განყოფილებაში არის დაცული. „ქ. არის ბატონის ამილახორის დროშა-
ზედა; ბატონიშვილი გიორგი, ერთობილი ზევდგინიანი, ფავლენიანი, მაჩაბ-
ლიანი, თუმანიანი, ბატონი მრუელი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი უბნე-
ლი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარ ეფისქოპოზი, რაც გორს ზეით ან საღე-
ღოფლო არის, ან სუეტის ცხოველისა და იელუსაჩემისა, ერთობილი ამი-
რეჯიბიანი, თვალდამწერიანი, დიასამიძე, ელიზბარ; როსტომ ქავთარაძე,
შალვა თუხარელი, ამუან (?) თაქთაქიძე, თაქთაქ ტატიანი, და წერეთლის შა-
მული, აბაშიძის მამულები, ისტორის წინამძღვარი, აბაზაძე, დამლაშაშვილი,
ავალიშვილი გულბათ, ფაფინა ოლხუზიშვილი“¹.

ამ ორ ცნობას შორის, როგორც ვხედავთ, არსებითი განსხვავებაა. უნდა
ვითქმიროთ, რომ მუზეუმში დაცული საბუთი უფრო სწორია, რაღაც რო-
გორც ვიცით, ალ. ამილახორი თავის ისტორიას სწერდა იმ ცნობებზე დაყრდ-
ნობით, რაც მას ახსოვდა, საბუთის შემჭერელი კი, ცნობებს კრეფიდა, რო-
გორც ვთით საბუთიდან ჩანს, „საღლოს წიგნიღან“; თუმცა ისიც უნდა გავი-
თვალიშონოთ, რომ ამ ორ ცნობას შორის განსხვავება მთელი საუკუნეა და
ვეგბის სადროშის შემაღებელობაში ცვლილებები მოხდა. თუ ამ ორი წყაროს
ცნობებს ერთმანეთთან შევჯვამებთ, მივიღებთ შედარებით სრულ სიას იმ
სამფლობელოებისას, რომლებიც ზემო ქართლის სადროში შედიოდა.

• ზემო ქართლის სადროში შემავალ სათავადოთა და სხვა მფლობელთა
სამფლობელოების სია.

1. საამილახორო
2. სააბაშიძეო
3. საფალავანდიშვილო
4. საფავლენიშვილო
5. ხერხეულიძეების სათავადო
6. ლავითაშვილების „ ”
7. ამირაჯიბების „ ”
8. საავალიშვილო
9. ხიდირბეგაშვილების „ ”
10. მხეიძეების „ ”
11. დიასამიძეების „ ”
12. სიამარდაშვილების „ ”
13. თაქთაქიშვილების „ ”
14. შალივაშვილების „ ”

¹ საქ. მუზეუმი, ხელშაწერთა განყოფილება, ფ. ჩd, საბ. 2124 (ქვემოთ ყველგან ფონდი
და ნომერი იქნება აღნიშნული).



15. სამაჩაბლო
16. ბატონიშვილის საუფლისწულო
17. ზეღვენიძეთა სახლი
18. თუმანიანთ სახლი
19. მროველის ყმა-მაშული
20. ურბნელის ყმა-მაშული
21. მთავარეპისკოპოზის ყმა-მაშული ზემო ქართლში
22. სადელოფლო ყმა-მაშული ზემო ქართლში
23. სვეტიცხოველის ყმა-მაშული ზემო ქართლში
24. „იელუსარემის“ ყმა-მაშული ზემო ქართლში
25. თვალიამწვრავათ სამფლობელო
26. ქავთარაძეები
27. თუხარელები
28. ტატიანი
29. წერეთლის მამული
30. იტრის წინამძღვარი
31. აბაზაძეების მამული
32. დამლაწაშვილები
33. იალღუზიშვილები.

აქ ჩამოთვლილი სათავალო-სამფლობელოები ყოველთვის ამილახორების დროშაზე შეიძლება არ იღენენ და იმისდა მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი მეფესთან ან როგორი იყო ქვეყნის პოლიტიკური სისტემაცია, ამილახორები ჰკარგავდნენ, ან აფართოებდნენ თავიანთ სახელოს, განსაკუთრებით ცვალებადი უნდა ყოფილიყო სადროშოს დასავლეთი მხარე. თუ მე-17 საუკუნეში საწერეთლო ზემო ქართლის სადროშოში ჩანს, ეს აღარ თოვების მე-18 საუკუნეზე. ამ აზრის დასამტკიცებლად მრავალ დოკუმენტთა შორის მხოლოდ ერთ დოკუმენტს მოვიტან. 1744 წელს გივი ამილახორება ხეფინისხეველთა, ვერტყვილელთა და სხვებს პირობის წიგნი მისცა „ძველთაგანვე ქართველთა ბატონის სახასო და მცვილრი ყმანი ყოფილიყვათ და ჩვენი სახელო და სასარდლო იყვათ. ცოტას ხანს ქართველმა ბატონმა ოქვენი თავი აბაშიძეს უბოძა. ახლა მეფემ თქვენი თავი სევ ჩვენ გვიბოძა“¹.

ზემო ქართლის სადროშოს რაც უნდა ტერიტორიული ცვლილებები განეცადა, მაინც ოთხ სადროშოთა შორის ს ერთი მთავარ სადროშოთაგანი იყო.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ სადროშო სამხედრო ტერიტორიული ერთეული იყო, რომელიც სრულიად გარევეული პრინციპების საფუძველზე გამოიყოფოდა. ეს პრინციპი არც გვიან ფეოდალურ საქართველოს სადროშოებს ჰქონდათ გამორიცხული.

სომხით-საბარათიანო, რომელიც მეწინავე სადროშოდ იწოდებოდა, ქართლის სამეფოს სამხრეთ სანაპიროს შეაღენდა. ამ სადროშოს ტერიტო-

¹ 6. ბერძენიშვილი, დოკუმენტები, გვ. 135.

რიაზე არსებული ციხე-სიმაგრეების საბრძოლო მზადყოფნის მდგრადი მოწყვეტილები უთუოდ სადროშოს სარდლის ზედმხედველობის ფუნქციას შეაღენდა¹—შესრულებულ თაღია, იგი, ე. ი. სარდალი, ამ ტერიტორიის მხოლოდ მოხელე იყო და სათავის ფაქტიურ მფლობელად თვით თავადი ითვლებოდა, მაგრამ მას ცენტრალური ხელისუფლების მიერ უფლებამოსილება ჰქონდა მიცემული, და ჯარის შეკრა, საჭირო შემთხვევაში, მისი კითხული იყო.

ზემო ქართლის სადროშო სამ მთავარ მაგისტრალს მეოთვალყურეობდა:

1. სამხრეთ-დასავლეთიდან ბორჯომის ხეობით მამდინარე მაგისტრალს,
2. ლიხითიმერეთიდან მომავალ გზებს და 3. დიდი ლიახვის ხეობით მომდინარე გზებს. თუ კაცი დაუკვირდება, შეამჩნევს, რომ გარდია—თმოვგი—ხერთვისი — ახალინა—ახალიცხე—აწყური—ბორჯომი—ახალდაბა — სურამი — გორი — სხვილო ერთ მთლიან მაგისტრალს ჰქონის. გარკვეულ სამხედრო სტრატეგიულ კიმიაგრებს წარმოადგენდნენ დასახელებული ციხე-სიმაგრეები, ქართველები ცდილობდნენ ნიაღა მზადყოფნის მდგრადი მობაზი ჰქონიდათ ეს სიმაგრეები. როცა ქართველები ახალციხის მშანეს პკარგავენ, კიდევ უფრო მწვავედ ისმის ქართლის ციხე-სიმაგრეების მოკლა-შენახვას საკითხი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ერეკლეს „ანდერძიდან“ ერთი დეტალი: „ციხეებისაც ასე დაგვიწერა: ქალაქის თბილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანაურის ციხე, ბოჭორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარყალის ციხეებიცა იქვს და ნარყალები ცოტის კაცით შეინახება. ამ შვიდს ალაგს ნარყალებში საერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რა ერთიც მოუნდესთ მცველათ და სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან, ქართლში თუ კახეთში, ისინი ცოტის კაცით ხომ არ შეინახება, ის საომშო არის“².

რათა სადროშოს, როგორც გარკვეული ორგანიზაციის, სრული სახე წარმოვიდგინოთ, სარდლის უფლება-მოვალეობა გავითვალისწინოთ და სადროშოში შემავალ თავადებთან საჩდრის ურთიერთობა დავადგინოთ, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ჯერ სათანადო დოკუმენტებს მოვუყაროთ თავი და შემდეგ ამ დოკუმენტების ანალიზი გავაკეთოთ.

1644 წელს როსტომმა ბერებან ამილახვარს წიგნი მასცა: „მას უამსა ოდეს ლიახვს ზედათ და ლიახვს (?) ქვეშეთ ქართლის ქვეყანა თქვენის სახლის კაცის სასარდლო ყოფილა, აწე ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ თავადის, აზნაურშვილისა, ბერისა და ერთობრილთ ყოვლის კაცის. რა რიგადაც ამას წინათ თქვენი სახლის კაცი საჩდრი ყოფილა, იმავე რიგითა და წესითა სარდრობა თქვენთვის გვიბოძებია, როდისცა ჩვენი წიგნი და ბრძანება მოგივიდეს, რა რიგადაც მოგახსენოთ, იმ რიგად შეყარეთ და სადაც ჩვენი ბრძანება³ იყოს იქ შემოგვეყარენით. რაც კაცი დაგაკლდეს და ჩუენი ბრძანება გატეხოს რითაც სამართლით ემართლდებოდეთ გაუწყერით გარდააზდევინეთ და ჩუენი ბრძანება და სამსახური გაათავეთ“⁴.

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 205.

² აქ ბეჭედია სპარსული წარწერით.

³ ფონდი Hd, 2125.

კიდევ უფრო საინტერესოა ჩვენი მაზნისათვის როსტომ მეფის შევრა მშენებლებისათვის 1656 წელს მიცემული საბუთი. „ეს წყალობისა და უსახლისა რო გარიგებისა წიგნი და სიგელი დაგიმკვიდრეთ და გიბოძეთ თქვენ ტახტის ჩვენისათვის თავგარდადებით სიკვდილისა დაურიდალსა, — ერთგულობისა მომჭირნესა და მებრძოლთა ჩვენთა ფეხთა ქვეშა მომქუდვარსა ამილახორს პატრიონს გივსა, ძმათა თქვენთა და მომავალსა სახლისა თქვენიათა, ყოველთავე მას უამსა ოდეს მამა-პაპანი თქვენი ტახტისა და მეფობისა ჩვენისა გამაძლიერებელი ყოფილიყვნენ, რადგან წესისაბრ გარდა ქედეს, სიგლითა პირველითაცა განგიახლეთ ამილახორობისა დროშა შემოგარტყით ხმალი მოსურად მებრძოლთა და ორგულთა ჩვენთა. კულაცა პირველითაცა სასარდოს საქმე გარიგებული ქონიდათ, აწცა გაგირიგეთ და დაგიმკვიდრეთ სარგო სარდობისა, ასრე რომე, როდისაცა თემი აიწერებოდეს, ერთის კარის ჩვენის მდივნითა თქვენს სასარდროს აქვენ ასწერდეთ, რაც თქვენი ღროშის კაცი საშოარის იქმოდეს და ჩვენი მეფანჯიაქენი ფანჯიექს აიღებდეს, რაც ათის თავი ერგებოდეს, მისი ნახევარი თქვენი უნდა იყოს და ნახევარი მეფანჯიერეთ გაყიონ. თქვენის ღროშის კაცი უთქვენოდ ვერ გაიყრებოდეს. ვისაც თქვენის ღროშის კაცს სასამართლო საქმე პქონდეს, ჩვენს კარზედ მოვიდოდენ, თქვენც ღახუდებოდეთ და რასაც თქვენის და რასაც თქვენის სასარდროს კაცს ლაშქრობის ბარობაზედ მამულს წაგართუემდეთ, იმასაც შემოგვეკითხებოდეთ და თუ უბოძებდეთ, თქვენისავ შემოკითხულობით წყალობას უზემდეთ. ესე ჩვენგან წყალობა არაოდეს არ მოეშალოს და რა რიგათაც თქვენგან თქვენის ღროშის კაცი აიწერებოდეს, ლაშქარსაც იმ ანაზე შერზედ შემოგუყრიდეთ“¹.

როსტომ მეფის სხვა საბუთებიდანაც ჩანს, რომ ამილახორებისათვის მიცემულია სარდლობა და რომ ამის გამო „ლაშქრობა, ნადირობა კაცის დაყენება სამართლი და ან გარიგება“ მათი ხელისა არის².

კიდევ უფრო სრულ ცნობების გვაძლევს ოთარ ამილახორის მოხსენება პაგლე ციციანოვის სახელზე.

მართალია, ეს მოხსენება შეღარებით გვიანდელია მაგრამ აღრინდელ საბუთებთან შეევერების დროს ირკვევა, რომ ამ მოხსენებაში დაცული ცნობება ძირითადში სწორია და ამიტომ ნდობის ღირსიც.

„ა.—მეონდა ამილახორობა, ესე იგი მეფის მემარჯვენე სარდლობა, და შეონდა შემოსავალი ამისი. როდესაც მტრის ქვეყნიდამ ჩემი სასარდლო ნაშოვარის მოიტანდა, იმ ნაშოვრიდამ სამეფოთ ფანჯიექი აიღებოდა, ესე იგი ზურზედ ერთი, და რაც სამეფოთ დადგებოდა ოთხი. შეფასა იყო და მეხუთე ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

„ბ.—როდესაც ქვეყანა მეფის ბრძანებით აიწერებოდა და ჩემის სასარდლოც დაწერებოდოდა, სამწერლო კოლმზედ აბაზი იყო იმ ჩემის სასარდლოსა-

¹ საქ. ცენტრალური ფ. 227, საქმე 285.

² Hd. 2127.

რაც სამწერლოდ დადგებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა—^{უკრაინულისა—} ამაში მქონდა სარგებლობა.

„გ.—ჩემს სასარდლოში თავადი თუ აზნაური რომ გაიყრებოდნენ და ამათი ყმა თუ მამული რომ აწერებოდა მდივნისაგან, რამდენიც საკომლო დადგებოდა და ან გლეხი კომლათ, კომლზედ თოთხმეტი შაური აიღებოდა, ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი მდივნებისა, ამაში სარგებლობა მქონდა.

„დ.—გლეხი კაცი ერთი მეორეს რომ თავს გაუტეხდა ხარი და მარჩილი წაერთოდა ჩემთვის და ამაში მქონდა სარგებლობა.

„ე.—როდესაც მეფე ლაშვარს დაუძიხებდა და ჩემი სასარდლო ვინც დაკლდებოდა, იმას მეფე დაარბევდა, რაც სარგევი დადგებოდა სამეფოთ იქიდამ ხუთზე ერთი ჩემი იყო, ამაში მქონდა სარგებლობა.

„ვ.—ჩემს სასარდლოში რომელიც მსუბუქი სასამართლო იყო, სამართალა ჩემგან უნდა მისცემოდათ და ამაში სარგებლობა მქონდა, და თუ ვინმე ჩემი სასარდლო ქალაქის საჩივლელად ჩიმოვიდოდა, მეფესთან თუ მდივანბეგთან იჩივლებდნენ და სამართალი მიეცემოდა იმის სამდივანბეგოშიც წილი მქონდა”¹.

თუ ყველა ზემოთ მოტანილ ცნობებს ანალიზს გაფუკეთებთ, მიგილებთ, რომ საღროშოს უფროსი დიდი ხელისუფალი იყო და ლაშვერობა-ნადირობის გარდა, იგი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების მოწესრიგებაშიც იღებდა მონაწილეობას.

მართალია, ბრძოლის ველზე გამოყვანილ ჯარის ნაწილს ის თავადი ხელ-მძღვანელობდა, რომელიც ამ მებრძოლთა უშუალო ბატონი იყო, მაგრამ მისი ადგილი ამ ბრძოლის ველზე მაინც განსაზღვრული იყო, იგი იმ ღროშაზე დადგებოდა, რომლის საუცყებოშიც ითვლებოდა.

თუმცა ამა თუ იმ სარდლის უფლება-მოვალეობა წინასწარ მტკიცედ იყო განსაზღვრული, მაგრამ იმისდა მიხედვით თუ ვინ იყო სარდლად, ან ქართლის შეფეხდ, სარდლის ადგილი მოსადმი რწმუნებულ საქმეებში დიდად ან შემცირებულად მოჩანდა.

საღროშოს თავისი ნიშანი ჰქონდა. ეს ნიშანი იყო ღროშა. საღროშოს დროშის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს 1745 წელს თეიმურაზ მეორის შეკვეთით საგანგებოდ გაფეთებული ღროშა. რომელიც აკად. ე. თ. ა. ყ. ა. შ. ვ. ი. ლ. ს აქვთ გამოქვეყნებული. ე. თაყაიშვილს იმ ოთხ ღროშათაგან, რომელიც თეიმურაზს გაუკეთებია, მხოლოდ ერთი, კონსტანტინე მუხრან ბატონის (იგი მეორე ღროშის სარდარი იყო) ღროშა უნახავს. უფრო ძარე პ. უ. მ. ი. კ. ა. შ. ვ. ი. ლ. ს ორბელიანების სახლში უნახავს მეწინავე საღროშოს ღროშაც (იმავე თეიმურაზის განკარგულებით 1745 წ. გაფეთებული), ასე რომ ოთხ ღროშათაგან ორი ღროშა ჩვენს ღრომდე შემონახულა.

¹ შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისა—თვის; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1948 წ., ნაკ. I, გვ. 85—86.

ამ დროშების შესახებ ლტერატურული წყაროც მოგვეპოვება. პატინა/ ორბელიანი წერს: თეიმურაზ მეორემ ბრძანა „დროშათა გაფეთება¹; ქართული ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო დროშა ოთხი ჯვარითა მოცული, ერთი უბო- და ორბელიანს ქახოსროს, მეორე მუხრანბატონს კონსტანტინეს, მესამე ამი- ლათორს ღიმიტრის და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა... ვინ ვისა დროშაზე ჯარი ყოფილიყო, ისევ ძველსა რიგზე განაწესეს და შემოეხვივნეს თვისთვისი ჯარი დროშათა“.

როგორც აღნიშნული იყო, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს სოფ. დიღომში, კონსტან- ტინე მუხრანსკის ბინაზე უნახავს ეს დროშა. იგი წერს: -

„Несколько лет тому назад в доме покойного кн. Константина Ивановича Мухранского в сел. Диоме я видел серебряное знамя, пожалованное царем Теймуразом II Мухранскому владетелю Константину в 1745 г. Знамя пред- ставляет из себя круглую серебряную пластинку, в 12,5 сантиметра в диа- метре, надетую на древко серебряной же трубкой. На обоих сторонах зна- мени изображение св. Георгия верхом на коне, поражающего дракона, с надписями имени святого წერი. Сверху круг венчался крестом кото- рый теперь отбит. Знамя, как видно, не раз было в жарком деле и испы- тало удары врагов“².

ქვე ვ. თაყაიშვილს მოჰყავს ის წარწერა რომელიც დროშაზე ყოფილა დაწერილია: „ქ: ჩვენ კეთილმსახურმან .მეფემან: თეიმურაზ: მიუბოძეთ. დრო- შა ეს: დიდად ჩინებულსა: და ერთგულად ნამსახურსა ნატომსა მეფეთასა: მუხრანის: ბატონს. კონსტანტინეს თრისავე საერისთოს წინა საძღვანად ოდეს ცხებულ ვიქმნენით. საცხებელითა მეფეთთა. ნებითა ღ-თისათა თთვესა აკტონ- ბერსა: პირველსა დღესა, დღესასწაულისა. სვეტისა ცხოველისა ქ(რისტ)ეს აქეთ ჩრმე ქეს უ(ლგ)“.

უმიკაშვილს ორბელიანთ სახლში უნახავს დროშა. მას დასტურლამალის ლექსიკონში მოჰყავს დროშის წარწერა. „ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეი- მურაზ მიუბოძეთ დროშა ეს წინამდლოლსა ჩვენსა ამირბასალარს ქახოსრო ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმნენით საცხებელითა სამეფოთა, თვესა ოკ- დონბერსა, ა. დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტისაცხოვლისასა, ქრისტეს აქეთ ჩრმე, ქორონიკონსა ულგ“³.

აქ მოტანილი ცნობები, ვფიქრობთ, საქმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ გვიანდეოდალური ხანის სადროომოებს ჰქონდათ. სახელმწიფო ნიშანი—დროშა, რომელზედაც ეწერა არამარტო მბოძებელის ვინაობა, არამედ მიმღების ვი- ნაობაც. ყოველი მეფე, როცა იგი მეფობას იწყებდა, სარდალს სასარდლოს უმტკიცებდა, და დროშას და ხმალს უბოძებდა ხოლმე.

¹ ტექსტში გადებება სწერია. ა, პრბელიანი: ქ. ცხ. II, გვ. 383.

² Такой памятник, Серебряное знамя Мухранского владетеля Константина 1745 г., Известия Кавк. Отделения Имп. Московск. Арх. общества. Выпуск, II, 1907 г., стр. 117.

³ დასტურლამალი, გვ. 168.

სულხან თრთელიან ს დროშა განმარტებული აქვს შემდეგი ჭირულებული „მწყობრთა ნიშანი. ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელოს უფრო უკანა პირის მიერ მონაცემს არ ვაცნობო) დავუშვათ, რომ ბის ამ ცნობის საფუძველზე (სხვა მონაცემს არ ვაცნობო) დავუშვათ, რომ სხვარის სხვა საიროშის სხვადასხვა ფერის დროშა ჰქონდა.

სარდლის მოვალეობა, რა თქმა უნდა, ნათქვამით არ განისაზღვრებოდა. მე-18 საუკუნის მთელ სიგრძეზე ლეკთა საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. არაერთხელ ყოფილა საამილახორო ლეკთა თავდასხმის ობიექტი. 1723 წელს „მოვილენენ ლეკნი და მოსტყვევნეს საამილახორო და უკუნ შეცელნი შევითნენ შთოს უბანს“².

ვახუშტივე გაღმოგვცემს, რომ 1728 წელს „მოადგნენ ლექნი ჭალას, მოკლეს ამილახორი ჩევაზიშვილი ერასტი და შემუსრეს ჭალა, გამოიყვანეს ჩ (1000) სული ტყვედ და წარვიდნენ“³.

თუ რა შედეგისა იყო ქართლისათვის ღეკთა თარეშები, ჩანს გივი ამი-
ლახორის სახელზე გაგზავნილ დიმატრი ქარუმიძის წერილიდან. ეს წერილი
1740 წლის 2 აპრილით თარიღდება და იქ ნათქვამია: „ქ. ლმერთმან ბატონის
ამილახორის ჭირი მისცეს ქარუმიძეს დებეტრეს, კალთას კოცნას. მოვახსე-
ნებთ. ჩვენთვის წიგნი გებბათ და გებრძანებინათ: კასპას შენობას ვაპირობოთ,
დაგებარებინენით: აქ ჩამოლიო, მოურავი ხარო, საჩქრობა ქენიო, მართებუ-
ლიც შენი არისო, თუ რომა არ ჩამოხვალო, მოურაობას სხვას უბოძებო. ჩვენ-
ცა ეს მოვგიხსენებია: ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება, ვერც გეახლები დაიღი-
ტანში, ვერც დავდგები, ვისაც გინდოდეს იმას უბოძეთ კასპის მოურაობა.
ლმერთმან მშვიდობაში მოახმარის. კასპელი კაცი საღლა არის, სულ ამო-
წყვეტილია. თითო ბიჭი საღლაც გადარჩომილია, იმათი პოვნა ვის შეუძლია?
ვერცა იმათ ცოდოში ჩაგდები“⁴.

ამირინდო ამილახორი, ერთ-ერთ შარწერაში 1760 წელს ლინიშვნავდა: „მოოხრდებოდა რა ქართლი ცოდვითა ჩვენითა, ლეპნი რა წარსტყვენიდნენ ქართველთა ერთა, მათის განჩინებისათვის ჩვენ ძემან ამილახორის ავთანდილისამან ამილახორგან ამირინდო აღვაშენე გალავანი და ქარის ბჭე ესე მოსახუებულად ჩვენდა“⁵.

აკად. 6. ბერძენიშვილი სამარ ლიანალ შენიშნავს, რომ „ყველაზედ უმძიმესი ძნელბეღობა ეს ლექთა თარეული იყო. აღნიშნულ ოცდახუთ წლეულში (ლაპარაკია 1723—1747 წ.) ქათ ახეთში არ დარჩენილა არც ერთი ლოფელი, არც ერთი კუჯხე, რომ ლეკებს არ იყოჩრებიათ, არ გაეძარცვათ. გრიგორის ქვეყნების სარბევალ ლეკები მოჰყავდათ ქართველ ფეოდალებს, აჯანყებულ ქართველთა დასასჯელად ლეკები მოჰყავდათ ოსმალებს; და, ბოლოს, უპატრონოდ ქცეულ ქვეყნაში ლეკები დაუპატიუებლადაც მოდიოდნენ,

ლექსიკონი, 1928 წ. გამოცემა. გვ. 102.

² ვა ხუმრი, საქ. ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის რედ. გვ. 86.

3 000 000 000
3 000 000 000

⁴ Ibid. Hodson *op. cit.* III 22. 456.

కృష్� రావు 1881 № 217

თავს ესხმოდნენ მხარეებს, სოფლებს და თან მიჰყავდათ და მიპერადულებულებრივი ლაფერი, რასაც კი მოახელებდნენ: აღამიანები, ოთხფეხი საქონელთ; შესრულებული, იარაღი, ავეჯი და სხვა¹.

ლეკთა საკითხის გადაჭრას ერეკლე მეორე ენერგიულად შეუდგა. საამი-სოდ მან მრავალი ღონისძიება ჩაატარა. ერთ-ერთი ასეთ ღონისძიებათაგანი იყო ლეკების წინააღმდეგ ბრძოლის გარევეული ფორმების გამომუშავება.

1772 წლის 28 აგვისტოს, ერეკლემ ზემო ქართლის საღროშობი შემდეგი შინაარსის, ინსტრუქციის მსგავსი, მიწერილობა გაგზავნა².

1. „ქ. როდესაც რომ მუხრანიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წამოვიდათ, ყველანი გაფრთხილდენ. თუ მხურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაეხნილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო გაუჩხრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრის-ხევს შეიყარენ; თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხან, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდნენ, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ მტრის პასუხის გაცემასა და გაყრასა.

2. „ქ. თუ ცხენიანი ლეკის ჯარი იყოს, ერთმანეთს ნუ მოუცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცნენ; თუ ქვეითი ჯარი იყოს, სოფელი და სოფელი ერთად შეიყარენ, დამრგვალდენ და ისე მივიდნენ საღაც სარქარდებმა დაუძხონ.

3. „ქ. ბელოთიდამ მოყიდებული საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქოჩიდი, დიცი, და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდის ძირი და ვაკე, გორით ბერშოეთამდის, რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულინ.

4. „ქ. თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს რა საქრადბემა დაუძახონ, ორისავ მხარის მდევარი უნდა საჩქაროდ სირბილით წამოვიდნენ. ცხენიანი ულ ჭინებით გამოიქცენ და ქვეითი სოფელ და სოფელ შეიყარენ, დამგრგვალდენ და საღაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მოცივდენ.

5. „ქ. თუ სამაჩაბელოსაცენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდის ლიახვის გაღმა საღმე, იმ დიდის ლიახვის მდევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვიჩნია, საჩქაროდ გაცვილნენ და, როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ, თუ, რომ კიდევ მოუნდესთ მდევარი და სარქარდებმა დაუძახონ, გამოღმა მხარის მდევარიც წავიდეს და ღვთით პასუხი გასცენ.

6. „ქ. თუ ქარელიდამ მდევარი დაიძახონ, მაშინვე ქცევილვანს ქვეით კაცი დიდის ლიახვისა, პატარა ლიახვისა გაღმართი კაცი და დირბის წყლის სოფ-

¹ 6. ბერძენი შვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ. ნაკვეთი I, გვ. 178.

² ფ. Hd 13714, დაკუმენტი დაყოფილია ხაზებად, ყოველი ხაზის შემდეგ ახალი აზრი იწყება, ნუმერაცია ჩვენ გვეკუთვნის.

ლები, ყველანი შეიყარნენ და გაცვივდნენ, ცხენიანი და ქვეითი ნურაფინი და კატეპელი გადასახლდება.

7. „ქ. ვინც დააკლდეს მღვერის ასე გარდაპეტესთ: თუ თავადის შეიძლი დააკლდეს საჭაფოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი შინალთუნი; თუ აზნაურიშვილი დააკლდეს საჭაფოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაპერან ბეჭებში.

8. „ქ. თუ შემძლებელი გლეხი კაცი დააკლდეს, ამავე აზნაურიშვილისა-გვით გარდაპეტეს და, თუ ღარიბი იყოს, ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორ-შოცი ჯოხი დაპერან.

9. „ქ. თუ ამილახორი და ერისთავი ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა წერიყორონ მდევრი და ისე იმდევრონ.

10. „ქ. თუ ესენი არ იყვნენ ყულარაღაღამა გორჩგიმ და მდივანბეგმა ია-სემ ქმნან.

11. „ქ. თუ არც ესენი იყვნენ, აღაბაბამ და ან შალვამ, ბეჟან და ან ომან-მა ქმნან და იმდევრონ.

12. „ქ. რომელიც ერისთვისშვილი და ამილახორისშვილი დაეწისროს მდევ-რობა გვიბრძანებია, ამათ შემოყარნენ და როგორც ამჯობინონ, ისე მოიყვა-ნონ, დიდად ბეჯითად იყვნენ ერისთვისშვილები და ამილახორისშვილები მდევრობისა, რომ ეს მდევრობა ამათ აძვესთ.

13. „ქ. ეს მდევრობა ჩეხურას წყლიდამ მოკიდებული ალის წყლამდის და გორიდამ საღამდისაც მოპყვებოლენ და ქარელიდამ საღამდისაც მოპყვე-ბოლენ უნდა იმდევრონ.

14. „ქ. გაღმა მხრისა გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევ-რობენ, მაღრიელიც ვართ და წყალობასაც დაგემრთობთ.

15. „ქ. ეს იცოდეთ თავადიშვილებმაც, აზნაურშვილებმაც, გლეხმაკაცმაც, ამის უკეთეს ვერცარას ღმერთს აძმებთ, ვერცარას ჩვენ გვამებთ და ვერცა-რას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლისა და შვილის სასატყვევებლად დარჩიან, ამათ პასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დაპ-ჭოცოთ და სირცხვილეულნი გააბრუნოთ.

მარიამბის კტ, ქქს უდ

16. „ქ. ეს იცოდეთ, რომელიც ჩვენგან საქმენელი საქმეა, პატრონები-სა, მოვლისა, გარჯისა, წყალობისა და ჩემის ქვეყნისათვის თავის დადებისა ღვთით არ დავზოგავთ, თქვენ ასე ეცადენით და ჩვენ კიდევ უფრო ძლიერისა და მტეიცეს საქართველოს შეუწენას ვცდილობთ“.

ასეთია ამ ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტის ტექსტი.

როგორც ამ დოკუმენტის ერთი ადგილიდან ჩანს, მსგავსი შინაარსის ინსტრუქციები დაუგავნია სხვა საღროშოებშიც: „გაღმა მხარისა გარიგებუ-ლია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ, მაღრიელიც ვართ და წყა-ლობასაც დაგვართობთ“.

ინკვევა, რომ ერეკლემ ლექთა წინააღმდეგ საბრძოლველად თავის სამე-ფო გარკვეულ გეოგრაფიულ ზოლებად, სამხედრო ოლქებად დაპყო. ამავე დროს, თითოეული ასეთი ზოლი თავის მხრივ ცალკეულ სამოქმედო უბნად

იქნა დანაწილებული. ჩანს, ერეკლე, ქვეყნის ოლქებად დანაწილების მდგრად ხელმძღვანელობდა ერთი პრინციპით: რომელი გზით იყო მოსალოდნელი¹ მარტო თარეშე ლეკთა თავდასხმა.

ჩვენი დოკუმენტის მიხედვით იჩვევა, რომ იმ ოლქს, რომლის დაცვის შესახებ აქ არის საუბარი, ლეკები თავს ესხმოდნენ აღმოსავლეთიდან. არაგვის ხეობიდან ილიტოზა-ქსოვრისის გზით ლეკები შიდა ქართლში გადმოდიოდნენ².

სამოქმედო ოლქი იწყებოდა ლეხურის ხეობიდან და ალის ხეობამდე გრძელდებოდა. ამ ოლქის აღმოსავლეთით ასეთივე ოლქი უნდა ყოფილიყო, რომლის დაცვა მუხრანბატონებს ევალებოდათ. ოოგორუ დოკუმენტიდან ჩანს, ოლქებს შორის არსებობდა გარკვეული კავშირი. ოლქები ერთმანეთს აცნობებდნენ მოთარეშე ლეკთა მოძრაობას, რას საფუძველზედაც შესაძლებელი ხდებოდა თავდაცვისა თუ თავდასხმის ღონისძიების მიღება. რადგან ჩვენთვის საინტერესო ოლქს უმთავრესად თავდასხმა აღმოსავლეთიდან ელოდა და ლეკთა ბრძო ჯერ სამუხრანოს მოაღებოდა, მუხრანბატონი ვალდებული იყო ამილახორებისა და ერისთავებისათვის ეცნობებინა ლეკთა მოძრაობის შესახებ (იხ. მუხლი 1.).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ერეკლემ თავისი სამეფო ლეკთა თარეშის საწინააღმდეგოდ გარკვეულ გოგრაფიულ ზოლებად დაჭყო. იითოვეული ასეთი ზოლი თავისებური სამხედრო ოლქი იყო, რომელთაც იმისდა მიხედვით, თუ ამ ოლქში როგორი განლაგებით მდებარეობდნენ სოფლები, ცალკეულ უბნებად ანუ, როგორც ტექსტშია ნათქვამი, სამდევროებად ნაწილდებოდა. ჩვენთვის საინტერესო ოლქში შემდეგი უბნები გამოიყოფებოდა:

მ ხ უ რ ვ ა ლ ე თ — მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ი 0. ამ უბანში შედობდა ტირიფონის გელზე არსებული სოფლები: მხურგალეთი, საკორინთელო, ბერშოეთი, მეჯვრისევი და სხვა. აღმოსავლეთიდან მოსულ ლეკთა ბრძო პირველად მხურგალეთში მივიღოდა, ამიტომ იყო, რომ ერეკლე რჩევას იძლეოდა: „თუ მხურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუღრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრისხევს შეიყარენ“.

როგორც ვხედავთ, ამ უბანის „თავად“ და „ბოლოდ“ განსაზღვრულია მხურვალეთი და მეჯვრისხევი: ამ უბანში მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ მოქმედებისათვის მთავარი ტაქტიკური ხერხია, რომ „თავი და ბოლო მოუღრიკონ“. მეჯვრისხევი ბოლო იყო, ხოლო მხურვალეთი თავი, მეჯვრისხეველებს ევალებათ მტერს საშუალება არ მისცენ წინ წაწევისა, ხოლო მხურვალეთმა უკან დასახევი გზები უნდა შეუქრას, შექმნას ქვაბის მდგომარეობა.

¹ მე-18 საუკუნის 70-იან წლებში, სწორედ იმ ხანებში, როცა ჩვენი დოკუმენტი იწერებოდა, გრულფეტატი მოგზაურობდა ამ მარეში და ილიტონის გზით ლეკების თარეშის შეახევა მას ალიტიშული აქვს შემდეგი: „B i Jitossa geht zwischen dem Khssant und Narekwawi der gewöliche Weg der Lesginer, wenn sie von Aragwi über Mschadis-dshwati, nach Lamiss-chana und bis Ktzchinwall auf der Höhe herumziehn (იხ. Güldenstädt, Reisen, გვ. 107—108, კლაპოთის გათცემა).“

მაგრამ ერეკლე არ უზღუდაგს ქართველ მეომრებს მოქმედებას. საფუძვლის და ჩევეს აძლევს, რომ ოუკი ბრძოლის თავისებურება მოთხოვს სწრანების იხმარონ. იგი წერს: „თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს დაესხა, თუ გზის შეკვრა ამჯობინონ გზა შეუკრან, თუ წინ დახვედრა ამჯობინონ წინ დაუხვდენ, რომელიც ამჯობინონ, იმ გზით ეცადნენ მტრის პისუხის გაცემასა და გაყრასა“.

ერეკლე ითვალისწინებს აგრეთვე მტრის ჯარის გვარობას. მეორე მუხლით გათვალისწინებულია, რომ მტრის ჯარი თუ ცხენოსანია, მაშინ რადგან ლეკებს მანევრების მეტი საშუალება აქვს, საჭიროა, მცხოვრები „ერთმანეთს ნუ მოჟცდიან, ყველანი სირბილით გამოიქცენ“ და წინასწარ მეთაურთაგან მათვის მიჩნეულ ადგილზე მივიღნენ. ხოლო „მტრის ჯარი თუ ქვეითად მოდის, მაშინ სოფელი და სოფელი ერთად შეიყარნენ, დამგრგვალდნენ და ისე მოვიდენ, სადაც სარქარდებმა დაუძახონ“. მეორე უბანში შემდეგა სოფლები შედიოდა: ბელოთი, საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი, „პატარა ლიახვის გამოლმართი“ (აქ რამდენიმე სოფელი იგულისხმება), გვერდისძირი და ვაკე. ამ უბანში შედიოდა აგრეთვე „გორით ბერშუათამლის რაც ამათ შუა სოფლებია. ესენი ერთ სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირობებულნი“.

ბრძოლის ტაქტიკა ძირითადად იქაც ისეთია, როგორც პირველ უბანში, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ „თუ რომ დიდის ჯარის ამბავი მოვიდეს და სარქარდებმა დაუძახონ ორისავ მხარის მდევარი უნდა საჩეაროდ სირბილით წამოვიდნენ. ცხენიანი სულ ჰენებით გამოიქცნენ და ქვეითნი სოფელ და სოფელ შეიყარნენ, დამგრგვალდენ და სადაც სარქარდებმა ამჯობინონ და დაუძახონ იქ მოცვივდნენ“.

მესამე უბანში სამაჩაბლო და „პატარა ლიახვის გამოლმართი“ შედიოდა. საჭიროების შემთხვევაში ამ უბანს პატარა ლიახვის გამოლმა მხარის მდევარიც მიეშველებოდა.

მეოთხე უბანში ქარელისა და ცხინვალის შუა მოთავსებული ტერიტორია იგულისხმებოდა, პატარა ლიახვის, დიდი ლიახვის და დირბის ხევის სანაპირო სოფლებითურთ.

აქ ჩამოთვლილი უბნები, ანუ როგორც მას ერეკლე უწოდებს სამდევროები, ერთიან გეოგრაფიულ ზოლში—სამხედრო ოლქში ერთიანდებოდა¹. რადგან ეს ოლქი გეოგრაფულად ქსნის საერისოსა და საამილახოში შედიოდა ამ ოლქის ხელმძღვანელობაც ერისთავებსა და ამილახორებს ჰქონდათ შინდობილი. ჩვენი დოკუმენტი, როგორც დავინახეთ, 14 მუხლის, ანუ პარაგრაფისაგან შედგება. შინაარსის მიხედვით ეს დოკუმენტი შეიძლება შემდეგ შირითად ნაწილებად დაიყოს:

I ნაწილი. პირველი ნაწილი (§ 1—6) უბნებს ორგანიზაციასა და ბრძოლის ხერხებს შეეხება.

¹ ეს ოლქი ზემო ქართლის სადროშოს ერთი ნაწილთაგან იყო.

II ნაწილი. მეორე ნაწილი (§ 7-8) დეზერტირების, ანუ როგორც ტექსტშია ნათქვამი „საჭაოდ“ დამნაშავეთა სასჯელს ითვალისწიფებულის სიღიღე და ფორმა სოციალურ კუთვნილების პრინციპზეა დამყარებული. განსაზღვრულია, რომ „თუ თავადიშვილი დააკლდეს საჭაოდ წაართვან შემძლებელს ხუთი მინალთუნი, ღარიბს სამი მინალთუნი; თუ აზნაურიშვილი დააკლდეს საჭაოდ წაართვან ერთი საკლავი, ერთი კოკა ღვინო და ოცი ჯოხი დაპკრან ბეჭებში (§ 7), თუ შემძლებელი გლეხი ქაცი დააკლდეს, ამავ აზნაურიშვილისავით გარდახდეს და, თუ ღარიბი იყოს ერთი კოკა ღვინო წაართვან და ორმოცი ჯოხი დაპკრან“. (§).

III ნაწილი. მესამე ნაწილი (§ 9—13) ხელმძღვანელობის საკითხები, ლექთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია მინდობილი აქვს ერისთავებსა და ამილახვრებს.

IV ნაწილი. მეოთხე ნაწილში (§ 14—16) განმარტებულია ამ ღონისძიების მნაშვნელობა ქვეყნის დაცვის საქმეში „ეს იცოდეთ თავაღიშვილებმაც, აზნაურიშვილებმაც, გლეხმა კაცმაც, ამის უკეთოს ვერც არას ღმერთი აამებთ, ვერცარას ჩვენ გვამებთ და ვერცარას ქვეყანას შემატებთ, რომ ქრისტეს მტერნი თქვენის ცოლისა და შვილის დასატყვევებლად დარბიან, ამათ ჰასუხი მისცეთ და ღვთის მოწყალებით დახოცოთ და სიჩუქვილეულნი გააბრუნოთ“.

ჩვენს დოკუმენტში მოცემული ბრძოლის ფორმა მხოლოდ ერთ-ერთი სახე იყო ლეკთა თარეშის აღმოსაფხვრელად და რაღაც ბრძოლის ეს ფორმა საქმარისი არ აღმოჩნდა, ერეკლემ, როგორც ცნობილია, ახალი უფრო რაღი კალური, ღონისძიება მიიღო და 1774 წ. 4 იანვრის განჩინებით მორიგი ჯარის სისტემა დააწესა.

როგორც აღნიშნული იყო, ერეკლემ 1774 წელს ლეკების წინააღმდეგ მოქმედების მთელი წესდება გამოიმუშავა. ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება საღრმოში სარდალს ევალებოდა, მას ციხე-სიმაგრეები მზად უნდა პქონოდა, მეზობლებთან კავშირი დაემყარებინა. ამ დებულების დასამტკიცებლად არა ერთი საბუთი მოგვეპოვება. „მერმე ამხანად, სწერდა ერეკლე რევაზ ამილახვარს 1772 წელს, ჩვენი შვილი გიორგი გამოვგზავნეთ მანდედებენ და თქვენ უნდა იახლოთ, იმათთვისაც მოგვიწერია და მაგ ქვეყნის ბინა—სიმაგრე, ჯარისა და მღევრობის გარიგება, ციხეებისა და სიღნაღების გარიგება და გამაგრება, როგორც სამჯობინარი იყოს ისე უნდა გაარიგოთ და ისე მოიქცეთ მაგრად და ფრთხილად და მტერს არა დააწებოთ რა“¹.

ყუარდებას იძყობას იგრძეთვე ერეკლეს ერთი წერილი, მიწერილი რევაზ ამილახვრის სახელზე 1772 წლის 28 იანვარს: „...ზემოთ მომავლის ქვეითის დიდის ჯარის კვალი ენახათ და ერთი ცხენიანი კაცი რეოდათ. ეს ამბავი ზემო ქართლში ყველას შეატყობინეთ, გაფრთხილდნენ, რომ არა წაახდინონ-

რა. ხუმრობა საქმე არ არის, ეს ამბავი ახლავ ყველას აცნობე, როგორ ხუმრობა ხილებლობით არა წახდინონჩაა¹.

ანდა: „ქ. ჩვენ მაგიერად დარბაზ ბატონს ამილახორ რევაზს ასე მოახსენეთ, მერე ჩვენ რომ აცვალას მოვეფით, ქაიხოსრო მარტყოფის მოურავის წიგნი მოვივიდა. უჯარმაში ქვეითი ლექის ჯარი შემოსულა, ცოტა და ბევრობა კი არ ეწერა. ეს ამბავი სოფლებს აცნობეთ, ხმა დააგდეთ და გააფრთხელეთ“² წერილი ერეკლესია და 1772 წლის 28 აგვისტოთი თარიღდღება.

ჩანს, სარდალი მოვალე იყო არა მარტო ციხე ჰერონდა მზად ან ჯარით მეფის დაძახილზე მზად ყოფილიყო, არამედ მტრის მოძრაობისათვის თვალყურის დღევნებინა და მოსახლეობა თავდაცვის მდგომარეობაში პყოლოდა. სარდალი ვალდებული იყო აგრეთვე თავის სასაჩლოში ზომები მიელო და პანიკორ ჭორიკანების წინააღმდეგ ბრძოლა ეწარმოებინა. ერეკლე აფრახილებდა: ამილახორს „შენი სშსარდლე თავადი და აზნაური შემოპერიბე და ეს ჩვენი წიგნი ისე წაუკითხე. ჩვენ ბელადნი ვართ და ვიცით, რომ ჭორიკანობა შეიქმნება, მაგრამ, უბრალოს ჭორს ნურავინ აჰყვება თორემ ვინც უნდა იყოს ენას მოვასტრით“³.

სარდლის მოვალეობის კიდევ ერთი მხარე იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ეს არის მეზობლებთან (ახალციხის საფაშო, იმერეთის სამეფო) სადაზვერვო მუშაობა. 1765 წელს ერეკლე სწერდა რევაზ ამილახორს: „ბატონიშვილის არჩილის ავად ყოფნის ამბავი მოვივიდა, მეტად შეწუხებულნი ვართ. ქართლში ჩაც იმისი ამბავი იყოს, დიდათ მალე გვაცნობეთ“⁴.

უფრო ადრე, 1761 წლის 21 დეკემბერს, ერეკლე სხვა ამბებთან ერთად რევაზ ამილახორს მოაგონებდა: „თუ იმერული ამბავი გაგეგონოსთ რამე გვაცოდინენ“⁵.

საყურადღებოა, რომ ამილახორი არა მარტო იმერეთის საქმეებს აცნობებს ერეკლეს, არამედ თავისებურ ინფორმაციას აძლევს ქართლის ამბების შესახებ იმერეთის მეფესაც. „ქ. მის ბრწყინვალებას სარდანს ამილახვარს. ძმას, ბატონს ოთარს მეფე იმერეთა, სოლომონ მრავალს მოკითხვას და უპერებლად ბრძანების სიხარულს მოგახსენებ, მერმეთ წიგნი მოგეწერა, რაც ამბავი შამოგეთვალა კარგათ ვისმინე, დიალ მაღლობელი ვარ, მეფე ირაკლი ნუ მოგიკვდება და თუ ჩემი ძმობა გწამდეს, მანდეური ამბავი როგორც იცოდე, ან ომან ხანის, ან სხვა ყოვლისაფერი საჩქაროთ მომწერე და ან აწ როგორ რამე ამბავი შეიტყო, მალმალე გვიბრძანე, ამბავს ნუ დაგვაკლებ, ჩვენც მაგიერს გარდაგიხდით და გაამებთ“⁶.

¹ ფ. Hd 13709.

² ფ. Hd 13715.

³ ფ. Hd 13716.

⁴ საქ. ცენტრალური, ფ. 226, საბ. 386.

⁵ ფ. Hd 13710.

⁶ საქ. ცენტრ. არქივი. ფ. 226, საბ. 1751.

ასეთივე ხასიათის დანასაქმი, ქვეს დავალებული ამილახორს, უკიდურეს უშლილობას, ახალციხის ფაშისადმიც.

1788 წლის 8 ივნისს ოთარ ამილახორს სწერდა ერეკლე:

„...შენი წიგნი მოგვიყიდა, ახალციხის მხრის ამბავი მოგეწერა ჩვენც
იქით აქეთ კაცნი გვყვანან, რომ იმათი ამბავი არ გვატლია, არიან კაცნი ქრის-
ტიანენი და თათარნიცა, რომ ამბავს წვრილათ ძერებიან. შენის მოწერილის
ამბისა ზოგი რამ კიღეც ემოწმება და დიალ კარგსა იქ, რომ იქაურს ამბავს კი-
თხულობ. იქ, ახალციხეს რაც ლექს ჯარია, ჩვენ სარწმუნოთ ვიცით ხათრი-
ჯამის კაცისაგან, რომ სულ ხუთს კაცს ათნაცლები კაცნი არიან, იქაური ამ-
ბავი არც ჩვენ გვაკლია, მაგრამ მაინც კარგათ იქ, რომ იქაურს ამბავს კითხუ-
ლობ და კიღევაც ნუ მოიშლია“².

ერეკლე მსგავს დავალებას აძლევდა იმავე ოთარ ამილახორს 1790 წლის 10 მარტს: „ბატონო ამილახორო ოთარ, მერმე ქაიხოსრო ლევანანიშვილის ქალი რომ არის მანდ, თქვენ კარგად უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ იმასთან მამსვლელი კაცი იყოს ვინმე, და ან მაგისტაგან გაგზავნილი კაცი იყოს ვინმე და გზავნიდეს, კარგათ, ფრთხილათ, უნდა... ის კაცი ჩაიგდოთ, კარგათ გაჩ(ხრის)თ, ან აქედამ გაგზავნილი წიგნი ეჭნება და ან იქიდამ მოსული წიგნები—ასე კარგათ უნდა გაფრთხილდეთ, რომ ახალციხიდამ მოსული კაცი, მანამ მაგასთან მოვიღოდეს, თქვენ ჩაიგდეთ, წიგნებიცა და კაცათ სიჩეროთ ჩვენთან გამოგზავნეთ“¹. მოტანილი საბუთები მრავალ მხრივ საინტერესო ცნობებს შეიცავს. როგორც დავინახეთ, ერეკლე უკელა ლონისძიებას წმართმები მოუთოვნილი თავათსხმიბი ააკრინოს თავის ქვეყანას.

გაწვრთნილი დიპლომატი სადაზერგო ორგანიზაციას დღიდ მნიშვნელობაზე
აძლევს.

ასეთია მასალები სარდლისა და საღროშოს უფლება-მოვალეობის შესახებ. როგორც ვხედავთ, სარდალი დიდი ხელისუფალი იყო. მისი ხელისა იყო: აღვიზზე ციხე-სიმაგრეების დაცვა-პატრონობა, ჯარის ორგანიზაცია, საღროშოში შემავალ თავადთა ურთიერთობის მოწესრიგება, როგორიცაა: გაყრა, შეჩიგება, სხვა მცირე სამართლის ქმნა; მისი საღროშოს სამეზობლო ქვეყნების ამბების კოდნა და სხვა.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ისტორიის კათედრა

(ଶ୍ରୀମତୀ ଲକ୍ଷ୍ମୀଶ୍ଵର ୧୯୫୦, I, ୨)

Digitized by srujanika@gmail.com

Digitized by srujanika@gmail.com

21. ၂၁၄၂၀၃၀ၯၦ

3263304-01 833/3 25/3 2002

თავის დროზე ჯრუჭის მონასტრის წინამდლაპირმა ჯაფარიძემ მაცნობა, რომ ჭიათურის თავზე, სოფ. ბერევისაში, არის პატარა ეკლესია. იგი მოხატული იყო, მაგრამ რავი ახალი ეკლესია დაშენეს, ძველს სახურავი მოხადეს და ფრესკებიც ჩამოიჩეცხა. ფრესკებზე თითქოს წერეთლები ყოფილიყვნენ გამოხატული.

1920 წლის 7 სექტემბერს გავემგზავრე ამ ეკლესის სანახავად ჭიათურიდან. ახალი ეკლესია, თლილი ქვით აგებული, არაფერს წარმოადგენდა სიყრისათვებს არც შენობის რიგისა და არც მასში დაცული ნივთების მხრივ.

ამ ეკლესიაში იყო ნაჭედი ხატი, ორმელზედაც გამოხატული იყო ცხენო-
სანი წმ. გიორგი, დიოკლეტიანე მეფის მგმირავი. ამ უკანასკნელის ამობურ-
ცული გამოხატულება წელს ზევით-და იყო დაცული. ხატს 12 უბრიალო ქვა
უჯდა; აშია ვერცხლისა ჸქონდა, ტლანქი ხელობის ვაზის ხლართულებით
შემკული. წმინდანის გამოხატულებას ეწერა: «წ’ი გ’ი». ქვედა აშიაზე ორ-
პწყარიანი, კულგარული მხედრული წარწერა:

«ქ. ქაიხოსრომ არქიმანდრატრიას (sic) ძმა (sic). გავაკეთებინ[ე]: ჩემს
შოსაბესენინ[ბლად]».

ხატი ძალზე დაზიანებული იყო და ვერცხლის სამოსელის ქვეშ თეთრი კილოს სარჩეული უჩინდა. ხელობა XVIII საუკუნისას ჰგავდა.

მეორე ხატიც იყო, მიქელ მთავარანგელოზისა, აგრეთვე მღარე ნახელავი,
თრთიბ-მოძარ/კული. შერჩენილი პეტონდა წარწერა: «მიქ-ლ ან-ზი».

პერეგისის ძველი ეკლესია მომცრო იყო, თლილი ქვით ნაგები, სიონური რიგისა, ოთხკუთხედი, ჩემი იქ ყოფნისას უკვე ძლიერ დანგრეული. ჩრდილო-ეთით ეკვდერი ჰქონდა. შესასვლელი ორი იყო (აღმოსავლეთით და დასავლეთით), სარკმელი — სამი (აღმოსავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით). შიგნით მომრგვალებულ საკურთხეველში ტრაპეზი შუაში იდგა. საკურთხეველის მარცხნა კადელში ღრმა და დაბალი უბე იყო, ამბობნი ერთი საფეხურით იყო შემალებული იატაკის მიმართ. კანკელი ხისა ჰქონდა. ჩრდილო ეპიდერში შესასვლელი კარი საკურთხეველის ახლო იყო.

ექლესია მართლაც სულ მოხატული ყოფილიყო, მაგრამ მე ფრესკების უმეტესი ნაწილი ჩამორეცხილი დამხედა, ხოლო რადგან ეკლესის სახურავი აღარ ჰქონდა, დანარჩენიც სწრაფად წახდებოდა. შედარებით უკეთესად იყო შენახული ფრესკები საკურთხეველში.



საკუროთხევლის კამარაზე იყო ასომთავრული წარწერა:

«წ: მზისა: . აღმოსავლითგნ: გე: დასავალამდი: . ქებულ არსეთასულო
ოსა».

ეკლესია ორჯერ მაინც ყოფილა მოხატული, თუ მეტჯერ არა. გვიანდელი
ფრესკების ქვეშ უფრო ძველი და უფრო კარგი ფრესკები მოჩანდა, აგრეთვე
სულ გაფუჭებული.

საკუროთხევლის თახზე დახატული იყო ღვთისმშობელი ჩვილედი. მას
ეწერა: M.P. მარტინ; მის კალთაში მჯდომ ყრმას — I.C. X.C. მარჯვნივ ედგა
გაბრიელ მთავარანგელოზი, მარცხნივ — მიქელი, რომელთაც სახელები ხუცუ-
რად ეწერათ. ამას ზემოთ, კონქში, მედალიონში ეხატა ქრისტე ემანუელი.
მედალიონს ირგვლივ ბერძნული წარწერები ყოფილიყო, თეთრ ფონზე შვი
ასოებით. ღვთისმშობელს ქვემოთ, წრეში გამოხატული იყო ჯვარიანი ფილო-
ნებით შემოსილი მღვდელ-მოწესენი, რომელთაც ხელში ასომთავრულად ნა-
წერი ეტრატები უჭირავთ. ისინი სამ-სამი იყვნენ, სარკმელს ძევთ-იქით, და
მას შემდეგაც, ორივე მხრივ. იკითხებოდა მხოლოდ ზოგი წარწერა: „წე თქრო-
პირი“, „წე სტეფანე“, „წე ბასილი“, „წე ეპიფანე“, „წე გრიგოლი“
„...ნოსელი“, „...მთავარ დიაკონი“. სარკმელის მარჯვნივ და მარცხნივ გამო-
ხატული იყო მთავარანგელოზები, რომელთა ლაბარუმებს ეწერა: „წე არს,
წე არს“. სარკმელს ზემოთ სერაფიმი იყო; სამხრეთ კედელზე, საკუროთხევლის
მახლობლად, ოთხი წმიდა მხედრის სურათი; დასავლეთ კედელზე, კარს ზე-
მოთ — ჯვარცმა, წინამდვრმებითურთ. ჩრდილო კედელზე გამოხატული ყოფილა
წმ. გიორგის წამება — ჩემ დროს უჩინის თვალი-ლა ჩანდა. ეკლესიის თაღს
შუაში ჰქონდა ერთი სარტყელი, რომელზედაც მოჩანდა ორი წინასწარმეტყვე-
ლის ფრესკები, ხოლო მათ შუა — ქრისტეს თავი. ჩანდა წარწერა: „მოსე“.

სამხრეთ კედელზე ჩანდა ნაშთები ძველი ფრესკული ასომთავრული წარ-
წერისა:

... მევედრ

... სა

(ჩ)ევენსა.

სამხრეთ-დასავლეთ ყურეშიც იყო ასეთივე წარწერის ნაწყვეტი: «...აფც-
ხვითა».

ჩრდილო კედელზე გამოხატული ყოფილი აღგილობრივ ღიღებულთა —
აღბათ მართლაც წერტილების — წყება. მაგრამ ეს ფრესკები ჩემ დროს სულ
ჩამორცხილი და ჩამონგრეული იყო. შეიმჩნეოდა აგრეთვე სხვა ფრესკათა
ნაშთები, რომლებზედაც ქართული ტანისამოსი ჩანდა.

დასავლეთ კედელზე ჩანდა სრულტანოვანი ფიგურები: მამაკაცი, დედა-
კაცი და მათ შორის პატარა ქალ-ვაჟი; კარს მარჯვნივ კი უბრალოდ შემო-
სილი მამაკაცი და შემდეგ კვლავ დედაკაცი. წარწერები წაშლილი იყო.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს ისტორიის კათედრა

გ. ბერებეგი

ცოლომინ I-ის გეორგის პირველი ვარიონი * (1752—1768 წ. ნ.)

I. დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოზო მღვარე გეორგი პირველი V-ის გეორგი.

ცოლომინ I-ის განებზე ასელა და მისი გეორგის პირველი ცლანი

იმერეთის სამეფო იყო ქვეშევრდომი თურქეთისა, რომელსაც იგი ყოველ-წლიურად უხდიდა, ხარკის სახით, ქალ-ვაჟებს, თუ არა და ფულსა და ტილოს. ამასთანავე, იმერეთი მოვალე იყო ევაჭრა ადამიანებით თურქებთან.

იმერეთში უწესრიგობა სუვერენიტეტის მოსახლეობა მოკლებული იყო მფარველობასა და უშიშროებას. ბატონობდა ძარცვა, დატყვევება, მკვლელობა და სიღატავე.

იმერეთის მთავარი ციხეები — ქუთაისი, ბაღდადი, შორაპანი და ცუცხვათი — ეჭირათ თურქებს, რომლებიც მათში გამაგრებული იყვნენ ქვემენებით. შევი ზღვის სანაპიროც მათი იყო და საზღვისპირო ციხეებში — გონიასა, ბათუმსა, ფოთისა, რუსისა, ანაკლიასა, სოხუმში — მათი იყნიჩრები იდგნენ. ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ციხეები, რომლებშიც ფაშები ისხდნენ, თურქების ბატონობის დასაყრდენს წარმოადგენდნენ შევი ზღვის სანაპიროზე საქართველოდან. გურია, ოდიში და აფხაზეთი გადაქცეული იყვნენ თურქების იარაღდ იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ.

დასავლეთ საქართველოს ეროვნული ბედი მძიმე საფრთხეში იყო. იმერეთის მეუე ალექსანდრე V, მამა სოლომონ I-ისა, თავს ვერ ართმევდა არსე-

* ქვემოთ, ლიტერატურის დასახელების დროს, შემდეგნაირად ვამოკლებთ გამოცემათა და გამოყვლევათა სათაურების.

Грамоты I, II = Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, под редакцией А. А. Цагарели, т. I, СПБ 1891; том II, СПБ 1898.

საექლესიო რეფ. = ს. კაკაბაძე, საექლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს. თბილისი, 1913.

საეკლ. საბ. = ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I და II. თბილისი, 1921.

Gld. Reisen = Güldenstadt, Reisen durch Russland und im caucasischen Gebürg, I, SPB 1787.

Hammer = Hammer, Geschichte des osmanischen Reiches. 1836.

ქ. ცხ. ჩუბ. = ქართლის ცხოვრება II, ჩუბინაშვილის რედაქციით, სპბ. 1854.

ბულ სიძნელეებს, თავისდა უნებურად დამხმარე ძალა ხდებოდა დამპურობელი თურქისა და ამით კიდევ უფრო ასუსტებდა თავისი ქვეყნის თავდაცუმშა! წრმინა აღმდეგობას.

ალექსანდრე V იმპერიის საერთო მდგომარეობის შემდეგნაირად ახასიათებდა 1732 წელს ანა ივანეს ასულ რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილს თხოვნის წიგნში: „... წარიწირა... ქრისტიანობა ყოველსა საქართველოსა და მივეცენით... ხარჯსა და ზვერსა¹ აგარიანთასა. და, ვითარება სისრა² სასტიკი, ალტებილ არს უსჯულოთა ლექთა მძლავრება... მონასტერნი არიან სადგურ აგარიანთა და ეკლესიანი იქმნენ ქვაბ აეაზეთა. გვირგვინშემოსილნი, კათალიკონი და ეპისკოპოზნი არიან ტუკეობასა შინა...“.

„... წარმოემართენენ, — განაგრძობს იგი იქვე, — საბრძანებელნი ხონთ ქრისანი — ფაზანი და მთაგარნი მათნი — და ჩვენი სამშლვრები ზლვით, პონტოთ კერძო პირები, ციხითა და გოდლებითა აღავსეს და მოუთმენელს კარჯს და ტუკეობას ქვეშე დაგვაწყვდის“³.

დასავლეთ საქართველოში თურქი მცხოვრებლები თანდათანობით მრავლდებოდნენ. მათ სოციალური უპირატესობაც მოიპოვეს დამხედურ ქართველებთან ურთიერთობაში (რა თქმა უნდა, ძალმომრეობის საშუალებით). ქართველი, მაგალითად, მოვალე ხდებოდა ჩამოსახლებული თურქისა, რომელიც მას აღატავებდა, ათურქებდა ან ჰყიდდა. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ ხონის მთავარებისკოპოსის ანტონის ნათქვამი სიტყვები (ალექსანდრე V-ის მეფობაში): „... თათრის გალი დაგვედვა ცხრაას და ჩვილმეტი მარჩილი⁴. მერმე იმ ჩვენმა მოვალე თათარმა დაგვიპირა, ცუცხვათელმა თათარმა: ეკარგვებოდით და რჯული გვეშლებოდა... გაურჯულებას მამულის გაყიდვა ვარჩიეთ“⁵.

როდესაც მთავარებისკოპოსი ასეთ დღეში ვარდებოდა, რაღა უნდა დამართოდა მწარმოებელი კლასის წევრებს!

ასეთი მექვიდრეობა დაუტოვა ალექსანდრე V-მ თავის შეილს, სოლომონ I-ს.

სოლომონ I გამეფდა 1752 წ., როგორც ამას თვითონ სოლომონი აღნიშნავს თავის სიგელში: «დაიწერა სიგელი ესე ქრისტეს აქეთ 1759..., ინდიპიონისა 7...»⁶.

¹ გადასახადი.

² ისარი.

³ Переписка... грузинских царей с российскими государями, от 1639 г. по 1770 г. под ред. Б. р о с с е, СПб, 1861, стр. 195—6.

⁴ 550 მან.

⁵ ავ. ცენტრ. არქივი, ფ. 227 № 55.

⁶ ს. კავაბაძე, საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს, თბ., 1913, გვ. 5—6).

ალექსანდრე V-ის სიკვდილის თარიღის შესახებ ორგვარი ცნობა მოიპოვება. განუზის ქორონიკონებისა და ისტორიის მიხედვით, იგი მომვდარა 1752 წ. (იხ. საქ. ცხოვრება, II, ჰიმინაძის გამოც., თბ., 1913, გვ. 349—50, 392), მაგრამ ავსტრიის სრამბოლები ელჩის პენტერისა და ერთი ქართული მინაჭერის მიხედვით, — 1751 წ. (H a m p e r, Geschichte des osmanischen Reiches, IV, 1886, გვ. 476 და E. თაკაშვილი, Материалы

სოლომონის წლოვანების შესახებ ორი ცნობა გვაქვს: მოურავთ და უკარგრი გიულდენშტეტის. ბირველის გაღმოცემით, 1769 წელს მეფე 35 წლისა ყველა¹, ე. ი. 1734 წ. დაბადებულა. მაგრამ მეორე პირი მეფის დაბადების თარიღად 1735 წელს ხვასს².

სოლომონი თავის ძეგში უფროსი უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ იგი, დაბადებული 1734—35 წ.წ., ნაშობია 1732 წ. გათხოვილი ქალისაგან³.

მეფის აღზრდის შესახებ მარტო ის ვიცით, რომ მისი ძიძა ვინმე ნაფინავად ყოფილა, როგორც ეს ჩანს სოლომონის 1754 წ. 15 ოქტომბრის წყალობის წიგნში⁴.

გამეფდა თუ არა სოლომონი, მისი ხელისუფლება მაშინვე აჯანყების მსხვერპლი გახდა. ახალგაზრდა მეფე ტახტიდან გადმოაგდეს იმერეთის თავადებმა, რომელთაც მეფის დედა და ორი ბიძა მეთაურობდნენ.

ეს აჯანყება გაგრძელება იყო იმ სამოქალაქო ბრძოლისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ალექსანდრე V-ის მეფობაში თავადება და მეფის ხელისუფლებას შორის. წერეთლებისათვის მიცემულს 1805 წ. 25 აპრილის წყალობის წიგნში სოლომონ II ამ აჯანყების შესახებ წერს: ერთიანობას როსტომბან, ძემან შოშიტასამან, მოიბირა აბაშიძის გიორგის შვილი ლევან და შეებენ მეფე სოლომონს და გარდააგდეს ახალციხეს და დაატყვევეს ქვეყანა და დაყიდეს⁵.

სოლომონ I-ის მემკვიდრე მეფის თვალში აღნიშნული აჯანყება თავადური ხასიათისა ჩანდა, და ეს საქსებით ბუნებრივიცა.

მაგრამ სახლვარგარეთ ამ აჯანყებას მისი ორგანიზატორების მიხედვით აფასებდნენ. აქატრიის კონსტანტინებოლელი ელჩი პერკლერი 1752 წ. ოქტომბრის რაპორტში სოლომონ მეფის შესახებ ამბობს: „იმერეთის ახალგაზრდა შთავარი... რომელიც... თავისი ორი ბიძისა და დედისაგან გაძევებულ იქნა, ახალციხეში აღმოჩნდა, მთხოვნელი სამალეთის მფარველობისა“⁶.

ექ ლაპარაკია მამუკა და გიორგი ბაგრატიონებზე, სოლომონ მეფის ბიძებზე, რომელთაც არაერთხელ მოუწყვიათ აჯანყება თავიანთი მმისათვის, ალექსანდრე V-ისათვის, ტახტის დაჭრის მიზნით. როგორც ჩანს,

для истории Грузии, Тифл., 1895, стр. 16). ამათგან მართალია პირველი, რომელიც ეთანხმება სოლომონ მეფის ცხოვბას.

¹ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. I, с 1763 по 1774, под ред. А. А. Цагарели, СПб, 1891, стр. 72.

² Gülden städt, Reisen durch Russland und im caucasischen Gebürge, I, 338—339, herausg. von Pallas, SPb, 1787.

³ შდრ. ვარუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, 353, 387—8, გიგინაძის გამოცემა, თბ. 1913.

⁴ საქ. მუხ., Hd, 1531.

⁵ ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, 1914 თბილისი, გვ. 91.

⁶ Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, IV, 476, Pesth, 1836.

მათ იარაღი არ დაუყრიათ და, ალექსანდრე მეფის სიკვდილის გამო, მარჯვენა შემთხვევა მისცემიათ ტახტი ახალგაზრდა სოლომონისათვის წარმომართვა იმერეთში თავადთა ბატონობა დაემყარებინათ. მათ თავიანთ მხარეზე სოლომონის დედაც მიუმხრიათ, რომელიც ასული იყო აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მონაშილის ლევან გიორგისე აბაშიძისა.

ახალგამეფებული სოლომონის წინააღმდეგ აჯანყებულმა თავადებმა დროებით მიზანს მიიღწიეს: მათ სოლომონი გადაგდეს და იმერეთში თავადების მტაცებლობა დაამყარეს¹.

სოლომონ მეფემ დახმარებისათვის ახალციხის ფაშას მიმართა. ახალციხის ფაშა დამპყრობელი ძალა იყო. ეს კარგად იცოდა იმერეთის მეფემ, მაგრამ მან ისიც იცოდა, რომ ახალციხის ფაშა ერთადერთი ძალა იყო, რომელიც იმ შემთხვევაში მას სამხედრო დახმარების გაწევაზე უარს არ ეტყოდა.

ახალციხის ფაშას, როგორც თურქეთის ექსპანსიის დასაყრდენს დასავლეთ საქართველოში, მოხერხებული შემთხვევა მიეცა თავის გავლენაში მოექცია იმერეთის მეფე და იგი ახალ-ახალ დათმობებზე დაეყოლებინა თურქეთის ბატონობის სასარგებლოდ.

ახალციხის ფაშის დახმარებას თურქეთისა და იმერეთისათვის, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა: ფაშა ითვალისწინებდა სამოქალაქო წესრიგის მიღწევას იმერეთში, საიდანაც, თურქეთის მთავრობის აზრით, უფრო მეტი ხარჯისა და ტყვევების გაყვანა გახდებოდა შესაძლებელი. სოლომონ მეფე კი, თურქული ძალის გამოყენების გზით, თავისი ტახტის პოზიციებს იცავდა და ამით ნიადაგს ამზადებდა თავადების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

სოლომონ მეფისათვის მთავარი მტერი დამპყრობელი თურქი იყო. მაგრამ მისი დამარცხება მტკიცე სამეფო ხელისუფლების შექმნას მოითხოვდა. ხოლო ხელისუფლების შექმნა სათანადო სოციალური დასაყრდენის მოპოვებას საჭიროებდა. ამან სოლომონ I-ლს უკარნახა დროებით უკან დახვა, და დამპყრობელი ძალისაგან მან „დახმარება“ მიიღო.

იმერეთის მეფის ეს ნაბიჯი იყო წინდახედული და პოლიტიკურად გამართლებული.

სოლომონ მეფემ «ფაშა ჩიმოიყვანა, — სწერია ვახუშტის ქორონიკონში, — და დაიპურა კვალად იმერეთი².

მეფემ პირველ რიგში აჯანყების მეთაურები დასაჯა. თავისი დედა მან იმერეთიდან გააძევა. კაპიტანი ლვოვი, რომელიც კარგად იცნობდა იმერეთის საქმეებს, წერს: „... სოლომონ მეფემ... თავისი ლვიძლი დედაც, როცა იმას სოლომონ მეფის მტრული პარტიის მხარე რამდენადმე ეჭირა იმერეთში

¹ შრ. პ. ორბელი იანი, ამბავნი ქართლისანი, ჭიგნში: ქართლის ცხოვრება, II 443, ჩუბინაშვ. რედ., სპპ, 1854.

² საქართველოს ცხ., II, 392, ჭიგნაძის 1913 წ. გამოცემა.

ყოფილი დიდი უწესრიგობის დროს, იმერეთიდან გააძევა, რომელიც კულტურული და სამეგრელოში ცხოვრობს¹.

ასევე მოექცა სოლომონ I მამუკა ბაგრატიონსაც; თურქეთის ჯარის დახმარებით იგი მეფეს იმერეთიდან გაუძევებია. «მამუკა, იმერელ მეფის შეილი, — წერს პ. ორბელიანი, — გარდმოგდეს თვისის მამულით ურუმთა².

რაც შეეხება გიორგი ბაგრატიონს, სავარაუდებელია, რომ მეფის მიერ ისიც დასჯილ იქნა. იგი უნდა ჩავთვალოთ იმ „ახლობელი ნათესავების“ რიცხვში, რომელიც „სოლომონ მეფე — „ლვოვის სიტყვით, — ყოველგვარი მოწყალების გარეშე, საპყრობილეში ჩამწყვდევით დასაჯა, მათი ურჩობის გამო“³.

მეფის რისხვის მსხვერპლი შეიქმნა ლევან აბაშიძეც; იგი და მისი თანა-განშროანი გვარისკაცები სოლომონმა დამცირა. ამან, წინააღმდეგობისათვის თვისისა, — ამბობს ნ. დადიანი სოლომონ I-ის შესახებ, — დაამდიბლა სახლი თავადთა აბაშიძეთა⁴.

ლევან აბაშიძე შეილი იყო გიორგისა, რომლის საკუთრებას კაცხი წარმოადგენდა, საღაც იგი, 1722 წ. ქართლში გარდაცვლილი, დამარხულ იქნა⁵. მაშასადამე, კაცხი ლევანმაც მემკვიდრეობით მიიღო. მაგრამ სოლომონ II-ის დროს იგი უკვე სამეფო სახლის საკუთრება ყოფილა⁶. შეუძლებელია ლ. აბაშიძის სამკვიდრეობელი სოლომონ II-ის საკუთრება გამხდარიყო, თუ იგი სოლომონ I-ს არ წაერთმია მისი პატრონისათვის.

ამრიგად, კაცხის წარმომედით სოლომონ I-ს ლევან აბაშიძისათვის მძიმე ლახვარი ჩაუკია.

მეფეს დაუსჯელად არ ვაუშენა არც მამია გურიელი, რომელსაც, როგორც ჩანს, მონაწილეობა მიუღია აჯანყებაში. ფაშის ჯარის გამოყენებით სოლომონი გურიაში შეიჭრა, მამიას შთავრობა წაართვა, გურიიდან გააძევა და მის ადგილზე მისი უმცროსი ძმა, გიორგი დასვა⁷.

დასჯას გადარჩა აჯანყების მთავარი მონაწილე როსტომ რაჭის ერის-თავი. ... შეიწყალა ერისთავი როსტომ, — წერს სოლომონ II სოლომონ I-ის შესახებ, — და დაადგინა ერისთავად⁸. „მოწყალება“, გამოჩენილი ერისთავის მიმართ, წარმოადგენდა მეფის პოლიტიკურ ნაბიჯს, რომელიც ნაკარნახევი იყო მისი იძროონდელი სისუსტით.

სოლომონ მეფის მოქმედებიდან აშკარად ჩანდა, რომ იგი იბრძოდა თავისი ხელისუფლების გასამტკიცებლად. ამ პოლიტიკური პროგრამის განხა-

¹ ქ. ი. 1772 წ. 29 სექტემბრამდე.

² გრამოთი, I, 362.

³ ქ. ცხ., II, ჩუბ., 451.

⁴ გრამოთი, I, 362.

⁵ ს. კაგაბაძე, წერილ და გას. საქ. ისტორიისათვის, I, 85.

⁶ ვახუშტი, საქ. ცხ., II, 351, კიჭ. რედ.

⁷ იხ. სოლ. II-ის 1804 წ. 3. X წყალობის წიგნი, მიცემული სოლომონ ლიონიშისა-ოფის, წიგნში: საქართვ. სიბ., III, 569. ე. თავაიშვილის რედ.

⁸ ქ. ცხ., II, ჩუბ., 468—9.

⁹ ს. კაგაბაძე, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 91.

ხორციელებლად ერთადერთი საშუალება იყო ქვეყნის შიგნით საჭიროებული ბრივი ძალების შემოკრება და მათზე დაყრდნობა. მაგრამ არც ერთი პიროვნეული ძალა მეფეს მხარში არ ამოუღებოდა, თუ კი არ გამოირკვევოდა ტახტის დამოკიდებულება დამპყრობელ თურქთან, რომელიც იმერეთის საზოგადოებრივ ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა (ერთი მხრით, თავადების თავისკენ გადაბირებით, მეორე მხრით, აზნაურების დათრგუნვით და აგრეთვე ეკლესიის დასუსტებით).

სოლომონ მეფის დამოკიდებულება კი თურქებთანაც მტრული იყო. მან გამეფებისთანავე ბრძოლა დაუწყო იმას, რაც ოსმალთა ექსპანსიამ იმერეთში მოიტანა: ტყვის სყიდვას და მაჰმადიანობის გავრცელებას.

ასეთი პოლიტიკის გატარებით სოლომონ I თავის ქვეშვრდომებს არწმუნებდა იმაში, რომ იგი იბრძვის დამპყრობელი თურქებისა და მაჰმადიანობის წინააღმდეგ იმერეთში.

თურქების ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლით „მეფემ თავის მოლვაწეობას... — აღნიშნავს აკად. ნ. ბერძნიშვილი, — მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა: ის ქართველობისათვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა“¹.

იქმნებოდა საიმედო პოლიტიკური ნიადაგი იმერეთის მოწინავე საზოგადოებრივი ძალების მეფის გარშემო დარაზმევისასავის.

იმერეთი, როგორც თურქეთის ქვეშვრდომი, ფულად ხარქს იხდიდა, რაც, ტყვის საგალდებულო გაყიდვასთან ერთად, მოსახლეობას აუტანელ ტვირთად აწევებოდა.

„გადასახადი, — წერს ჰამედი, — რომელსაც იმერეთის... მცხოვრები პორტას უხდიდნენ, გამოიხატებოდა სამასი ქისის გაღებასა და ტყვების გაყიდვაში, რომელთა რიცხვს ახალციხის ფაშა... აწესებდა“².

სამასი ქისა იმდენად დიდი თანხა იყო, რომ მისი გადახდა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა³.

ამიტომ სოლომონის გამეფებამდევე ფულის გადახდა შემცირდა და ნატურით გამოლების სახე მიიღო. „... სოლომონის წინაპრები, — აღნიშნულია რუსეთის საგარეო საქმე. კოლეგის მიერ მაქსიმე აბაშიძის ჩვენების მიხედვით შედგენილ 1768 წლის ჩანაწერში, — ... ხარქს გარდა, რომელშიც ისინი თურქეთის კარს ყოველ სამ წელიწადს თვითონეული კომლიდან... თითო სახალათე

¹ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, 1948, თბ., გვ. 390.

² Hammer, IV, 545.

³ ვახტანგ VI-ის „სამართლის“ მიხედვით, ერთი ქისა 30 თუმანს უდრის (იხ. ქართული კრისტონათა, 400, დ. ჩიბინაშვილის გამოცემა, სპბ, 1846). აქედან 300 ქისა = 90.000 მანებთს.

მაგრამ მოიპოვება იმერეთის კათალიკოსის მაქსიმეს წერილი, დაწერილი პეტერბუგში 1785 წ. 12 იანვარს და გამოგხავნილი დავით იმერეთის შეფისათვის, რომელშიც იმერული ქისის შესახებ შემდეგია აღნიშნული: ერთი... კაცი მობარძდა და პელმიტიფს წყალობა რვა ათასი რუბლი მოიტანა; ქართულად ათასი თუმანა და იმერულად — ოცი ქსა (კუთაისის ისტ.-ეთნოგ. მუნ., № 936). აქედან 300 ქისა = 150.000 მან.

ტილოს ან... 20-20 კაპიკს უხდიდნენ, — არ უკრძალავდნენ თავიანთ დომებს ქართველების გაყიდვას თურქეთში...”¹.

„და თურქები, — ნათქვამია იქვე, — ამით უფრო იყვნენ კმაყოფილი, ვიდრე თვით ხარკით“².

მაგრამ სოლომონის გამეცებისას ფულის გადახდა საესებით გადაერთიანდნილა. „უკვე რამდენიმე ხანია, — წერს ჰამერი სოლომონის დროის იმერლებზე, — ამ ხალხს ფულადი გადასახადი... არა ჰქონია...“³.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმერეთი თავისუფალი იყო ხარკისაგან. საქმე ისაა, რომ ფული და ტილო იმერეთში, საღაც ძალიან სუსტი იყო სასაქონლო მეურნეობა. და რეწვა, ძნელი საშოვარი ხდებოდა. ამიტომ თურქებსაც ის მიჰყავდათ აქედან, რაც იშოვებოდა. ეს იყო ადამიანები. „...თვითთ ქვეყანა, — აღნიშნულია იმერეთის შესახებ 1769 წ. 28. V. ერთ რუსულ დოკუმენტში, — უხდიდა ხარკში პორტას აღამიანებს, განსაკუთრებით, ქალთა სქესიდან“⁴.

თურქების ხანგრძლევამ ბატონობაში ჩოშალი იმერეთში ტრადიციული საზოგადოებრივი ურთიერთობა, აღმოცენებული ფეოდალურ წესწყობილებაზე. თურქი ჩამოსახლდა იმერეთში, დაიპყრო ციხე, გახდა ქვეყნის ბატონი. მოზალი მეფის ცენტრალური ხელისუფლება. ატყდა თავადთა ქიშბობა. დაეცა ეკლესია. ქვეყანა გაუთავებელმა ბრძოლებმა მოიცვა. შეწყდა ვაჭრობა. მინელდა შრომა. გამეფდა შიში, შიმშილი და სილატაკე. იყიდა ყმა-გლეხობა და ყიჩალობას მიჰყო ხელი. ტყვევების დატაცება და გაყიდვა ან ვაჭრობა აღამიანებზე ჩვეულებრივ მოვლენებად იქცნენ.

იძერეთმა თურქებთან დამოკიდებულებაში დაპქარება თავისი ფულადი მეურნეობა და მოქცა სამალური ფულის მიმოცევის სფეროში.

დამპყრობელი ძალა ამ გარემოებით ზარჯვედ სარგებლობდა და იმერეთს ფულის ხარჯს აწერდა. ამით იგი აიძულებდა იმერეთის თავადაზნაურობას გადასახდელი ფულის საშოვნელად ყმა-გლეხები თურქებისათვის მიეციდა.

ასეთი „წესრიგი“, დამყარებული აგრესორის ძალმომრეობაზე, სასარგებლო იყო იმერეთის თავადებისათვის, რომლებიც მეფის ხელისუფლების გაუქმებისათვის იძრმოდნენ და ქვეყანას თავთავისთვის იტაცებდნენ. მათი „პატრიოტიზმი“ საკუთარი მამულის დაცვისა და გაფართოების ფარგლებს არ შორდებოდა და ამიტომ ისინი სიამოვნებით ურიგდებოდნენ დამპყრობელ თურქს, რომელიც მეფის ხელისუფლებას ლაგანვდა და ქვეყნის გამაერთიანებელ ძარღვებს სწყვეტდა. მათი მძლავრობის მსხვერპლს წარმოადგენდნენ ეკლესია. და აზნაურები. რომლებიც მათთან ფინიკურ ბრძოლაში მარცხდებოდნენ და ყმა-მამულებს ჰქონდნენ.

¹ გრამოთი, I, 14—15.

² იქვე, 15.

³ Намет, IV, 545.

⁴ გრამოთი, I 39.

სამოქალაქო ჩხუბი, რომელიც თურქების მძლავრობისა და ფაშაფაშისკენ ქიშპობის შედევს წარმოადგენდა, მძიმე მდგომარეობაში აყენებდა უშიშრუტებობას, რომლის დიდ ნაწილს სახლ-კარი ეკარგებოდა, ტყველ იყიდებოდა ან თავადის ხელში გარდებოდა.

ამრიგოდ, აზნაურობა, ეკლესია და ყმა-გლეხობა წარმოადგენდნენ იმ სოციალურ ძალებს, რომელთათვისაც თურქებისა და თავადების ბატონობისა განადგურება მოჰქონდა. ამიტომ ისინი თურქებისა და თავადების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

მაგრამ მათი ბრძოლა ატარებდა სტიქიურსა და ცალკეულ ხასიათს, როს გამოც ისინი ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდნენ ბრძოლიდან.

საჭირო იყო მათი დარაჯმევა ერთი საქმის გარშემო, მათი ბრძოლაში ჩამდი იმერეთიდან თურქების განდევნისა და თავადთა ბატონობის მოსპობის მიზნით.

აი, ეს ამოცანა შეასრულა სოლომონ I-მა და ამით დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

სოლომონ მეფემ პოლიტიკური მოღვაწეობა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო. რუსეთის საგარეო საქმ. კოლეგიის ზევით აღნიშნულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „... სოლომონ მეფემ..., გარდაიცვალა თუ არა მამა მისი..., ქართველი ტყვების თურქებისათვის მიყიდვა ყველა თავის ქვეშევრდომებს მეაცრი ჯარიმით და თვით სიკვდილის სასჯელით აუკრძალა“¹.

მეფის ამ ნაბიჯზე იმერეთის თავადების უკმაყოფილება გამოიწვია, იმიტომ რომ მათ ხელიდან ეცლებოდა „შემოსავლის წყარო“. 1770 წელს იმერეთში მყოფი იაზიკოვი წერს, რომ, ტყვის სყიდვის აკადვის გამო, სოლომონ მეფე „გადაიქცა... თავადებისათვის არასასიამოგნო პირად, რადგან მათ ამით თავიანთი შემოსავალი მოაკლდათ“².

რა თქმა უნდა, მეფის მოქმედება თურქებისათვის კიდევ უფრო მიუღებელი იქნებოდა, იმიტომ რომ ტყვის სყიდვის აკრძალვა ნიშნავდა ქვეშევრდომულ მოვალეობაზე ხელის იღებას და, მაშასადამე, თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებას.

ამნაირად ესმოდა სოლომონს თავისი დამოკიდებულება თურქებთან, როცა 1770 წ. 19 სექტემბერს რუსეთის იმპერატორს სწერდა: «აოექვსმეტი წელი სრულ იქმნა, რომ ოსმანთ ბრძოლაში გიგირვი და გშტრებით»³.

ტყვის სყიდვის აკრძალვას სოლომონ მეფე ახორციელებდა ძალის საშუალებით. საზოგადოების იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობდა ბრძანების შესრულებაზე, მეფე იძულებითს ზომებს ხმარობდა, „მიმართავდა რა ხან სიმკაცრეს, ხან ძალას“ — აღნიშნულია 1769 წელს შედგენილ რუსულ დოკუმენტში⁴.

¹ Грамоты, I, 15.

² იქვე, 191—192.

³ Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, вып. 1, 57, под ред. А. А. Чагарели, СПб, 1898 („Грамоты, II“).

⁴ Грамоты, I, 34.

სოლომონ მეფე თავისი ბატონობის ძალას საზოგადოების იმ კულტურულ და ფუნქციურ იკრებდა, რომელთათვისაც სარგებლობა მოჰქმნდა ტუფლის სყიდვის აკრძალვას. ესენი იყვნენ აზნაურები, ეკლესია და ყმა-გლეხობა.

მართალია, ისინი მეტად სუსტ ძალებს წარმოადგენდნენ მოცემულ პერიოდში, მაგრამ მათი კავშირი მეფესთან მაინც ჰქონდა ძალის იმ მინიმუმს, რაც საჭირო იყო ძლიერი მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყებად. შემდგომ კი, ბრძოლის პროცესში, ძალის გაზრდა სოლომონისათვის სავსებით შესაძლებელი იყო, იმიტომ რომ ბრძოლა განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა.

თავისი სოციალური პოლიტიკის გატარებაში მეფე სერიოზულ ყურადღებას აქცევდა ყმა-გლეხის მდგომარეობას. მიწის მუშა, რომელიც თურქების ბატონობისაგან აუტანელ ქონებრივ და უფლებრივ პირობებში იმყოფებოდა, საჭიროებდა ყმა-გლეხის მდგომარეობაში აღდგენას, თუ არა და იგი მონად იყო გადაქცეული და თურქეთის ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა.

დამპყრობელი თურქის წინააღმდეგ ბრძოლა უნიადაგო იქნებოდა ქართული ფეოდალური პოზიციებიდან, უკეთუ მწარმოებელი კლასი შესაფერის, ყმაგლებურ, მდგომარეობაში არ აღდგებოდა.

ყმა-გლეხის მდგომარეობაში ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ მიწის მუშას ჰქონდა სახლ-კარი და ბატონისათვის შესაძლებელი ოდენობით ეხადა გადასახადი, ხოლო ბატონის დამოკიდებულებისათვის ყმა-გლეხთან კონტროლი გაეწია მეფეს, ერთი სიტყვით, ბატონიური ურთიერთობა წინასწარდადგენილ წესდებულებაზე დამყარებულიყო მეფის ხელისუფლების მეშვეობით.

მოცემული პერიოდისათვის იმერეთის სამეფოში ყმა-გლეხს მძიმე ტკირთად აწვა საურისა და საუდიეროს გადახდა. ერთი იყო მონგოლების დროიდან დამკვიდრებული გადასახადი, რომელსაც ამერეთში „სათათრო“¹ და იმერეთში „სახვანოქრო“² ეწოდებოდა, მეორე კი დასავლეთ საქართველოში თურქების ბატონობის დროს უნდა იყოს გაჩენილი და ნიშნავს „საძალოდ სათხოვარს“.

დამპყრობლებს თავიანთი „საგადასახადო წესი“ მოჰქმნდათ საქართველოში. მაგრამ ამ „წესს“ ითვისებდა ქართული ფეოდალური სისტემაც, და, საბოლოო ანგარიშში, ყმა-გლეხს გადასახადი უმძიმდებოდა.

სოლომონ მეფე ხედავდა, რომ პირველ რიგში საჭირო იყო უცხოური წარმოშობის გადასახადებისა და „საძალოდ სათხოვარი“ გამოსალების აღკვეთა.

1755 წ. 25 აპრილს სოლომონმა სამეფო კარის მწირველ მღვდელს სიმონ წერეთელს წყალობის წიგნი მისცა, რომელშიც შემდეგია აღნიშნული: «ჩემის ქვეყნაში აგარიანთ ძალდატანებისაგან საურავი გაჩნდა და ჩვენი ქვეყნა ნამეტნავად შეაწუხა. ახლა შენ წყალობა [გ]იყავით, და..., საცა რომ

¹ საქ. სიძვ., III, 150 (ამ ცონბაზე ჩემი ყურადღება მიაჭირა პატივც. ე. მეტრევა მარტი, რომელსაც ვმადლობ).

² ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, 122—3.

შენი გლეხები გყავს, არცეთს საურავი და საუდიერო] სახორცე, მრავალი არასოდეს სათხოვარი ჩვენგან... გეთხოვოს»¹.

საური და საუდიერო, როგორც ამ სიტყვებიდან ჩანს, ის გადასაწადები უნდა იყოს, რომელთაც მეფე ჰქონდა ყმა-გლეხებში თურქებისათვის მისაცემად ხარჯის ანგარიშში.

მაგრამ საურისა და საუდიეროს ამოკვეთი მარტო თურქების ბატონობის საწინააღმდეგო ონისიძებას კი არ წარმოადგენდა, არამედ იყო იყო აგრეთვე ფეოდალების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯიც.

როგორც ითქვა, საურიც და საუდიეროც შეითვისა ქართულმა ფეოდალურმა სისტემამ და, სხვა გადასახადებთან ერთად მოქმედებაში დასტოვანისინი გადაიქცნენ ქართველი ფეოდალების შემოსავლის წყაროდ და ყმა-გლეხობის გაძარცვის საშუალებად.

და როცა სოლომონ მეფე ჰქვეთდა ამ გადასახადებს, ამით იყო ბატონისა და ყმის ურთიერთობაში იქრებოდა და ყმა-გლეხების მდგომარეობას რამდენიმდე აუმჯობესებდა. ეს იყო სოლომონ მეფის რეფორმატორული პოლიტიკა გლეხთა საკითხში. მეფე საურისაგან თვის საქუთარ ყმებსაც ათავისუფლებდა. მაგ., მან ერთ 1750-იანი წლების წყალობის წიგნში სამტრედიელებს ჩაუწერა: «...უსჯულოთაგან... ნამეტნავად რომ გაგვიჭირდა, მოგონედით, შეგესიერ. ბევრი ავის დაგემართათ ჩვენგან. ჩენც, ამისად ნუქად, ეს წყალობა გიყავით: თქვენ... ჩვენგან... არასოდეს საური არ გეთხოვოთ»².

საურის გადასახადმა იმდენად მოიკიდა ფეხი საქართველოში, რომ მისი ერთი გამოცხადებით ამოქვეთა ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელსაც წარმოადგენდა და მაგნებელიც იყო თუნდაც იმავე რეუისათვის. ასეთ შემთხვევაში სოლომონს საურის რაოდენობის დაწესებისათვის მიუყვა ხელა. მან, მაგ., ხონელებისათვის შემდეგი (უთარილო) ბოძანება განისცა: «... დიდი თათრის ძალი და გადასახადი თუ არ მომდგეს, ჩემთვის წრეულს იქით, მის-დღემიჩ, წელიწადში, თითო მარჩილის მეტი, არ გადაგახდევით საური»³.

ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ყმა-გლეხებისათვის ცხადი ხდებოდა, თუ ვინ იყო სოლომონ მეფე, და იგი თურქებისა და თავადების წინააღმდევ ბრძოლაში მის მხარეზე დგებოდა. გლეხი იბრძოდა მეფის გვერდში და მის სიმსახურს ერთგულად ასრულებდა. ასეთ ყმებს სოლომონი ააზარქდა, ე. ი. ყოველგვარი გამოსაღები გადასახადისაგან ათავისუფლებდა.

1762 წ. 5 აპრილს სოლომონმა შემდეგი წყალობის წიგნი დაამტკიცა: «... მეფებან... სოლომონ ეს თავისი უფლების წიგნი გიბოძე თქვენ, ჩემს სამსახურში ერთგულ ულთ ყმებთ, ვანს მცხოვრებელსა გლუნჩაძეს... მახარობელსა, სკომონს, ნიკოლოზს და გიორგის ეს ვითარი სახითა: ... გადასახად თქვენ არ გეთხოვოს და არც სხვა რამე ჩვენგან...»⁴.

¹ ს. ქ. როვ მუხ., ჩ. 2. 308.

² იქვე, ჩ. 10. 143.

³ ს. კავაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, 36–37, თბ., 1921 (საკლ საბ. II").

⁴ საქ. მუხ., ჩ. 8. 397.

სოლომონ I კანონმდებლობის გზით ყმა-გლეხის გაყიდვის წესის საფუძვლები ნასაც შეუდგა. მან ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც ვერც თვითონ მეფე და ვერც სხვა მოხელე (მეფის „ნებამყოფელი კაცი“) ყმა-გლეხებსა და აზნაურებს¹, დანაშაულის ჩადენის გარეშე, ვერ გაჰყიდდა. 1756 წელს, მაგ., სოლომონ მეფემ გეგუთელ აზნაურებსა და გლეხებს იმედის წიგნი დაუღო, რომელშიც დაბირებას იძლეოდა, რომ «დღეის იქით არას გაჭირვებით და არც გაჟუჭირვალათ და უნაშაურათ (!) თქვენ... ჩვენგან... არ გეიყიდოთთა». ²

ყმის გაყიდვის დაწესება დანაშაულის ჩადენის მიზეზით ნიშნავდა ბატნის ნების შეზღუდვას და წარმოადგენდა ცდას, მიმართულს ყმა-გლეხის უფლებრივი მდგომარეობის ღლდგენისაკენ.

ყმა-გლეხობა ფეოდალიზმში არ არის კომპაქტური ერთეული; იგი დაქსაჭულია თავადებსა, ეკლესია-მონასტრებსა, აზნაურებსა, მეფესა და სეფერწულებს შორის. ყმა-გლეხი თავისი ბატონისაგანაა დამოკიდებული და მისი გამოყენება მეფეს უბატონოდ, რა თქმა უნდა, არ შეუძლია.

ამიტომ სოლომონ I-ის მიერ ჩატარებული საგადასახადო და უფლებრივი ღონისძიებები ეხებოდნენ, მეფის ყმებს გარდა, მხოლოდ ექლესიისა და აზნაურების ყავ-გლეხობას.

ეკლისიის შესახებ მომღევნო თავში იქნება საუბარი. ამჯერად კი შევ-
ხები მეტის დამოკიდებულებას აზნაურებთან.

სოლომონ I-ის პოლიტიკას იმერეთის აზნაურები მხარს უქერდნენ. ისინი შევიწროებული იყვნენ თავადებისაგან და იარაღით ხელში იბრძოდნენ მეფის მხარეზე, რომელიც იყავდა მათ თავადების ხელყოფისაგან.

ქაიხოსრო აგიაშვილისათვის სამკვიდრო მამული პატრიკეთი და საციხის-თაო წაურომევიათ იმ დროს, როცა მეფე მტერთან ბრძოლით ყოფილი დაკა-ვებული. იმ აგიაშვილს სოლომონთან „ერთგულად და თავდადებით“ უშისახუ-რია, რის გამოც მეფისაგან „პატივ-საფაროველი“ გამრავლებია და ქეშიკთ-უხუცესობაც მიუღია. ამის შემდეგ სოლომონმა აკიაშვილს სამკვიდრო მამუ-ლიც აღუდგინა და საციხისთაოც. «...შენი სამკვიდრო წართმეული პატრიკე-თის წყალობას დაგვეჯვეთ... ამოგიგეთ და გიბოძეთ...», მიმართავს მეფე აგიაშვილს. ხოლო მეორევან აღნიშნავს: ჩევენს უდროობაში მტერს წეერთმია საციხისთაო; ძირით თქვენი ყოფილიყო... ჩევენს მტერს ესძლიერთ. ისევ, როგო-რათაკ ძველთაგან გქონია..., იხლაკ ჩევენ... გიბოძეთ საციხისთაო»⁴.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს თავალისა ან დამპყრობელი თურქისაგან გაძარ-
ცხლ წვრილ ფეოდალთან, რომელსაც მეცნისათვის შეუფარებია თავი.

აგიაშვილის წრის წარმომადგენელია ვახტანგ იაშვილიც, რომელიც „ერთგულად ნამსახური“ ყოფილა მეცნისათვის „ძველადაც და ახლადაც“. ამის

¹ აზნაურის გაყიდვა დასაცლეთ საქართველოში ხდებოდა.

² ქუთაისის ისტ.-ეთნ. მუზ., № 913.

⁸ ଶାହୀ ପ୍ରିଣ୍ଟିଙ୍ଗ, ଅଲ୍ପଚିତ୍ର, ପୃ. 227, № 66.

4 0130, № 51.



გამო სოლომონის პირველი ცოლისაგან¹ მან ხელახლა მიიღო თურქეთში გადასახლება
კვიდრო გეგუთი, რომელიც წინათ წარმეტყვლი ჰქონია. «გეგუთი... თევენი
სამცვიდრო ყოფილია, — მიმართავს დედოფალი იაშვილს. — და ცოტახანს
უდროობით გამოვერთვათ და სხვას ქონდათ. ახლა... მოგვიცემია თქვენთვინ
სახელოთ...»².

საიმედო პირებს მეფე ფულად ჯამაგირსაც უნიშნავდა და ამით თავის ერთგულებად ინარჩუნებდა. ასე, მაგ., 1755 წ. 11 ნოემბრის თავისი კარის მოხელეებს სოლომონმა უბრძანა: «...ჩვენის ერთგულობისა და სამსახურის გულისათვის ამ თომაშვილს... თომას წელიშადში ორმოცი მარჩილი თეთრი გაგვიჩნია; უნდა მისცემოდეს! თუ ჩვენი ერლგული იყოს, არაოდეს მოქმა-ლოს...»⁴. და ეს თომა ბოლომდე მეტის გვერდში მდგარა. მოვზაურმა გიულ-დე ნურეტიმა 1772 წ. ივლისში იგი იმერეთში ნახა და ოღნიშნა, რომ „ის ჯავახეთიდანაა და თურქებისაგან იმერეთში გამოძევებული“, საღაც მეფეს თავის მრჩეველად დაუყენებია.⁵

სოლომონ მეფეები იმთავითვე ყურადღება შიაქცია ციხეების დაჭრის. ფეოდალურ ცხოვრებაში ციხე არის ბატონობის ნიშანი; ვინც ფლობს ციხეს და იყენებს მას ადგილობრივი მოსხლეობის დასამორჩილებლად, ქვეყნის შთაალიც ისაა.

იმერეთის თითქმის ყველა ციხები თურქებისა და თავადების ხელში იყო მოქცეული.

სოლომონ I გულმოლგინედ შეუდგა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კიბეგების ხელში ჩაგდებას და მათ გამაგრებულ პუნქტებად გადაჭივევას.

„దాన థంబేర్ కెబ్బులుండ సిసార్గెబ్లా అధిశిద్జీబ్స శొర్లిస అర్ట్రెబోల్లా స్త్రీరంబిత దా మాన గ్వార్లస బార్యాగ్రంథుల్లిస ప్రింక్ క్రెల్లిండాన గామొంప్రాల్లా. «... స్క్రోస మియిండ్గాస ట్యుర్లెన్ గార్హింగ్, — మింబార్తాగ్స గ్రింర్గి మామ్చుకాస ఏ అంధింగ్ సెంల్మమ్మం మెఫ్ఫేస బార్యాగ్రంథుల్లిస ప్రింబ్ శ్లేసాక్షేథ, — దా మంగ్యుండ్రెత ప్రింక్ బార్యాగ్రంథుల్లిస»⁶.

სოლომონ მეუეს მეორე აბაშიძისაგან ჩხერეს ციხეც შეუსყიდია. 1762 წ.
19 იანვარს ნიკოლოზ ფინეზისძე აბაშიძემ სოლომონს შემდევი პირობის წიგნი
მისცა: «... ჩხერის ციხე მოგყიდე მისის შემომავალის კაცით — რაც ჩემი სახასო
გლეხი ესახლა... — უკლებლათ...»⁷.

ჩხერეს ციხის შესყიდვით სოლომონი თავის სამეფოს უშიშროებას აღმო-
სავალეთიდან სამხედრო სიმაგრით განამტკიცებდა.

¹ ეს არის თინათი შარვაშიძის ასული, უწოდი საისტორიო ლიტერატურაში. მეცნ მას თავის წიგნებში შემდეგნაირად მოიხსენიებს: «თანამეცხელრე ჩვენი, შარვაშიძის ასული, დედოფალთ-დედოფალი, ბატონი თინათი» (საქ. ცენტრ. არქ., ფ. 227, № 66); «დედოფალთ-დედოფალი, თანამეცხელრე ჩვენი, შავრაშიძის (I) ასული თინათი» (ქუთ. ისტ-ეთ. მუზ., № 842).

² ମୂଲ୍ୟ. ମୁଦ୍ରା, № 1753.

³ 24 ମାର୍ଚ୍ଚ, ୨୦୧୫ ଶକ୍ତିପତ୍ର

* Կաժ. ՅՈՒՆԻԼ ԱՐԺ. Պ. 231, ՀԱՐՑԵԼԱՇՎՈՂՈՎԻ ԱՐԺՈՎՈ, ԹԵ-6 Իշ. № 4.

⁵ Reisen I. 983.

* საკ. მუხ., ს. № 2971//5161. ს. გაფაბაძის გამოცემაში (საექლ. საბ., II, 3) შეცდომით
მართვასთან დაკავშირდება.

⁷ Կ. 32326259. Տարբեկ. Տաթ., II, 17.

მოცემული პერიოდისათვის სოლომონ მეფის ოჯახურ ცხოვრებაში ცეკვა ლეგბა მოხდა: პირველი ცოლის ადგილზე მეორე, მარიამ დადიანის ასული ვაჩნდა. 1754 წ. ნოემბრითან ეს უკანასკნელი ცნობილია¹.

სოლომონის შესახებ ნ. დადიანი წერს: «...ვინათგან იხილა, თვინიერ დადიანისა მეფობა მისი შეუძლებელ არს, ამისათვის განუტევა ინალისშვილის ასული და შეირთო ოტია დადიანის ასული, მარიამ...»².

გამოდის, რომ მეფე პოლიტიკური მოსაზრებით დამოყვრებია დადიანს. იმის მიუხედავად, რომ მემატიანე ფაქტიურ შეცდომას აკეთებს, შესძლებელია ჩენ მას დავთანხმოთ სოლომონის მოქმედების შეფასებაში. მართლაც და, მეფის ხელისუფლებას ოდიშის მთავართან კავშირის დამყარება³ ამ დროს მეტისმეტად ესაჭიროებოდა.

1755 წ. 29 ოქტომბრის გელათის სიგელში მეფე თავის სიმამრს შემდეგი გამოთქმით ამკობს: «კეთილმეგობარი და ნებამყოფლობით მორჩილი სიტყვისა ჩენისა, მამად სახადი ჩემი, დადიანი ოტია»⁴.

რა თქა უნდა, მეფე არ ამბობს მართალს; დადიანი მისი „ნებამყოფლობითი მორჩილი“ არასდროს არ ყოფილა. მაგრამ ამ შემოხვევაში მნიშვნელობა იმას აქვს, რომ მეფესა და დადიანს შორის დროებით მშვიდობა და კავშირი დამყარდა, რამაც სულ მაღლ იმერეთის საქმეებში ღიდი როლი ითამაშა.

სიძეს სიმამრისათვის მაღლ სამხედრო დახმარებაც გაუწევია აფხაზების წინააღმდეგ. «დაღიანს აფხაზისაგან საქმე გაუჭირდა, — წერს სოლომონი 1767 წ., — და შემოგვეხვეწა. და გავიღაშქრე და წევედ. აფხაზეთი დავლაშქრე»⁵.

სოლომონ მეფის პოლიტიკას თვალყურს აღვნებდა ახალციხის ფაშა. იმერეთის მეფისათვის დახმარების გაწევა მან სამართლიანად ჩასთვალა თავის შეცდომად, რომლის გამოსწორებისთვისაც იგი მოხერხებულ გზას დაადგა. ასე, მაგ., მამუკა ბაგრატიონს, რომელიც სოლომონმა იმერეთიდან გააძევა, ახალციხის ფაშამ კვლავ მამული დაუბრუნა და იმერეთს გაგზავნა. ფარდოვიდა, — წერს პ. ორბელიანი მამუკას შესახებ, — შემოეხვეწნა ქართველ ბატონს და კას ბატონს. გაგზავნეს ელჩად ახალციხის⁶ მოურავი იორამ, შეარიგეს ისევ ფაშას. და მამული, რომელი წაერთმივა, უშვეს ისევ. და გაისტუმრეს ისევ ქვეყანასა თვისსა. მოვიდა⁷ ელჩი ახალციხის ფაშისა. მოეწერა⁸ წიგნი ერთობისა და სიყვარულისა»⁹.

¹ იხ. საქ. ცენტრ. არქ., ფ. 227, № 51.

² ს. გაკაბაძე, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 84 (მემატიანე შეცდომით ასახულებს პირველი ცოლის გვარს).

³ ამ დროს იმერეთისაგან ოდიში ჩამოშორებული იყო.

⁴ ს. გაკაბაძე, საეჭ. სტ., II, 5.

⁵ საქ. მუხ., სტ. 1. 190.

⁶ ქართლისა.

⁷ ობილისს.

⁸ თემურას და ორაკლი მეფეებისათვის.

⁹ ქ. ცხ., II, ჩუბ., 451—2.

აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების შუამავლობას ენერგიულად უჭირს მხარს ფაშა იმ მიზნით, რომ ექსპანსიისათვის სახითათ იმერეთის შუამავლენის თულ პოლიტიკურ ასპარეზზე განმარტოებულ მდგომარეობაში ჩაიყენოს.

მოხერხებული პოზიცია დაიკავა ფაშამ გურიელებთან ურთიერთობაშიც-მან კვლავ გურიელად დაამტკიცა შამია გურიელ-ყოფილი, რომელიც, სოლო-მონისგან გამოძევებული, თავშეფარებული იყო რაჭის ერისთავის სახლში, საიდანაც შუამდგომლობას სთხოვდა თეიმურაზ და ირაკლი მეფეებს ფაშის წინაშე თავისი სამფლობელოს დასაბუნებლად¹.

როგორც ირკვეოდა, ახალციხის ფაშა საბრძოლოდ ემზადებოდა სოლო-მონ მეფის წინააღმდეგ და თავის მომხრე ძალებს იმერეთშივე აგროვებდა მამუქა ბაგრატიონის, მამია გურიელის, როსტომ ერისთავისა და მისთანათა სახით.

სოლომონის ლონისძიებებმა იმერეთის თავადებიც ერთ ბანაკად დარაზმა. მათ კავშირი შეჰქრეს ახალციხის ფაშასთან და გადასწყვიტეს მეფის დამხობა შეიარაღებული ბრძოლით. «...წარვიდა... ლეონ აბაშიძე ახალციხეს, — წერს ნ. დადიანი, — და მოიცა ძალი ოსმალთაგან. და მოვიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა»².

ახალციხეში აბაშიძეს მისი „თანამებრძოლი“ როსტომ ერისთავი ჰელებია. 3. ორბელიანი წერს: «დაუმარცხა იმერეთის მეფეშ სოლომონ ურუშის ჯარს, რომ ლევან აბაშიძეს და რაჭის ერისთავს მოეყვანათ მის წისახენათ»³.

თავადების მხარეზე ვინძე წულუკიძეც ყოფილა. უძ-გულანის 1757 წლის მინაწერში აღნიშნულია: «თაორებ(ი)ს ვეზირის ჯარს ახლდენ ერისთავი და აბაშიძე, წულუკიძე...»⁴.

იმერეთში შემოჭრილი მტერი დაბანაკდა ხრესილის მინდორზე.

მეფებ დახმარება სთხოვა ოტია დადიანს, რომელმაც მას თავისი შვილი კაცია გაუგზავნა ოდიშელთა, ლეჩხუმელთა და აფხაზთა ლაშქრით⁵.

მთელი ზემო იმერეთი ლევან აბაშიძეს გადაებირებინა. სოლომონ მეფე იმერეთის დანარჩენი ნაწილის ამარა დარჩენილიყო. რა თქმა უნდა, მეფის მფლობელობა მძიმე იყო, რომ მისთვის დახმარება არ გაეწია დადიანს.

მეფისა და დადიანის შეერთებული ლაშქარი მოულოდნელად თავს და-ესხა ველზე დაბანაკებულ მტრის ჯარს, რომელიც ნაწილობრივ გაელიტა, ნაწილობრივ დაატყვევა და ნაწილობრივ გაძეცია.

მტრის რაოდენობა, როგორც ნ. დადიანი ამბობს, რამდენჯერმე აღე-მატებოდა მეფისა და დადიანის ლაშქარს.

გულეტილ იქნა თურქეთის ლაშქრის მხედართმთავრები გოლა-ფაშა, ქემხა ახალციხის ფაშისა, და ბაშალა⁷.

¹ ქ. ცხ., II, ჩუბ., 468—9.

² ს. კაკაბაძა ძე, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 85.

³ ქ. ცხ., II, 473, ჩუბ.

⁴ ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, II, განც. III, 72.

⁵ ს. კაკაბაძა ძე, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 85.

⁶ იქვე.

⁷ ე. თაყაიშვილი, ძვ საქ., II, განც. III, 72.

მოკლეს ლეგან აბაშიძე. დატყვევებული იქნა გედევან აბაშიძე¹ და წულუკ კიძე². გაიცა რაჭის ერისთავი³.

უძგულანის დასახელებული მინაწერი ხრესილის ბრძოლის დროიდ ასახელებს 1757 წ. 14 დეკემბერს. პ. ორბელიანიც ამ წელს აღნიშნავს.

მაგრამ თვითონ სოლომონ მეფე ხრესილის ომის თარიღიდ 1756 წელს ასახელებს. იგი, მაგ., 1768 წ. წერდა: «ათორმეტი წელიწადი არის, რომ ხვანითერის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს»-ო⁴. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია სამხედრო ბრძოლაზე, რომელიც სოლომონ მეფესა და სულთანს შორის მართლაც ხრესილის ომით დაიწყო⁵.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამ უკანასკნელს.

ხრესილის ბრძოლა დასაწყისი იყო დასავლეთ საქართველოს გნმათავისუფლებელი ომისა; სოლომონ მეფე სამხედრო იარაღით პირველად აქ შეხვდა დამპყრობელ ძალას.

სოლომონ მეფისათვის აშკარა გახდა, რომ თავადების დასამარცხებლად „დამდაბლებაზე“ მეტი ლონისძიება იყო საჭირო, და ლევან აბაშიძის „თანამებრძოლი“ სახლისკაცები იმერეთიდან გააძევა. «... განდევნილნი... აბაშიძენი, — წერს დავით მეფე 1784 წ. 26 აპრილს თავის ფიცის წიგნში, — რომელიც ორგულნი იყვნენ... ჩვენის მეფისა, — ისინი მეორედ ამ ქვეყანაში ჩვენის მიზეზით... აღარ შემევიდნენ»⁶.

ამ ხანებში სოლომონ I-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა მოხდა. 1758 წელს იმერეთის მეფემ გორგაში თავდაცვითი ქაუშირის ხელშეკრულება დასდო ქართლისა და კახეთის მეფეებთან: «რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, — ნათქვამი ყოფილა პირობაში, — ერთმანეთს მიერთებულნეთო»⁷.

აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებს სოლომონ მეფესთან ამ ღროს კარგი დამკიდებულება ჰქონიათ, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ თეომურაზ II 1757 წ. 29 აგვისტოს მოკითხვის წიგნში იმერეთის მეფეს „საიმედოვნოს“, „ყოვლის სიკეთის მქონებებლს ძმას“ უწოდებს⁸.

2. სოლომონ I-ის საექლესიო კოლიზიე

თურქების ბატონობა იმერეთში ანადგურებდა ეკლესიას. დამპყრობელი ხალა თავის სარწმუნოებას ნერგავდა, აგებდა მეჩეთებს, იტაცებდა საეკლესიო მამულებსა და ყმებს და ანგრევდა ეკლესიებს.

¹ ს. კაგაბაძე, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 85.

² ე. თაყაიშვილი, ძვ. საქ., II, განყ. III, 72.

³ იქვე

⁴ გრამოთი, II¹, 1—2.

⁵ 1756 წ. იმეორებენ ნ. დადიანიც და სოლომონ II-ც (იხ. ს. კაგაბ., წერილ... I, 85 და 92).

⁶ ქუთ. ისტ.-ეთნ. მუზ., № 327.

⁷ ქ. ცხ., II, 474, ჩუბ.

⁸ საქ. ცენტრ. არქ., ფ. 229, დავთ. 38, № 107.

მოგზაური გიულდენშტერი, რომელმაც 1772 წ. ნახა იმპერიუმი, ქუთაისის ქალაქის, ციხისა და ეკლესიების შესახებ შემდეგს აღნიშნული იყო: „ სის შეაგულში წინათ ქართული ქრისტიანული ეკლესია მდგარა, რომლის ადგილზე თურქებს მეჩეთი აუშენებიათ...”; „თურქებს, როცა მათ ქალაქი დაიპყრეს, ეს ეკლესია დაუნგრევიათ” (ნათქვამია ბაგრატის ტაძრის შესახებ); „თურქებს ქუთაისი 120 წელიწადს ეჭირათ, რის გამოც ახლა აქ ყველაფერი აოხრებულია. კედლის ჩრდილოეთითა და დასავლეთით ორი ეკლესის ნარჩენებით გარეუბნის ნაკვალევი შეიმჩნევა”¹.

დაცემულ ეკლესის კიდევ უფრო აჩანაგებდნენ თავადები, რომლებიც იტაცებდნენ საეკლესიო მამულებსა და ყმებს.

ეკლესია საფეოდალო იყო, მაგრამ უმეტესი დრეო საფეოდალო ამიტომ, კანონის მიხედვით, მისი ქონების ხელში ჩაგდება საერო ფეოდალს არ შეეძლო. სამაგიეროდ იგი, როგორც ასეთი, სასარგებლო იყო მეფის ხელისუფლებისათვის, რომელიც მის ხელშეუხებლობას იცავდა.

თავის მხრივ ეკლესია თამაშობდა ხალხის კულტურული გამართიანებელის როლს საერთო ენისა და სარწმუნოების შენარჩუნების საშუალებით. ეს ეროვნულ-კულტურული როლი ეკლესიამ შეინარჩუნა გვიანეულდალურ პერიოდშიც. მაგრამ დაეცა რა მეფის ხელისუფლება, ეკლესია გადაიქცა დამპყრიობელი თურქებისა და თავადების მტაცებლობის საგნად. დაეცა ეკლესიის გავლენაც. დამახსიათებელია იმერეთის კათალიკოსის, გრიგოლის, სიტყვები თავადებთან: «ან ტყვის სყიდვა გარდააგდეთ და ან მე დასტური მიბოძოთ, რომ სხვა ქვეყანას წავიდეო»². ცარიელ რჩევაზე დამყარებული უწევო კათალიკოსი ტყვის სყიდვას თავისი გადადგომის მუქარით „კრიძალავს”!

ეკლესია პოლიტიკური მიმართულების მხარეზე იდგა: ებრძოდა თავადების მძღვარობას და მაჰმადიანობის გავრცელებას, კრძალავდა ტყვის სყიდვას. ამიტომ სოლომონ მეფემ იმერეთის ეკლესიის საკითხი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის საგნად გადაიქცა. საეკლესიო პოლიტიკა სოლომონმა დაუკავშირა იმერეთის განთავისუფლების საკითხს თურქებისაგან და ამით გადაიქცია იგი სახალხო საქმედ.

სოლომონ მეფემ იცოდა, რომ ქართული ეკლესიის დაცემის მიზეზი დამპყრიობელი ძალაა, რომელიც უნდა განადგურდეს, რათა ეკლესია კელავ აღდგეს. თურქების დღომა იმერეთში, მეფის აზრით, მიზეზი იყო საეკლესიო ორგანიზაციის მოშლისა. «ქუთაისის ეკლესია..., — წერს იგი 1759 წ. 4 დეკემბერს, — კელთ ეგდო მძღინარეს იგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრემლო მიმობნეულიყო, და რომელიმე დაშთომილიყო, საერთო გამხდარიყო. და ქუთათელი აღარ იჯდა»³.

თავის საეკლესიო პოლიტიკას მეფე შემდეგნაირად ახასიათებდა: «...პირველთა მეფეთაგან შეწირული გლეხნი რომელნიმე თუ მამული სოფლისა

¹ R. I, 299—300.

² ს. კაკაბაძე, საეკლ. საბ., I, 1717 წ. 25 ნოემბრის საბუთი).

³ ს. კაკაბაძე, საეკლ. რეფ., 4.

მიმოკვეთებითა მიერ განებნიათ. და ერის კაცთ სამკვიდრებელად თვისად განედები საკუთრიათ. ოდეს... ესძლიერ უშულოთა მატმადიანთა..., შემდგომად უჩისს გიშევ მოსწრაფებით მოძიბად(!) გლეხთა და აგარაკთა... ეპელესიათა და ტრფიალ ვიყავ, რათა სამეფოსა ჩემისა ეპელესიანი ყოველნი თავისუფალ მექმნეს »¹.

მაშასადამე, სოლომონ მეფეს გადაუწყვეტია დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ეკონომიური და უფლებრივი აღდგენი, რათა ხელახლა დაემტკიცებინა ეკლესიისათვის დაკარგული და დატაცებული ყმა-მამულები და მიერიშებინა მისთვის იურიდიული ხელშეუხებლობა.

თავისი საეკლესიო პოლიტიკა სოლომონ მეფემ შემდეგი ღონისძიებებით განახორციელა: 1) ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამულები ეკლესიის დაუმტკიცა; 2) საეკლესიო ყმები განათავისუფლა ზედმეტი გადასახადებისაგან და საეკლესიო გადასახადები დაკანონია; 3) ეკლესიის ეკონომიური მეურნეობის საქმეებში ჩარევა ერისკაცებს აუკრძალა; 4) საეკლესიო თანამდებობებიდან უღირსნი გადამყენა და ღირსეული პირები მიიწვია; 5) ეკლესია-მონასტრები ააგო და შეამკო.

1759 წ. 4 დეკემბერს სოლომონ მეფემ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც საქუთათლო აღადგენინა და ქუთათელი დაასმევინა. კრებამ საქუთათლოს დაუმტკიცა ყველა მისი მამულები, რომელთაც ერისკაცი უერ შეეხებოდნენ და რომელებშიც მოურავსა და უფროს კაცებს ვეღარავინ დანიშნავდა. საქუთათლოს ყმები არავითარ საერო გადასახადს აღარ გადაიხდიდნენ, თუკი ქუთათელის დასტური არ იქნებოდა. საეკლესიო საქმეებში ჩარევა ერისკაცთ ეკრძალებოდა.

კრების ოქმში სწერია: «...განვიწევებთ..., რათა შეუცვალებელად ეგოს საქუთათლო ესე. და დავაჯდინეთ(!) ქუთათელი ესე და გაურჩებინეთ, ქუთათლიდ აბაშიძე მაქსიძე. და აწ გაწევებთ, რათა... საქუთათლო სახასო მამული, სადაც იყოს ან ვისაც ქონდეს, ყველა უკლისად საქუთათლოდ ეგოს... რაც ხელმწიფის სამართალი იყოს..., თორემ სხვა არა ეთხოვებოდეს რა, თვინიერ ქუთათლის უდასტუროდ; არც ძალი და უსამართლობა დაემართოს; არცავინ მოურავი და უჭროსი დაუღვეს მას მამულშიდ, თვინიერ მისის ყმის მეტი: — ასე ხელშეუალათ საქუთათლოდ იყოს. ამას გარდა... რაც ამის სამრემლო იყოს და, სჯულიანი სამართლის² რიგით, საკანონო საქმე მოიკითხოს, წინ არავინ აღუდგეს და შლად არა ხელ-ყოს...»³.

ეს იყო საკანონმდებლო აქტი. საქირო იყო მისი განხორციელება. და მომდევნო წლებში კრების გადაწყვეტილება სინამდვილეში შესრულებული.

¹ ს. კაგაბაძე, საეკლ. საბ., II, 74.

² მეფე შიმართავს კრებას.

³ სწერია: სამართალს.

⁴ ს. კაგაბაძე, საეკლ. რეც., 4—5.

1773 წ. 9 იანვრის ქუთაისის ეკლესიის გუჯარში მეცე წერს; კ... ძიება ვყავა... მამულისა, მოსახლე გლეხისა და აგარაკისა შენისა... ყოველწლიურად ვნახეთ... და ერთობით განვიახლეთ...»¹.

საეკლესიო პოლიტიკის წარმატება სავსებით დამოკიდებული იყო მეფის გამარჯვებაზე თურქებისა და თავადებთან ბრძოლაში. ამიტომ სოლომონის მეფობის მოელს მანძილზე გასტანა ეკლესიის აღდგენისათვის ბრძოლამ ცვალებადი წარმატებით. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, სოლომონის პოლიტიკურ და სამხედრო გამარჯვებებს შედეგად მოჰყვა ეკლესიის აღდგენაც.

ზემოთ აღნიშნულ იყო, რომ ეკლესია თავისი მორალური ძალით დახმარებას უწევდა მეფის ხელისუფლებას ქვეყნის გაერთიანებასა და დამპყრობელი ძალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ იყო მომენტიც, რომელიც უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო სოლომონ I-ისათვის. ეს გა ა ხლდათ ნივთიერი და ადამიანური ძალები, რომელთაც ეკლესია მეფის ხელისუფლებას აძლევდა სავალდებულო სახელმწიფო გადასახადებისა და ჯარისკაცების სახით.

ზემოთ მოტანილ ოქმში, მაგილითად, შემდეგიც იყო აღნიშნული: «რაც ხელმწიფის სამართალი იყოს — ლაშქრობა, ნაირობა, ქვეყნის² მოსავალი საქმე, რომელიც რიგი იყოს —, თორემ სხვა არა ეთხოვებოდეს რა...»³.

მეფის ხელისუფლებისათვის ორიეგ საქირო იყო, განსაკუთრებით თავადთა მძლავრობის დროს. ამიტომ სოლომონ I-მა მტკიცედ მოჰყიდა ხელი ეკლესიის აღდგენის საქმეს.

საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს ეკლესიებს შეეხო: ბიჭვინტისას, ჭყონლიდისას, გელათისას, შემოქმედისას, ხონისას და სხვ.⁴.

იმრეთის ეკლესიის დაუსტება მარტო ყმებისა და მამულების დაკარგვაში არ გამოიხატებოდა; საეკლესო ხელისუფალნი თავიანთ კანონიერ ფუნქციებს არ ასრულებდნენ და საერო საქმეებში იჭრებოდნენ. ეს ეკლესიის გავლენას ვნებას აყენებდა.

ამ გარემოებას სოლომონ მეფემ ყურადღება შიაქცია და გაფუჭებული საქმის გამოკეთებას შეუდგა. ხონის ეკლესიის დეკანოზი ვინმე ქუთათელაძე, რომელიც ეკლესიას რომ ეკადრებოდა, ისე არ მსახურობდა, «რიგს არ ათავებდა და სხვას რა გინდა რა საქმეში იყო», — მეფემ, მაგ., გადაყენა და მის ადგილზე სხვა, უფრო შესაფერისი პირი, დანიშნა, იმიტომ რომ «ეკლესია, — აღნიშნავს სოლომონი, — უმართებულოს რიგით დასაყენებელი არ იყო». ⁵

¹ საქ. მუხ., ჩ. 2. 222.

² სწერია: ქვე და ყინის.

³ ს. კაკაბაძე, საეკლ. საბ., II: 11—12, 16, 78; საქ. ცენტრ. არქ., ფ. 227, № 7

ფ. 226, № 2. 195; საქ. მუხ., საბ. 2. 98გ; ქუთ. მუხ., № 359, 131.

⁴ საქ. მუხ., ჩ. 2. 257.

საკულტურული თანამდებობებზე დასანიშნავი პირების შერჩევა, სამცხე-ჭარბაზე განვითარებული გამარჯვობის და ითვალისწინებული ცეკვების სისადმი მრევლის დამორჩილების საჭიროებას. ეს აზრი კარგად გამოხატა როსებ გენათელმა 1766 წ. 23 აგვისტოს ანდერძში სოლომონ მეფისადმი, როცა იგი, როგორც საფიქრებელია, იმერეთის პოლიტიკურ საქმეებზე თურქეთში ელჩად მიღიოდა: «ჩემს სიკვდილს უკან... გენათლათაც, რომელიც ჩვენი მოგახსენეთ, თუ თქვენმა გონებამაც ქნას მის ყაბული, — ის დასვით, ამის-თვის რომ... თქვენი ერთგული იქნება. რათგან დასვით, ძალი და ლონე და სიბრალული თქვენგან ასე უნდა ქონდეს, რომ არც თავისმა სამლენდელომ და საერომ კრებულმა არ აიგდოს და უმსახურობა ვერ გაუბედონ თქვენი წყალობით»¹.

აქ აშეარადაა გამოთქული უძლურება ეკლესიისა, რომელიც მფარველობას მეფეს სთხოვს. ზევით აღნიშნულ იქნა, რომ სოლომონმა ასეთი მფარველობა თავისი მოღვაწეობის საქმედ გაიხადა, იმიტომ რომ ეკლესიისაგან იგი მნიშვნელოვან დახმარებას მოელოდა.

ეკლესიისათვის ყმა-მამულების განახლება და ღირსეული ხელმძღვანელების შერჩევა არ კმაროდა, თუ კი საგადასახადო სისტემა სამრევლოში მტკიცე დადგენილებით არ მოწყვიტებდა.

1761 წ. 23 აპრილს სოლომონ მეფემ მორიგი საკულესიო კრება მოიწვია. კრება შეეხო გადასახადების გაწერისა და აქრეფის საკითხს და დადგენილება გამოიტანა ხონის ეკლესიის შესახებ, რომლის დაკარგულიყო და სადაც «არც სამრემლოსი შემოსავლის, არც ნიშნის, არც სახუცისი — არცეთის წიგნი აღარ იყო». «ამაზედ შემოვკრიბეთ... ერთობით ლიხთამერთა კრებული, — წერს მეფე, — და ეკლესიის ნიშანი, სამრემლო და გამოსავალი და სახუცო მოვიკითხეთ. და წმინდამ ამ კრებამ ასე დაამტკიცეს და ბრძანეს: როგორათაც გერიცხვის სამწყსოშიდ იყოს, გენათლისა და ქუთათლის სამწყსოშიდ, — იმასაც ეგრეთ განუწესოთთავ»².

კრების ერთ-ერთი ამოცანა იყო „სარჯულო და საკანონო საქმის“ „სამართლის გზით მოკითხვის“ დაწესებაც³. ეს ღონისძიება მიმართული იყო კანონიერების აღდგენისაკენ ეკლესიაში.

ეკლესიის ყმები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საურისა და საუდიეროს გადასახადებისაგან. ყოვლად შეუძლებელი იყო ეკლესიის ეკონომიური აღდგენა, თუ საკულესიო ყმას უნარი აღარ ექნებოდა დაწესებული გადასახადები ეხადა თავისი ორი ბატონისათვის: ეკლესიისათვის, ერთი მხრით, და საერო ფეოდალისათვის (რომლისგანაც იგი ეკლესიას შეეწირა), მეორე მხრით.

¹ საქ. მუზ., Qd 6940 (გამოცემულია ს. კაკაბაძის მიერ, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 54—57).

² ს. კაკაბაძე, საეკლ. რეფ., 7. როგორც აქედან ჩანს, უფრო აღრე მეფეს საგადა-მახადო სისტემა საგენათლოში, საჭუთათლოსა და საჭყონდიდლოში მოუწესრიგებია.

³ იქვე.

ამ გარემოებას კარგად ხელავდა სოლომონი. მეფის აზრით, თუ გელექტროდი ყმა განთავისუფლებოდა საურისა და საუდიეროს გადასახადებისგან, იგი აღდგებოდა ყმა-გლეხის მდგომარეობაში, ე. ი. შეინარჩუნებდა გადასახადის გამომღებისა და ჯარში გამსვლელის უნარს.

ეკლესიის ყმები მეფემ საურისა და საუდიერო გადასახადისგან განათავისუფლა. «... გელათის... სახასო ყმა... საღაც იყოს, არსად ჩვენგან... საურის გარდასახადი კარაჯა არ ეთხოებოდეს», — აღნიშნავს სოლომონი 1755 წ. 29 ოქტომბრის დადგენილებაში¹.

1764 წ. 9 იანვარს სოლომონმა ხონის ეკლესიის ყმებს ასეთი წყალობა უბოძა: «ამოგვიკვეთია საუდიერო — სახალოდ სათხოვარი — ხონის წმინდის გიორგის ყმისათვის; რომ ჩვენგან არა ეთხოებოდეს რა, თვით დაჭირვება თუ რამე ექნეს შეპატრონისა: თქვენის ნებით² ემსახურონ... რისაც შეძლებელი იყვნეთ»³.

საყურადღებოა, რომ საერო ფეოდალის ჩარევა თავისი შეწირული ყმის საქმეში, მისი ექსპლოატაციის მიზნით, სოლომონ მეფეს დაუშვია მხოლოდ ეკლესია-პატრონის მეთვალყურეობისა და ნება-სურვილის პირობით. ვინაიდან თავის დადგენილებას მეფე რეალიზაციის გარანტიას აძლევდა, ეკლესიის ნება-სურვილი სავსებით უზრუნველყოფდა საერო ფეოდალებისათვის საეკლესიო მამულებში კარების დახშვას — ვერ მიელოთ საუდიერო თავიანთ შეწირული ყმებისაგან.

პრინციპულად ამაში არათერი ახალი არ არის, მაგრამ მისი გადაქცევა ოფიციალური დადგენილების საგნად მაშინ, როცა ეკლესიის თავისი ყმებისა და მამულების უფლება დაკარგული ჰქონდა, საეკლესიო კანონმდებლობაში განმახასლებელ ნაბიჯს წარმოადგენდა.

მეფის წყალობა ებოძა გამოჩინებულის საწინამძღვროსა და ქუთაისის ეკლესიის ყმებსაც⁴.

რაღაც აღდგენილ იქნა საეკლესიო ყმა-მამულები და დაკანონდა საგადასახადო სისტემა მრეველში, ეკლესია დამოუკიდებელი ეკონომიური ერთეული გახდა, რამაც თავისი იურიდიული გამოხატულება სოლომონ მეფის იმ გადაწყვეტილებებში ჰპოვა, რომლებიც ეკლესიის სამურნეო ხელშეუხებლობას აკანონებდნენ.

ამ მხრივ საყურადღებოა 1778 წლის ერთი სიგელი, საღაც სოლომონი აღნიშნავს, რომ ხონის «ეკლესიის მამულისათვის მეფეთა და სხვათა მოურავი და მებაჟე დაეყენებიათ. ახლა... ჩვენი მოურავი და მებაჟე გაღმოგაცალეთ»⁵. იქვე მოსდევს დადგენილება, რომ მეფეს ყველა ფეოდალისათვის („მეპატრონისათვის“) აუკრძალავს მოურავისა და მებაჟის დაყენება ეკლესიის მამულში, „თვითიერ მთავარებისკოპოსისა“⁶. საერო ფეოდალებისაგან ჩაყენებული მოხე-

¹ ს. კაკაბაძე, საეკლ. საბ., II, 5.

² ე. ი. ეკლესიის მეთაურის, ეპისკოპოსის.

³ ს. კაკაბაძე, საეკლ. რეფ., 11.

⁴ იბ. საქ. ცენტრ. არქ. ფ. 226 № 2. 197; ს. კაკაბაძე, საეკლ. რეფ., 9.

⁵ ს. კაკაბაძე, საეკლ. საბ., II, 66.

ლეგის გამოძევება ექლესიის მამულიდან¹ ხელს უწყობდა ექლესია-ტატრანები უფლების აღდგენას თავის ყმა-გლეხზე.

ექლესიის ეკონომიური შეუვალობის აღდგენა რეალური გახდა; მეფის დადგენილებები ძირითადად სრულდებოდა. ასე, მაგ., 1760 წ. 10 ოქტომბერის მანია გურიელმა ბესარიონ კათალიკოსს ფიცი მისცა, რომ «რაც... გურიას... ბიჭინიტისა ღვთის-მშობლის შეწირული ყმა... იყოს..., ჩვენის მოხვეჭითა და ძალით, ... უსამართლობა არა უყოთ რა» შენს დაუკითხავადო. ეს დადგენილებაო, — აღნიშნავს გურიელი, — «რომ კათალიკოზის მეტს კაცს შენს ხატის ყმაზედ კელი არა ჰქონია», — გამოიტანა საეკლესიო და საერო კრებამ, რომელიც «თავათ ბატონმან მეფემან სოლომონ შემოკრიბინა»-ო².

სოლომონ I ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწყოდა ექლესია-მონასტრების აგების საქმეშიც. მან ააშენა კაცხის³, ჭალატყის⁴, გოგნის⁵ ტაძრები, გადახურა გელათის დიდი ექლესია „რკინის ყავრულით“⁶, შეამკო გელათის მონასტერი⁷ და ასე შემდეგ. მაგრამ ამ საკითხის დაწვრილებით განხილვას მე აქ არ შევუძღვები.

აღორძინებული ექლესია თვითონ განაგრძობს თავისი უფლებებისათვის ბრძოლას; იგი მოითხოვს, რომ მისი მამულებიდან მთლიანად ამოიკვეთოს საერო ფეოდალების მიერ ჩაყენებული მოურავები. ექლესია არ მორიდებია არც მეფეს. მაგრამ მისი მოთხოვნილება წინააღმდეგობას წააწყდა მეფის შხრივ. მეფეს უკირს დასთმოს ექლესიისათვის მამული, რომელშიც მას თავისი მოურავები ჩაყენებია და რომლითაც თვითონ სარგებლობს.

მეფეს თავისი წინააღმდეგობა იმით გამოხხატას, რომ ეკვი შეუტანია ექლესიის უფლებაში ერთ-ერთი მამულის მიმართ, რომელიც, მაშასადამე, და-კი საგანი გამხდარა. მაგრამ, როგორც კი ექლესიას მოუხერხებია „ძველი გუჯრების“ წარდგენა, მეფეს უკან დაუხევია და მამული დაუთმია.

ეს საინტერესო მოვლენა გადმოცემულია 1776 წ. 26 აგვისტოს სიგელში. იქ შემდეგია მოთხოვნილი: «... ესე... წიგნი მოგართოთ ჩვენ... მეფემან... სოლომონ... თქვენ... აფხაზ-იმერთი... კათოლიკოს... მაქსიმეს; ესრეთ... რომ ბიჭინიტისა... ექლესიის მამულები სამოურაოდ ჩვენს კაცებს ჰქონოდა... ძველთა გუჯრებთა შინა ბიჭინიტისა ექლესიისათ ესრედ განცხადებულად ვპოვთ, რომ ექლესიის მამულშიდ სხვის მოხელე და მოურავი არ შევიდეს და არცავინ ფლობდეს, თვითონ კათოლიკოზისა ბრძანებისა და მის მიერ დადგინდებულისა მოხელისა. აწ რადგან ესრეთ ნათლად ვიხილეთ, დაიხსნა ყოველი იჭვი წინააღმდეგთა»⁸.

¹ ს. კაგაბაძე, საეკლ. საბ., II, 11—12.

² საქ. ცენტრ. არქ., ფ. 226 № 3. 412.

³ იქვე, № 2. 175.

⁴ იქვე, ფ. 230, მე-16 დავთ. № 251.

⁵ ქუთ. მუხ., № 703. ამ დოკუმენტის არსებობაზე მიმოთხოვთ იმავე მუხეუმის დირექტორმა მითავოთ გორგაძემ, რომელსაც ამისათვის ვმადლობ.

⁶ Г. Е. Шеретели, Полное собрание надписей... гелатского монастыря, 1891. Тбилиси.

⁷ ს. კაგაბაძე, საეკლ. საბ., II, 51.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ეკლესია აღდგენილ იქნა თავისი ეკლესია ნომიურ და უფლებრივ მდგომარეობაში მეფის ხელისუფლების მფლეობრივ მეფის ხელისუფლების მფარველობა გახდა გარანტიაც ეკლესიისათის მოპოვებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

იმერეთის ეკლესიის მორალური გავლენაც სათანადო სიმაღლეზე დადგა. იგი ალარ არის ის, რაც XVIII საუკუნის დასაწყისში იყო¹. «აწ უწყოდეთ ყოველთა, — აღნიშნავდა თავის გადაწყვეტილებაში 1776 წ. იმერეთის ეკლესიის მეთაური კაცია ჩიჩუას შესახებ, რომელსაც ბიჭვინტის ეკლესიის ყმები მოუტაცია და ოსმალებისათვის მიუყიდია, — ... შევაჩვენებ წყეულსა მას კაცია ჩიჩუას და განვახვამ ამ ეკლესიისაგან...»². შეჩვენება და ეკლესიიდან გარიცხეა ამ დროს დიდ დასჯად ითვლებოდა, იმიტომ რომ ქვეყნის უმრავლესობის («უწყოდეთ ყოველთა») მხარდაჭერით (რომელიც უკვე ეკლესიის გავლენაშია მოქლეული) საეკლესიო ხელისუფალი აღვილად ახერხებს მოწინააღმდეგე ერთეულებზე მორალურ ზემოქმედებას. და ეკლესია თანთანობით ასეთ ელემენტებსაც იმორჩილებდა.

ამ მხრივ საინტერესოა ორი პირობის წიგნი, მიცემული იმერეთის კათალიკოსისათვის: ერთი თავად მერაბ ლორთქიფანიძისაგან 1777 წ. 26 იანვარს და მეორე მთავარ გიორგი გურიელისაგან იმავე წლის 10 იანვარს.

პირველ წიგნში ვკითხულობთ: «... ტყვის გაყიდვისათვის გამიშყურით და კილევაც შემაჩვენე... მერჩე თქვენ... ტყვის გაუყიდველობის პირობა გვთხოვთ. და მე ასე პირობა მომირომევია: ჩემს სიცოცხლეში ქრისტიანი კაცის-შვილი არც მივყიდო თათარს, არც სხვას უსჯულო კაცსა და არც მეგრელს, და ეგების დიდის გაჭირვებისათვის ჩემს მეზობელს ან ჩემი ქვეყნის კაცს გლეხობით მივყიდო და ან ცოლქმარი. სხუა, ამას გარდა, ჩემგან საუსჯულეთ ტყვე არ გაიყიდოს... ესეც მოგვიხსენებია: თუ ვისმე ჩემის ქვეყნის კაცს მივყიდო, იმასაც პირობა დავადებით ძალიანი, რომ უსჯულოს ხელში არ ჩავარდეს»³.

შეორე წიგნში აღნიშნულია: «...თქვენ მიერ შეჩვენებულის ტყვის-მყიდველი კაცის შეუწყნარებლობის პირობა გვთხოვთ. და ჩვენ ეს პირობა მოგვირთმევია...: რომელიცაც... ტყვის-მსყიდველი კაცი თქვენგან სახელდობ შეიჩენოს, ის კაცი ჩვენთან არ მოუშეათ... და რომელიც შევიძლო, მისს მტერობისა და ავათ-მოპყრობასაც ვეცადო. და უკეთუ აღთქმა ესე... ვერ სრულ-ყველა თქვენგან და თქვენის კრებისაგან შეუნდობელი ვიყო»⁴.

ორსავე მაგალითში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებანი. კათა-
ლიკოსის პიროვნებისა და საეკლესიო კრების გავლენა ტყვის
სყიდვის აკრძალვის შენარჩუნების პირობას წარმოადგენს.

¹ გავისსენოთ გრიგოლ კათალიკოსის სიტყვები.

³ Ա. ՀԱՅԱԲԵԿԻ, ՏԱՐԱՎՈՒՄ. ՏԱԾ., II, 52.

१३७

੧੫੮

ტყვის სყიდვის აკრძალვა სარწმუნოებრივსა და პოლიტიკურ ხასიათს დატანილების: ქრისტიანისა და „იმერელის“ გაყიდვა მავმადიანსა და „მეგრულწერებას“ (რომელიც იმერეთის სახელმწიფოს მოქალაქე არ არის) და-გმობილია. ეს გარემოება საინტერესო იმ მხრივაც, რომ, როგორც ვხედავთ, ეკლესია მხარში ამოსდგომია სოლომონ მეფეს იმერეთისათვის ოდიშის სამ-თავროს შეერთების საქმეში.

შემდეგ, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეკლესია ტყვის სყიდვას კრძალავს ფერდალთა შორის თანაბაკუხის მგებლობის პირობით. ეს მაჩვენე-ბელია ეკლესიის ორგანიზატორული მოქმედებისა ქვეყანაში, იმისა, რომ ეკლესიის ბრძოლა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ სახალხო საქმე იყო, რომელსაც მხარი დაუჭირა ფერდალური საზოგადოების დიდმა ნაწილმა.

დასასრულ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაჭირო იმას, რომ ეკლესია მარჯვედ ჩატონისა და ყმის ურთიერთობის საქმეში. ბატონისათვის მას სიტყვა დაუდებინებია, რომ ყბა-გლეხი მარტო ორი პირობით გაყიდოს: ან ცოლ-ქმარი ერთად, ან მამაკაცი გლეხად (ეს იგი კაცი გაყი-დულიყო ისე, რომ ახალ ბატონთანაც აუცილებლად მიწაზე ემუშავა).

ორივე ეს ღონიძიება მიმართული იყო იქინვენ, რომ ყმა-გლეხებს ოჯახი არ დანგრეოდათ, მიწის მოქმედნი გამრავლებული-ყვნენ და მიწასთან მიჯაჭვული ყოფილიყვნენ.

როგორც ვხედავთ, სოლომონ მეფეს თავის საგლეხო პოლიტიკაში ძლი-ერი თანამშრომელი გასჩენია დასავლეთ საქართველოს ეკლესიის სახით.

მეფის ხელისუფლებისა და ეკლესიის კაშშირი ჰქმნიდა ისეთ პოლიტიკურ და მორალურ ძალას, რომლის წინაშე თავადები ქედს იხრიდნენ.

1759 წ. დეკემბერში სოლომონ მეფემ დასავლეთ საქართველოს ფერდა-ლებს ფიცი დაადგებინა, რომ მათ ერთობით უარ-ეყოთ ახალციხის ფაშის მო-თხოვნა ტყვის სყიდვის დაშვების შესახებ და დამორჩილებოდნენ ტყვის სყიდ-ვის აკრძალვას. ამ საყურადღებო აქტში მონაწილეობდა ეკლესიაც; ფერდალე-ბის ხელშერილი მეფემ მიიღო „კათალიკოზის... დამტკიცებით“¹. და ტყვის სყიდვის აკრძალვამ თავისი შედეგიც გამოიღო; 1760-იან წლებშივე იგი მოგონების საგანი გახდა. ასე, მაგ., ზაალ გურიის ერისთავისათვის მიცემულს პირობის წიგნში მისი ყმები ტყვის სყიდვას შემ-დეგი სიტყვებით მოიგონებენ: «ავის დროვობისაგან და ქვეყნის არეულობისა-გან ტყვის ყიდვა ყოფილიყო»².

3. სოლომონ I-ის თავდაცვითი როი თარეპი ინგერვენების მინაღვდებ

თურქებისათვის ცხადი გახდა, რომ სოლომონ მეფე — ეს ისეთი „ქვეშე-ვრდომი“ იყო, რომელიც არ სცნობდა ოსმალეთის უფლებას იმერეთზე და-თავისი ქვეყნის პოლიტიკური განთავისუფლებისათვის ემზადებოდა.

¹ Акты К. А. К., I, 56—7.

² გ. თაყაიშვილი, საქ. სიძვ., II, 521—522.

და „ჰაჯი-აქმედ ფაშამ, ახალციხის... მმართველმა,—წერს ჰამერი და ლევანის მოშველიებით, იმერეთის წინააღმდეგ გაილაშქრა და მცირვლებით დაიმორჩილა, რომ დაწესებული გადასახადი ეხადათ“¹.

გადასახადის ხელმეორე დაწესება იმას ნიშნავდა, რომ იმერეთს თურქეთისათვის, საგალდებულო ხარკის სახით, ადამიანები უნდა ეძლია. იგივე ჰამერი ახალციხის ფაშის შესახებ ამბობს: „იმორჩილებს იმერეთს ხარკის გადახდაზე ტყვეებით“².

იმერეთში ჩამოსულმა თურქებმა და ლევებმა ქვეყანა გასძარცეს, დაატყვევეს, დასწვეს და დაანგრიეს, დიდი ვნება მიაყენეს გელათის ეკლესიასც. მტერი უკან დაბრუნდა ოლაფით. ახალციხეში დასცურა ფაშამაც ბევრი ლევთა და გაისტუმრა დალისტანსა შინა» (პ. ორბე ლიანი). ამ მძარცველობითს ლაშქრობას ლევების მხრივ მეთაურობდა ხუნძახის ბატონი. ეს მოხდა 1758 წელს³.

ხარკის აკრეფასაც ძარცვის ხასიათი მიუღია. ამ ფუნქციას ასრულებდნენ იმერეთში მყოფი თურქი მეციხოვნები, რომელთა წინააღმდეგაც ახალციხის ფაშის წინაშე იმერეთის მცხოვრებლებს საჩივრები შეუტანიათ. „ამის შემდეგ, — აღნიშნავს ჰამერი 1758 წ. ლაქრობის შესახებ, — ახალციხეში ბატონიშვილი სოლომონი მოვიდა საჩივრებით, რომლებიც იმერეთის მცხოვრებთ ბალდადისა და ქუთაისის (ცუცხვათის ან შორაპანის) გარნიზონების მიმართ ჰქონდათ“⁴.

ფაშიმ სოლომონის საჩივარი დააკმაყოფილა და ამასთანავე სამიათას-კაციანი ლაშქარი გამოგზავნა მეციხოვნების დასასჯელად. მაგრამ თურქებს იმერეთიმდე არც კი ჩამოუღწევიათ, რომ სოლომონ მეფემ ისინი გზაშივე გაანადგურა თავისი ჯარის საშუალებით, რომელიც მან იმერეთიდან საიღუმლოდ გამოიწვია⁵. ამ შემთხვევის გამო თურქეთის მთავრობამ ახალციხის ფაშა, ჰაჯი-აქმედი, სიკვდილით დასაჯა⁶. სამშობლოში დაბრუნებული მეფე წამოწყებული ბრძოლის განვრჩობას შეუდგა.

1759 წელს იგი თავის სამხედრო მოკავშირეებთან (თეიმურაზ და ერეკლე მეფებთან) ერთად ქართლში იბრძოდა დალესტნელი ლევების წინააღმდეგ, რომლებიც ქართველთა შეერთებულმა ძალებმა კიდევაც დაამარცხეს⁷. სოლომონი თხუთმეტიათას-კაციანი ჯარით ეხმარებოდა ირაკლი მეფეს 1760 წელ-

¹ Hammer, IV, 545.

² იქვე, 727, მე-2 სვეტი.

³ ქ. ცხ., II, ჩუბ., 474,

⁴ «Hierauf kaim Prinz Salomon nach Achiska, um größere Forderungen, welche die Bewohner Imirette's an die Besetzungen von Bagdad und Tokat hatten, zu berichtigen» (Hammer, IV, 545). აქ დასახელებული ციხე თოკატისა თურქეთის გულში მოთავსებულია ადგილია. რა თქმა უნდა, ჰამერი ცდება ქართული სახელის გადმოცემაში, და თოკატის ადგილზე უნდა მივიჩნიოთ ცუცხვათ-შორაპან-ქუთაისიდან ერთ-ერთი.

⁵ Hammer, IV, 545.

⁶ იქვე, 546.

⁷ ქ. ცხ., II, ჩუბ., 489.

საც განჯის ლაშქრობაში¹. ამ ლაშქრობაში იმერეთის მეფის გვერდში იმყოფებოდა, დაღიანთან ერთად, რაჭის ერისთავიც.

თურქეთის მთავრობის კონფლიქტის საგანი სოლომონ მეფესთან იყო ტყვის სყიდვის საკითხი. იაფასიან ტყვებს თურქეთი ფართოდ იყენებდა იანიჩართა რიგების შესავებად. ამასთანავე, ქართველი გოგოები და ბიჭები ძეირადაც ფასობდნენ მაპმადიანურ ბაზარზე, სადაც თურქეთის მთავრობა დიდ მოვებასაც ნახულობდა მათში. რამდენჯერმე მიმართა თურქეთის მთავრობამ სოლომონ მეფის წინადადებით ტყვის სყიდვის აკრძალვის გაუქმების შესახებ, მაგრამ ამაოდ: სოლომონ I კიდევ უფრო მკაცრად ატარებდა თავის დადგენილებას ცხოვრებაში². თურქეთმა თავისი წინადადება უკანასკნელად 1759 წელს გაიმეორა სოლომონ მეფეს, რომელმაც მას ამის თაობაზე, როგორც წინა თავში ითქვა, კვლავ უარი შეუთვალა.

დაიწყო ომი. 1760 წელს იმერეთში ილაშქრია მოლა-აბდულა ფაშამ. მისი მიზანი იყო სოლომონის დამორჩილება, მისთვის ხარკის გადახდევინება და ტყვის სყიდვის აკრძალვაზე უარის თქმევინება. მაგრამ თურქეთის ჯარი სოლომონ მეფემ იმერეთში დაამარცა³. 1761 წელს სულთანია თავისი ჯარების მეორე ტალღა შემოუსია იმერეთის მეფეს, მაგრამ ამ ჯერადაც ქართველების გაიმარჯვეს⁴. ერთი წლის შემდეგ, 1763 წელს, თურქეთის მთავრობამ იმერეთში უფრო დიდი ჯარი გამოგზავნა (13 ათასი კაცის რაოდენობით), რომელსაც იბრაჰიმ ფაშა სარდლობდა⁵. მტერი ორ ტალღად იმერეთში შემოიწრა და შეება სოლომონ მეფეს. მეფის ლაშქარმა უკან დაიხია და შიგნით შემოიტყუა მტერი, რომელმაც დროებით იმერეთის სამხრეთი უბანი დაიკირა (სებეკას მხარე). ძარცვით გატაცებული იგრესორის საბრძოლო დისკიპლინა შეიიყა: დაგა ატყდა იანიჩართა, ლევანდთა და ქურთთა შორის. მტერის მრავალრიცხვანებამ თვისობრივი ძალა დაკარგა. გაუვალ დღილებში შეტყუებული მტერი სოლომონ მეფის თავდასხმებმა ერთიანად დასუა; მტერის გადარჩენილმა ნაწილმა დროშები და ცხენები მიატოვა და თოვლში ახალციხისაკენ გაიქცა, მაგრამ ისიც მთლად გაიყლიტა დადევნებული ქართველებისაგან⁶.

„...იმერლებმა, რომლებიც ხუთ ათასზე მეტი არ იყვნენ, — აღნიშნულია 1768 წ. ჩანაწერში, მაქსიმე აბაშიძის მონათხრობის მიხედვით, — აზნაურთაგან მარტო ორი კაცი დაკარგის მოკლულის სახით“⁶.

ეს ცნობა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მის მიხედვით სოლომონის ლაშქრი შედგებოდა აზნაურებისა და ყმა-გლეხებისაგან⁷. ასეთი სოციალური შემადგენლობა იყო მთავარი მიზეზი მეფის ლაშქრის მაღალი ბრძოლისუნა.

¹ მ. თამარა რაზვილი, ისტორია ქათოლიკისა ქართველთა შორის, თბ., 1902, 378 (ლეონარდოს 1760 წ. 18 აგვისტოს წერილი).

² გრამოთი, I, 15.

³ იქვე.

⁴ Hammer, IV, 546.

⁵ იქვე.

⁶ გრამოთი, I, 15.

⁷ 5 ათას კაცში, აჩნაურების გარდა, რა თქმა უნდა, ყმა-გლეხები უნდა ვივარაუდოთ.

რიანობისა. აზნაური და ყმა-გლეხი გაბედულად და თავგანწირულოდ დატესტირდნენ მეფის მხარეზე, ვინაიდან იცოდნენ, რომ სოლომონის გამოწვევებაზე იყო დამოკიდებული მათი ბეჭნიერება. და ისინი ამიტომ ადვილად ახერხებდნენ მრავალრიცხვანი აგრძესორის დამარცხებას, რომელიც, როგორც მტაცებელი, მომხვეჭი, გულგრილი და მხდალი იყო.

თურქეთის მთავრობა უფრო სერიოზული ბრძოლებისათვის შეუდგა მშა-
დებას. მან განიჩრახა იმერეთის ჯარისათვის აღმოსავლეთიდან შეეტია და
მისი თავდაცვითი გამძლეობის ხერხებმალი ზემო იმერეთში გაეტეხა. თურქეთის
ჯარი კი დევაც დაიძრა ამ მიმართულებით. მაგრამ ერეკლე მეცე თავის სამ-
ხედრო მოკავშირეს გვერდში ამოუდგა და თურქებს ქართლში გატარებაზე
მტკიცე უარი უთხრა¹. მტერი უკან დაბრუნდა.

აგრესორმა ბრძოლის ფორმა შესცვალდ და იმერეთის თავდაცვის შიგნი-
დან მოშლა განიზრახა: ამ მიზნით მან კავშირი გააბა სოლომონის მოწინააღ-
მდეგებთან. ჯერ კიდევ ადრე სულთნის მთავრობა დაუკავშირდა სოლომო-
ნის ძმას, რომელიც ახალციხეში იმყოფებოდა მეფესთან მტრობის გამო.
ახალციხის ფაშა იბრაჰიმი მას სოლომონის წინააღმდეგ შეიარაღებულ დახმა-
რებასაც უწევდა². აგრესორმა ვერც ამ მხრივ მიაღწია საწადელს, და ახლა
იგი დაუკავშირდა სოლომონის ბიძაშვილს თეიმურაზ მამუკას ძე ბაგრატიონს,
რომელიც, მეფესთან მტრობის ნიადაგზე, თურქეთში იყო გადახვეწილი. ეს
პირი სულთანის მთავრობას თვითონ მოუწოდებდა იმერეთში შეჭრილიყო
და სოლომონი გადაეგდო.

თეიმურაზის შინადაღება აგრესორისათვის მისალები აღმოჩნდა. თუ კი
იგი დამარცხებდა სოლომონს და მას იმერეთიდანაც გააძვებდა ან მოკლავ-
და, მაშინ მის აღვილზე შეეძლო მეფედ დაესვა თეიმურაზი, რომელიც მორ-
ჩილებას ეფუიცებოდა.

1765 წლის იგნისში ჩილდირის ფაშა ჰასანი დიდი ჯარით იმერეთშე წამოვიდა³. სანამ იგი იმერეთში შემოიჭრებოდა და მეფეს შეებმებოდა, ჯერ გურიაში შევიდა, რომლის დაპყრობა მას მძიმე ბრძოლად დაუსვეს ბერიძის ციხის დამცველებმა⁴. გურიის თავდაცვას მთავარი მამია გურიილი ხელმძღვანელობდა, რომელიც, დამარცხების შემდეგ, ფაშას გადაუყენებია და მის აღგილზე მისი უმცროსი ძმა, გიორგი, დაუსვამს. მოიპოვება ჰასან ფაშის წყალობის წიგნი, მიცემული 1767 წელს ზაალ გურიის ერისტავისათვეს, რომელშიც გურიილად მამიას აღგილზე მოხსენებულია გიორგი⁵. მტრის დიდი სამ-

¹ А. Иоаннисян, Иосиф Эмин, 228. Ереван, 1945.

² Hammer, IV, 546.

³ საქ. მუხ., H № 2. 782, გვ. 2 (ზოგადან იოგანეს დღიური. ამის არსებობაზე მიმი-თოთა პატივი. კ. გრიგოლიამ, რომელსაც მალობას მოვასტენებ).

⁴ Hammer, IV, 559 (აქაც და შემდგომაც ქართული გეოგრაფიული სახელები ჩემ მიკროა აღდგენილი).

⁵ ଏହାକୁ ଶିଳ୍ପିଙ୍କର ମଧ୍ୟ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ରୂପରେ ଦେଖାଯାଇଥାଏ ।

ხედრო ძალის¹ ჭინაშე დადიანი შეშინდა და, თავისი სამთავროს გამარტივებული ფასად, მას მოურიგდა: საკვებით მოამარავა თურქები, რომლებმაც 1765 წელს დღიში დაიზში დაიზამთრეს².

გურია-ოდიშის დაპყრობის შემდეგ ფაშისათვის ადვილი გახდა საჩინოს³: ხელში ჩაგდება და გარემოცვა სეერის გამაგრებული ციხისა, რომელიც, ხანგრძლივი და მტკიცე თავდაცვის შემდეგ, კიდევაც დაეცა. ორივე ციხე და იმერეთის დაპყრობილი ნაწილი ფაშამ გადასცა თეიმურაზს, რომელიც მეფედ გამოაცხადა⁴.

სეერის ციხის აღებით (1766 წლის სექტემბერში⁵) ფაშამ დაამთავრა ლაშქრობა, დაწყებული 1765 წლის იგნისში.

თავადების დღე დადგა. ისინი „ქუთაისში მოვიდნენ... — წერს ჰამერი, — და ხელი მოაწერეს მორჩილების აქტს ახალ მბრძანებელ თეიმურაზისადმი...“⁶.

ჰასან ფაშამ თავისი გადარჩენილი ჯარიდან ქუთაისში დასტოვა ოთხიათას-კაციანი ლაშქარი, რომელსაც დახმარება უნდა გაეწია იმერეთში დარჩენილი გადასახადის ამკრეფი ჰაჯი-ალი-ბეგისათვის⁷. ის გარემოცვა, რომ ხარქის ამერუე მოხელეს თავისთან შეიარაღებული რაზმის დატოვება დასჭირდა, იმის მაჩვენებელია, რომ თურქებმა ვერც ახლა შესძლეს დაემორჩილებინათ მებრძოლი იმერეთი: სოლომონ მეფე და მისი მომხრენი. ინტერვენციის შედეგი მარტო ტერიტორია და თავადების მორჩილება იყო. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ ლირდა იმ ფასად, რაც იგრესორმა დაპკარგა სოლომონ მეფის დამორჩილების მიზნით გაწეულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში. ამიტომ იმერეთის საკითხი ისევ გადაუჭრელი რჩებოდა დამბყრობელი თურქისათვის.

სოლომონ I თურქებისა და თავადებისათვის ისევ საფრთხეს წარმოდგენდა. მეფემ, სეერის ციხიდან წასულმა, ზემო იმერეთის მთებში განაგრძო თავდაცვა. მტერი მას კვალდავეალ მიპკეა და 1767 წლის გაზაფხულზე მის წინააღმდეგ იბრძოლა. პატრი ალიოზი, მაგ., 1767 წ. 18 მარტს ახალციხიდან რომის პროპაგანდას ატყობინებდა, რომ თურქები, თეიმურაზი და დადიანი სოლომონ მეფის შესაბყრობად სალაშქროდ წავიდნენ⁸.

¹ რაგინდ გადაჭარბებული არ უნდა იყოს ქართული ცნობა თურქების რაოდენობის შესახებ (ის. გრაмотი, I, 16), ჰასან ფაშის ჯარი უფრო მოავალრიცხვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე იბრაჰიმისა იყო. ამასთანავე, ჰასანის ჯარები ქვემეზებითაც იყვნენ შეიარაღებული (იქვე).

² Hantper, IV, 559.

³ რა თქმა უნდა, სეგეკაც ციხე უნდა ვიგულისხმოთ აქ.

⁴ იქვე, 559—560.

⁵ საქ. მუხ., Q № 632, v. 813 (კაცხის გულანის მინაწერი. ამის არსებობაზე მიმითითა დოც. ტრ. რუხა ადემ, რომელსაც მაღლობას ვწირავ).

⁶ Hantper, IV, 560.

⁷ იქვე.

⁸ მ. თამარა შვილი, ისტორია ქათ. ქართ. შორის, 384—5.

სოლომონ I შეითარეს ქაიხოსრო და ნიკოლოზ წერეთლებმა, ეროვნულების მაც მას თავიანთი საძმო ციხე, მოდანახე, გადასცეს¹. ციხე მეფეს უკრძალა დასაყრდნად გაუხდია, ხოლო ტახტის ერთგული წერეთლები ბრძოლაში ჩაუბამს. მან ქაიხოსრო წერეთელი გავზავნა რუსეთის სამხედრო ჭარმომადგენელთან, ყიზლარის კომენდანტთან, და სთხოვა თავშესაფარი რუსეთის ტერიტორიაზე იმ შემთხვევაში, თუ მას დაამარცხებდნენ თურქები². მეფეს პასუხი არ მიუღია.

ამის შემდეგ სოლომონის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულა. და მეფეს ყიზლარის კომენდანტისათვის შუამდგომლობა უთხოვია რუსეთის მთავრობის წინაშე, რომ ამ უკანასკნელს მოლაპარაკება გაემართა თურქეთთან შემდეგი პირობებით: დაბრუნებოდა სოლომონს სამეფო, ხელი იელო თურქეთს ტკივების დატაცებაზე და დაკმაყოფილებულიყო ფულადი ხარკით; თუ არა და, უკიდურეს შემთხვევაში, თავის ტერიტორიაზე მიეცა რუსეთს ლტოლვილი მეფისათვის თავშესაფარი³.

რუსეთმა ეს თხოვნაც უბასუხოდ დასტივა. რუსეთის მთავრობას თურქეთთან შევიდობა ჰქონდა და, რა თქმა უნდა, მასთან ომის შესაძლებელი ატენის გამო, არავითარ დახმარებას არ გაუშვდა ტახტიდან გადაგდებულ მეფეს, რომელიც ოსმალეთის ურჩ ქვეშეგრდომად ითვლებოდა. რუსები ფიქრობდნენ, რომ იმერეთის საქმეებში ჩარევა გამოიწვევდა თურქეთის განრისხებას, რაც „არასაიმედო ქართველების შექნაზე უფრო ძვირი დაჯდებოდა“⁴.

სოლომონ I სხვა მხრივ შეუდგა გამოსავალის მოძებნას და დაქირავებული ლეკის ჯარი-გაიჩინა⁵. ლეკების რაოდენობა ორასამდე აღწევდა და მეფე თითოეულს თვიურად ორ-ორსა და სამ-სამ თუმანს უხდიდა⁶. საჭირო იყო ციხეში შეფარებული მეფის გარეთ გამოსვლა, რომ მას შემოექრიბა ერთგული ქვეშეგრდომები და მათი საშუალებით განმათავისუფლებელი კონტრშეტევა დაეწყო.. და ეს საჭიროება დაქირავებული ლეკების გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნა. «მსმენელნი⁷ ამისნი, — წერენ ბატონიშვილები ლეკების შემოყვანაზე იმერეთში, — იმერნი შექრძნენ წინაშე მეფისა და უკვეს ზედა დასხმაო რსმალთა მრაყალების»⁸.

აქ საუბარია იმ „იმერლებზე“, რომლებიც, მოურავოვის სიტყვით, არიან „თავისნება, ამაყი და ურჩი“, ატარებენ თოფსა და ხმალს, იკვებებიან „ტყის ხილით“ და დადიან ფეხშიშველი და უტანსაცმელოდ⁹. ეს არის ყმა-

¹ ს. კაგაბაძე, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 92 და მ. ჯანაშვილი, მასალები საქ. ისტ., 15 (რომ ქაიხოსრო და ნიკოლოზი მები არიან, იბ. ე. თაყაიშვილი, საქ. სიც., II, 520).

² გრამოთი, II¹, 7 და გრამოთი, I, 1.

³ გრამოთი, I, 1—2.

⁴ იქვე, 3.

⁵ მ. ჯანაშვილი, მასალები საქ. ისტ., 15.

⁶ გრამოთი, I, 16 და გრამოთი, II¹, 4.

⁷ ე. ი. მანქვაძე.

⁸ მ. ჯანაშვილი, მასალები საქ. ისტ., 15.

⁹ გრამოთი, I, 71—72.

გლეხობა, რომელიც სოლომონ I-ის განმათავისუფლებელი არმიის უკუნიშვილი ვარ ნაშილს წარმოადგენდა.

სოლომონის მებრძოლი არმია დღითი-დუე მტკიცებოდა და ძლიერდებოდა იმ სოციალური პოლიტიკის წყალობით, რომელსაც მეფე ატარებდა. მაგალითად, მან 1766 წელს ონსაფ მაჭავარიანს თურქების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ყმა-გლეხები უბოძა¹; 1764 წელს ამირან და პაატელა მესხებს ერთგული სამსახურისათვის საური ამოუკვეთა²; 1765 წელს ქაიხოსრო წერეთელს „ნამეტნავათ თავდადებით“ ერთგულებისათვის მისი უშვილოდ ამოვარდნილი ძმების, პაპუნასა და ქველის, ყმა-მამულები დაუმტკიცა³.

თავისი სოციალური პოლიტიკის გატარებას იმერეთის მეფე ანტი-თურქულ მიმართულებას აძლევდა. იგი, მაგ., 1762 წ. 19 იანვარს გიორგი აბდუშელიშვილს, რომელიც „გათათოებულა“ თურქების ტყვეობაში, ვამიიბსნის, მონათლავს და ყმა-მამულებს უბოძებს. მეფე აბდუშელიშვილს მიმართავს: «შენ უსჯულოთა მტერთაგან. დატყვევებულ იყავ და თათრათ იყავი. და ჩვენ მოგნათლეთ და გიბოძეთ თავათ... შალაური და მოსახლე კაცი სოფლით უკლებათ»⁴.

მაშასადამე, ქართველი ფეოდალი ოომ დამპყრობელი თურქის ხელში ჩავარდება, ეს მის „გაურჯულოებასა“ და ქართველობისათვის დაკარგებას ნიშნავს. მაგრამ თუ კი იგი ხელმეორედ მოინათლება და ქართველი გახდება, მიიღებს მოქალაქობისა და ცხოვრების უფლებებს — კერძო საკუთრებას მიწასა და ყმებზე.

ასეთი პოლიტიკა, დაპირისპირებული მფლობელობის ოსმალურ წესთან, ნაყოფიერ შედეგს იძლეოდა.

მიწის მფლობელობის ოსმალური წესი, რომელიც დასავლეთ საქართველოში თანდათან ფეხს იკიდებდა, გამანადგურებელ საფრთხედ ემუქრებოდა ქართულ ფეოდალურ მიწათმფლობელობას.

ოსმალური წესის მიხედვით, სულთანის საკუთრებად ცხადდებოდა მამული თურქეთის ქვეშევრდომი ქართველი ფეოდალისა, რომელიც მხოლოდ დროებითი მფლობელი ხდებოდა იმისა.

ამ მაგალითიც. 1767 წელს, როცა თურქები დასავლეთ საქართველოში ბატონობდნენ, ჰასანმა, ახალციხის ფაშამ, ზაალ გურიის ერისთავები წიგნი დაუმტკიცა: «ამას ბარობაზე, რომა რაც... ხელმწიფის სამსახური (sic) იყო და ან ჩვენი, ყველა [ა]სრულეთ, ჩვენი ჩირლი⁵ და ხელადებული შეიქენით, — ცათა სწორე ხელმწიფის ბაძანებით(!) და ყაფაუჯი იბარაპმ-ბეგის შეამოვალობით, ქებაპა იბაპრამ-ბეგის შვამავალობით, გურიელი გიორგის შვამავალობით ისა წყალობა მიქანია(!): რაც მაძაშენს მამული ეჭირა, ანა ხელობა,

¹ საქ. მუხ., Hd № 5. 491.

² იქვე, № 4. 345.

³ იქვე, Sd №№ 1. 169 და 1. 186.

⁴ ქუთ. მუხ., № 438 (რამდენიმე საბუთის კრებულია).

⁵ Çirak, გი მსახური.

ანა საბერო, ..., გვიბოძებია; ანა რაც მამიას მამიშვილისთვის მამული ჟერიკონი
ბენა — ვანის-ქედი, ოქროს-ქედი, ხარული, ჯუმათის შემავალი, შუბრულისა
შევლა... გვიბოძებია¹.

მაშასადამე, ოსმალეთის ხელისუფალი, ფაშა, სულთნის საკუთრებად
სთვლის ქართველი ფეოდალის მოელ, მემკიდრეობით მიღებულ და შეძნილ,
ადგილ-მამულს, რომლითაც სარგებლობის უფლება მის ადგილობრივ მფლო-
ბელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ სულთნის ერთგული მოსამსახურე
გახდება. შემდეგ, გ. გურიელი, რომელიც, ქართული ფეოდალური წესს
მიხედვით, ზ. ერისთავის ბატონად ითვლება, საადგილმამულო ურთიერთობაში
თავის ყმასთან უბრალო შუამავლის როლს ასრულებს და თურქ მოხელეებთა-
ნაა გატოლებული.

მიწისმფლობელობისა და ბატონუმური ურთიერთობის ეს სამხედრო-
ოკუპაციური რეჟიმი სავსებით ეწინააღმდეგებოდა ქართული ფეოდალური
ცხოვრების წესებს.

1764 წელს, როცა გურია იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა, მამია გური-
ელმა თავის ყმას, იმავე ზ. ერისთავს, შემდეგი წყალობის წიგნი მისცა: «... ბა-
ტონმა მეფე სოლომონ მოინდომა და შეუ შემოვიდა ამ საქმეში თავდაღებით-
ძალიან ერგულიც იყავ ჩვენი... წყალობა გიყავით და გიბოჭთ ერკეთი და
მისი შემავალი] მთლათ, ოქროს-ქედა, ვანის ქედიანათ და რაც საწინამდღერო
და კვლესიას რამ იყოს. თუ შენ ჩვენი ერთგული... იყო, არასოდეს ეს ჩვენი
წყალობა არ მოგეშალოს»². აქ კი სხვანაირადაა საქმე. ზაალ ერისთავი კერძო
მესაკუთრეა იმ მამულისა, რომელიც მემკიდრეობით მიუღია; გურიელი ამას
არც ეხება. გურიელისა და ერისთავის ბატონ-ყმობა დამკიდე ულია იმ წყა-
ლობისაგან, რომელსაც პირველი უწევს მეორეს თავისი კერძო საკუთრებიდან
მამულების ბოქების სახით.

შემდეგ, გურიელისა და ერისთავის ბატონ-ყმობას განავებს იმერეთის
მეფე, რომელიც მათ ურთიერთობაში მხოლოდ გამრიგისა და შუამავლის
სახით იქრება.

ამრიგად, ქართული წესის მცხედვით, ყმა-ფეოდალის საკუთრება მიწაზე
ხელშეუხებელია მეფე-ბატონისაგან. თურქული წესის მიხედვით კი, ყმა-ფეო-
დალის საკუთრება მიწაზე გაუქმებულია და მიწის ჭერა დაშვებულია მარტო
სულთანისადმი სამსახურის გაწევის პირობით. აი, ამ უცხოსა და ექსპანსიურ
რეჟიმს ებრძოდა სოლომონ I ქართული ფეოდალური საკუთრების უფლების
დასაცავად.

თურქები იმერეთის ციხეებში გამაგრდნენ და ქვეყნის დაორგუნვეს
შეუდგნენ. მაგრამ სოლომონის არმია დღითი-დღე იზრდებოდა და მტკიც-
დებოდა. მეფე ბტრის წინააღმდეგ გამოხდომის ბრძოლებს ახდენდა. იგი
მტერს თავს ესხმოდა ყველგან, ყოველთვის და ერთდროულად. თურქები
იბნეოდნენ. ისინი იძულებული ხდებოდნენ თავიანთი არმია მცირე რაზებად.

¹ ე. თაყაი შვილი, საქ. სიძვ., II, 520 – 521.

² იქვე, 519.

და თავდაშსხმელებისათვის უკან გაეყოლებინათ. სოლომონის მიზანი ძლიერი მათ გაუვალ ადგილებში შეიტყუებდნენ ხოლმე და სულერთიანად ანადგურებდნენ¹.

შტერი გატყდა და იძულებული გახდა სოლომონ მეფე თავისთან მოსალაპარაკებლად მიეწვია. 1766 წელს მეფემ თურქეთში მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავისი ძმა, გელათის მიტროპოლიტი იოსები, რომელიც წასვლის წინ ანდერეში სოლომონის მიმართ წერდა: «მე ჩათვან თქვენის ერთგულებისა და ქვეყნისათვის ამ უსჯულოებში შევალ, ვინ იცის რა ამიტყდება: ან მათი კელით რომ მოხვდეს ჩემი სიკვდილი და ან ჩემი თავის დღით და სწორებით რომ მოვკვდე, — ესენი ასე მომახმარე...»².

როგორც ჩანს, გენათელის მოლაპარაკებას უნიყოფოდ ჩაუვლია, იმიტომ რომ, როგორც დავინახეთ, 1767 წ. გაზაფხულზედაც მეფე თურქების წინააღმდეგ ომობდა. მაგრამ ერთი კი აშეარი იყო: მტრის მიერ სოლომონ მეფის ელჩის თავისთან მოსალაპარაკებლად მიღება იმას მოასწავებდა, რომ დამ-პყრობებულ მა გამარჯვების რწმენა დაპკარგა. ეს კი უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ იმერეთის განმათავისუფლებელ ომში გარდატეხა მოხდა მტრის საზიანოდ.

სოლომონმა დაპკარგა ციხეები, სასახლეები და ქალაქები, მაგრამ იგი ტყეებსა და ქოხებში გადავიდა და განაგრძობდა მეფობის თავის ხალხზე. მან განიცადა სამხედრო მარცხი, მაგრამ, ეყრდნობოდა რა თავისი ხალხის მხარ-დაჭერას, პოლიტიკურად იმარჯვებდა.

სულ სხვაგვარი იყო თეიმურაზის მღვომარეობა. იგი ეყრდნობოდა ექსპანსიას და სამხედრო გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ დამბყრობელი ძალის მეშვეობით მეფობდა და ხალხს იგი სძულდა. ამიტომ ის პოლიტიკურად დამარცხებული გამოდიოდა. და იგი იძულებული ხდებოდა თავის ძალად-ქვეშვერდომებს დამორჩილებოდა და სოლომონ მეფის საქმეებისათვის მათ სასარგებლოდ მხარი დაეჭირა.

1766 წელს სოლომონ მეფემ ორი სიგელი გამოსცა, რომელთაგან ერთი დაუმტკიცა მაღლაცის ტაძარსა და მეორე ბაზა ჩეიიძეს; ორივეს საური და საუდიერო ამოეკვეთა. სიგელებს, სოლომონ მეფის გარდა, შემდეგი მინაწერები აქვთ: 1) «...ჩვენ,... მეფეთ-მეფე ბატონი და პატრიონი თეიმურაზ, ვამ-ტკიცებ» (ბეჭდით): „ბატონიშვილი თეიმურაზ“; 2) «ჩვენ, ბატონი მეფე თეი-მურაზ, ვამტკიცებთ წიგნსა ამას“ (ბეჭდით): „ბატონიშვილი თეიმურაზ“³.

კიდევ მეტი: «თეიმურაზ მეფე, — აღნიშნავს ხოჯავანათ იოგანე 1767 წლის 26 სექტემბერს, — შეურიგდა სოლომონსა და კიდევც(!) ქუთასითგან(!) წავიდა მის სანახავად»-ო⁴.

¹ Грамоты, I, 34, 192.

² გენათელის პირადი ქონება გელათის ეკლესიას მოახმარეო. იხ. ს. კაკაბაძე, წერა და მას. ხაქ. ისტ., I, 54.

³ ს. კაკაბაძე, საეკლ. რევუ., 9 და საქ. მუხ., Qd № 6. 939.

⁴ საქ. მუხ., H № 2. 782, გვ. 4.

ეს იყო ნიშანი იმერეთის განმათავისუფლებელ ეპისტოლის აღმაგლობისა და ექსპანსიის დაცემისა. ამ აღმაგლობის იქამდე მიაღწია, რომ სოლომონ მეფემ 1768 წელს ჩხარში თურქებსა და დასავლეთ საქართველოს თავად-მთავრებზე გარდამწყვეტი სამხედრო გამარჯვება მოიბრა. ამის შესახებ 1772 წ. გიულდნ შტეტი წერდა: „ცხრა-წყაროდან ჩრდილო-დასავლეთით ჩხარის ეკლესია მოჩანს, სადაც სოლომონ მეფემ 4 წლის წინ, თავისი ერთგული იმერლებითა და რამდენიმე დაქირავებული ლეკით, დაამარცხა თურქები და მათგან გამეუებული თეიმურაზი, ბიძაშვილი სოლომონისა... ამ უკანასკნელთ დადიანი, გურიელი და რაჭის ერისთავი თავიანთი ჯარებით ეხმარებოდნენ. და მათაც დამარცხება განიცადეს“¹.

1768 წელს სოლომონ მეფემ სამხედრო ბრძოლები დამთავრა ინტერვენტების წინააღმდეგ, რომლებიც იმერეთიდან გააძევა. «... წარსულ წელს, — წერს სოლომონის შესახებ 1769 წ. ამილახოროვი (რომელიც იმქრეთში იყო), — შეკრიბა რა იმერეთში ჯარი თავის მომხრეთავან, თურქებს თავს დაესხა და, გარეკა რა ისინი, კვლავ ბატონობა მოიპოვა². თავადური ჩეაქცის თავი, თეიმურაზ მამუკას ძე ბაგრატიონი, სოლომონმა ჩამწყვდია მუხურის ციხეში (სადაც იგი კიდევაც მოკვდა)»³.

ამავე ხანებში (1768 წ. ზამთარში) იმერეთში ჩამოვიდა ოსებში ქრისტიანობის მედაგებელი ქართველი გრიგოლ არქიმანდრიიტი, რომელიც რუსეთის მთავრობას საიდუმლოდ გამოეგზავნა სოლომონ მეფისათვის უარყოფითი პასუხით უკანასკნელის აღრინდელ თხოვნაზე. მაგრამ არქიმანდრიიტი უკან აღარ გაბრუნებულა: იგი მოკლა თურქების მხარეზე მებრძოლმა გურიელმა. მისი ამაღლიდან ცოტა გადარჩა, რომელთაც სოლომონ მეფემ წერილები გაატანა ყიზლარის კომენდანტან⁴.

თურქეთი შეშინდა. იმერეთის სამეფო, რომელიც კვლავ დაიპყრო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა სოლომონმა, რუსეთთან იქტერდა კავშირს; იმერეთის დაკარგვით თურქეთს ხელიდან ეცლებოდა შავ ზღვაზე და კავკასიაში ბატონობის ერთ-ერთი დასაყრდენი. მეტი გზა აღარ იყო: სულთანს სოლომონისათვის უნდა დაეთმო და დაქმაყოფილებულიყო ფორმალური ბატონობით იმერეთის სამეფოზე, ოლონდაც შეენარჩუნებინა იგი.

ამ მხრივ თურქების მოქმედება კიდევ უფრო დააჩქარა მაქსიმე აბაშიძის ელჩობამ რუსეთში, რომელიც 1768 წ. 23 ივნისს დაიწყო.

1768 წ. იგვისტოში მუსთაფა III-მ სოლომონის შესახებ „წყალობის“ სიგელი გამოსცა, რომელშიც ზოგადად აღინიშნა, რომ იმერეთის მეფე, როგორც თურქეთის ქვეშევრდომი, სმაბალეთის ინტერესებს უნდა იცავდეს⁵. ვერავითარ კონკრეტულ მოთხოვნილებას ვეღარ უყენებდა სულთანი სოლომონ მეფეს. ეს იყო სულთანის მარცხი და სოლომონ მეფის გამარჯვება.

¹ Reisen, I, 317.

² გრამოთი, I, 31.

³ მ. ჯანაშვილი, მასალები საქ. ისტ., 15 და საქ. მუს., გ 2782, გვ. 18.

⁴ გრამოთი, I, 3 - 5.

⁵ გრამოთი, I, 101 – 102.

თურქეთის მთავრობა შეეცადა თავისი მარცხის დაფარვას სფრითშელი რისო ასპარეზზე და გაავრცელა ცრუ ხმები: თითქოს სოლომონ მეფეს, მეფის შუამდგომლობით, პირობა დაედოს თურქეთისათვის ყოველწლიურად სამოც-სამოცი ქალიშვილის მიცემის შესახებ¹. ამ სიცრუეს სამართლიანად უარყოფდა რუსეთის კარზე მაქსიმე აბაშიძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ სოლომონ მეფეს თურქებთან ომი აქვს სწორედ იმის გამო, რომ თურქეთი ხარჯად ადამიანებს მოითხოვს, რასაც მეფე არასდროს არ დაუშვებსო².

სოლომონ მეფის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში მაიც არ იყო მტკიცე; დადიანი და გურიელი, რაჭის ერისთავთან ერთად, მის მტრებს წარმოადგენდნენ; დასავლეთ საქართველოს ციხეები თურქებს ეჭირათ; იმერეთის სამეფო ისევ თურქეთის ქვეშევრდობი რჩებოდა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ სოლომონ მეფეს რუსეთიდან დახმარებაზე უარი მოსდიოდა.

ბრძოლაში მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნებისა და ერთგული ძალების შემომტკიცებისათვის საჭირო იყო მშვიდობიანობა, რომლის მოპოვება სოლომონს იმ დროს მარტოდმარტო თურქეთისაგან შეეძლო (სულთანი უბრძანებდა დასავლეთ საქართველოს თავად-მთავრებს მეფის ტახტის მორჩილი ყოფილიყვნენ³, რა თქმა უნდა, აგრესორული მიზნებისათვის და სამეფოს საზიანოდ).

მაგრამ დამპყრობელი ძალა იმერეთის სამეფოს, რა თქა უნდა, არაფერს დაუთმობდა, თუ კი მისგან უფრო მეტს არ მიიღებდა. სულთანის დათმობა, რომლის შესახებაც ზევით ვისაუბრეთ, დროებითი იყო და მეფის მოტყუებისათვის ჩადენილ აქტს წარმოადგენდა. თუ კი გამოირკვეოდა რუსეთის ჩაურევლობა იმერეთის საქმეებში, ერთი მხრივ, და სოლომონი და მისი თანამებრძოლები ხმალს ქარქაში ჩააგებდნენ და მშვიდობიან ცხოვრებას ხელს მიჰყოფდნენ, მეორე მხრივ, — თურქეთი უკან წაიღებდა თავის „დათმობას“ და მეტაცრად მოეკვევოდა იმერეთს. ეს კარგად იცოდა გამოცდილმა სოლომონმა. ამიტომ მან გარკვეული მსხვერპლი გაიღო თურქეთის სასარგებლოდ, რომ ამით იმერეთზე გაბოროტებული იგრესორი დროებით შეეჩერებინა. მან იყისრა ახალციხის ფაშის წინაშე თურქეთისათვის ოცდაათი ათასი მანეთის გადახდა⁴.

როგორც ირკვევოდა, სოლომონ I-ს ბრძოლა ჯერ არ დაემთავრებინა; იგი ამ ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპზე იმყოფებოდა.

¹ Грамоты, I, 2.

² იქვე, 16—17.

³ იხ. Грамоты, I, 101—102.

⁴ ეს თანა, რა თქა უნდა, ბევრად მცირეა, ვიდრე ძველად ახდევინებდნენ იმერეთს. Грамоты, I, 74.

4. ცოლომონ I-ის ბრძოლა როსტოკის ერისთავის ნინეალმდე და კუპრაშვილის საერისთავოს მომლენი

როსტომ ერისთავი ბოლომდე იბრძოლა სოლომონ მეფის წინააღმდეგ მისი მიზანი იყო თავისი საერისთავოს გაფართოება და მეფის ხელისუფლებისაგან სრული დამოუკიდებლობა. მან ისარებლა სოლომონ მეფის სამხედრო სიძნელეებით და თავისი თავადური ზრავების განხორციელებას შეუდგა.

იმ დროს, როდესაც ოსმალები შემოიჭრნენ იმერეთში, «...ერისთავმან როსტომ დაიპყრო ყოველი საწულუკიძო მამულ-სოფელ-ციხე სიმაგრენი სათა-გისთაოდ, რო სახელიცა საწულუკიძო სრულიად იღხოცა და ნაცვლად მისა დასდგა სახელიც სარაჭისერისთავო»¹.

აქ საუბარია იმ მამულზე, რომელიც პაატა წულუკიძეს ეჭირა. ეს უკანასკნელი მეფის წინააღმდეგ იბრძოლა, ისევე როგორც რაჭის ერისთავი, ხერისილის ომიდან მოყოლებული ბოლომდე. მაგრამ წულუკიძეც თავადობდა. ამიტომ მან დაიპყრო მთელი საწულუკიძო რაჭაში და გადაიიცა საშიშ ძალად როსტომ ერისთავისათვის, რომელმაც იგი, ამის გამო, რაჭიდან კიდევაც გააძევა. ერისთავისა და მისი ძის ამ საქციელს სოლომონ მეფე კიდევაც დასცინის, როცა წერს: «დოფევრეს და განაძეს მოყვარე თვისი»-ო².

გვერდელი პოლიტიკოსი კარგად ამჩნევს თავადური ძალების სუსტ მხარეებს; მან იცის, რომ თავადები დიდ საფრთხეს უმზადებენ მეფის ხელისუფლებას, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ ისინი ერთმანეთის ქიშპში თავიანთ ძალებს ასუსტებენ. სოლომონის ბრძოლას თავადების წინააღმდეგ ეს შეგნება აძლევდა მიმართულებას.

ერისთავის მფლობელობითი მადის მსხვერპლი შეიქმნენ ოსეთის თემები — დვალეთი და მაჟსანი —, რომლებიც როსტომმა და თავადმა ჯაფარიძემ კიდევაც ააოხრეს³.

მეორე მხრივ რაჭის ერისთავი ბრძოლას აწარმოებდა მეფის წინააღმდეგ. მას მარჯვე შემთხვევა მიეცა და ინტერენტებს ამოუდგა გვერდში. ძმოვიდა სარასკირი. და შეუერთდა ერისთავი როსტომ. და აღაოხრეს ქვეყანა და ტყვე ჰქმნეს. და განსდევნეს მეფე სოლომონ და დაქარგეს⁴.

სოლომონ მეფის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ შეიცავდა ბრძოლას ერისთავის წინააღმდევაც. 1767 წლის ბოლოს მან ლეკები მიუსია რაჭას და გააძარცვინა⁵.

მას შემდეგ რაც მეფემ ინტერვენტები გააძევა, მეფობა დაიპყრო და სულ-თანთან ზავი დასდო, მთელი თავისი ძალებით რაჭაში შეიჭრა. ეს მოხდა

¹ საქ. მუხ., Sd № 1. 790 (სოლომონ I-ის 1772 წ. 3. VIII-ს სიგელი, მიცემული წულუკიძებისათვის).

² იქვე.

³ Reisen, I, 278—279.

⁴ ქუთ. მუხ., № 438 (სოლომონ II-ის 1805 წლის სიგელი). ს. კაკაბაძეს იგი შეცდომებით აქვს გამოცემული: წერ. და მას. საქ. ისტ., I).

⁵ შედევი კახეთის ცხოვრებისა (ქ. ცხ. II, ჩუბ., 506).

1769 წ. 28 იანვარს¹. მეფემ დაიჭირა საქართველოს ციხეები, გადასწურებული ლები, პირუტყვი წამოახსა და აზნაურები დაიმძვლა. ერისთავი გამოცხადისას

როსტომ ერისთავი თავისი ძე, ეგორი, დახმარების სახოვნელად დიდ ყაბარდოში გაგზავნა ნავრუზ მისისტოვთან. ეს უკანასკნელი რუსეთის მტერი იყო. ამიტომ სოლომონმა იფიქრი. რომ ყიზლარის კომენდანტი წინააღმდევობას გაუწივდა ერისთვისშვილს დიდ ყაბარდოში. მეფემ მისი შეპყრობა სთხოვა კომენდანტს. მაგრამ მისგან უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ერისთვისშვილის დევნა რუსეთის ინტერესებს არ შეესაბამებოდა².

მაგრამ ერისთვისშვილმა ყაბარდოში ლაშქარი ვერ შეკრიბა³. მას ამისათვის არც ფული ჰქონდა და არც ყაბარდოს მთავარი უქერდა მხარს, რომელიც, მედემის არმიისაგან დევნილი, მთებში იმაღებოდა⁴.

როსტომ ერისთავს დახმარება სხვა მიმართულებით უძებნია. მან ბესარიონ კათალიკოსი (რომელიც მისი ძმა იყო) ახალციხის ფაშასთან გაგზავნა. ფაშა ამ დროს სოლომონთან შერიგებული იყო და დამარცხებული ერისთავისათვეს დახმარების გაწევას მოერიდა, რათა სოლომონ მეფე ხელისა არ აემხედრებინა⁵. ახლანდელი იმერეთი, სოლომონ I-ის წყალობით, ისეთ პოლიტიკურ ძალად იყო გადაქცეული, რომელსაც ანგარიშს უწევდა დამპყრობელი თურქი. ასე რომ, თურქეთის ექსპანსიის ურთიერთობას დასავლეთ საქართველოს თავადებთან ხელს უშლიდა უკვე მესამე ძალა — იმერეთის მეფის ხელისუფლება —, რომლის შეძლვომს გაძლიერებაზე დამოკიდებული იყო ამ ურთიერთობის მთლიანი მოშლაც.

ბესარიონ კათალიკოსიც მეფის მტერი იყო. იგი, როგორც ჩანს, როსტომ ერისთავს თავის გავლენაში მოუქცევია და თავადურ გზაზე დაუყენებია. ასე, მაგრა, ინტერვენციის პერიოდში კათალიკოსს დრო უხელოებია და ხონის სახასო ყმებისათვის, რომლებიც ვადასახადებისაგან განთავისუფლებული იყვნენ, მძიმე ბაჟები შეუწერია. მარიამ დედოფალი ასე მიმართავს ხონის ეკლესიის ყმებს: «ჩვენ... გაგვიგირდა და ხონი ქმან? დაიქირა და, ჩვენს ხელში რომ პირველითან ბაჟი იყო, იმაზედ უსამართლო ექნა: ხორცის, ხარილის, თევზის და მატყლის ბაჟი დაედეთ თქენთვის. შემოგვეხვეწეთ. და... გადაგიწერეთ: სახასო ამ ეკლესიის ყმას მარილის, ხორცის, თევზის და მატყლის ბაჟი არ ეთხოვებოდეს»⁶.

¹ საქ. მუხ., ზ № 2. 782, გვ. 5 (ზოჯოვანათ იოგანეს დღიური).

² Грамоты, I, 17.

³ Грамоты, I, 419—420.

⁴ იქვე, 419.

⁵ Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, I, СПб 1869, 295.

⁶ Грамоты, I, 32.

⁷ რა თქმა უნდა: კათალიკოზმან.

⁸ ს. გაკაბაძე, საეკლ. საბ., II, 39.

ქვეყნისა და ეკლესიის მტერი ბესარიონ კათალიკოსი სოლომონ მეფე¹
გადააყენა და მის ადგილზე კრების აკურთხებინა თავისი ძმა, გელათის მიტრი²
პოლიტი იოსები. ეს მოხდა 1769 წ. 10 მაისს³.

ბესარიონ კათალიკოსი მარტო არა ყოფილა. იგი ოდიშში გაიქცა და,
დადიანის დახმარებით, ახალი კარიერა მოიპოვა. გიულდენშტეტი 1772
წელს სამეგრელოს ეპისკოპოსების შესახებ წერს, რომ „ისინი იმერეთის კათა-
ლიკოსის... დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, მარგამ თრი წლის წინათ
დადიანმა, სოლომონ მეფესთან მტრობის გამო, თავისი ეპისკოპოსები ამ დამო-
კიდებულებისაგან განათავისუფლა და ბესარიონი, რაჭის ერისთავთა სათავადო
საგვარეულოს წარმომადგენერელი, თავის პატრიარქად დასვა“⁴.

ატყდა ქიში დადიანსა და სოლომონ მეფეს შორის, რომლებიც ერთმა-
ნეთს ეცილებოდნენ თავთავიანთი კათალიკოსებისათვის მთელი დასავლეთ
საქართველოს ეკლესიების დამორჩილების შესახებ. ეკლესია ამ დროს საკმაოდ
მოღონიერებული იყო და მისი მამულები მტაცებელის მადას აღვიძებდა
დადიანში.

მაგრამ სოლომონ მეფემ შესძლო დადიანთან ბრძოლაში თავისკენ მიემ-
ხო ახალციხის ფაშა, რომელმაც, როგორც უმაღლესი ხელისუფლე-
ბის წარმომაღენელ ელმა, იურიდიულად იცნო მთელი იმერეთისა და
სამეგრელოს ეკლესიის მეთაურის პოსტზე მეფის კანდიდატი⁵. ამით მან
დადიანსა და ბესარიონ კათალიკოს-ყოფილს სოლომონ მეფის წინააღმდეგ
ბრძოლაში პოლიტიკური პოზიციები გამოაცალა. კათალიკოსობა სამეგრელოში
გაჩინისთანავე გაუქმებულ იქნა.

უმწეო რაჭის ერისთავმა დახმარებისათვის ახლა ირაკლი მეფეს მიაშურა,
რომ იგი ჩარევოდა რაჭის საქმეებში და ეიძულებინა სოლომონ მეფე რაჭი-
დან ჯარები გაეყვანა⁶. მაგრამ ირაკლის, რომელიც სოლომონთან სამხედრო
კავშირში იყო, ერისთავისათვის დახმარება არ გაუწევია.

სოლომონ მეფემ რაჭის საქმე დროებით შეაჩერა ახალი გარემოების
გამო: თბილისში ჩამოვიდა რუსეთის წარმომადგენერელი და სოლომონი საბ-
ხედრო კავშირის დასაღებად მიიწვია ირაკლი მეფესთან, რათა საქართველოს
მეფეებს, რუსეთთან ერთად, ომი გაეჩაღებინათ თურქეთის წინააღმდეგ.

მეფემ ერისთავის ზავი დაუდო და მორჩილების ფიცი გამოართვა, აღ-
დგინა რა ფეოდალურ მდგომარეობაში⁷. ეს მოხდა 1769 წლის მაისში.

მაგრამ სამი თვის შემდეგ, 1769 წ. სექტემბერში, სოლომონმა ერისთავი
ვარციხეს მიიწვია, სადაც დაბატიმრა, ხოლო მალე კიდევაც დაბრჩევებინა⁸.

ყურადღებას იქცევს ის, რომ ერისთავის დასჯა მოხდა მაშინ, როცა
რუსეთის სამხედრო კორპუსი საქართველოში მოვიდა. ყველასათვის ცხადი

¹ საქ. მუხ., მ 2. 782, გვ. 6 (ხოჯავანათ იოგანეს დღიური).

² Reisen, I, 412—413.

³ Грамоты, I, 262.

⁴ იქვე, 422.

⁵ Грамоты, I, 428, 73—74.

⁶ იქვე, 195, 218 და საქ. მუხ., მ 2. 782, გვ. 7.

შეიქნა, რომ რუსები, რომლებსაც ამ დროს ომი ჰქონდათ თურქეთთან ემცია რეთში მოდიოდნენ სოლომონ მეფის დასახმარებლად (რა თქმა უნდა, შემძლებელი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით). ასეთ პირობებში მეფეს აღვილად შეეძლო როსტომ ერისთავის დასჯა, რომელსაც მისი მომხრეებიდან ველარავინ დაეხმარებოდა რუსების შიშით.

მეფემ როსტომ ერისთავი მისი ცოლშვილით შეიძყრო¹. ორი მისი ძე, გიორგი და მეთოდი, პატიმრობიდან გაიქცნენ თურქეთში და ძეიდან მტრობდნენ მეფეს. ცნობილია, მაგ., მეთოდის მონაწილეობა თურქების მხარეზე ჩხერეს მამი 1774 წელს².

სოლომონმა ანდერძი დასტოვა, რომ რაჭის ერისთავთა შთამომავალნი არღარა მიღებულ იქმნენ მემკვიდრედ რაჭისა-ო³.

რაჭის ოქმს საქმაოდ ვრცელი ფართობი ეჭირა კავკასიონის ქედსა, დვალეთსა, სვანეთსა, საწერეთლოსა, ოქრიბასა და ლეჩეუმს შორის⁴. იქ მოსახლეობდა სამი ათასი კომლი ყმა-გლეხი⁵. მთლიანად კი რაჭის მცხოვრებთა რიცხვი ზურ ათას კომლამდე აღწევდა⁶. იქ ბევრი კარგად გამაგრებული ციხე იმყოფებოდა: გლოლის, ონის, მინდის, ხოტევის, ტოლის, ლომინის და სხვ.⁷.

მეფემ მთელი რაჭა სახასო საკუთრებად გადააქცია⁸; ყმა-გლეხობის სამი მეოთხედი თვითონ მიითვისა⁹; საერისთავოს ბულეც (მინდას ციხე), რომელიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში ბაგრატ III-მ შოშიტა ჩხეიძეს, რაჭის ერისთავთა პირველ წინაპარს, უბოძა,— თავისითვის დაიჭირა (როგორც ეს ჩანს სოლომონ II-ის ერთ სიგელში¹⁰); სხარტალი თავის საზაფხულო სადგომად გაუხდია¹¹; რაჭის სოფლებში წილი თავისი ძმის იოსებ გენათელისთვისაც მიუკიი¹² და დაპყრობილ ციხეებში თავისი მოხელეები ჩაუყენებია¹³.

საერისთავოს დაპყრობა და გაუქმება არ კმაროდა მისი ათვისებისათვის. საჭირო იყო თვითონ რაჭაში ადგილობრივი დასაყრდენის შექმნა, რომელიც ამ კუთხეს მეფეს შეუნარჩუნებდა. მეფემ ისარგებლა მტრობით, რომელიც რაჭის საერისთავო სახლთან ჰქონდათ წულუკიძეებს, და აღუდგინა ამ უკანასკნელთ თავიანთი მამული.

¹ Грамоты, I, 101.

² ე. თაყაი შველი, საქ. სიძვ., III, 570 და საქ. მუხ., II № 2. 782, გვ. 24.

³ საქ. სიძვ., III, 570.

⁴ Reisen, I, 396.

⁵ Грамоты, I, 74.

⁶ იქვე, 17.

⁷ იქვე, 100—101.

⁸ Reisen, I, 398.

⁹ Грамоты, I, 74.

¹⁰ ე. თაყაი შველი, საქ. სიძვ., III, 569.

¹¹ Reisen, I, 292.

¹² იქვე, 287.

¹³ საქ. ცენტრ. არქ., ფ. 226, № 2. 186.

პაატა¹, ბერი და გიორგი წულუკიძეები სოლომონ მეფემ ათლიითან და იახლოება როსტომ ერისთავის წინააღმდევ ბრძოლაში. ისინი სოლუტიუმის სამეფოს პალატსა შინა» გაზრდილან, გამხდარან მისი «საიდუმლოთა განზრახვათი შინა მისანდონი» და ლემანთა მიერ შექირვებათა და ბრძოლათი შინა» თავდადებული და გმირული ნებრძოლი. და მათ 1772 წ. 3 აგვისტოს სოლომონიმი უბრძა მამა-პაპეული მამული საწულუკიძო, რომელსაც სიგელში მეფე უწოდებს „საღილე ბულთავადოს“. წულუკიძეებისათვის, როგორც ეს დიდებულ თავადებს შეეფერება, მეფეს «მრავლითა შეწყალებითა» უბრძებისა საწულუკიძო მამული, «ყოველთა მეზობელთა და მახლობელთაგან განკიდე ბული»². ფერდალიშმში მამული იმ შემთხვევაშია მეზობელთაგან განკიდებული», «უმეზობლო», როცა ყველა „მეზობლები“ მის ფარგლებშია მოქცეული. ამიტომ საფიქრებელია, რომ საწულუკიძო საკმაოდაც გაუფართოებია მეფეს და ისე უბრძებია იგი წულუკიძეებისათვის. გამოდის, რომ სოლომონ მეფეს ერისთავთან ბრძოლაში მიუღწევია საერისთავის გაუქმებისათვის, მაგრამ ყოფილ საერისთავოში მას შეუქმნია ახალი სათავადო, რომელიც გადაუცია ადგილობრივი და თავისი ერთგული აზნაურებისათვის.

ეს პოლიტიკა ვერ იქნებოდა ბევრად ნაყოფიერი, რომ სოლომონ მეფეს რაჭის მამულებში წილი არ დაედო პაატა და ზურაბ წერეთლებისთვისაც, რომელთა მამა, ქაიხოსრო, საჩდალი ზემო მხრისა³, დიდ დახმარებას უწევდა მას ერისთავის დამარცხებაში⁴.

წერეთლებმა მეფისაგან მიიღეს ლომინ ერისთავის ყმა-მამულები რაჭისა და იმერეთში, ჯაფარიძეები მათი ყმა-მამულებითურთ, შალაურელი აბდუშელი-შვილები, „საერისთავო“ გოცირიძეები, მღვიმევის ეკლესია, ჯრუჭი, პასიეთი, ლინჩი⁵, ლოდორა, გოლისი და სხვ.⁶

საწერეთლოს გაძლიერებით მეფემ სახითათო მეზობელი გაუჩინა წულუკიძეების სათავადოს. მაგრამ, სამაგიეროდ, მისი სახით, მეორე ახალი სათავადო შეიქმნა დამარცხებული აბაშიძეების ადგილას.

ეს ახალი სათავადოები განსხვავდებოდნენ განადგურებული სათავადო-ბისაგან. როსტომ ერისთავისა და ლევან აბაშიძის ძალას ვრცელი ტერიტორიები და ციხეები წარმოადგინდნენ. წერეთლები და წულუკიძეები ამ ძალას მოკლებული იყვნენ, იმიტომ რომ არც რაჭა და არც ზემო იმერეთი მეფეს

¹ ეს პაატა ბიძაშვილია იმ პაატასი, რომელიც მეფეს მტრობდა.

² საქ. მუხ., Sd № 1. 790.

³ ხოჯავანათ იოვანეს დღიურში, 1769 წ. 29 აგვისტოს ქვეშ (საქ. მუხ., H № 2. 782, გვ. 7), ქაიხოსრო წერეთლის სიკედილია ჩაწერილი. უნდა ვითიქროთ, რომ ეს ქაიხოსრო იმ ორთავანია, რომელიც დადინანმა ვერაგულად მოჰკლა (ინ. გრამოთ, I, 63).

⁴ ქუთ. მუხ., № 438.

⁵ ამეუმად ლიხის ეძახიან.

⁶ ს. გაკაბაძე, წერ. და მას. საქ. ისტ., I, 92—93 (შეად. საქ. ცენტ. აზქ. ფ. 230, მე-16 დავთ., № 578 და საქ. მუხ., Sd № 506).

მარტო მათთვის არ მიუკია; მან იმათ აქმარა აღნიშნული ტეროტორიაზე მცხოვრის ნაწილი; დანარჩენი კი, ციხეებთან ერთად¹, როგორც ვნახებოდა დამცირებისა და გზირი. ამ გზით სოლომონმა უზრუნველყო თავისი ბატონობა წულუკიძეებსა და წერეთლებზე, რომელთაც დაწინაურებისთანავე გამოაცალა წინააღმდეგობის ძალა.

იმერეთის მეფის პოლიტიკა სწორი გამოდგა: წულუკიძეები და წერეთლები სოლომონის გავლენაში მოექცნენ და ბოლომდე მასთან იბრძოდნენ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. X. 18).

¹ შდრ. გრამოთი, I, 362, 358.

პ. პირები

ინგლისის საგარეო პოლიტიკის ისტორია (1904—1906 წ.წ.)

ი. პ. სტალინი გვასწავლის: „ინგლისის ბურжуაზიას არ უყვარს ომი თავისი საკუთარი ხელით. იგი მუდამ ამჯობინებდა ომის სხვის ხელით წარმოებას. და იგი მართლაც ზოგჯერ ახერხებდა და პოლობდა სულელებს, რომელიც მზად იყვნენ მისთვის ეგლიჯათ ნარი“¹. ინგლისის იმპერიალიზმის ამ გაიძვერული პოლიტიკის შესახებ გახტო „პრავდა“ წერს: „დელთა-განვე ბრიტანეთის დიპლომატის საყვარელი მეთოდი იყო გაიძვერული ფანდებით დიდი სახელმწიფოების ერთმანეთისადმი დაპირისპირება, მათ შორის შეტაკების გამოწვევა. წირსულში ბრიტანეთის პოლიტიკამ არა ერთ-ხელ მოახერხა დიდი სახელმწიფოების დასუსტება მათი ერთმანეთზე წაქეზებით, მაგალითად: გერმანიისა საფრანგეთზე, ან პირიქით. ეს იყო პოლიტიკა, რომელიც ძირს უთხრიდა მშვიდობიანობას, პოლიტიკა, რომელიც ომით იყო ფეხმდიმე“². ბრიტანეთის იმპერიალიზმი მუდამ მოხარული იყო ასეთი ომისა; ამით იგი უფრო ადვილად ახერხებდა მსოფლიოზე თავისი ჰეგეზონობის შენარჩუნებას.

საერთაშორისო კონფლიქტის გალვივების, „სხვის ხელებით ნარის გლეჯის“ გაიძვერული ბრიტანული პოლიტიკის საუკეთესო მაგალითია ის პოზიცია, რომელიც ინგლისის ეკავა მართვას პირველი კრიზისის დროს. ინგლისი ცდილობდა გაემწვევებინა ეს კრიზისი, გაეღრმავებინა კონფლიქტი საფრანგეთსა და გერმანიას შორის, გაეჩაღებინა მათ შორის ომი.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისისათვის აშკარა გახდა, თუ რაოდენ დიდი მეტოქე გაუჩნდა მას ახალგაზრდა მტაცებლის—გერმანიის იუნკარულ-ბურжуაზიული იმპერიალიზმის სახით, რომელიც ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. წლების განმავლობაში ინგლისი შურის თვალითა და ბორმით აღსავს შესცემეროდა იმას, თუ როგორ იფურჩქნებოდა და ძლიერდებოდა გერმანიის მრეწველობა, როგორ იზრდებოდა გერმანიის მსოფლიო ძალა და მნიშვნელობა, იქმნებოდა გერმანიის მძლავრი ფლოტი. საჭიროა ამ ახალი მეტოქის დაჩრება, დასუსტება, მისთვის ბრძყალების დაჭრა, მისი ფლოტის მოსპობა და მისი მსოფლიო ვაჭრობის ხელში ჩაგდება.

¹ ი. სტალინი, თხსულებანი, ტ. 9, გვ. 345.

² Правда, 1948 г., 28/XI № 295 (11036).

ინგლისის იმპერიალიზმი ეძიებს ახალ „კეთილისმყოფელს“, რომელიც
ანგლისისათვის ცეცხლიდან შემწვარ წამლს ამოიღებს, დასუსტებული და მიზნისათ-
ვის მას საფრანგეთის გამრყენება სურს, მათან მეობრობასა და კავშირს
ეძიებს გერმანიის წინაღმდეგ ერთობლივი მოქმედესისათვის. ინგლისის დიპ-
ლომატიამ გაითვალისწინა რა მზარდი შეურიგებელი წინააღმდეგობა, რომე-
ლიც თავისი მხრივ საფრანგეთა და გერმანიის შორის არსებობდა, ინგლის-
საფრანგეთის დახლოებისათვის ნიადაგი შეამზადა. თვით საფრანგეთიც
სიამოვნებით ეგეპებოდა ამ მეობრობას. გერმანია მისთვის არანაკლებ საშიში
იყო. გერმანიის იმპერიალიზმისადმი სიძულვილმა და შიშმა ინგლის-საფრანგე-
თის ტრადიციული მტრობა მევობრობით შესცვალა და ისინი ურთიერთს და-
ახლოება. ინგლისისა და საფრანგეთის მევობრულ შეთანხმებას საფუძვლად
დაედვა ამ ორ სახელმწიფოს შორის კოლონიურ საკითხებში არსებული მწვავე
წინააღმდეგობათა მოვარება. შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 1904 წლის
8 აპრილს და ცნობილია „გულითადი შეთანხმების“ (Entente cordiale) სახე-
ლით. შეთანხმების მიხედვით, ინგლისმა და საფრანგეთმა „მევობრულად“
გარყვეს ყველა სადაც ტერიტორიები: ნიუფაუნდლენდი, სენეგაბი, სიამი, ჩა-
ლაგასკარი, ახალი ჰებრიდის კუნძულები, ეგვიპტე და მაროკო. ეს ორი უკა-
ნასკნელი ხელშეკრულების ძირითად საფუძველს ქმნიდა. ეგვიპტე წილად ხდია
ინგლისს, ხოლო მაროკო — საფრანგეთს. აღნიშნული შეთანხმების მნიშვნელობა
ღიღი იყო; იგი გზას უსწინდა ინგლის-საურანგეთის ერთობლივ მოქმედებას,
ერთობლივ ზრდოლას გერმანიის წინააღმდეგ. აღმოფხვრეს რა ურთიერთ
ქიბიბა სადაც ტერიტორიების „სიამტებილობით“ გაყოფის საფუძველზე,
ინგლისი და საფრანგეთი მციროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, შეკრეს კავ-
შირი გერმანიის წინააღმდეგ. ხელშეკრულების ტექსტში სიტყვაც კი არ იყო
თქმული გერმანიის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ, მაშინ როდესაც
სწორედ ეს თანამშრომლობა აღლევდა 8 აპრილის შეთანხმებას პირველხარის-
ხოვანი ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობას¹. 3. ი. ლენინი ისე ახასია-
თებს ინგლის-საფრანგეთის ამ შეთანხმების საბოლოო მიზანს: „ემზადებიან
გერმანიასთან საომრად“². ეს ნიშნავს ომს გერმანიასთან, ეუბნებოდა ლორდი
როზბერი ლოიდ ჯორჯს აღნიშვნული შეთანხმების შესახებ³.

1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება ღიღ გარინტიას აძლევდა ინგლისის
იმპერიალისტებს განეხორციელებინათ თავიანთი სანუკეარი ვერაგული პო-
ლიტიკა „სხვისი ხელებით ნარის გლეჯისა“, მალე ენახათ საფრანგეთი გერ-
მანიის წინააღმდეგ ამხედრებული, გმოეწვიათ ომი მათ შორის. ინგლისმა
აღნიშნული შეთანხმებით, შეიძლება ითქვას, ორი კურდლელი დაიჭირა. გერ-
მანიასთან მომავალი გარდაუვალი შეჯაებისას მან შეიძინა მოკავშირე ძლიე-
რი სახმელეთო სახელმწიფოს — საფრანგეთის სახით. ამავე დროს მაროკოს

¹ История дипломатии, 8 II, 23. 621.

² В. И. Ленин, Тетради по империализму. Москва, 1939, 23. 621.

³ Давид Ллойд Джордж, Военные мемуары, 8 I. Москва 1934, 23. 52.

პრობლემის სახით, რომელიც ამ შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი სამართლებულების ველი იყო, მან საკუთხევის საშუალება ჰპოვა უკიდურესობამდე მიეყვანას სულტანის რანგეთ-გერმანის წინააღმდეგობა, გარდაუვალი გაეხადა მათ შორის ომი. ტუშილად როდი მიართვა ინგლისმა ახალ მეკობარს ძლვნად მარკო, ტუშილად როდი დაუდვა ინგლისმა ამ მეკობრობას საწინდრად ეს ქვეყანა, რომლის ხელში ჩაგდებით თვითონაც არანაკლებ იყო დაინტერესებული. ეს „საჩუქარი“ „ცბიერმა აღმიონმა“ სიამოვნებით გაიმეტა; მან კარგად იცოდა, რომ მარკოვთი გერმანია ძალზე მოხიბლული იყო და უსისხლოდ არავის დაუთმობდა ამ გერმანიელ ლუკმას. მარკო „ცილობის ვაშლი“ იყო, ინგლისის მიერ ვერაგულად ჩაგდებული გერმანიასა და საფრანგეთს შორის. მარტლაც, მოხდა ის, რასაც ასე მოუთმებულა ელოდა ინგლისის იმპერიალიზმი: საფრანგეთი და გერმანია წაეკიდნენ ერთმანეთს მარკოს გამო.

საფრანგეთი დაუყოვნებლივ შეუდგა მარკოში ე. წ. „მშვიდობიან შეჭრას“, რაც ფაქტიურად მოასწავებდა მარკოზე საფრანგეთის პროტექტორატის დაყარებას.

XX საუკუნის დასაწყისში გერმანიის იმპერიალიზმის დაინტერესება კოლონიებით საერთოდ და მარკოვთი კერძოდ მნიშვნელოვან ფარგლებს აღწევს. გერმანიის იმპერიალისტებს იზიდავს ეკონომიურად ესოდენ მდიდარი და შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყანა. გერმანიის იმპერიალიზმს ორმხრივ აინტერესებს მარკო — ეკონომიურად და სტრატეგიულად. გერმანიის იმპერიალისტები მარკოს სახით ხდავენ ნედლეულის უმდიდრეს ბაზას, კაპიტალის დაბანდების ფართო ასპარეზს; მარკოს შესანიშნავი კლიმატი და ნოიერი ნიადაგი ამ ქვეყნის გერმანიის იმპერიის აგრძარულ დანამატად გადაქცევის დიდ პერსპექტივებს სახავს. მარკო მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ორი საზღვაო გზის ჯვარედინზე (ატლანტიისა და ხმელთაშუა ზღვა) მდებარე საუკეთესო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს. მისი ხელში ჩაგდებით გერმანიის იმპერიალიზმი ამ ორი გზის მბრძანებელი გახდებოდა. გერმანია, რომელიც ემზადებოდა მსოფლიოს ხელახალი განაწილებისათვის, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული მსოფლიო ჰეგემონი გამხდარიყო, ხარბი თვალით შესცემოდა მარკოს და ნისი დაპყრობა სურდა.

გერმანიის იმპერიალიზმი წინ აღუდგა საფრანგეთის განზრახვას — დაემყარებინა მარკოზე პროტექტორატი, ჩაერია მარკოს საქმეებში და საფრანგეთს ომით დაემჟერა. გერმანიის მიზანი იყო მარკოდან საფრანგეთის განდევნა და ამ მდიდარი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის ხელში ჩაგდება; გერმანიის მიზანი იყო ჩაეშალა ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. გერმანია აშვარად ომით იმუქრება. ევროპაში მის სუნი ტრიადებს. ორივე ბანაში მისიალმი გაცხოველებული მზადებაა. მარკოს კრიზისმა კატასტროფული ხასიათი მიიღო, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო თმი. „ომი გერმანიასა და საფრანგეთ-ინგლისს შორის ბეჭვზე ჰკიდია“¹ — ასე აფასებს

¹ В. И. Ленин, Тетради по империализму, 83. 620.

3. ი. ლეინი 1905 წელს მაროკოს პირველი ქრიზისის დროს შექმნილ სატრანსპორტო და მარინარის სიტუაციას.

ინგლისის იმპერიალიზმი განჩრაბ ამშვავებს კონფლიქტს, ცეცხლზე ნავთს ასხამს და ომის განალებას ლამობს. ინგლისელები მოუთმენლად ელიან ამ ომს, თვით შორეულ ბომბებიში მოკალათებული ინგლისელი იმპერიალისტებიც კი. მათ სახეზე მხოლოდ ერთის ამოკითხვა შეიძლება, — იტყობინება რუსეთის წარმომადგენელი ბომბეიდან, — „გამოჩენდება თუ არა საფრანგეთის სახით ახალი კეთილისმყოფელი, რომელიც ინგლისისათვის შემწვარ წაბლს ამოიღებს ცეცხლიდან, ე. ი. დაასუსტებს ღრმად საძულველ და ეკონომიკურად მეტად საშიშ გერმანიას“¹. გერმანელი დიპლომატი ფონ ფლოტოვი აღნიშნავდა, რომ პარიზის პრესაში, კულტებში და სხვაგან აშკარად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ინგლისის სურს საფრანგეთი გერმანიის წინააღმდეგ გამოიყენოს და ომის შემთხვევაში ინგლისის წაბლი გერმანიის ცეცხლიდან მას ამოაღებინოს“². ბელგიის ბერლინელი ელჩის ცნობით, მრავალი გერმანელი დარწმუნებულია, რომ ინგლისი ეძებს მოკავშირეს გერმანიის წინააღმდეგ, რომ ინგლისის სურს კონტინენტზე პროვინციება ომისა, რომელშიც თვითონ მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ ამ ომით დიდ მოგებას ნახავს³. ვილჰელმ II ნიკოლოზ II-სადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა, რომ ინგლისმა გაუთავებელი ინტრიგებითა და ვერაგობით ურთიერთს გადაჰქიდა დანარჩენი ცივილიზებული ხალხი, თვითონ კი მთელი მსოფლიოს ექს-პლატიკიას ეწევა. ამჟამად მაროკოს საკითხში ჯონ ბულს კვლავ თავისი დამტკველი პრინციპის გატარება სურა, ცველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ფრანგები ჩვენ გადაგვიდოს⁴.

ინგლისის იმპერიალიზმმა გაასაკეცა ერთგულება ახლად შექნილი მე-გობრის — საფრანგეთის მიმართ. ჩემი მხარდაჭერა აღატროვანებს საფრანგეთს, — ფიქრობდა „ცდილო ალბიონი“, — იგი აღარ შეუშინდება გერმანიას და შესაძლო მოხდეს ის, რაც ესოდენ სანუკვარია ინგლისის იმპერიალიზმი-სათვის: დაიწყოს ომი საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ინგლისი მთლიანად მხარს დაუჭერს საფრანგეთს გერმანიასთან ომის შემთხვევაში, ინგლისი უმცველად აქტიურად ჩაერჩევა ამ ომში საფრანგეთის მხარეზე და ენთუზიაზმითაც ქიგაილაშერებს გერმანიის წინააღმდეგ, იმედებდნენ ინგლისელები ფრანგებს.

მომენტი გერმანიის წინააღმდეგ დარტყმისათვის ინგლისელებს ხელსაყრელად მიაჩნდათ. რუსეთის წარმომადგენელი ინდოეთში კლემი საიდუმლოდ ატყობინებს თავისი მთავრობას, რომ ინგლისელი სამხედრო პირები ახლანდელ მომენტს გერმანიაზე საგრძნობი დარტყმისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელად მიიჩნევენ. ეს დარტყმა ხანგრძლივად დაასუსტებს გერმანიის მსოფლიო

¹ Красный архив, т. 4—5 (41—42), 1930 г. № 29.

² Die grosse Politik der Europäischen Kabinette 1871—1914, ტ. XX, ნაწ. II. დოკ. № 6854.

³ Zur europäischen Politik 1897—1914. Berlin 1919, ტ. II დოკ. № 20.

⁴ Переписка Вильгельма II с Николаем II, 1894—1914. 1923, გვ. 119.

⁵ Die grosse Politik, ტ. XX, ნაწ. II დოკ. № 6849.

ვაჭრობასა და კოლონიურ პოლიტიკას. ეჭვი არავის ეპარქება იმაში, რომ საფრანგეთი ანგლიის გაერთიანებულ ფლოტს შეეძლია სწრაფად გაანადგუროს ეჭვი ანგლიის ჯერ სამხედრო, ხოლო შემდეგ კომერციული ფლოტი. ვრცელდება ხმები, რომ ინდოეთში მყოფი ლორდი კიტჩენერი ემზადება ინგლისში გასამგზავრებლად, რათა საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში სათავეში ჩაუდგეს 100.000-იან არმიას და დაუყოვნებლივ გადაჯდეს პოლანდიაში¹. ადმირალი სერ ჯონ ფიშერი ამბობდა, რომ იგი მზადა თავისი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ ბრძანება მისცეს ბრიტანეთის ფლოტს, რათა იგი გაემართოს იქით, სადაც მისი ყოფნა აუცილებელია (ე. ი. თავს დაესხას გერმანიის ახალგაზრდა ფლოტს და მოახდინოს მისი კოპენჰაგინება პ. la Nelson გ. კ.)².

ითვალისწინებენ რა შესაძლო კონფლიქტს, ინგლისელები სათანადო სამხედრო თადარიგს იჭერენ: ამზადებენ 150.000-იან საექსპედიციო კორპუსს; გათვალისწინებული იყო საექსპედიციო კორპუსის კონტინენტზე გადასხმის სამი პუნქტი: შლეზვიგ-ჰოლშტაინ-დანიის გზით, ანტვერპენ—ბელგიის გზით, კალე და დიუნკირხენით³. ჩრდილოეთ ზღვებში თავმოყრილ იქნა ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი⁴.

ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის მოლაპარაკება მთელი ძალით გაიშალა (1906 წლის დასაწყისში მოლაპარაკებაში ჩაბმულ იქნა იგრეთვე ბელგიის გენერალური შტაბიც).

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ ლენსდოუნსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელკასეს შორის იწყება მოლაპარაკება გერმანიისათან ომის შემთხვევაში ინგლის-საფრანგეთის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ლენსდოუნი დელკასეს რეალურ დახმარებას აღუთვებამს: ინგლისის ფლოტი დაუყოვნებლივ გააჩალებს საომარ მოქმედებას გერმანიის ფლოტის წინააღმდეგ; ევროპის კონტინენტზე 100.000 კაცის შემადგენლობით გადმოსროლი იქნება ინგლისის საექსპედიციო კორპუსი.

ინგლისის მიერ წაქეზებული დელკასე აქტიურად მოქმედებს, იგი გერმანიის მიმართ შეურიგებელ პოზიციაზე დგება. კრიზისი მწვავდება და ომი ყოველ წუთს მოსალოდნებლია. ლენსდოუნი განაგრძობს დელკასეს წაქეზებას. მისი უშუალო მითითებით, ინგლისის ელჩი პარიზში ლორდი ბერტი დელკასეს 1905 წ. 24 პარიზს ბრიტანეთის მთავრობის სახელით აუწყებს, რომ ინგლისის მთავრობას გერმანიის გამოსვლა მაროკოს საკითხში მეტად უგნურად მიაჩნია და მზადა დელკასეს ყოველნაირად დაუშეიროს მხარი; გერმანიის მთავრობა მთითხოვს ნაესადგურს მაროკოს სანაპიროზე და მაშინ ინგლისის სრულიად თამაზად შეუძლია გამოვიდეს გერმანიის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი აზრი ინგლისში დამშვიდდება: ინგლისი გერმანიას ომს უცხადებს არა საფრანგეთის.

¹ Красный архив, დასახ. ტომი, გვ. 29.

² Сидней Фей, Происхождение мировой войны, т. I, М. 1934, გვ. 145.

³ Die grosse Politik, დ. სახ. ტომი, დოკ. № 6946.

⁴ Красный архив, დასახ. ტომი, გვ. 28.

სასარგებლოდ, არამედ საკუთარი ინტერესების დასაცავად (აյი გვირჩეული მიერ ატლანტის სანაპიროზე ნავსაღვურის მოთხოვნა ინგლისის სპეციალურობაზე ტონობისათვის მეტად დიდი საფრთხის მომასწავებელია.—გ. კ.). უდიდებულესობის მთავრობა მზად არის შეუერთდეს რესპუბლიკის მთავრობას გერმანიის წინააღმდეგ მოქმედებისათვის და სთხოვს დელკასეს, რომ მოხდეს შეთანხმება მათ შორის ამ მოქმედების პირობების განსაზღვრისათვის გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ლონისძიებათა საქმეში¹. დელკასე, დაიმედებული ინგლისის დახმარებით, გერმანიის მუქარას არაფრად აგდებდა და ომისთვის მზად იყო. მოლაპარაკება აქტურად მიმდინარეობდა, ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულება თითქმის მზად იყო, მაგრამ დელკასეს გადადგომის ხელი შეუშალა მის საბოლოოდ გაფორმებას. მოლაპარაკება წარმოებდა აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის გენერალურ შტაბებს შორის.

შეორებ მხრით, ინგლესელები გერმანელთა წაქეზებასაც ცდილობენ. მეტად დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: 1905 წლის 12 მარტს გერმანიის წარმომადგენელს მაროკოში ფონ კიულმანს ეახლა გაზეთ „ტაიმსის“ მაროკოელი კორესპონდენტი ვინშე ჰარისი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო ინგლისიდან, და გადასცა მას ვრცელი წერილი, სადაც ერთ-ერთი ინგლისელი გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი ჩიროლი (Chiroli) თავის აზრს გამოთქვამდა მაროკოს შესახებ. ჩიროლი აცხადებდა: საფრანგეთის მხრივ დიდი შეცდომაა ფიქრი იმისა, რომ ინგლისთან და ესპანეთთან მიღწეული შეთანხმების შედეგად მაროკოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა. საფრანგეთის საქმე არის შემდგომ სხვა სახელმწიფოებსაც მოეღაპარიკოს, პირველ რიგში გერმანიის. გერმანიის ინტერესები მაროკოში მეტად დიდია და მას უეპველად ანგარიშ უნდა გაეწიოს... თუ საფრანგეთი მოიპოვებს მაროკოში უფლებით უპირატესობას, მაშინ გერმანიამ, ყოველ შემთხვევაში, სათანადო კომპენსაცია მაინც უნდა მიიღოს. ჩიროლი განსაზღვრავს კიდეც ამ კომპენსაციას. ინგლისი სრულიადაც არაა განწყობილი, განაგრძობს ჩიროლი, მაროკოს ცეცხლიდან საფრანგეთისათვის წაბლი ამოიღოს. დიპლომატიური მხარდაჭერა, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების ძალით, გაგმული უნდა იქნეს მხოლოდ როგორც დიპლომატიური მხარდაჭერა... მაროკოში ინგლისელთა მოქმედებამ არ უნდა გაამწვავოს ინგლისის ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, კერძოდ გერმანიასთან². ფონ კიულმანმა არ დააყოვნა და ჰარისის მიერ გადმოცემული ეს მოსაზრებანი მისტერ ჩიროლისა დაუყოვნებლივ აცნობა ბერლინს, კერძოდ ბიულოვს.

საინტერესო რას ნიშნავდა ყოველივე ეს, რა მოსაზრებით მიმართავდა ინგლისი, ჩეენ ვიტყოდით, ასეთ დიპლომატიურ ფარდს? ვთიქრობთ, ჰარისი, რომელიც ინგლისის ფარული აგენტი იყო გერმანელთა მეგობრის ნიღაბით, ინგლისის საგარეო პოლიტიკის მესვეურთა პირდაპირი მითითებებით მოქმედებდა. ეს წერილი, როგორც ეტყობა, პროვოკაციული მიზნით იქნა გადა-

¹ Н. Н. Политика, Возникновение мировой войны, 1935 № 136.

² Die grosse Politik, С. XX, бაზ. I დოკ. № 6562.

ცუმული; ჩანს, ინგლისის დიპლომატია იმედოვნებდა, რომ გერმანია უფრო მეტი აქტიურობას გამოიხენდა მარკოს საკითხში, დაიმედებული ჰქონდა ინგლისი არც თუ მაინც დამაინც მტკიცედ უჭირს მხარს საფრანგეთის პოლიტიკას მარკოს საკითხში. გერმანიის აქტიურობა გაამშვავებდა კრიზისს, გამოიწვევდა საფრანგეთ გერმანიის წინააღმდეგობის შემდგომ გალრმავებას, რაც ძალზე სასურველი იქნებოდა ინგლისისათვის. ცხადია, ინგლისს, რომელიც საფრანგეთს მეგობრობას ეფიცებოდა და უკვე რეალურ დაბმარებასაც აღუთვებოდა მას გერმანიისათვის შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, არ შეეძლო ოფიციალური ხასიათი მიეცა ზემოაღნიშნული პროვოკაციისათვის; ამიტომ მან ამისათვის არაპირდაპირ მოქმედების გზა გამონახა. მოქმედ პირებიდ გამოიყანა ჰარისი, რომელიც, როგორც ვთქვით, გერმანოფილად იყო აღიარებული, და ჩიროლი, არაოფიციალური, თუმცა საქმაოდ კომპენტენცური პიროვნება. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიპოვეთ სათანადო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გამოეხმაურნენ გერმანელები ინგლისელთა ამ პროვოკაციას. თუმცა გერმანიის იმპერიალიზმი ინგლისელთა მხრივ წაქეზების გარეშეც საგმარისად აქტიურობდა მარკოს საკითხში.

ინგლისელები ელოდენ ომს, მაგრამ მოვლენათა მსელელობა სულ სხვა-გვარიდ წარიმართა. დელასე გადადგა. ვერმანიამ არ დაიწყო ომი, დროებით გადადო იგი ვარკვეული მიხედვის გამო, რომელთა განხილვას ჩვენ აქ ვერ შევუდგებით, და საკითხის დიპლომატიური გზით გადაწრა მიიჩნია უმჯობესად.

საერთაშორისო კონფერენცია მარკოს საკითხის გადასაწყვეტად მოწვეულ იქნას ესპანეთის პატარა ქალაქ ალხესირასში. კონფერენცია მიმდინარეობდა 1906 წელს 16 იანვრიდან 7 აპრილამდე. კონფერენციის მსვლელობის მთელ მანძილზე ინგლისი ვერდეში ედგა საფრანგეთს და ყოველმხრივ ეხმარებოდა მას. „ბრიტანეთის მთავრობა შეუერთდება უკელა წინადაღებას, რომელსაც საფრანგეთი თავისითვის მისაღებად მიიჩნევს“, — აცნობებდა სერ ედუარდ გრეი (ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1905 წლის დეკემბრიდან) რუსეთის მთავრობას¹. ა. იერუსალიმსკი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამ კონფერენციაზე „ინგლისის პოლიტიკა უფრო მეტად ფრანგული იყო, ვიდრე პოლიტიკა თუმც საფრანგეთისა“². ინგლისის პოლიტიკის მიზანი იყო, გერმანიასა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის შემდგომი გამშვავება. „ციიერი ალბიონი“ იმედოვნებდა, რომ მისი მხარდაჭერით გათამამებული საფრანგეთი არაფერს დაუთმობდა გერმანიას, რასაც საბოლოო ანგარიშში მოჰყვებოდა კონფერენციის ჩაშლა. ამგარად, ინგლისის საბოლოო მიზანი კონფერენციის ჩაშლა იყო, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ კონფერენციის ჩაშლის გამო ფორმალური პასუხისმგებლობა გერმანიას დაკისრებოდა³. თუ კონფერენციის ჩაშლის შემდეგ გაჩაღდებოდა ომი, ინგლისის მთავრობა

¹ Красный архив, фасад. Громо, гл. 22.

² А. Ерусалимский, Вступ. статья: Красный архив, фасад. Громо, гл. 3.

³ А. Ерусалимский, №. იქვე.

ეტყოდა თავის ხალხს: ჩვენ მშვიდობა გვინდოდა, მაგრამ გერმანიამ არ ისურვდა ეს, კონფერენცია ჩაშალა და თავს ომი მოგვახვიათ. სერ ელიარდ ფრედერიკია ვის დელეგატს ალხესირასში ნიკოლსონს შემდეგი ხასიათის ინსტრუქცია გაუგზავნა: „თუ საჭირო შეიქნა კონფერეციის ჩაშლა, საფრანგეთი არ უნდა აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, როცა შეიძლება შეიქნეს შთაბეჭდილება, რომ თითქოს დამნაშავე საფრანგეთია“¹.

ბრიტანეთი ყოველნაირად ცდილობს ხაზი გაუსვას საფრანგეთთან მეგობრობას. მეფე ელიარდ VII კონფერენციის მსვლელობის დროს ესტუმრია პარიზს, ინახულა საფრანგეთის პრეზიდენტი ფალიერი (რომელმაც ლუბე შესცვალა 1906 წლის 17 იანვარს) და სადილზე მიიპატიუა იგი პრემიერ-მინისტრ რუფიესთან ერთად; ინგლისის მეფემ სპეციალურ საუზმეზე მიიღო ექსპრეზიდენტი ლუბე და ექსმინისტრი დელკასე, გერმანიის მტერი და 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი; სტუმრებს მეფე დიდი პატივისცემით შეხვდა. ბელგიის პარიზელი ელჩი სწორ შეფასებას აძლევს ამ ამბავს: „მოიწვია რა თავისთან ის, ვისი გადაყენებაც გერმანიამ მოითხოვა (დელკასე.—გ. კ.), მან ახალი დასტური მისცა 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებას. მოახდინა იმ პოლიტიკის სანქცია, რომლის წინააღმდეგ გერმანია სასტიკ პროტესტს აცხადებდა“².

მაგრამ, მიუხედავად ინგლისელთა დიდი ცდისა, ამჯერად ქვეყნიერება ცოტა ხნით მაინც გადარჩა გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომს: კონფერენციაზე სავსებით იზოლირებული გერმანია იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა და მიელო საფრანგეთის თითქმის ყველა წინადადება. კონფერენცია საფრანგეთის სასარგებლობად დამთავრდა.

მაროკოს პირველმა კრიზისმა გაამწვავა ურთიერთობა გერმანიასა და ინგლის—საფრანგეთს შორის, იგი ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობათაგანი იყო პირველი იმპერიალისტური ომის აღმოცენებისა. ბრიტანეთის ვერაგულშა პოლიტიკამ, ცხადია, დიდი როლი ითამაშა ამ ომის აღმოცენების დაჩქარების საქმეში.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1949. XI. 1).

¹ Красный архив, დასახ. ტომი, გვ. 3—4.

² Zur europäischen Politik, დოკ. № 33.

X. შემპერიძე

გელინსკი და ჩირიშვალი და 60-იანი წლების ქართველი სალიზერაზერო ქრიზის

ქართული პრესის ფურცლებზე ერთ დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ, მართლია, ჩვენი „სამოციანელები“ განიცდიდნენ რუსეთის მოწინავე აზროვნების წარმომადგენელთა ზეგავლენას, მაგრამ ეს გავლენა ლოკალური და დროებითი ხასიათისა იყო: ბრუნდებოდნენ რა რუსეთიდან საქართველოში, ქართველი მოღვაწეები თავისუფლდებოდნენ ამ გავლენისაგან.

რა თქმა უნდა, გავლენა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ისეთი ფაქტორი არ არის, რომ მას შემოხვევითი და წუთიერი ხასიათი ჰქონდეს.

ჩვენ აյ არ გამოვუდგებით იმის ჩვენებას თუ გავლენა, რომელიც ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს, რატომ უნდა ყოფილიყო არსებითი ხასიათისა. მხოლოდ აღნიშნავთ, რომ 60-იანი წლებისათვის საქართველოში არსებობდა ყველა პირობა, რათა ეს გავლენა სიცოცხლისუნარიანი გამხდარიყო.

ეს ფაქტი შეგნებული ჰქონდათ ჩვენს „სამოციანელებსაც“, სანიმუშოდ, სამოციანი წლების მოღვაწეთა ერთ ერთი მედროშე, ი. ჭავჭავაძე¹, აცხადებდა 1889 წელს, გაჭყურებდა რა განვლილ გზას: „თქმა არუნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიშია წარმატების გზაზე და დიდი ზეღმოქმედება იქნია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალის შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომზედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხეგნებული ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკეირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გავიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოპევება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ“².

ამიტომ, ბუნებრივია, თუ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის რეგიონულურ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელთა გავლენა ქართველ „სამოციანელებზე“. მაგრამ ამჟამად, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვაინტერესებს, თუ როგორ იჩინა თავი ამ გავლენამ სალიტერატურო კრიტი-

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, 1927, გვ. 285.

ის სფეროში, ხოლო უფრო კონკრეტულად — თუ რა მიმართებაში იმყოფებოდან ძურთიერთთან ბელინსკი და ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ჭარტული სალიტერატურო კრიტიკის ჭარმომაღვენლები.

I

ეპიგრაფი, აღებული ბელინსკიდან, რომელიც ი. ჭავჭავაძე მ წაუმდლვარა თავის „პასუხს“ (1861 წ.), უკვე მოწმობდა იმ კავშირზე, რომელიც რუს კრიტიკოსსა და ქართველ „სამოციანელებს“ შორის არსებობდა. ეს ეპიგრაფი ასეთი ხესიათისა იყო:

„Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже называют в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модной фразой, изящество — щеголеватостью, критику — комплиментами“.

რა თქმა უნდა, ძველ თაობასაც არ დარჩა ზეუმნეველი, თუ ვის იდეებზე იყო აღზრდილი ახალი თაობა და დაცინვით განაცხადა, რომ ი. ჭავჭავაძე „... შეემზადა პეტერბურგში, როგორადც ღონკიხოტი: მარცხება ხელში ეპურა ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები, მარჯვენაში — ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრულ დაიარაღებული, გამოიღაშქრა საქართველოზე“.

დიახ, ი. ჭავჭავაძეს, მართლაც, „ბელინსკის ტომები ეპურა ხელთ“ და დიდი რუსი კრიტიკოსის კვალად ცდილობდა საქართველოში რეალისტური ლიტერატურისა და ესთეტიკის განცტყაცებას¹.

გავლენა, ამ შემთხვევაში ბელინსკისა, რომელიც თავს იჩენს ქართულ მწერლობაში, არა მარტო ზოგადთეორიული ხასიათისა, არამედ ვლინდება ესთეტიკისა და პოეტიკის მეტად კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებითაც.

საკითხი, რომელიც ხელოვნებისა და ცხოვრების მიმართებასთანაა დაკავშირებული, ქართველ „სამოციანელებს“ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის კვალობაზე აქვთ გადაჭრილი. ამ პერიოდის კრიტიკული მემკვიდრეობა ნათელ-ჰყოფს, რომ ამ საკითხში ქართველი „სამოციანელები“: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ა. ფურცელაძე, ნ. ნიკოლაძე და სხ. პრინციპულად ერთი დროშის ქვეშ არიან გაერთიანებული. მაგრამ ამუამად ყველა მათგანს ჩვენ ვერ შევეხებით, მით უმეტეს, რომ ჩვენი მიზანია ამ შემთხვევაში ბელინსკისთან უფრო კონკრეტულ შეხვედრებზე ვილაპარაკოთ.

ამიტომ სანიმუშოდ ავილოთ ი. ჭავჭავაძის რამდენიმე მოსაზრება.

ცნობილია ბელინსკის დებულება, რომ „Высочайшая действительность есть истина; и как содержание поэзии — истина, то и произведения поэзии суть высочайшая действительность“².

¹ ეს გავლენა ბელინსკისა და პატივისცემა მისდამი არ შესუსტებულა შემდეგშიც. 60-იანი წლების მოღვაწეთა ერთ-ერთი თვალსაჩინო ჭარმომაღვენელი, ა. წერეთელი, 900-იანი წლების დამდეგს იგონებს რა ამ „შესანიშნავ კრიტიკოსს“, სინაურით დასხენს, რომ „ჩვენ ჯერ კიდევ ჩვენი ბელინსკი არ გამოვგენია“ (სათვარო შენიშვნები: ივერია, 1903, № 216).

² В. Г. Бехинский, Горе от ума: Собрание соч., в трех томах, т. 1, Москва, 1948, стр. 464.

ანდა: „... новейшая поэзия есть поэзия действительности, поэзия жизни“¹.

ეს შეხედულება, რომელიც უკვე ბელინსკის მოღვაწეობის პირველ პერიოდში იჩენს თავს (სტატია დაწერილია 1839 წ.), შემდეგ უფრო ღრმაზე და ბელინსკი სავსებით ნათლად აყალიბებს თავის უტილიტარისტულ თვალსაზრისს ხელოვნებაზე, მით უმეტეს, რომ ბელინსკი პრინციპულად წყვიტს კავშირს ჰეგელთან და ფოიერბახის მატერიალისტურ ფილოსოფიას ითვისებს. ტიპიურია ამ პერიოდში ბელინსკისათვის თქმა:

„В наше время искусство и литература больше, чем когда-либо прежде, сделялись выражением общественных вопросов, потому что в наше время эти вопросы стали общее, доступнее всем, яснее, сделялись для всех интересом первой степени, стали во главе всех других вопросов... Отнимать у искусства право служить общественным интересам — значит не возвышать, а унижать его, потому что это значит лишить его самой живой силы, то есть мысли, делать его предметом какого-то сибаритского наслаждения, игрушкою праздных ленивцев“².

ბელინსკის იდეებით შთაგონებული ო. ჭავჭავაძე უკვე 1861 წ. თამაბად აცხადებდა: „ჩვენ ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ“³. და, მართლაც, ილიას ძალიან კარგად ესმოდა ხელოვნების ხასიათი და დანიშნულება, ესმოდა ისე, როგორც ბელინსკის, სანიმუშოდ:

„ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის..., რომ მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგანილი კაცის ჭრის და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იძალებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იყინი ჭინ მიღიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მცრე თავის რიგხედ თვითვე ჭინ მიპავათ ცხოვრება...“

... მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარესავით ცხოვრება გარდმოცეს, რათა ჩვენი თავი მის მომზადების გალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ ჭინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინაბოთ“⁴.

ასეთსავე თვალსაზრისს ავთარებენ სხვებიც; მაგალითად, გ. წერე-თელი 1863 წ. დაბეჭდილ სტატიაში „ცისკარს“ რა აკავებდა? წერს:

¹ ა. ჭ. ვ., ცტ. 466.

ამ სტატიასთან და მოყანილ ადგილებთან დაკავშირებით საქსებით სამართლიანად აღნიშვნავდა ჩერნიშესკი: „ეს სტატია კველაზე მარჯვე და ბრწყინვალე სტატიების რიცხვს ჟეფუთვის. ის იწყება ხელოვნების თეორიის გამოცემით, რომელიც განსაკუთრებული განყენებული, მეცნიერული თვალსაზრისით არის დაწერილი [თუმცა ამასთმ მასში ძლიერი ბრძოლა სწარმოებს მეოცნებობის ჭინალმდევ და] მთლიანად გამსჭვალულია მისწრავებით სინამდვილისაგმი და ძლიერი თავდასხმებით ფანტაზიორობაზე, რომელსაც სინამდვილე სძლუს. აი მაგალითისათვის ნაწყვეტი, რომელიც მოსდევს განმარტებას (ჯერ კიდევ საესტებით ჰეგელის ყაიდაზე), რომ „პოეზიის ნაწარმოებები უმაღლესი სინამდვილე არის...“ (ნ. ჩერნიშევსკი, „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ხარვევებიდან“: რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, თბილისი, 1945, გვ. 563).

² В. Г. Белинский, Вагад на русскую литературу 1847 года: Собрание сочинений в трех томах, т. III, Москва, 1948, стр. 743, 797.

³ ი. ჭავჭავაძე, პასუხი: ნაწ. სრ. კრ., 1927, ტ. IV, გვ. 49.

⁴ ი. ჭავჭავაძე, საქართველოს მთამბეჭდე (2863 წ.): ნაწ. სრ. კრ., ტ. IV, გვ. 83, 79, 80.

„მწერალი არის ერთ თავის სახოგადოების მწერალთაგანი, ერთი იმ პირთაგან კუმშლების კურგაც შეადგენს სახოგადოებას. ის არის სახოგადოების ტანჯველი და შემთხვევაში გარემონტობელი. რაზი მდგომარეობს მისი ღვეული სახოგადოების წინ? — აჩვენოს სახოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულოვანებაების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშუალობაები, რომლებიც მისის ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულოვანებაების მოსასპობელად¹.

七

გადავიდეთ უფრო კონკრეტულ შეხვედრებზე.

„ცისკრის“ 1861 წლის მეტვესე ნომერში ი. ჭავჭავაძემ დაბეჭდა თავისი „პასუხი“, სადაც, სხვათა შორის, წერს:

„პოეტსა ხალხი დაპირის და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; მა საუზღველით ამ-ბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომოქმედიო. ჯერ უნდა, ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვლავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერქ თავისთავად, უთევნებ-ბრძანებლოდ ძლიერი სული გვნიისა ძლიერად გამოსცემს პასოსს ხალხის განვითარებას“².

„ამ საფუძვლით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელია“,—
ამბობს ილია და ებძაურება ბელინსკის: „Литература есть последнее и выс-
шее выражение мысли народа, проявляющейся в слове“³.

აქ ჩვენ აშკარად ბელინსკის გამოძახილი გვესმის; ბელინსკი ამბობდა:

„Поэзия есть истинка в форме созерцания; ее создания — воплотившиеся идеи, видимые, созерцаемые идеи. Следовательно, поэзия есть та же философия, то же мышление, потому что имеет то же содержание — абсолютную истину; но только не в форме диалектического развития идей из самой себя, а в форме непосредственного явления идеи в образе. Поэт мыслит образами; но не доказывает истины, а показывает ее”⁵.

¹ Հ. Շահնշահը, Դիմուլյական սր. յն., Ը. I, 1931, 83. 18.

² Ա. Հայոց Հանձնաժողով, հայ. Սր. պր., Ծ. IV, 1927, Տ3. 49.

³ Белинский, Общее значение слова литература: Собр. соч., в трех томах, т. II. Москва, 1948, стр. 87.

* Ռ. ՀԵՅՏԻՉԵՐՆԱԴՐ, ԵՎՑ. ԱՐ. ԺՐ., Ը. IV, ՅՅ. 31.

* Белинский, Горе от ума: Собр. соч., в трех томах, т. I, Москва, 1948, стр. 464 (బుధాసిద్ధా వ్యాఖ్యానాలు).

როგორც ცნობილია, ბელინსკი აქ ჰეველის დღმულებას იყენებს; ჰეველი თავის ესთო-ტრიკაში (რომელიც მისი სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმარტვენ) ავითარებს აზრს, რომ ამ შემთხვევაში იდეა კლინდება სახეების საშუალებით: „... მშენიერი არის სრული შესატყვი-სობა, სრული იგივება იდეისა სახესთან“.

ცხადის, ეს, თავისთვალ მართებული, დებულება, რომ „პოეზია აზროვნებს სახეების საშუალებით“, ჰეგელთან განვითარია აბსტრაქტულ-იდეალისტურ სამოსელში. ჰეგელისათვის „შეგნიერი“ (*Das Schöne*) არის მხოლოდ „მოჩევნება“ (*Ist ein Schein*). შერ. ბ. ჩერნი-

ეს ციტატი ბელინსკიდან საინტერესოა ხელოვნებისა და ფილოსოფიური მიმართების თვალსაზრისითაც. ოფორტუ ჩანს, ილიას ყურადღების გარეშე არც ეს მომენტი დარჩენილა და 1863 წ. დაწერილ წერილში „საქართველოს მოამბეჭდებ“ ემაურება ამ საკითხს. ეხება რა ხელოვნებისა და მეცნიერების (ილია „ფილოსოფიის“ ნაცვლად აქ „მეცნიერებას“ ხმარობს) ურთიერთობას, ილია იმეორებს ბელინსკის აზრს:

„ეს ორნივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოთქვა-მენ: ხალისის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედობენ და გაძლიერდენ“¹.

ოფორტუ ვხედავთ, ილია ბელინსკის მიპყვება, — ასეთივე შეხედულება ბელინსკისა: პოეზია არის იგივე აზროვნება, ოღონდ სახეების საშუალებით. ჰეშმარიტებას იგი გვიჩვენებს და არა გვიმტკიცებს (მაშასადამე, პოეზიისათვის დამახსხაითებელია, უაირატესად, სახეებით აზროვნება და არა ცნებებით).

ბელინსკის გავლენა ჩანს ილიაზე, როდესაც ეს უკანასკნელი ეხება კონკლონს და მასთან დაკავშირებით სენტიმენტალისტურ ლიტერატურას („ორიოდე სიტყვა „შეშლილის“ თარგმაზედა“, 1860 წ.). ამ შემთხვევაში ილია სარგებლობს ბელინსკის რეცეზიით კოზლოვის ლექსთა კრებულზე. ბელინსკის დავირჩვებული მოწაფე ჩანს მაშინაც, როდესაც ილიას პირველად შემოაქვს ისტორიული თვალსაზრისი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში („პასუხი“). მაგრამ ამ საკითხებს ამჟამად დაწერილებით აღარ შევეხებით.

ბელინსკის უშუალო გავლენას ამჟამადნებს გ. წერეთელიც, ოოდესაც წერს:

„ორდესაც საზოგადოებამ (ლაპარაკია საფრანგეთის საზოგადოებაზე — ჯ. ჭ.) მიაღწია იმდენს განათლებაზე, რომ შემოვიდა ცხოვრებაში ძევლის კლასიკურის მეცნიერების გადაღების მოა ხოვნილება, მისი გონება მშოლოდ ერთმა ბრკიალა სამოსმა შეიძყრო: მან სტაცა ბეჭდი მხოლოდ ერთს ფორმას; მისი ყურადღება მიიციდა მშოლოდ ერთ ტურულა და მეტად ტკბილის ენით გამოთქმაზედ და არა თვით მასში მყოფს აზრხედ. მისი პოეტები იწყებდნენ ამ ნაირად ყეფას, ოფორტუ სოფოკლი, ესილი, არისტოფანი და სხვა გამოჩენილი საბერძ-

შევსკი, ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან: რჩ. ფილოსოფიური თხზულებაზი, 1945).

ხერნიშევსკიც, ბერძისის რა ჰევლის ესთეტიკის იდეალისტურ ჩასათს, ინიარებს რუსულ სალიტერატურო კრიტიკაში ბელინსკის მიერ ხაზგასშულ ამ მართვებულ დებულებას და აღნიშნავს:

„...ჩევნ უგვე შევნიშნეთ, რომ ამ ფრაზაში მინიშნელოვანია სიტყვა „სახე“, — ის იმაზე ლაპარაკობს, რომ ხელოვნება იდეას გამოსატავს არა განყვენებული ცნებებით, არამედ ცოცხალი ინდივიდუალური ფაქტით“ (ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან, რჩ. ფილოსოფიური თხზ., გვ. 413).

თვით ბელინსკი ამ აზრს სხვა სტატიაშიც იმღორებს: „Искусство есть не что иное, как представление истинны или мышление в образах“ („Идея искусства“, — წერილი დაუმთავრებელია, პირველად დაიგვევდ ბელინსკის გარდაცვალების შემდეგ, 1862 წ. ასე რომ, ცხადია, ილია ამ წერილს ვერ დაყრდნობოდა თვის აღზინდელ სტატიებში).

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრ., ტ IV, გვ. 73—74.

ნეთის მწერლები; ალწერდნენ იმ გვარ გრძნობაებს, როგორებსაც თავის საზოგადოების ნაკლელოვანებაები აღმრავდა არისტოფანის და ექტიბიდის გულში. რასაკირავის გვარ გზაზე დამდგარი ლიტერატურა და პოეზია სრულიად უნდა განშორებოდა ხალის ცხოვრებას... აი რა მავრებელია ლიტერატურა და პოეზია, როდესაც ის არ მსახურებს ხალის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჭ დეკლამაციაში, როდესაც გადაწყვებაში, ნამეტურ ამ გვარ განათლების მთარების, როგორც პოეზია და ლიტერატურა, მისი გადმომლები ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოთაც თვით ლევარე ფორმა ფუჭია და მავრებელი”¹.

ამ შემთხვევაში გ. წერ ეთელი, უთუოლ, ეყრდნობა ბელინსკის შეხედულებას ფრანგულ კლასიციზმები და, თუნდაც, იმ ადგილს ბელინსკის წერალიდან („ვაი ჰელისაგან“), სადაც რესი კრიტიკოსი ამბობს:

„Очевидно, что классицизм, как его понимали французы, и как он перешел от них к нам, был псевдо-классицизм, столько же походивший на греческий, сколько маркизы XVIII века походили на богов, царей и героев древней Греции. Несспособные по своему национальному духу проникнуть в сущность светлого мира древних греков, — они взяли нечто от внешних форм, и думали, что введя в свою quasi-трагедию царей, наперников и вестников, сделают ее греческою”².

დასასრულ, უნდა შეგჩერდეთ ანტ. ფურცელაძე 1862 წ. „ცისკრის“ ნოებბის ნოებბის ნოებბიში ა. ფურცელაძე ბეჭდავს ბიბლიოგრაფიას: „მიმოგზაური ურია“ (თარგმნილი უფ. ალექსიევი — მესხიევისაგან“). ეს არის ნაწარმოები ფრანგი მწერლის ეჟენ სიუსი („მარალიული ურია“). ამ ბიბლიოგრაფიაში ჩერენ გვხვდება საინტერესო მსჯელობა რომანტიზმის შესახებ. ეხება რა აღნიშნულ ნაწარმოებს, ა. ფურცელაძე იწუნებს მას, როგორც „ცისკრ-რომანტიკულს“, ხოლო თუ იგი მაინც გავრცელდა ეკრობაში, ამის მიზეზი, რეცენზენტის სიტყვით, ის იყო, რომ „მოცელი ევრობა იცნობდა იეზუტებს და იმათ ბოროტებას; მეორე, ძველი შეა საუკუნოების რომანტიზმი და კლასიციზმი ჯერ არ იყო დაცემული“³. ხოლო შემდეგ განაგრძობს: „მოსპობიდან ფრანციაში იეზუიტების ორდენისა და ახალის რომანტიზმის მიმართულების შემოსვლიდამ, დაეცა ეს, თავის დროზე დიდათ სახელმოვანი რომანი“⁴.

ეს ცნებები — „შეა საუკუნეების რომანტიზმი“ და „ახალი რომანტიზმი“ ა. ფურცელაძეს შემოაქვს ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში წყაროს აღუნიშვნელად. ხოლო სინამდვილეში ქართველი რეცენზენტის წყაროს, ამ შემთხვევაში, ბელინსკი წარმოადგნს.

როდესაც ჩერენ რომანტიზმის ორი მხარის შესახებ ვლაბარაკობთ, რეაქციული და პროგრესული რომანტიზმის შესახებ, დაყოფა, რაც მარქსისტული ლიტერატურათმცოდნების მონაცოვარს წარმოადგნს, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დაყოფის ცდას ვპოულობთ ჯერ კიდევ XIX ს. რესული რევო-

¹ გ. წერ ეთელი, „ცისკრის“ რა აკავანებდა?: თხ. სრ. კრ., ტ. I, გვ. 14.

² ველისკი. Собр. соч. в трех томах, Москва, 1948, т. I, стр. 461.

³ ცისკრი, 1862, № 11, გვ. 284.

⁴ იქვე, ხაზი ჩერენია.

ლუციურ-დემოკრატიული მაძრაობის წარმომადგენელთა მსჯელობებში მათ შორის ბელინსკი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ცდილობს გამიჯნოს რომანტიზმის ეს ორი მხარე.

ცხადია, ბელინსკი თანამედროვე ტერმინოლოგიას არ ხმარობს. მას საკუთარი ტერმინები აქვს რომანტიზმის ორი მხარის აღსანიშნავად და „საშუალო საუკუნეების რომანტიზმი“ და „ახალი რომანტიზმი“ რუსი კრიტიკოსის კუთვნილებას წარმოადგენს.

ლაპარაკობს რა „საშუალო საუკუნეების რომანტიზმის“ შესახებ, ბელინსკი მას უპირისპირებს „ახალ რომანტიზმს“. „საშუალო საუკუნეების რომანტიზმი“ მიუღებელია ბელინსკისათვის მისი რეაქციული ხასიათის გამო. ამ რომანტიზმა მოჰყავთ თავისი დრო, რადგან „დიდი ხანის ფევე ცხოვრების პირობები და საზოგადოების საფუძვლები სხვაგარი იყო, არამსგავსი იმისა, რომლითაც მტკიცე იყო საშუალო საუკუნეები“. ბელინსკის სიტყვით „დიდი დრო იყო საჭირო, ბრძოლები, შერვინებანი, გადატრიალებანი და ტანჯვანი, რათა კაცობრიობას მოვლენოდა ახალი რომანტიზმის განთიადი და დამდგარიყო შისთვის განთავისუფლების ეპოქა საშუალო საუკუნეების რომანტიზმისაგან... მაგრამ საშუალო საუკუნეების რომანტიზმს ჯერ კიდევ მაინც ეჭირა ევროპა თავის სულისშემხუთველ ბორკილებში, და, ღმერთო ჩემ! — რა ბევრისთვის არის ჯერ კიდევ დამღუბველი ამ დამახინჯებული და გადაგვარებული აჩრდილის მარწუხები“¹.

რა თქმა უნდა, ბელინსკის არ შეეძლო საცემით ნათლად ჩამოეყალიბებინა რომანტიზმის ეს ორი მხარე. მაგრამ იყი დიდი მკელევარის ალლოთი გრძნობდა ასეთი გამიჯვნის შესაძლებლობასა და საჭიროებას. მაგრამ, რაც მთავარია, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ მაშინდელ საცენტრურო პირობებში ბელინსკის არ შეეძლო საცემით თავისუფლად გაეტარებინა ეს აზრი და, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ბ. მეილ ა ხი, „ახალი რომანტიზმის“ წარმომადგენლების გაშლილი დახასიათება ბელინსკის არ შეეძლო მოეცა ცენტრურის ქვეშ მყოფ პრესაში“².

როგორც ვხედავთ, ანტ. ფურცელაძე, ამ შემთხვევაში, კვალდაჭვალ მიჰყება ბელინსკის.

¹ Белинский, Сочинения А. Пушкина; Собр. соч., в трех томах, т. III, 1948, стр. 236.

² Мейлак, Пушкин и русский романтизм, М—Л, 1937, стр. 11.

ჩვენ აქ აღარ ვჰქებით ბ. ყიფიანის სტატიას „სფირიდონის და თადეოზის ბაასი“ (1863 წ.), რომელშიც მთელი მსჯელობა პოეზიის არსის შესახებ ბელინსკიდან არის სიტყვასიტყვით თარგმნილი, რახედაც თვით სტატიის ავტორი მიუთითებს.

საინტერესოა აქვა ალინიშვილს, რომ კ. ა ბ ა ში ე თავისი „ეტიუდების“ პირველ ტომში განიხილავს რა გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“, ახასიათებს მას, როგორც პოეტის ერთეულთ უსუსტეს ქმნილებას. მთელი მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ არის მსგავსი ნაწარმოები შეუცველებლი რომანტიკოსი მწერლის ბრნებისათვის, ქართველ კრიტიკოსს გადმოდგებული აქვს ბელინსკიდან, კერძოდ, გამოუყენებისა ბელინსკის მსჯელობა უშველესი პოემაზე: „Певец во стане русских воинов“ (შეად. Белинский, Сочинения А. Пушкина: Собр. соч. в трех томах, т. III, 1948, стр. 258).

II

არანაკლებ მნიშვნელოვანია 60-იანი წლების ქართულ სალიტერატურულ კრიტიკაზე გავლენა ჩერნიშევსკისა, რომლის შეხედულებანი, ხელოვნებისა და ცხოვრების მიმართებასთან დაკავშირებით, არსებითად ბელინსკის რეალისტური ლიტერატურული თვალსაზრისის გაღრმავებასა და თეორიულ დასაბუთებას წარმოადგენენ.

60-იან წლებშივე ქართულ კრიტიკაში პირდაპირი, კატეგორიული მითითება, მსგავსად ბელინსკისა, ჩერნიშევსკიზე თითქმის არა გვაქვს¹, მაგრამ თვით ფაქტი გავლენისა მეტასმეტად ცხადი და შესამჩნევია.

სამაგიეროდ, დაახლოებით ოთხიოდე ათეული წლის შემდეგ, აკაკი წერეთელი ასე ახასიათებს ჩერნიშევსკის გავლენას 60-იანი წლების ახალგაზრდობაზე:

„სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში უშუალე „სოფორულებიკა“ და დოცონილიც ბოვთან, ანტონოვიჩთან, ნერასოვთან და სხვებთან ერთად, დასცა რუსთან კიუანა... ამ აზრებულობის დროს გამოსცა ჩერნიშევსკი თვისი პატარა კრიტიკული წიგნაკი: „ხელოვნება მ.რ.ტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის?“² ამან დოდი გავლენა იქნია მყითხველებზე. ბევრს ააღვინა მუსიკაზე ხელი და მხატვრობა — ქანდაკებაც უარყოფინა“³.

და, მართლაც, განსაკუთრებით თვალსაჩინოა 60-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკაზე (ამ შემთხვევაში — ქართულზე) გავლენა ჩერნიშევსკის სამაგისტრო შრომისა „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“.

როგორც ცნობილია, ამ შრომაში ჩერნიშევსკი არკვევდა ხელოვნებისა და ცხოვრების მიმართების საკითხს და ებრძოდა იმ დროისათვის გაბატონებულ ესთეტიკურ სისტემას, განსაკუთრებით კი, — ჰეგელისა და მისი სკოლის მიერ შემუშავებულ ესთეტიკურ თვალსაზრისს. ამ შემთხვევაში ჩერნიშევსკი

¹ ეს, ალბათ, იმით აიხსინა. რომ 1862 წ. ივლისიდან შეუძლებელი იყო ჩერნიშევსკის სახელის დამოწმება ოფიციალური პრესის ფურცლებზე.

² აქ აკაკი გულისხმობას ჩერნიშევსკის სახაგისტო შრომას: „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ (1855 წ.).

³ ა. წერეთელი, რევული ნაწერები, ს ხელგამი, 1935, გვ. 412—13. ასევე ახასიათებს აკაკი ჩერნიშევსკის გავლენას 1901 წ. დაბეჭდილ სტატიაში „მკიორე შენიშვნა“ (ივერია, № 168): „სამოცავან წლებში, როდესაც ხელოვნებამ ისე გაიტაცა რუსეთის მშერლობა, რომ უკეთესი და უწინვერეული წაომოვადგენელი ძირის ფერს აღარ ადგამდნენ და მზილოდ მიმოფრენდნენ ცის ლავავალში, ცხოვრებისაგან მასხლეტოლი, მაშინდედმა გამოჩენილმა მშერალმა ჩერნიშევსკიმ შეინიშნა მათ, რომ ხელოვნება მარტო უნაყოფო ხელოვნებისათვის კი არ უნდა იყოს.. ცხოვრებას უნდა გმასხურებოდეს.. ამით იმას უნდოდა, რომ უკიდურესობაში ჩამდგარი ხელოვნება როგორმე გამოიტენებოდა და საჭირო კალაპოტში ჩაეყენება“.

საერთოდ ჩერნიშევსკის გავლენაზე ხანგამით მიუთითებს ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებებსა და აუბლიცისტურ წერილებში, მაგრამ თვით 70-იანი წლების დამდევისთვისაც კი იძულებულია შემოვლათ ილაპარაკოს ოფიციალური პრესის ფურცლებზე ჩერნიშევსკის შესახებ (იხ. კრებული, 1873 წ., № 4, დაწერილებით იხ. ს. სუნდაძე, ნ. გ. ჩერნიშევსკი და 60-იანი წლების ქართველი ინტელეგენცია, წიგნში: მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბილისი, 1949 წ.).

იმარჯვებდა ფორმა ბახის მატერიალისტურ ფილოსოფიას და ამ უკანასტუნელს მოხერხებულად იყენებდა რეალისტური ესთეტიკის პრინციპების და საცავად.

რა თქმა უნდა, მაშინდელ პირობებში, ჩერნიშევსკის არ შეეძლო არც ფორმერბახის სახელის დამოწმება და არც ჰეგელის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა, როგორც თვით აღნიშნავს მესამე გამოცემის წინასიტყვაობაში 1888 წელს:

„ამგვარად ბროშურა, რომლის წინასიტყვაობას მე გწერ, — ცდაა ფეიერბახის გამოყენებისა ესთეტიკის ძირითადი საკითხების გადასაწყვეტილ.

აფტორს არ ჰქონია სულ უმცირესი პრეტენზიაც კი რაღაც ახლის თქმისა, რაც პირადად მას ეკუთვნოდეს. მას სურდა მხოლოდ განმმარტებელი ყოფილიყო ფეიერბახის იდეებისა ესთეტიკის მიმართ გამოყენების დროს.

ამის სრულ შეუსაბამობას ის გარემოება წარმოადგენს, რომ მთელ მის ტრაქტატში ერთხელაც არ ისხენიება ფეიერბახის სახელი. საქმე იმით აიხსნება, რომ მაშინ შეუძლებელი იყო რუსულ წიგნში ეხმარათ ეს სახელი. აფტორს არც ჰეგელის სახელი აქვს მოხსენებული, თუმცა ის მუდმივად ეკამაობა ჰეგელის ესთეტიკურ თეორიას, რომელიც მაშინ რუსულ ლიტერატურაში ბატონობას განაგრძობდა და რომელსაც უკვე ჰეგელის სახელის უხსენებლად გადმოსცემდნენ, ეს სახელიც აგრეთვე უხერხული იყო მაშინ რუსულ ენაზე სახმარებლად¹.

ამიტომ ჩერნიშევსკი კამათის დროს, როგორც თვით აღნიშნავს, უმთავრესად მიმართავს მემორცენე ჰეგელიანელის ფიზერის ცნობილ შორის: „ესთეტიკა, ანუ მშვენიერის მეცნიერება“ („Aesthetik oder Wissenschaft des Schönen“).

ჩერნიშევსკის წიგნია დიდი გაელენა მოახდინა ქართველ ინტელიგენციაზედაც, ხოლო, უწინარეს ყოვლისა, ეს გავლენა განიცადეს თერგდალეულებმა.

საგულისხმოა, რომ ჩერნიშევსკის წიგნის გარშემო პოლემიკა პრესის ფურცლებში ამ წიგნის მეორე გამოცემის შემდეგ დაიწყო. 1865 წლიდან განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი „ესთეტიკური დამოკიდებულებისადმი“ და იგი გაცხოველებული მსჯელობის საგნად იქცა (დაიბეჭდა სოლოვიოვის სტატიები უზრნალში „ოლეჩესტვენიე ზაპისკი“, „ზაიცევის რეცენზია — „რუსულ სლოვოში“, ანტონოვიჩის სტატია „თანამედოოვე ესთეტიკური თეორია“ — „სოვრემენიკში“, პისარევის „ესთეტიკის განადგურება“ და სხვ.).²

საგულისხმოა, რომ ჩვენს თერგდალეულებს ადრევე, სანამ ეს დიდი ხმაური ატყდებოდა პრესის ფურცლებში ჩერნიშევსკის წიგნის გარშემო, მიუქცევიათ ყურადღება ჩერნიშევსკის შრომისათვის და ამ უკანასკნელს დიდი გავლენაც მოუხდენია მათზე.

¹ 6. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, საქართველოს სსრ მეც. აკადემია, თბილისი, 1945. გვ. 468.

² იხ. 6. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, კომენტარები, გვ. 652—53.

ჩერნიშველისა და 60-იანი წლების ქართული საღლოტერატურო კრიტიკის
წარმომადგენელთა ურთიერთობიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული
შეხვერდი გვაიძერებებს.

ამტკიცებს რა, რომ „ხელოვნების ქმნილებები სინამდვილის მშენიერზე დაბლა დგანან“, ჩერნიშევსკი შემდეგ არკვევს ხელოვნებისა და სინამდვილის მიმართების საკითხს და მიღის იმ დასკენამდე, რომ „... ხელოვნების პირველი მნიშვნელობა, რომელიც უკლებლივ მის ყველა ნაწარმოებს ეკუთვნის, — ბუნებისა და ცხოვრების გადმოლება, ხელახალი წარმოქმნაა“¹.

ანდა: „ხელოვნების ყველა ნაწარმოების პირველი და საზოგადო მნიშვნელობა, კოქით ჩვენ, არის ხელახლა წარმოქმნა ნამდგილი ცხოვრების მოვლენებისა, რომლებიც ადამიანისათვის საინტერესონი არიან. ნამდგილ ცხოვრებად, რასაცვირველია, გვესმის არა მარტო ადამიანის ურთიერთობა ობიექტური ქვეყნის საგნებისა და თრსებებისაღმი, არამედ იგრეთვე ადამიანის შინაგანი ცხოვრებაც“².

ეს დებულება ჩერნიშვილისა, რომ ხელოვნება ცხოვრებას, სინამდვილეს ასახავს, რომ იგი ამ უკანასკნელის „ხელახლა წარმოქმნას“ წარმოადგენს (დებულება მიმართული გაბატონებული იღეალის ტური ესთეტიკის შინააღმდეგ), შეთვისებულ იქნა 60-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მიერ და მათთვის სახელმძღვანელო პრინციპალ იქცა.

მაგალითად, ი. ვაკებაძე 1863 წ. შერილში „საქართველოს მოამბეჭდ“ აღნიშნავდა:

„ნერ გვინდოლა გვეჩერებინა მყითხევლთათვის... რომ შეცრიტება და ხელოვნება არ არიან მოგონილი დაცის ჭიშის და გამოხატულების არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის; რომ იგინი იბატებიან ცალკერებისაგან და არსებობენ ცალკერებისათვის...“.

სელონებასაც იმას მოგვთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენის თავი შის მომზადლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ ჭინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავითახოთ”⁴.

Այսպիս առաջ մոցանակ հայտն է առաջ գամոցածքներ, հաջան ծյալներուն գազունածք համ զմշչելով գութ, մաժոնաց աղբանակներ, ու հոգուն

¹ ჩერნიშვილი, რჩ. ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 405.

ჩერინშევსკი ფიქტობას, რომ მისი ტერმინი „ხელაბლა წარმოქმნა“ ჰყავს ბერძნულ სამ-
ყაროში გავრცელებულს ასეთის — „და თუ უფრო გვიან ეს სიტყვა ესმოდათ როგორც „მი-
ბაძეა“ (Nachahmung), თარგმანი მარჯვე არ იყო, რადგან ავიწროვებდა ცნებათა წრეს და
აღძრავდა ახლს სიყალბის შესახებ გარეგნი ფორმის ქვეშ, და აზა ზინაგინი შიბარსის გად-
მოცემის შესახებ“ (იქვე, გვ. 409). აქვე უნდა დავსძინოთ, ჩერინშევსკი საგანგებოდ უსდამდა
ხასს, რომ „...ცოცორების სწორი ხელაბლა წარმოქმნა ხელოვნების მიერ არ არის უბრალო
ასლავალება, განასკუთრებით პოეზიაში“ (იქვე, გვ. 422).

2030. 83 417.

⁴ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 79—83.

არის ხელოვნებისა და ცხოვრების მიმართების საკითხი გადაჭრილი ქართველული „სამოციანელების“ მიერ.

საერთოდ, ძნელი საოქმელია ამ შემთხვევაში ვისი გავლენა უფრო ინტენსიურია — ბელინსკისა თუ ჩერნიშევსკისა. რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელთა იდეებზე აღზრდილი ჩვენი „სამოციანელები“ ხარბად ითვისტებნ ორივეს ნააზრევს და გადმოაქვთ ქართული სალიტერატურო კრიტიკის სფეროში.

მაგრამ არის ზოგიერთი მხარე მსჯელობისა, რაც კონკრეტულად შეუთითებს მხოლოდ ჩერნიშევსკის გავლენაზე.

ჩერნიშევსკი აღნიშნავდა, რომ ხელოვნება სინამდვილის შედეგია, მას ასახდეს, მის „ხელახლა წარმოქმნას“ წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს ხელოვნება არ მიაჩნდა პასიურ კატეგორიად. იგი ამბობდა: „... გარდა ხელახლა წარმოქმნისა, ხელოვნებას მეორე მნიშვნელობაც აქვს — ცხოვრების ასსნა“¹. და შემდეგ: „მაგრამ ცხოვრება არ ფიქრობს ავგისნას თავისი მოვლენები, არ ზრუნავს აქსიომების გამოყვანისათვის; მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებებში ეს გაკეთებულია; მართალია, დასკვნები სრული არ არის, აზრები ცალმხრივია იმასთან შედარებით, რასაც ცხოვრება წარმოადგენს; მაგრამ ისინი ჩვენთვის გენიალურმა აღამიანებმა ამოკრიფეს, მათ დაუხმარებლად ჩვენა დასკვნები კიდევ უფრო ცალმხრივი, კიდევ უფრო მჭლე იქნებოდა. მეცნიერება და ხელოვნება (პოეზია) — Handbuchi არის ცხოვრების შესწავლის დამწყებთათვის; მათი მნიშვნელობა ის არის, რომ მოამზადოს აღამიანი წყაროების წასკითხავად და შემდეგ ღროდადორო გამოდგეს ცნობების მისაღებად“².

დასასრულ ჩერნიშევსკი დაასკვნიდა: „დაუ, ხელოვნება დასჯერდეს თავის მაღალ მშვენიერ დანიშნულებას: იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სინამდვილე, იყოს მისი ერთგვარი შემცვლელი და აღამიანისათვის ცხოვრების სასწავლო წიგნი“³.

ეს მართებული დებულება, განსაკუთრებით ახალი და მნიშვნელოვანი მაშინდელი დროისათვის, რომ ზეღნაშენი პირუქუ მოქმედებს ბაზისზე და ხელს უწყობს ამ უკანასკნელის განვითარებას, შეთვისებულ იქნა ზოგიერთი ქართველი „სამოციანელის“ მიერ და, მაგალითად, ი. ჭივჭავაძეს არანაკლები სიმკეთრით აქვს გამოქვემდებარება:

¹ ჩერნიშევსკი, რჩ. ფილ. თხ., გვ. 417.

² იქვე, გვ. 420. ჩერნიშევსკი შრომის უკანასკნელ გვერდზე საგანგებოდ უსიგამს ჩასა ამ დებულებას: „მეცნიერებას არ სტენია იმის ოქზა, რომ მისი მიხანია გაიგოს და ასწავს სინამდვილე, შემდევ აღამიანის სასიკეთო-გამოიყენოს თავისი ასსნა — განმარტებანი; დაუ, ნურც ხელოვნებას სცხევნია იმის აღიყენება, რომ მისი მიხანი შემდევი: იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სინამდვილის მიერ მოცემული უაღრესად სრული ესორტიგური სიამოვნება, აღამიანის დასაჯელდოვებლად ხელახლა წარმოქმნას, აღაღინოს, თავისი ძალონის-დაგარად, ეს ძეორფასი სინამდვილე და აღამიანის სასიკეთოდ ასსნს იგი“ (იქვე, გვ. 424).

ამ დებულებას ჩერნიშევსკი ხასს უსაბო შრომის ავტორეცენზიაშიც, რომელიც დაიბეჭდა „სოვერემენიზმი“ 1855 წ.

³ ჩერნიშევსკი, რჩ. ფილ. თხ., გვ. 424.

„შავ წარმომადგენელთავან ცხოვრებისაგან დაბადებული ფაქტები, გერმანიმ უკუთხა-
ვან ახსნალინ და ცნობაში მოყვანილი მეცნიერებისაგან მიღებული, ოთვორცუაზომიში და
ხელომძღვანებელი მომავლისათვის, გადადიან, დანარჩენ ხალხშიაცა...“

ეს ერთ ცხოვრებისაგან აღმოსული, მეცნიერების სიცხოვლით ნაყოფად მოშეული, ისევ
ცხოვრებას ვე დაუბრუნდება ხოლმე წარმატებისათვის... კიდევ მოგა დრო განაბლებას, კი-
დევ ამრიგ დ მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში მო-
ყვას „ახლას“ და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახლი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის
ცხოვრებას“¹.

ამ აზრს იღია სხვა აღგილზედაც იმეორებს:

„... რომ იგინი (მეცნიერება და ხელოვნება — ჯ. ჭ.) იძალებიან ცხოვრებისაგან და არ-
სებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიღიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე
თავის აიგზედ თვითვე წინ მისაყვავთ ცხოვრება; რომ რაც მაგალიან არის მოყვანილი ცნობაში
და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მფლობელობასა და ცხოვ-
რებასა“².

და იღია რწმენით აცხადებდა, რომ „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ
გუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“³.

დასასრულ უნდა შეეხოთ ერთ საკითხსაც (თუმცა ეს 60-იანი წლების
სალიტერატურო კრიტიკის ფარგლებს სცილდება).

როდესაც ი. ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივი“ გამოაქვეყნა, იმ დროი-
სათვის ცნობილმა კრიტიკოსმა დავით სოსლანმა (კეზე ელ მა), ერთ-ერთმა
პირველმა გაარჩია ეს მოთხოვობა და, სხვათა შორის, იგი შეეხო გიორგის
ტრაგიულად დალუპვას და აღნიშნა გმირის სიკვდილის ხელოვნურობა. დ. სოსლანი, იგონებს რა ანა კარენინას დალუპვას, შენიშნავს, რომ ტოლს-
ტო მართალი იყო, როდესაც თავისი გმირი ქალი თვითმკვლელობამდე
მიიყვანა და დასკვნის: „დალუპვა თუ დალუპვა მოთხოვობის გმი-
რისა უნდა იყოს ლოლიკური შედეგი ამისივე ვნებათა მღელვარებისა, იმ გა-
რემოებისა, რომელშიაც ის ავტორს ჩაუყენებია, და არა შემთხვევით მი-
ზებისა“⁴.

დ. სოსლანის აზრით, გიორგის დალუპვა არ არის მოთხოვობის ლოგი-
კური განვითარებით გამოწვეული და ხელოვნურ ხასიათს ატარებს; აქ ტრა-
გიკულს შემთხვევითობა უძევს საფუძვლად და არა აუცილებლობა.

ჩვენ აქ არ გამოვუდებით იძის გარჩევას, თუ რამდენად მართებულია
დ. სოსლანის მოსაზრება, მხოლოდ შეენიშნავთ, რომ მწერალს ეს გზა სიადგი-
ლისათვის არ აურჩევია. ჩვენ გვგონია, იღია სავსებით შეგნებულად იღებს

¹ ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, 1927, გვ. 72—73.

² ი. ჭავჭავაძე, ნ. ჭ. სრ. კრებ., ტ. IV, გვ. 83.

³ ი. ჭავჭავაძე, ურუმ მოგვიანებით, დაახლოებით ასევე იმეორებს ამ აზრს:
„ლიტერატურა ხალხისათვის სიკეთეში გადამყავინი ხიდია და ფონი. როგორც კეკლუცისათვის
სარევ, ისე სალიბისათვის ლიტერატურა საჭიროა, რომ შივ ჩაიხდოს და თავისი სახე მისის
დირსებით და ნაკლოვანებით დაინახოს“ (მცირე არა შენიშვნები, დროება, 1878, № 107).

⁴ დ. სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“, 1888, გვ. 20.

ტრაგიკულის ამ სახეს, რადვან მიაჩნია, რომ ეს არ არის ხელოვნური. გადაწყვეტილი კონფლიქტისა და რომ შემთხვევითობამ შეიძლება ისევე დაცილებულობა. ითამაშოს მხატვრულ რეალისტურ ნაწარმოებში, როგორც აუცილებლობამ.

ჩვენ აგრეთვე გვგონია, რომ „ესთეტიკური დამოკიდებულების“ გაცნობისას, სხვა მრავალთა შორის, ილიას ყურადღება მიიქცია ჩერნიშესკის მსჯელობის იმ მხარემ, რომელიც „შემთხვევითისა“ და „გარდუალის“ საკითხს ეხება:

„ცხოვრებაში კვანძის გახსნა სრულიად შემთხვევითია, და ტრაგიკული ხელდრი შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს ისე, რომ ტრაგიკული დარჩეს. ჩვენ ვეთანახმებით იმას, რომ ტრაგიკულია მაკბეტისა და ლელი მაკბეტის ხელდრი, რომელიც აუცილებლად გამომდინარეობს მათი მდგომარეობიდან და საქმეებიდან. მაგრამ ნუთუ ტრაგიკული არაა ხელდრი გუსტავ — ადოლფისა, რომელიც სრულიად შემთხვევით დაიღუპა ლიცცენთან ბრძოლაში, ზეიმისა და გამარჯვების გზაზე? განსაზღვრა:

„ტრაგიკულია ის, რაც საშინევლია აღამინის ცხოვრებაში“,

მგონია, იქნება საესებით სრული განსაზღვრა ტრაგიკულისა ცხოვრებასა და ხელოვნებაში. მართალია, ხელოვნების ნაწარმოებთა დიდი ნაწილი უფლებას იძლევა დაუურთოთ: საშინელი, რომელიც მეტი თუ ნაკლები გარდუვალობით შეემთხვევა კაცს; მაგრამ, ჯერ ერთი, საეჭვოა, რამდენად სამართლიანად იქცევა ხელოვნება, რომელიც ამ საშინელს თითქმის ყოველთვის გარდუვალად წარმოადგენს, მაშინ, როდესაც თვით სინამდვილეში იგი უმეტეს ნაწილად სულაც არაა გარდუვალი, არამედ წმინდა შემთხვევითია; მეორეც, მე მგონია, რომ ძალიან ბჟირად მხოლოდ იმ ჩვეულების გამო, რომ ხელოვნების ყოველ დიად ნაწარმოებში გულმოდგინედ ვეძიოთ „გარემოებათა აუცილებელი გადაბმულობა“, „თვით მოქმედების არსიდან მოქმედების აუცილებელი განვითარება“, — მხოლოდ ამ ჩვეულების გამო ჩვენ, არც ივად, არც კარგად, იქაც კი ოღონიაჩენთ ხოლმე „აუცილებლობას ამბავთა მსვლელობაში“, სადაც იგი სულაც არ არის, მაგალითად, შექმნირის ტრაგედიების დიდ ნაწილში¹.

რუსულ რეალისტურ მწერლობაშიც ბევრი მხატვრისათვის უცნობი არ იყო ეს გარემოება: შემთხვევით იღუპება ტურგენევის რომანის („მამები და შეილები“) მთავარი გმირი ევენი ბაზაროვიც.

III

ასეთია გავლენა ბელინსკისა და ჩერნიშევსკისა 60-იანი წლების ქართულ სალიტერატურო კრიტიკაზე. ცხადია, ამ წლების სალიტერატურო კრიტიკის ცველა წარმომადგენელი ბელინსკისა და ჩერნიშევსკისადმი მსგავს დამოკიდებულებას არ იჩენდა. მაგალითად, „ცისკრის“ რედაქცია, შენიშვნებში, რომელიც მან დაურთო ილიას „პასუხს“, აღნიშნავდა, რომ „ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება“ და რომ დიდი რუსი კრიტიკოსი თურმე „როგორიადაც სნეული და ზაფრიანი, ყოველთვის ილანძლებოდა და ამ მიზეზით იმის ბაძე არ არის მოსაწონი“.

* * * 1 ჩერნიშევსკი, რჩ. ფილოსოფიური თხზ., გვ. 337—38.

რა თქმა უნდა, ძველი თაობის მხრივ ასეთ გამოსვლებს არ შეუძლია შეუს
სუსტებინა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის გავლენა ახალ თაობაზე, რამდენაც უცხა
გავლენა მეტად ორგანული იყო. რასაკიარველია, „გარეგნული მსგავსება გა-
მოთქმებში, — ორგორუც აღნიშნავდა. ლ. მეგრონი, — ჯერ კიდევ არ გვა-
ლევს უფლებას დავასკვნათ გავლენაზე, ორმელიც საფუძველში ძევს“¹.

მაგრამ ეს იყო გავლენა, ორმელსაც სწორედ „საფუძველში ჰქონდა
ადგილი“.

რა თქმა უნდა, ეს გავლენა ბრმა ხასიათს არ ატარებდა. ქართველი
„სამოციანელები“ შეგრებულად ითვისებდნენ ახალ ლიტერატურულ პრინცი-
პებს და ქართულ სინამდვილეს უფარდებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში მათ
საკუთარი აზრი და გზა ჰქონდათ. მაგალითად, ი. ჭავჭავაძე, ორმელიც
ეყრდნობოდა ბელინსკის სტატიას „ვაი ჰქუისაგან“, როდი იზიარებდა ამ სტა-
ტიის ერთ-ერთ თეზას, რომ „ყოველივე არსებული გონივრულია“ (თეზა, ორ-
მელიც შემდევ თვით ბელინსკიმ მალე უარყო, აღებული იყო ჰეგელიდან:
„Was wirklich ist, das ist vernünftig und was vernünftig ist, das ist wirklich“), ისევე, ორგორუც არ იზიარებდა ბელინსკის შეხედულებას სატირაზე;
შემოქმედების პირველ პერიოდში ბელინსკი ამტკიცებდა, რომ „სატირა არ
შეიძლება იყოს მხატვრული ნაწარმოები“ („ვაი ჰქუისაგან“), იმ დროს, ორ-
დესაც ილიას გ. ერისთავის, ორგორუც მწერლის, ერთ-ერთ დამსახურებად
მიაჩნდა სატირის შემოტანა ჩვენს ლიტერატურაში².

საერთოდ კი ჩვენი „სამოციანელები“ ბელინსკისა და ჩერნიშევსკის მიერ
წამოყენებულ პრინციპებს იმარჯვებენ მშობლიური ლიტერატურის კვლევა-
ძიებისა და ანალიზის დროს და საფუძველს უყრიან საქართველოში ჩემის-
ტურ სალიტერატურო კრიტიკას.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით უმჯობესია საბოლოო სიტყვა ისევ
ი. ჭავჭავაძეს მივსცეთ: „ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი
ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეობებით გაზრდილი და გაწურთვინილი. ასე
ბრმად ტყვედა არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედე-
ბას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკევენი და მერე ისე ან შეუთვი-
სებიათ, ან უარყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარ-და-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატუ-
რის წინსვლასა, წარმატებასა და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაშედ“³.

სტალინის სახელმძღვანელო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1950. II. 1).

¹ Мегроп, Романтизм и нравы, т. X, М., 1914, стр. 6.

² იბ. წერილები ქართულ ლიტერატურაზე, ნაწ. სრ. კრებ., ტ. IV, 1927, გვ. 246 და
სხვ. აქ ისიც არ უნდა დავივიწყოთ. რომ ილია, რა თქმა უნდა, ბელინსკის საერთო შეხე-
დულებებიდან ამონიდა, ბელინსკის კრიტიკული მემკვიდრეობის საერთო ხასიათს ითვალი-
სწინებდა, ანგარიშს უწევდა რა მისი შემოქმედების მეოროვ პერიოდს.

³ ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრ. კრებ., ტ. VIII, 1927, გვ. 236.

გილდიანი

რესეზის ღიზერავის გავლენა დასავლეთში

ერენევი და მოლეონი

საბჭოთა კულტურის განვითარების დღევანდელ ეტაპზე უთუოდ აღარ-
სად მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც არ ესმის საბჭოთა კავშირის მომები
ხალხების კულტურული წარსულის მნიშვნელობა. ის უდიდესი ისტორიი,
რომელიც საბჭოთა კავშირმა შეასრულა კაცობრიობის მიერ შექმნილი ცივილიზაციის
გადასარჩენად და საბჭოთა კავშირის აშკარა პოლიტიკური და მეცნიერული,
ისევ როგორც მრავალი სხვა ფორმის უპირატესობაზე საბჭოთა კულტურის
მოღვაწეებს მრავალ ამოცანას უყვნებენ. ერთი ამგვარ ამოცანათაგანი არის სა-
კუთარი კულტურული წარსულის შესწავლა ასეთ უპირატესობათა თვალსაზ-
რისთ, რამდენიმდეც ფაქტები იძლევათ ამის საშუალებას. საბჭოთა კავშირის
ხალხებმა წარსულში მრავალი განძი შექმნეს, ისეთი განძი, რომელმაც თავის
დროზე მოსჭრა თვალი დასავლეთის კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებს
და რომლის მნიშვნელობის უარყოფა დღესაც არ შეუძლიათ თუნდაც ყველაზე
რეაქციულ ელემენტებსაც კი დასავლეთში. ჩვენი ხალხების მიერ შექმნილი
კულტურული ფაქტების გავლენისათვის თვალის გაყიდვა და მათი შესწა-
ვლა საერთოდ ლიტერატურათმცოდნების ერთი ეტულურ ამოცანათაგანია.

რუსთის დიდმა ერმა ისეთი დილი, ლრმა და მრავალფეროვანი ლიტე-
რატურა შექმნა, რომ მის გავლენას ვერ ასცდა დასავლეთის ლიტერატურის
მრავალი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, ვერ დავხუჭავთ
თვალს იმაზედაც, რომ დასავლეთის ზოგიერთი წარმომადგენელი თვისებუ-
რაც ამაზინჯებს რუსთის ლიტერატურის კლასიკურ მემკიდრეობას, ეძებს
მასში მისტიკურ და დეკადენტურ ელემენტებს. ესენი არიან დასავლეური დეკა-
დანისა და მარაზმის წარმომადგენლები, სხვადასხვა ჯურის რენეგატები და
მისტიკოსები.

ჩვენ გვაინტერესებს უპირველეს ყოვლისა ჯანსაღი ელემენტის განვითარება
დასავლეთში, მისი როლი, როგორც დასავლეთის ბურუუაზიული საზოგადოე-
ბის ორგანულ ნაკლოვანებითა მამხილებლისა და ამასთან დაკავშირებით ის
გავლენა, რომელიც ამ ელემენტს მიუღია ჩვენის კულტურის რეზე-
რუუარიდან.

აქვე მინდა დავსძინო, რომ ბურუუაზიულ დასავლეთში არსებობს ტენ-
დენცია თვითონ მათივე კულტურის და კერძოდ ლიტერატურის უკეთესი წარ-

მომადგენლების მნიშვნელობის დამცირებისა. ეს დამახასიათებელი ტუნდუნ-ცია სავსებით გასაგებია და სრულიად აღვილად აისხება იმიზ, რომ უსწორები მიუღებელი არიან ცინიზმისა და მორალური დაშლილობის სამყაროში, მიუღებელი ბურჯუაზის პოლიტიკურ წარმომადგვნელთა თვალსაზრისითაც, რადგან ისინი ფაქტიურად სწორედ ამ ბურჯუაზიული საზოგადოების მამხილებლებს წარმოადგენენ.

წინამდებარე წერილის ობიექტის ვითარება ამ მხრივაც დამახასიათებელია და შესაძლებელია ამის გამო არ იყოს ზედმეტი ერთი პატარა, მაგრამ დამახასიათებელი ფაქტის მოტანა.

1947 წ. აგვისტოს მიწურულში თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკული მწერალი ჯონ სტაინბეკი, რომელიც უურნალ „ლაიფის“ ფოტოკორესპონდენტ კაპერთან ერთად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირში ჩვენი ცხოვრების და ჩვენი ადამიანების გაცნობის მიზნით, როგორც თვითონ აცხადებდა. მაგრამ, რომ მან ვერ მოახერხა თავისი ამოცანის შესრულება, ამას ამტკიცებს ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მის მიერ გამოქვეყნებული წერილების სერია. რომ მას არც შეეძლო სწორად დაენახა ჩვენი ქვეყანა, ეს სრულიად არ იწვევს ჩვენს გაოცებას. თბილისის მწერალთა სასახლეში იგი შეხვდა ქართველ საბჭოთა მწერლებს. გამართულ საუბარში მან სხვათა შორის განაცხადა: „ამერიკაში პოეტები პოპულარული არ არიან. მათ შორის არც კლასიკოსები ამერიკაში უყვართ პროზა“. მაგრამ მრავალი ცნობილი რომანისტიც არ აღმოჩნდა, სტაინბეკის თქმით, პოპულარული. ჩემს კითხვაზე, არის თუ არა გოლუმრობით პოპულარული ამერიკაში, სტაინბეკმა უარყოფითად მიბასუბა.

ჩვენ წინათ ვიცნობდით სტაინბეკს — „რისხის მტევნების“ ავტორს — და გვახარებდა მისი ვაკეაცური და ვნებიანი ხმა კაპიტალისტური ამერიკის წინააღმდეგ ამალებებული. ჩვენ ვიცნობდით სტაინბეკს, რომელიც იბრძოდა. მაგრამ სტაინბეკმა ზურგი შეაქცია ბრძოლას და სინამდვილეს და იმავე ხელით, რომელიც „რისხის მტევნებს“ სწერდა, დაწერა პათოლოგიური მოთხოვნა „გველი“, რომელშიც გვიამბობს, თუ როგორ შეიძყრო გველისადმი „დახვეწილმა“ ვნებამ ერთი ამერიკელი ქალბატონი, რომელმაც საცდელ ლაბორატორიაში მოყვანილ ქექწარმაგალში მამრობითი სქესი აღმოჩინა. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი ოლდოუს ჰექსლის ერთი გმირის სიტყვები: „მან გადაყლაბა ცივილიზაცია და ამან მოკლა“.

როგორც წყლის წევეთში, ამ პატარა ამბავში მთლიანად მოჩანს სტაინბეკის „ახალი“ ამერიკა, კაპიტალისტური სამყაროს „ახალი“ იდეოლოგია და ფსიქოლოგია. გასაგები ხდება, თუ ვის არ უყვარს კლასიკური პოეზია და რომანი ამერიკაში, ვისთვის არ არის პოპულარული გოლუმრობით.

ჯონ გოლსუორთი, ინგლისური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია; მან გამოსახა კაპიტალიზმის ბურჯვის შერყევა თავისი მხატვრული რეალისტური მეთოდის წყალობით, მიუხედავად თავისი ბურჯუაზიული მსოფლიხედველობისა; მასზე ითქმის ის, რაც თქვა მარჯვე აღდრე ვიქტორიანელ რეალისტების შესახებ, რომ ისინი, მათ შორის თეკერერი და ლიქნის, „უმხელდნენ ქვეყანას მეტ პოლიტიკურ და სოციალურ ჭრიშარიტებებს, ვიდრე ეს

გააკეთა ყველა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა, ერთადე აჟავი ბულმა” (მარქსი); მასზე ითქმის ისიც, რაც სთვევა ენგელს მა ბალტერენს ტესტის ხეზ, რომელიც მიუხედავად თავისი ლეგიტიმისტური მსოფლმხედველობისა, იმავე მეთოდის წყალობით გვეუბნებოდა სიმართლეს თავისი საყვარელი არის—ტოკირატების ყოფაზე, თუმცა თან დასტიროდა მათ დაღუპვას.

სწორედ ამის გამო ჩვენთვის საყურადღებო გოლსუორთის შემოქმედება. ამიტომაც გადადის მისი წიგნები ხელიდან ხელში ლიტერატურის მცოდნეთა შორის ჩვენში, ისევე როგორც უცხოეთის ფართო მასაში.

მაგრამ უთუოდ კიდევ მეტ ინტერესს გამოიწვევს ჩვენში ის ფაქტი, რომ ამ მწერლის სტილის ფორმირებაში, ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტაში და სახეების შექმნაში მონაწილეობდა რუსეთის დიდი მწერლის ტურგენიევის გავლენა.

უმცველია, ამ გავლენის მიზეზი ვაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ატრაქცია, დიდი რუსი „ზაბადნიკის“ გამცვირვალე სტილით გამოწვეული.

გოლსუორთი ავტორია კლასიკური რომანების ორი ტრილოგიისა: „ფორსაირ საგა“ და „თანამედროვე კომედია“. თუმცა მას მრავალი სხვა რომანიც აქვს დაწერილი, „მხატვრულად ლირსული“, და რამდენიმე კარგი პიესაც, მისი სახელი უმთავრესად ზემოაღნიშნულ ნაშრომს ეყრდნობა. მათ ზოგადად „ფორსაირების ქრონიკებს“ უწოდებენ.

გოლსუორთის რომანი წარმოადგენს ინგლისური პრიზის ტრადიციის გაგრძელებას. გოლსუორთის ლიტერატურულ წინაპართა შორის იმყოფებიან დაკენისი და თეკერები. მაგრამ დიკენისი და თეკერები XIX საუკუნის ვიქტორიანული ინგლისის მხატვრები იყვნენ, გოლსუორთის შემოქმედებაში კი გამოიხატა გიქტორიას ქანქის დასავალი და ის წინააღმდეგობანი, რომელთაც მნიშვნელოვანი ბზარი შექმნეს ინგლისის სახელმწიფო ობრივ ხომალდში.

ჯერ კიდევ ენგელს ი ახასიათებდა XIX საუკუნეში კაპიტალისტური ინვესის სპეციალისტური განვითარების გზას და აღნიშნავდა ამ ქვეყნის, როგორც კოლონიური იმპერიის მეტროპოლიის, მოსახლეობის საერთო ბურჟუაზიულ ხასიათს. ლენინმა XX საუკუნეში ინგლისს „სახელმწიფო—რანტიე“ უწოდა: მასში მეტად შემცირდა მწარმოებელი მოსახლეობის პროცენტი და მეტად გაიზარდა მოსახლეობის რანტიეს ფენის შემსავალი. სწორედ ეს რანტიეს ფენა არის გოლსუორთის მშობელი კლასი და მისი მხატვრობის საგანი. ამ კლასს იგი პირმშო ვაჟიშვილის ერთგულებით უწოდებს „ნახევარ ინგლის და საუკეთესო ნახევარს ამასთანავე“. მის წრეს სხვაგარად „საშუალოთა შორის მაღალი“ კლასი ეწოდება. როგორც ბალტები, იგი ციდილობს პორიზონტი გააფართოვოს. იგი არ იფარგლება მხოლოდ ამ კლასით, ასახავს არისტოკრატებს, ინტელიგნტებს, პროგნციელ აზნაურობას, მაგრამ ყველაფერი მაინც „ფორსაირებს“ ემსახურება. „ფორსაირების ქრონიკებში“ იგი იმარჯვებს, როგორც მხატვარი. სხვა რომანის გმირები ფორსაირების გმირთა სოციალურ ან ინტელექტუალურ ეპიზოდების წარმოადგენენ, როგორც მაგალითად პროვინციელი პენლისები რომანში „აგარაკი“, რომელთა „რწმენის სიმბოლო“ ბიბლიოური ეპიკურობით არის ჩამოყალიბებული:



„მწამს მამა ჩემი, და მისი მამა, და მისი მამის მამა, შემეჩნეული უკუნისა და მწამს ჩემი მამულისა, და მწამს ჩემი თავი და ჩემი შვილის შვილი. და მწამს, რომ ჩევნ შევქმენით ქვეყანა და შევინახავთ მას ისე, როგორიც არის. და მწამს სახალხო სკოლები და განსაკუთრებით ის სკოლა, სადაც მე მასწავლით. და მწამს ჩემი ტოლები საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით, და საგნები, როგორც არიან და იქნებიან აწ და მარადის და უკუნითი უკუნისაბოლოება, ამინ“.

გოლსუორთის ნამდვილი გმირები ფორსაიტებია—რანტიეს კლასის ტიპური წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, საკუთრების უნივერსალური ინსტინქტით დახასიათებულნი მათს ორდოდოქსალურ ფორმაში. ამ გაგებით XX საუკუნის ბრიტანეთის აგრესიული იმპერიალიზმი საკუთრების ინსტინქტის ფორმად წარმოგვიღება, რომელიც გაიზარდა სახელმწიფოებრივ მასშტაბებზე და დღეს თავის მტაცებელ კლანჭებზე უმანკო ფერის ხელთათმანებსაც კი ვეღიარ იქეთებს.

ფორსაიტთა სხვა ძირეული მხარეებიც გოლსუორთის ასპექტში საკუთრების ინსტინქტთან კავშირდება, ან წარმოადგენს მის ანტიტეზას შინაგანი კონფლიქტის შემთხვევაში. მაგრამ რამდენადაც ფორსაიტიში ნიშნავს საკუთრების ინსტინქტს, კონფლიქტის მიზეზი ამდენად ანტიფორსაიტიში უნდა ვეძებოთ.

თვითონ გოლსუორთიც საუკეთესო ფორსაიტია, როგორც ჰერბერტ უელსმა უწოდა მას. მაგრამ მას შეუძლია განხე გადგეს და მხატვარ-რეალისტის თვალით განვივრიტოს თავისი კლასის ცხოვრებაში მიმდინარე შინაგანი პროცესი. ამაშია მისი რეალისტური მეთოდის ლირსება. როგორც ბალზაკი, იგი გვიხატავს იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც ლოგიკურად დალუბვამდე შიპყავთ ზისი კლასი და მასთან ერთად იმპერიალისტური ინგლისი. კატასტროფის აუცილებლობის შეგრძნებაც ახასიათებს გოლსუორთის, როგორც მრავალ თანამედროვე ინგლისელ პოეტს და რომანისტს, რომელიც, ამის გამო, ზურგს აქცევენ სინამდვილეს და გაღადიან პათოლოგიაში, იმმორალიზმი ან ცინიზმში. გოლსუორთი არ ხუჭვს თვალს სინამდვილის მიმართ, მაგრამ კლასობრივად შეზღუდული, როგორც ფორსაიტი, იგი ცდილობს მსნელი ძალები აღმოაჩინოს კლასის ფარგლებშივე. იგი ვერ იძლევა რევოლუციურ პერსპექტივებს. ამიტომ მისი შემოქმედება დიდი ბურჟუაზიული, ბალზაკური რეალიზმის დაცემს მანიშნებელია.

გოლსუორთის არ ესმის ფორსაიტთა ფსიქოლოგიის კლასობრივი არსი. მისი გაგებით „ფორსაიტები“ ანგლო-საქებია საერთოდ. ამის გამო იგი მათვეის სიციალურად დამახსიათებელ თვისებებს ინგლისელთა ნაციონალურ თვისებებად გვაძლევს.

„ფორსაიტები“ გოლსუორთის გაღმოცემული აქვს ისტორიის სიგრძივ ჭრილში (მათი განვითარების ისტორიის პერსპექტივში) და საზოგადოების განვი ჭრილში (სიციალურ ურთიერთობაში გარემომცველ ვითარებისთან და ადამიანებთან).

ფორსაიტების ტრილოგიების მთავარი ანტაგონისტია სოომის ფუქსიატორია იგი ასახიერებს ვიქტორიას ინგლისის თვისებათა ზენიტს — საკუთრების მისცა ტინქტურს. ტრადიციული ფორსაიტების მთელი გუნდი მოძახილით მოსდევს მოქმედებას. მაგრამ ტრაგიული ბედისწერა გოლსუორთის სოომისია გვე ბუნებიდან გამოპყიდვს — აյ გოლსუორთი დაუზოგავი მამხილებელია საკუთრების ინსტინქტისა. სოომის ფორსაიტი ყველა ღირებულებას საკუთრების თვალსაზრისით უყურებს, მათ მორის ესთეტიკურ კატეგორიებსაც: ხელოვნება ფორსაიტისთვის ნიშნავს ხელოვნების ნაწარმოების გასაყიდ ღირებულებას. ფორსაიტის აზროვნების სუბსტანცია არის საკუთრება, განსახიერებული ნივთში, სულიერსა თუ უსულოში. ფორსაიტისათვის უცხოა ამაღლებული გრძნობები, მაგალითად სიყვარული. მისთვის ცოლი, უპირველეს ყოვლისა საკუთრებაა. ვიქტორიანელ ფორსაიტებს სწამო ამ ღოგაბრიელის სიმყარე და მარადიულობა. მათ საერთოდ არ აშფოთებთ შინაგანი ეჭვი, ან ფილოსოფიური სკეფტებისი.

მაგრამ სოომის ფორსაიტი ცოლად ირთავს ფსიქოლოგიურად ანტიპოლურ ადამიანს — აირინ ჰერონს, ღარიბი პროფესორის ქალს, ირთავს სიყვარულის გარეშე. გოლსუორთი ფორსაიტულ საკუთრების ინსტინქტს უპირისპირებს არა ფორსაიტულ „სილამაზის ინსტინქტს“, რომლის ინკარნაციას თითქმის მთელი სავის მანძილზე წარმოადგენს აირინი. აირინს ორგანულად არ ესმის სოომის და ხედავს მასში მხოლოდ უხეშ მესაკუთრეს. სოომისსაც არ შეუძლია გაიგოს მისი იდუმალი და მაღალესთეტიკური ნატურა. კონფლიქტი აღწევს თავის კულმინაციას „ფორსაიტ-საგის“ პირველსავე რომანში „მესაკუთრე“. აირინი შეიყვარებს „ხელოვნების წარმომადგენელს“, ე. ი. „სილამაზის ინსტინქტის“ მქონე ხუროთმოძღვარს და სულიერ მემბოხე ბოსინის. რომანი თავდება დრამატულად: ბოსინი იღუპება. აირინი სტოკებს სოომსს. სოომსს არ ესმის კონფლიქტის მიხევი. იგი მესაკუთრის სიჯიუტით ცდილობს დაეუფლოს სიყვარულს და სილამაზეს, რომლის დაპყრობა მას არ უწერია. ამგარიც, პირველსავე რომანში ფორსაიტიზმის მფლობელ ქვეყანაში იჭრებიან დეზინტეგრაციაშემნელი ძალები: „სილამაზის ინსტინქტი“ უპირისპირება „საკუთრების ინსტინქტს“. აյ გოლსუორთი არ ზოგავს უკანასკნელს.

ამავე დროს მიმდინარეობს ფორსაიტების კასტის რღვევა შიგნიდან: თავისუფლების და ხელოვნების იდეები ჩნდება „სილამაზის ინსტინქტით“ გარევულად აღქურვილ ფორსაიტებში. მათ წარმოადგენს ჯერ მოხუცი ჯოლიონ ფორსაიტი და შემდეგ მისი შეილი შეატვარი ახალგაზრდა ჯოლიონი, რომელიც ბოლოს ცოლად ირთავს აირინს და ამით ამყარებს საგვარეულო შულლს. ესენი თეთრი ყორნებია ფორსაიტების შავ ქვეყანაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ჯოლიონი. მოხუცი ჯოლიონის ფიზიოლოგიური სიკედილი ბალში, ბუნების სილამაზის ფონზე, აირინის მოლოდინში, სილამაზის საერთო გრძნობით და უდიდესი სტატობით შესრულებული, უქველია, საუკეთესო საბუთია თვით გოლსუორთის საკუთარი „სილამაზის ინსტინქტისა“.

მაგრამ გოლსუორთის, როგორც ფორსაიტული ქლასის წარმომადგენელს, არ ესმის მის მიერ გამოხატული კონფლიქტის სოციალური კანონ ხო-

შეერება. არ ესმის, რომ ეს კონფლიქტი საბედისწეროა ფორსაიტთა კლასისა-
თვის და მისი გარდაუვალი და საერთო რევენის ნიშანია. მისი გაგებული მათ
მაზის ინსტინქტის“ მფლობელი კელტები არიან და ნარევი ფორსაიტები-
მათ წინაშე სოომსის დამარცხება ნიშანავს ტრადიციული და სტაბილური
ფორსაიტიშის მარცხს. ეს მარცხი ასენილია ფსიქოლოგიური სხვაობით და
ორთოდოქსალური ფორსაიტების ნაკლოვანებით. გოლსუორთი ეძებს „სილა-
მაზის ინსტინქტის“ ფსიქოლოგიურ ძირებს ადამიანში. მის საკუთარ მსოფლ-
შეერდნებაში ამ ინსტინქტს განსაკუთრებული აღილი უჭირავს და ხშირად
მოჩანს რომანების მანძილზე. სილამაზეს იგი ტკივილამდე მოსული ორგა-
ნულობით გრძნობს.

„რომანისტის რწმენაში“ იგი აღიარებს: ქვეყნის შეენება არის რომა-
ნისტისათვის ნამდვილი სასოწარკვეთილება, გულისტკივილი, რომელსაც იგი
გრძნობს აყვავებული ბუნების წინაშე.

სხვაგან იგი ამტკიცებს, რომ ეს გულისტკივილი ქვეცნობიერი შედეგია
სილამაზის მარატიულობის და ადამიანის წარმავალობის შეგნებისა.

ვიქტორიას საუკუნე მიდის. გოლსუორთის თვალშინ გაიგლის პირველი
მსოფლიო ომი და ომის შემდგომი სოციალ-პოლიტიკური და მორალური
კრიზისი. მწვავდება კლასთა ბრძოლა. „ფორსაიტების“ მეორე ტრილოგიაში
იხატება ამ ბრძოლის ისეთი ფორმაცი კი, როგორიც ინგლისის მუშათა სა-
ყოველთაო გაფიცვა. გოლსუორთი არც ახლა ხუჭავს თვალს სინამდვილეზე
და სოლიდური, დაკვირვებული მხატვრის რეფლექსით ცდილობს განაგრძოს
ფორსაიტების შემდგომი პროგრესი. საერთო დეკადანის საუკუნეში იგი, უკვე
ხანში შემავალი დარბაისელი რომანისტი და თვით ფორსაიტების საუკი-
თესო წარმომადგენელი, სცენის თავის სასტიკ დამოკიდებულებას ვიქტორია-
ნულ ინგლისთან. იგი იწყებს ფორსაიტების ძირეული თვისებების (რწმენა და
სიმყარე) მიღებას. ამით იგი იპოზიციას უწადებს XX საუკუნის ბურჯუ-
ალის დეკადანს: ცინიზმს, ურწმუნოებას და მერყევობას. მას ესმის, რომ ეს
დამლუპველი თვისებებია. იგი იწყებს თავისი კლასის სასწანელად გამოსავა-
ლის ძიებას და სწორედ აქ ლალატობს მას ჩაღალიში, რომელიც ობიექტური
სინამდვილის სწორ გაგებას ნიშნავს: გოლსუორთი აიდეალებს ძველ მესა-
კუთრე სოომს. სოომსი იქცევა სტაბილურობის და რწმენის განსაზირებად
ურწმუნო და მერყევ საუკუნეში. ამავე დროს სოომსი სთმობს საკუთრების.
ეგოისტურ გრძნობას: ეს ნიშანავს თავის დავიწყებას საყვარელი არსებისათვის.
საყვარელი არსება მისი ასულია—მამისერთა ფლერი, რომელსაც უყვარს
ახალგაზრდა ჯოლიონის და აირინის გაეიშვილი ჯონი. ჯონიც გატაცებულია
ფლერის სიყვარულით, მაგრამ მათ სიყვარულს წინ გადაელობება ძველი სა-
გვარეულო მტრობა. რომანს „ქირავდება“, დრამატული სიყვარულის გამომხატ-
ველს, შემთხვევით როდი აქეს „რომეო და კულიეტას“ ეპიგრაფი.

გოლსუორთის რომანში „ქირავდება“ გამჭვირვალე ზედაპირის ქვეშ მო-
ჩანს თანამედროვე რომეო და კულიეტას—ჯონ და ფლერ ფორსაიტების
სიყვარულის დრამა და შექსპირისებური პროტესტი თავისუფალი გრძნობის
მოწინააღმდეგ სოციალურ-მორალური პირობითობის წინააღმდეგ. თუმცა

რომანი „ქირავლება“, ისევე როგორც ფორსაიტების ქრონიკების სხვა რწყმანები, დამოუკიდებელ მხატვრულ მთელს წარმოაზენს, მთლიანი უზრუნველყოფა მათ შემოქმედისა მხოლოდ გოლსუორთის მთელი შემოქმედების ფონზე შეიძლება გამოიჩინდეს ნათლად.

იმედგაცრუებული ულერი თავის მოკვლას განიზრახეს, მაგრამ სოომასი გადაარჩენს, თუმცა ამის გამო თვითონ იღუპება. ამგვარად სწირავს თავს სიყვარულსა და სილამაზეს ძველი ცესაკუთრე სოომას ფორსაიტი. ასე იცვლება გოლსუორთის. ძველი ასპექტი.

ამავე დროს ფორსაიტების ახალ თაობაში — „ნარევ თაობაში“ (ფლერის დედა ფრანგის ქალია, ჯონის დედა — აირინი) გოლსუორთი აწყობს ფორსაიტულ თვისებათა და „სილამაზის ინსტინქტის“ სინთეზის ცდას. ცდილობს ამ პროცესს მიაინიჭოს სოციალური მნიშვნელობა, თუმცა მხოლოდ მის გრანდიოზულ სოციალურ ფონს და იძლევა.

არაფორსაიტულ, უკანასკნელ ტრიოლოგიაში „თავის დასასრული“, რომელიც გოლსუორთიმ დასწერა სიკვდილის წინ, მთავრდება ზემოაღნიშნული სინთეზის საკითხი. გოლსუორთი ცდილობს შეპქმნას იდეალური ინგლისელის „ახალი“ ტიპი, რომელიც ობიექტურად არ სცილდება მისი კლასის ფარგლებს. აქ კიდევ უფრო აშკარად მოჩანს მისი რეალიზმის მარცხი: ჩნდება იდეალის სისუსტე უარყოფითის გამოხატვასთან შედარებით. განსაკუთრებით აშკარაა სხვაობა, თუ სუსტ „თავის დასასრულს“ შევადარებთ მძლავრ რომანს „მესაკუთრე“.

გოლსუორთის ხელოვნება ცალკე წერილის საკითხია: აქ შეიძლება აღნიშნოს მხოლოდ, რომ იგი შეიცავს არა მარტო რეალისტური ხელოვნების ნიშნებს (დაკვირვება, ტიპიურის გამოხატვა ტიპიურ გარემოცვაში, დამახასიათებელ დეტალის სიზუსტე, დაკვირვების მეთოდის რთული მეცნიერული, უმთავრესად ფისიოლოგიური ფორმები); გოლსუორთის ხელოვნება არა რეალისტურ ხერხებსაც შეიცავს: მინიშნება და გულსხმობა; ძირითადი ამბის გადმოცემა მეორად ხასიათთა გამჭოლ; ორმაგი ცხოვრების გამოხატვა — ტრივიალურისა რომანის ზედაპირზე, ფსექლოლოგიურისა — ზედაპირის ქვეშ (ამის შესახებ შეიძლებოდა საინტერესო მაგალითების მოტანა); რეალისტური სახის მიყვანა სიმბოლურობამდე და ამგარად ჰერექსტრის შექმნა. გოლსუორთის აქვს დრამატული ელემენტიც: კლასიკური დიალოგი; ფინალებში „ფარდის გრძნობა“, დრამატული კონფლიქტები (სამკუთხედები და ოთხეუთხედები) და ა. შ. ამავე დროს იგი შესანიშნავი ოსტატია ატმოსფერისა, სიტუაციისა და, რაც მთავარია, ლირიკული პეიზაჟისა, რომელიც შეთანხმებულია რომანის განწყობილებასთან.

გოლსუორთის ხელოვნება გარეგნული მიუკერძოების შთაბეჭდილებას სტოებს, ეს უთუოდ სოციალურ ძალთა ერთგვარი იმპერსონალურობის შეგნებით აისანება: გოლსუორთის სოციალურ ძალთა მიმართ ფატალიზმის გრძნობა აქვს, უკანასკნელ ნაწარმოებებში ერთგვარი წარმართოული მისტიკიზმით განელებული. ეს ფატალიზმიც გოლსუორთის კლასობრივი შეზღუდულობით და უპერსექტივობის ქვეცნობიერი შეგნებით აისანება.



ასეთია მწერალი ჯონ გოლსუორთი და მის შემოქმედებაზე მთელი მსოფლიო ჩერდი (თუმცა ძლიერ ზოგადად), რათა უფრო ნათელი გამეხადა, როგორ მწერალზე ახდენდა გავლენას ივან ტურგენევი.

ტურგენევის გავლენას გოლსუორთის სტილის ფორმირებაზე აღიარებს ცვითონ გულსუორთი; მას აღიარებენ მისი თანამედროვეები და მახლობელნი. აღიარებენ დღევანდელი ინგლისელი კრიტიკოსებიც. ქვე უნდა დავსძინო: რუსთის ლიტერატურა მეოცე საუკუნის დასავლეთისათვის უძლიერესი ფენომენი აღმოჩნდა. დეკადენტები მასში ეძებდნენ „სლავურ მისტიკიზმს“ და თვედაიწყებას. უფრო ჯანსაღი მწერლები კი ხედავდნენ დიდი ხალხის რეალისტურ შემოქმედებას.

XIX საუკუნის დიდმა „ზაპალნიკა“ ტურგენევმა დასავლეთი მიიჩნია ფორმად, რომელშიც შეიტანა რუსეთის არსი — მისი სოციალური და მორალური პრობლემატიკა. არისტოკრატიზმს ხელი არ შეუშლია მისოვის დიდი ჰუმანისტის სიმაღლეზე დამდგარიყო. მისმა, „მონადირის წერილებმა“ უდიდესი როლი ითამაშა რუსთის გლეხობის განთავრესუფლებაში ბატონუმშარი ჩაგრის უღლისაგან. შესანიშნავ რომანებში „მამები და შეილები“, „აზნაურთა ბუდე“, „წინადალით“, „ყავამლი“, „რუდინი“ და სხვაში ლსტატის მსუბუქი ხელით, დრამატიზმით და დაფიქრებული მოაზროვნის სილრმით მან გამოხატა თაობათა იდეური ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის. განზრახვა არა მაქს შეგნერდე ტურგენევზე, რომლის სიდიდე და როლი საყოველთაოდ ცნობილია და აღიარებული.

უკვე XIX საუკუნეშივე ახდენდა გავლენას ტურგენევის წერის მანერა დასავლეთის უმნიშვნელოვანეს მწერლებზე.

დასავლეთის ცნობილმა მწერლებმა არა მხოლოდ პირადი ურთიერთობის წყალობით გაიცნეს და დააფასეს იგი. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო მისი ჰუმანიზმი, რომელიც ხელოვნების უდიდეს ნაწარმოებებში მოათავსა მან. მისი გავლენის დასახასიათებლად საქმარისია ორი ფაქტი, რომელსაც გადმოგეცემენ დღესაც დასავლეთის კრიტიკოსები (იგულისხმება ჯ. ფილისი).

ერთხელ პარიზში ყოფნის დროს ტურგენევს ესტუმრნენ ამერიკელი თოშას ვენტვორტ ჰიგინსონი — ზანგბის დამონების წინააღმდეგ ბრძოლის მეთაური, რომელსაც თან ახლდა ცნობილი მწერალი ქალი პარიეტ ბიერ-სტოუ. ეს ფილანთროპები მოვიდნენ ტურგენევთან, რომლის ჰუმანიზმი გათ იცვნეს „მონადირის წერილების“ საშუალებით. ამ დროს სამხრეთის შტატების ბამბის უზარმაზარ პლანტაციებში თეთრი კოლონისტები მონებად ამუშავებდნენ შავ ზანგბს.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ბიჩერ - სტოუმ დასწერა წიგნი „ბიძაა თომას ქმით“, რომელმაც უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია. ამ ნაწარმოების შთამგონებელი იყო „მონადირის წერილები“. მისი სიტუაციები, ოხრობის მანერა და ნაწარმოების კომპოზიცია ტურგენევის გავლენის ნიშანს ატარებს. მასში გამოთქმულია იგივე თანაგრძნობა და სიბრალული უწყალოდ დაბრივებულთა მიმართ, რაც „მონადირის წერილებშია“, აღმიანის დამმონებელნი იქაც ისეთივე ზიზლს იწვევენ მკითხველში. სამწუხაროდ, თანამედროვე თეთრმა

კოლონისტებმა დაივიწყეს ბიჩერ-სტოუს მაღალი მორალი და ძველ რასიულ დისერიმინაციას დღეს „დემოკრატიის“ დროშას აფარებენ... გვიპლიტიკა

ანგლო-ირლანდიელმა ცნობილმა რომანისტმა ჯორჯ მურმა ინგლისელ მწერალთაგან პირველმა მიიღო ღოსტოვესკის გავლენა, მაგრამ უფრო მეტად ტურგენევი ახდენდა მასზე გავლენას. მისი რომანი „იელინ ინეს“ დაწერილია. ტურგენევის „აზნაურთა ბუდისა“ და „წინადისის“ უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ: ტექნიკური ხერხები, შინაარსი და მოქმედ პირთა დახასიათების მეთო- დი მოწოდებს ტურგენევის გავლენას.

თავის ძმისადმი მიწერილ წერილში 1898 წელს მური წერს: „მე დავწერე უარესად, ვიდრე დასწერდა ტურგენევი ან ბალზაკი, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო უკეთ, ვიდრე სამაგელი თეკერევი ან უთავბოლო დიკენსი, ან მაღალ- ფარლოვანი ელიოტი“.

ჯორჯ მური ტურგენევის მსგავსად იყო აზნაური და მემამულე, თუმცა თავის მძმულში არა ცხოვრობდა. ერთხელ ერთმა მეგობარმა, სახელი ჯონ ერლინგტონმა, ურჩია მას გამხდარიყო „ირლანდიის ტურგენევი“ და ეცადა- იმის გაეკეთება ირლანდიის გლეხობისათვის, რაც გაკეთა რუსეთის გლეხობი- სათვის ტურგენევმა.

ჯორჯ მურმა ამ ამოცანას შეხედა უფრო არტისტული, ვიდრე პოლიტი- კური თვალსაზრისით. ამბობენ, ტურგენევის ხსენებაზე იგი სულით დაეცა.

„ოქვენ იქნებ სურათების ხატვაც შემომთავაზოთ, როგორც კოროს“ სთევა მან.

ჩაინც თავის ნარკევებში ირლანდის ცხოვრების შესახებ („უნავი მინ- დორი“) იგი მისდევდა ტურგენევის „მონადირის წერილების“ მეთოდებს. მეო- რე კრებულიც „უცილო ცხოვრება“, მოთხოვნები „საქორწინო კაბა“ და „სარა გუინ“ ტურგენევის გავლენით არის დაწერილი. ეს უკანასკენელი ისე მოსწონ- და თვითონ მურს, რომ ერთ წერილში იგი ურჩევდა მეგობარს: „შეადარე „სარა გუინ“ ტურგენევის მოთხოვნებს და აღიარე, რომ თეთონ ტურგენე- ვიც ვერ დასწერდა ამაზე უკეთ“.

თავის ნაშრომში „ტრიადა“ (1924 წ.) ჯონ გოლსუორთი აჯამებს თა- ვისი სიკაბუკის გავლეთოლებს და წერს: „უკეთ ოთხი წელიწადი იყო ვწერდი.... ამ დროისთვის დავიწყე რუსი ტურგენევის კითხვა (ინგლისურად) და ფრანგი დე მობასანისა ფრანგულად. ესენი იყვნენ პირველი მწერლები, რომელებმაც მომ- ცეს ერთდროულად ნამდვილი ესთეტიკური მღელვარება და ომის პროპორ- ციაში და სიტყვების ეკონომიაში ჩახედვის უნარი. მათგან სტიმულირებულმა დავიწყე ჩემი მეორე რომანი „ვილა რუბეინ“.

ამის შემდეგ ტურგენევი გახდა გოლსუორთის იდუმალი არბიტრი. დრო- გამოშევებით ტურგენევის სახელი ჩნდება გოლსუორთის მიმოწერაში მეგობ- რებთან. მწერალი ფორდ მედოქს ფორდი ამგვარ კითხვასაც კი იძლევა: „ასჯერ უნდა ვკითხო ჩემს თავს ჩემს სიცოცხლეში: რა გამოვიდოდა გოლსუორთისაგან, ტურგენევი რომ არ ყოფილიყო“.

შემდეგ იგი დასტენს თავის მოგონებებში: „ტურგენევი, მწერალთა შეცვალის ყველაზე საშიში თავის მოწაფეთათვის, ტურგენევი და ემიციონის მიზანების გამოჩენდა ამ მზიური ქმნილების აზროვნებაში, რომელსაც შეეხო გენია“.

ისინიც კი, ვინც ფიქრობნ გოლსუროთის დამოუკიდებლობაზე უცხოური გაფლენებისაგან, აღიარებენ ტურგენევის გავლენას. კრიტიკისი შეიღია კეი-სმიტი ამბობს: - გოლსუროთის იქვს უსაზღვრო სიბრალული, თითქმის მოკრძალება ტანჯვის წინაშე, რომელიც ახასიათებს რუსულ იდეებს. მაგრამ ეს სიბრალული და მოკრძალება გამოთქმულია არა დიდი, პირდაპირი მანერით ტოლსტოისა და ლოსტოვეცისა, არამედ გალლური სიმახვილითა და ირონიით, რომელიც გვაგონებს ფლობერს. მწერალი, რომლის უფრო მეტი ნათესავება აქვს მას, რომლის,— შეიძლება ითქვას, — იგი გარკვეულად მოვალეც კია, არის ტურგენევი. ტურგენევში ვხვდებით ფრანგული და რუსული ხელოვნების შემთხვევა ნიადაგს. აյ არის სიფართოვე, მგრძნობელობა, მისტიკიზმი სლავისა შეერთებულა ფრანგის ჰემორიისა და ფორმის გრძნობასთან... ინგლისური ხელოვნება ძირებული გულუბრუგილოა ტექნიკით. გოლსუროთის ცოტა რამ აქვს ინგლისური ნათესავებისა, თუ კი საერთოდ აქვს რამ. მაგრამ მეორე მხრივ მან გააინგლისურო უცხო გავლენები. რუსულ სიბრალულს მოჰკვეთა მისი მისტიკიზმი, ფრანგულ იონინის — მისი მხიარულება. ეს ორი კომბინაცია დამახასიათებელია მათი წარმოშობის ქვეყნებისათვის და გოლსუროთი ჰქვეთს მათ, არჩევს სიბრალულსა და ირონიის, უკუაგდებს მისტიკიზმსა და მხიარულებას, ამგვარად ამტკიცებს იგი თავის პიროვნებას და თავის ეროვნებას“.

თავი რომ დავანებოთ ბურუუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობისათვის დამახასიათებელ ამ პასაუში მოთავსებულ მეტად საეჭვო ცნებებს „სლავის მისტიკიზმისა“ და სხვათა შესახებ, აქაც ყოველ შემთხვევაში, აღიარებულია გოლსუროთის ჰუმანისტური ტენდენცია — სიბრალული, და ირონიის ხერხი მის მიერ მარჯვედ გამოყენებული ფორმასიტული ქვეყნის გამოხატვისას.

აი, კიდევ ერთი ბურუუაზიული ლიტერატურის ისტორიკოსის ფრანგი ლუი კაზამიანის აზრი, რომელშიც ჰქონდარიტება გათქვეფილია მისტიკურ ინტერპრეტაციაში, თუმცა რუსული რომანის გავლენა მაინც აღიარებულია მმობისა და სიცოცხლის უნივერსალური სიყვარულის იდეების სახით. „გოლსუროთი დიკენისისგურ ფილანტროპიას ისეთ თავისებურ, ხშირად მტკიცნეულ ფრუნტელს უმატებს, რომელიც რუსული რომანისას ემსგავსება; იმ მმობის მგზებარებას, რომელშიც, ჩანს, აღმოსავლეთის მისტიკიზმს შეუტანია თავისი ცეცხლი, და რომელიც სიცოცხლის სიყვარულს მთელს ბუნებაზე ავრცელებს“.

თანამედროვე კრიტიკოსი ჭ. ფილისი გოლსუროთისა და ტურგენევს შორის საერთოს უპირველეს ყოვლისა იმაში ხედავს, რომ ისინი იყვნენ „ჯენტლმენები და აზნაურები“, მაგრამ სინიდისიერი „ჯენტლმენები“. ეს იყო დრო, როდესაც მაღალი წრეების ახალგაზრდობა ხშირად დიდი სიმწვავით გრძნობდა სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებს

და ავადმყოფურად განიცდიდა დაბალი ფენების მძიმე მდგომარეობას კულტურულ ტობ ტურგენევი იმ ლიტერატურთა სათავეში მოქეცა, რომელთა განვითარებას საერთო სოციალური წარმოშობა პქონდათ და მისგან სესხულობდნენ როგორც შთაგონებას, ისე ტექნიკურ ხერხებს.

XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის ინგლისური რომანი კრიზისს განიცდიდა. მაგრამ მას მიეზველა რუსული ლიტერატურა. ეს ფაქტი მრავალმხრივ გვაგონებს რუსეთის როლს დასავლეთის მიმართ უფრო ფართო და მნიშვნელოვან სფეროებში.

„ანგლო-რუსული მიმოხილვისათვის“ 1916 წელს დაწერილ წერილში გოლსუორთი ამბობდა: „თქვენმა ლიტერატურამ, ყოველ შეძთხვევაში უკანას-კნელი 20 წლის განმავლობაში, ლრმად გამოსცვალა ჩვენი: რუსული რომანი თქვენი კალმის ოსტატების ხელში მოგვევლინა ცხოველმყოფელ მდინარებად თანამედროვე ლიტერატურის ზღვაში“. უკველია, ამ საერთო გავლენის საკითხთან არის დაკავშირებული გოლსუორთის მიერ რუსეთის დიტერატურისა-გან მიღებული გავლენების საკითხი.

ყველაზე ადრე ტოლსტოის ოსტატობაში იხსნა გოლსუორთიც და ბერი მისი თანამედროვეც მისი დროის ფორმალისტურ-დეკადენტური მიმდინარეობისაგან. იმავე ტოლსტოიმ თავისი ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზროვნებით იხსნა იგი ცინიზმისა და იმმორალიზმის კულტისაგან. გოლსუორთიმაც ტოლსტოის მსგავსად დაინახა საზოგადოების (მისი საზოგადოების) ხსნის გზა პიროვნების მორალურ სრულყოფაში და ადამიანთა ქრისტიანულ სიყვარულში ერთიმეორისადმი, სიყვარულში მოყვასისადმი. მაგრამ თუ ტოლსტოის შემოქმედება ხოლო ნიადაგში მიღის ფესვებით, გოლსუორთი, ვი-მეორებთ, ვერ გაექცა თავის ბურეუაზიულ კლასობრივ შეზღუდულობას, გა-მოხატულს ზემოაღნიშნულ კომპონმისში.

გოლსუორთის ნამდვილი მასწავლებელი, როგორც ავლიშნეთ, ტურგენევი იყო. უკვე გოლსუორთის ადრეული რომანები „ფარისეველთა კუნძული“, „პატრიციუსი“, „ჯოსლინ“, „ბნელი ყვავილი“, „ვილა რუბეინ“ ატარებენ ტურგენევის გავლენის ნიშანს: იგრვე ჰუმანიზმი მაღალ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისა და დაუზოგავი ქრისტიანთავისი კლასის ადამიანთა დამოუკიდებლობისა დაბალი კლასის ადამიანთ მიმართ; კრისტიანი მათი ძირეული თვისებებისა; საზოგადოებრივი საფუძვლების ცვლილების ბუნდოვანი შეგრძნება.

აზრი „საზოგადოების ნერევის“ შესახებ ნათლად გამოსჭვივის გოლსუორთის საუკეთესო რომანში „მესაკუთრე“. რომანებში მოძრაობენ ტურგენევის გადაცმული გმირები: ბაზაროვები, რუდინები, ლავრეცები. მხოლოდ მათი გარემოცვა ინგლისურია, ტანსაცმელი ინგლისური. ძნელი არ არის ტურგენევის რეფორმატორების ცნობა ფორსაიტების მორალურ-ეთიკური ნორმების წინააღმდეგ ამბოხებულ ახალგაზრდებში. ასეთი ხუროთმოძღვარი მოსინი, რომელიც პირველივე გამოჩენისთანავე აშფოთებს თავისი ნაცრისფერი ქულით ფორსაიტთა რესპექტაბელურ ჯოგს, იმ ნაცრისფერი ქუდით, რომელიც შავი-

ცალინდრის მაგიერ ახურავს ჯუნის ნიშნობაზე. ასეთია ახალგაზრდა ჯოლოვნინი რომელმაც დაძრღვია ფორსასიტების სტაბილური ეთიკა პირველი დამატებული მდგომარეობის ქალის შერთვით, შემდეგ კი აირინზე ქორწინებით. თავისი უქმაყოფილებით, იმედგაცრუებით, იდეალიზმით და საზოგადოებასთან დაბირისპირებით ისინი გვაგონებენ „ნიშილისტ“ ბაზაროვს. როგორც ბაზაროვისთვის, მათვისაც რღვევა და განადგურება მოაქვს სიყვარულს. ასეთ გავლენაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ბაზაროვი ბუნების მეტყველია, ხოლო ბოსინი და ახალგაზრდა ჯოლოვნი ხელოვნების ადამიანები. საერთო ამ გმირებს შორის — მათი მიმართება გარემომცველ საზოგადოებისადმი. გოლსუროთიც ტურგენევის მსგავსად შემთხვევით, ფრაგმენტულ საუბარში და მეოცნებე განწყობილებებში აგვიშებს მათ. მათი ტანსაცმელიც ისეა აწერილი, როგორც ფილისი ამბობს, „თითქოს ავტორი დროგამოშვებით აშუქებს თავის გმირებს ჯიბის ნათურით“.

